2022 წლის 27 აპრილიდან „გაზპრომმა“ მთლიანად შეაჩერა გაზის მიწოდება კომპანია „ბულგარგაზისთვის“ (Bulgargaz), იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა უარი თქვა საფასურის რუსულ რუბლებში გადახდაზე. საპასუხოდ, აწლის ივნისში, დაიწყო საქართველოზე გამავალი „სამხრეთკავკასიური გაზსადენით“ აზერბაიჯანული გაზის ბულგარეთისთვის საცდელი მიწოდება, ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანში“ შემავალი „ტრანსადრიატიკული გაზსადენის“ ბულგარეთ-საბერძნეთის ინტერკონექტორის (დამაკავშირებელი - ზ.გ.) IGB-ის, გავლით. სატესტო რეჟიმში ამ მილით აირის მიწოდება 2022 წლის ივნისის ბოლომდე განხორციელდა, ხოლო 2022 წლის 2 ივლისიდან ბულგარეთში უკვე 1 მლრდ კუბ. მეტრი აირის სახელშეკრულებო მოცულობის მიწოდება ხორციელდება.

აზერბაიჯანიდან გაზს, „ტრანსადრიატიკული გაზსადენით“ იტალია, საბერძნეთი და ბულგარეთი 2020 წლის 31 დეკემბრიდან იღებენ. 2021 წელს ბულგარეთში აზერბაიჯანული აირის მიწოდებამ შეადგინა მხოლოდ 250-300 მლნ კუბ. მეტრი, დაგეგმილი 1 მლრდ კუბ. მეტრის ნაცვლად. ინტერკონექტორი IGB-ის ექსპლუატაციაში სრულად შესვლის შემდეგ, იგეგმება მისი საპროექტო სიმძლავრის გაზრდა 3 მლრდ კუბ. მეტრამდე წელიწადში, რაც მართალია ევროპის გაზის მოხმარების შედარებით მცირე ნაწილია, მაგრამ გაზის ბაზარზე კონკურენციის გაზრდას რეალურად მოემსახურება.

ამრიგად, ბულგარეთის რუსულ გაზზე დამოკიდებულების შეწყვეტის მიზეზი თვითონ რუსეთის ხელისუფლებაა, რომელმაც მის წინააღმდეგ სანქციების დაწესების შემდეგ, მოითხოვა „არამეგობრული ქვეყნებისგან“ გაზის საფასურის გადახდა ახალი სქემით, უცხოური ვალუტის რუბლებში გადაცვლით. რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის ბულგარეთმა, ეს სქემა არ მოიწონა და „გაზპრომმა“ მათ აირის მიწოდება შეუწყვიტა, რამაც დააჩქარა რუსეთის გვერდის ამქცევი, ევროპული „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინტერკონექტორის - IGB-ის სრული სიმძლავრით ამოქმედება.

გაზის ბაზრის დემონოპოლიზაცია დროის მოთხოვნაა

მდგრადი, ანუ ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებრივი აირის გამოყენება მთელ მსოფლიოში ამ დრომდე ფერხდება იმის გამო, რომ ბევრი პრობლემებია სატრანზიტო მილსადენების მარშრუტების კონტროლთან, მილსადენებზე წვდომასთან დაკავშირებით. ჯერ კიდევ საკმარისადაა ისეთი იაფი, მაგრამ არაეკოლოგიური ენერგო რესურსები, როგორებიცაა ქვანახშირი და ნავთობი. ამავე დროს, საქართველოში და უკრაინაში რუსეთის შეჭრამ მსოფლიოს დაანახა, რომ ელექტრო-, გაზ-, და ნავთობ-სადენები საკმაოდ მოწყვლადია სამხედრო კონფლიქტების დროს და ქვეყანას უნდა ჰქონდეს ენერგომომარაგების რამდენიმე წყარო.

ხმელი მერქანი, ანუ შეშა ისტორიულად და ლოგიკურად საწვავის პირველი სახეა, რომელიც ხელმისაწვდომია თითქმის ყველგან; შემდეგი - ქვანახშირი, ზოგადად, მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოიპოვება; თანამედროვეობის ყველაზე პოპულარული ენერგორესურსის - ნავთობის მარაგები, მე-20 საუკუნეში ასევე ათეულობით ქვეყანაში აღმოაჩინეს. ამ დროიდან, ნავთობის წარმოების კონცენტრაციამ 20-მდე სახელმწიფოს ხელში, გამოიწვია მონოპოლიის უმარტივესი ფორმის, ნავთობის საერთაშორისო კარტელის - OPEC-ის ჩამოყალიბება [გარაყანიძე ზ., პავლიაშვილი, 1].

ენერგორესურსების ზემოაღნიშნული სახეობებისაგან განსხვავებით, ბუნებრივი აირი, პლანეტის მხოლოდ რამდენიმე ადგილას მოიპოვება და საერთაშორისო კონფლიქტების დროს ყველაზე მოწყვლადია... ამავ დროს, ეკონომიკური თეორიის მიხედვით, მონოპოლია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ფიზიკური პირები ან საწარმოები იძენენ შესაძლებლობას, რომ გააკონტროლონ გარკვეული საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება/შესყიდვა.

გაზის, და მისი სპეციალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, - გაზსადენების შემთხვევაში წარმოების კონცენტრაცია, ნავთობთან შედარებით, უფრო მაღალია: ისინი კონცენტრირებულია მხოლოდ რამდენიმე ქვეყნის ხელში, რაც მონოპოლიზაციის კიდევ უფრო მაღალი დონეს იწვევს. ესაა რაღაც სრულიად ახალი რამ ენერჯის მიწოდებისა და მოთხოვნის გლობალური მექანიზმისთვის.

ბუნებრივი აირი სულ ახლახან, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, გადაიქცა საწვავის ერთ-ერთ მთავარ სახეობად. ამ საუკუნის დასაწყისში ბუნებრივი აირის დაახლოებით 88-90% გაზსადენებით მიეწოდებოდა უშუალოდ კონკრეტული მიმწოდებლიდან კონკრეტულ მომხმარებელს, დანარჩენი - ტანკერებით თხევადი (LNG) სახით [Z. Garakanidze, N. Garakanidze 2]. უკვე 2021 წელს, LNG გლობალური იმპორტი საერთაშორისო LNG იმპორტიორთა ჯგუფის (GIIGNL) ანგარიშის მიხედვით, წინა წელთანგაიზარდა 4,5%-ით და 513,7 მილიარდ კუბურ მეტრს შეადგენდა (ანუ 372,3 მლნ ტონას). კვლევაში აღნიშნულია, რომ 2021 წელს LNG-ზე უკვე მოდიოდა გაზის გლობალური ბაზრის დაახლოებით 40%, დანარჩენი - გაზსადენებზე. 2021 წელს LNG-ის დაახლოებით 73% (375 მილიარდი კუბური მეტრი, ანუ 271,8 მლნ ტონა) აზიის ქვეყნებმა შეიტანეს. გარდა ამისა, მსოფლიოს LNG მოცულობის მხოლოდ 36,6% გაიყიდა სპოტ-ბაზარზე, ანუ მცირე პარტიებად, დანარჩენი - გრძელვადიანი კონტრაქტებით [Матвей Катков, 3], რითაც თავისუფალი ფასწარმოქმნის მექანიზმი უგულვებელყოფილია.

გაზის ვაჭრობის გავლენა გლობალურ და რეგიონულ დონეებზე, ანუ გეოეკონომიკური ასპექტები, უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ვიდრე მსგავსი პროცესები სხვა ტიპის საწვავთან მიმართებაში. კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში, ციმბირის თვალუწვდენელი სივრცეებიდან ქვეყნის ევროპულ ნაწილში, გაზის ტრანსპორტირების აუცილებლობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან დაიწყო მძლავრი მილსადენების მშენებლობა. შედეგად, მოსახლეობის გაზიფიკაციის დონით, იმდროინდელი სსრკ აღემატებოდა დღევანდელი ევროკავშირის წევრ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანასაც კი. შესაბამისად, ევროპის გაზის ბაზარზე ყოფილი სსრკ 5 მძლავრი გაზსადენით იყო წარმოდგენილი, რომლებსაც ამ საუკუნეში რუსეთ-თურქეთის დამაკავშირებელი „ცისფერი ნაკადი“ და „თურქული ნაკადი“, ასევე რუსეთ-გერმანიის დამაკავშირებელი „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ დაემატა.

აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირი მრეწველობის ნედლეულია და მისი გამოყენებით გამოიმუშავენ გლობალური ელექტროგენერაციის მეოთხედს. ის უნივერსალური, ეკოლოგიურად სუფთა საწვავია. სხვა საწვავის სახეობებთან შედარებით, მისი მოპოვების სწრაფი ზრდა დაკავშირებულია გარემოსდაცვით უპირატესობებთან, განსაკუთრებით ჰაერის სისუფთავესთან და სათბურის გაზების გამოფრქვევის შემცირებასთან, რასაც დღევანდელ ევროკავშირში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება.

ბუნებრივი აირის არა მარტო მოპოვება, არამედ მილსადენებით და ტანკერებით მისი სივრცითი ტრანსპორტირება, საკმაოდ რენტაბელური ბიზნესია. ამის


გამო ევროპის გაზის ბაზრის მესამედი რუსეთს უკავია, ბევრი ქვეყანა კი მთლიანად რუსულ სახელმწიფო მონოპოლიაზე - „გაზპრომზე“ დამოკიდებული (იხ. სქემა 1).

სქემა 1.

Зависимость стран Европы от российского газа

Россия занимает более трети газового рынка Европы

Объём потребления газа страной за год
Доля импорта газа из России, %



Данные за 2016 год.
Источники: gazprom.ru, bp.com, ec.europa.eu, eurogas.org

* Для Украины данные приведены с учётом реверсных поставок

Александр Болгачев, Алексей Сузов, Креативный директор; Александр Вершинин, Арт-директор; Антон Степанов

სქემიდან აშკარად ჩანს, თუ რატომ იყო რუსეთ-უკრაინის ომამდე თურქეთის და გერმანიის საგარეო პოლიტიკა ასეთი ლიბერალური რუსეთისადმი - გერმანიის გაზის იმპორტი 61.9%, ხოლო თურქეთის - 58.9% ხომ რუსული გაზია. სტატის შესავალში ჩვენს მიერ ნახსენები ინტერკონექტორის - IGB-ის სრული სიმძლავრით ამოქმედების შემდეგ, ამ სქემიდან ბულგარეთი ამოვარდება.

რუსეთის მიერ 2014 წლის მარტში ყირიმის ანექსიის და 2014 წლის ნოემბრის ბოლოს აფხაზეთთან ე.წ. მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების გაფორმების შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტები. კერძოდ ისინი, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ტრანზიტისათვის გამოყენებას გულისხმობენ. ამ „დერეფანს“ დასავლეთი „ერთ მუშტად უნდა შეეკრა“ და ის რუსულ ენერგომატარებლებზე საბე-

დისწერო დამოკიდებულებისაგან ეხსნა, მაგრამ რუსეთის მიერ ყირიმის და აფხაზეთის ფაქტობრივი ანექსიით საფრთხე სწორედ „დერეფანს“ შეექმნა.

საპასუხოდ, 2008 წლის ნოემბერში ბრიუსელმა „ევროკავშირის მეორე ენერგორევიუ – ენერგოუსაფრთხოებისა და სოლიდარობის სამოქმედო გეგმა“ დაამტკიცა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება ევროკავშირის წევრი ქვეყნების ურთიერთდაკავშირებული მილსადენების სისტემა, ე.წ. „ტრანსევროპული ქსელი“ (TEN). ამავე დროს განისაზღვრა წევრი ქვეყნების „თამაშის საერთო წესები“ ენერგოპროექტების ირგვლივ მესამე მხარესთან მოლაპარაკებებში, ანუ შეიქმნა „საერთო ინტერესების პროექტების“ (PCI) ისეთი მექანიზმი, რომელიც წევრ ქვეყნებს ბრიუსელთან შეუთანხმებლად ენერგომომარაგებისა და ტრანზიტის ხელშეკრულებების გაფორმებას უკრძალავს. სწორედ ამ ურთიერთდაკავშირებული, საერთო ინტერესების მქონე, ერთიანი გაზის ქსელის გაძლიერებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ინტერკონექტორი - IGB-ის საპროექტო სიმძლავრით ამუშავება.

აზერბაიჯანის ახალი ჰორიზონტები

რუსეთ-უკრაინის ომმა შეაფერხა მიწოდების გლობალური ჯაჭვები და დაასუსტა მსოფლიო ეკონომიკა, მაგრამ ეს ახალ შესაძლებლობას აძლევს აზერბაიჯანს. კერძოდ, ვინაიდან აშშ-მ და ევროპამ სანქციები დაუწესეს რუსეთის ნავთობსა და ბუნებრივ გაზს, აზერბაიჯანს ეძლევა შანსი გაზარდოს გაზის ექსპორტი 2022 წელს და მომდევნო წლებში 3500 კილომეტრიანი „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) გავლით, რომელიც გადის შვიდ ქვეყანას და გაზით ამარაგებს თურქეთსა და სამხრეთ ევროპას. ამჟამად აზერბაიჯანი ევროპას აწვდის 10 მლრდ კუბ. მეტრ ბუნებრივ აირს და 6 მლრდ კუბ. მეტრს - თურქეთს, სწორედ SGC-ის მეშვეობით.

ევროპის გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აზერბაიჯანი ასევე ამუშავებს ორ ახალ გაზის საბადოს და ღია ინვესტიციებისთვის SGC-ის სიმძლავრის გასაფართოებლად, კერძოდ, დამატებითი საკომპრესორო სადგურების დაყენებით, შესაძლებელი იქნება გაზის ნაკადის გაორმაგება. თუმცა, აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ევროპიდან „შემცირებულმა ინვესტირებამ“ შესაძლოა შეანელოს ქვეყნის ძალისხმევა მიწოდების გასაზრდელად.

2022 წლის ივნისის პირველ კვირაში, აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა აბუ დაბიში გამართულ მსოფლიო კონგრესს განუცხადა: „ჩვენ ახლა ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ ევროკომისიასთან... ჩვენ ვმუშაობთ, რომ შედარებით მოკლე დროში განვაახლოთ ეს ინფრასტრუქტურა და შემდგომ გავზარდოთ ევროპის ენერგომომარაგება ბუნებრივი აირის თვალსაზრისით“.

2022 წლის ზაფხულის დადგომისთანავე ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენი დროებით დაიხურა (ივნისის ბოლომდე) და ნავთობი გადაიტვირთება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ნავთობის გადამისამართება ჯეიჰანში გააძლიერებს თურქეთის სატრანზიტო პოზიციას, რადგან ის ასევე ატარებს SGC-ის შუა ნაწილს, - „ტრანსანატოლიურ“ ბუნებრივი აირის მილსადენს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის სარკინიგზო ხაზი ჩინეთიდან თურქეთამდე, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი, რომელიც ასევე ცნობილია როგორც "შუა დერეფანი", გვერდს უვლის რუსეთს და აკავშირებს ჩინეთს სტამბულთან რკინიგზით ყაზახეთის გავლით - შემდეგ აზერბაიჯანთან კასპიის

ზღვის გავლით, და შემდგომში, რკინიგზით საქართველოს გავლით თურქეთთან. მარშრუტმა, რომელსაც ჯერ სრულად არ გამოუყენებია თავისი პოტენციალი, შესაძლოა საბოლოოდ კარგი შანსი მიიღოს, რადგან 2022 წელს გადაზიდვები ცენტრალური აზიისა და კავკასიის გავლით ექვსჯერ გაიზარდა 2021 წელთან შედარებით. 2022 წლის აპრილში, გადამზიდავმა კომპანია Maersk-მა გამოაცხადა განახლებული სარკინიგზო სერვისის დაწყება მომხმარებელთა მუდმივად ცვალებადი მიწოდების ჯაჭვის საჭიროებების საპასუხოდ „ამ რთულ დროში.“ ახალი სარკინიგზო სერვისი ამუშავდა 2022 წლის 13 აპრილს ჩინური სიანიდან (Xi'an) გერმანიამდე.

სხვა რეგიონალური გადაზიდვის ვარიანტებია დასავლეთთან ავღანეთის და თურქმენეთის დაკავშირება თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით ე. წ. "ლაპის ლაზულის დერეფნით" [ეკონომი.ჯი, 4.] და მარშრუტი აზერბაიჯანიდან სომხეთის გავლით თურქეთში, ზანგეზურის დერეფნით. თუმცა, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს ამ მარშრუტის განხორციელების დაგვიანება.

უახლოეს მომავალში აზერბაიჯანს შეიძლება გაუჩნდეს კიდევ ერთი კარგი შანსი. საქმე ისაა, რომ ყაზახეთმა განაცხადა 2023 წელს ბუნებრივი აირის ექსპორტის შეჩერების შესახებ შიდა მოთხოვნის გაზრდის გამო. ბაქოს ახლა შეუძლია ბრიუსელს შესთავაზოს დახმარება ევროპის ენერჯეტიკული მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად და მრავალათეულ წლიანი შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოს დაფინანსება SGC-ის გაფართოებისთვის.

მეტიც, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ და მისი ინტერკონექტორის - IGB-ის სრულად შესავსებად, აზერბაიჯანი მზად არის გაზარდოს გაზის მიწოდება ახალი მარშრუტით, რათა დაეხმაროს კონტინენტს თავი დააღწიოს რუსეთზე დამოკიდებულებას“, - განაცხადა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა 2022 წლის 1 ივნისს Energy Week-ზე, ბაქოში გამოსვლისას და აღნიშნა, რომ მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს პოტენციურ მომხმარებლებთან [NEWSBASE, 5]. ეს საქართველოსთვისაც მომგებიანია, ვინაიდან არსებული ხელშეკრულებების თანახმად 2026 წლამდე საქართველო, გატარებული ტრანზიტის საფასურად, იღებს აზერბაიჯანული აირის 5%-ს უფასოდ, და 5%-ს შეღავათიან ფასად.

აზერბაიჯანული გაზი, წელიწადში 10 მლრდ კუბ. მეტრის ოდენობით, 2020 წლის 31 დეკემბრიდან მიეწოდება იტალიას, საბერძნეთსა და ბულგარეთს. ამჟამად, რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში, BP-მ, აზერბაიჯანის SOCAR-მა და „სამხრეთის გაზის დერეფნის“ (SGC) სხვა აქციონერებმა გადაწყვიტეს სისტემის სიმძლავრის გაფართოება, - პოტენციურად კიდევ 10 მლრდ კუბ. მეტრით წელიწადში, რათა მოხდეს ევროპულ ბაზრებზე გაზის დამატებითი მიწოდება. „იმის გათვალისწინებით, რომ ახლა არის ახალი გამოწვევები და ახალი მოთხოვნები, რა თქმა უნდა, უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები პოტენციურ მყიდველებთან“, - განაცხადა ი. ალიევმა. თუმცა, აზერბაიჯანელმა ჩინოვნიკებმა, იმავე Energy Week-ზე შეხვედრებისას განაცხადეს, რომ ქვეყნის ექსპორტის გაფართოებას დასჭირდება ახალი ინვესტიციები და კონტრაქტები, - იტყობინება S&P Global [www. spglobal.com, 6].

აღნიშნული პერსპექტივის შედეგად „...გაიზრდება „სამხრეთის გაზის დერეფნის“ როლი, გაიზრდება ექსპორტი და ამ მიზნების მისაღწევად მიმდინარეობს მუშაობა ფინანსური ინსტიტუტებთან ინვესტიციების მოსაზიდად“, - განაცხადა

ჰარი ჯონსმა, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის BP-ის პრეზიდენტმა ამ ღონისძიებაზე [www. spglobal.com, 6].

პროფესორმა ბრენდა შაფერმა, კასპიის ენერჯეტიკისა და ევროპის ენერჯეტიკული პოლიტიკის ექსპერტმა, აღწერა „სამხრეთის გაზის დერეფანი“ (SGC), როგორც მასშტაბირებადი და განმარტა, რომ მისი გაფართოება შესაძლებელია დაბალი ღირებულებით, რათა გაორმაგდეს მისი დღევანდელი სიმძლავრე. „ევროპის ბუნებრივი გაზის ბაზარზე დროებით არ არის სწრაფი განვითარება, მაგრამ ზრდა მალე გაგრძელდება, რაც შექმნის მოთხოვნის სტაბილურ წყაროს დამატებითი გაზის მიწოდებაზე“, - თქვა ბ. შაფერმა [www. spglobal.com, 6].

ერთის მხრივ, მზარდმა ევროპულმა მოთხოვნამ შეიძლება მალე გახადოს საჭირო „დერეფნის“ (SGC) გაფართოება, მაგრამ მეორე საკითხია - რამდენი გაზის მიწოდება შეუძლია აზერბაიჯანს მილსადენების შესავსებად და რამდენად სწრაფად. სულ მცირე, აზერბაიჯანს დასჭირდება მოპოვების მნიშვნელოვანი გაზრდა. სავარაუდოდ, საჭირო იქნება TotalEnergies-ის მიერ ოპერირებად „აზშერონის“ საბადოზე მოპოვების ზრდა წელიწადში 5-6 მლრდ კუბ. მეტრით (იხ. სქემა 2). „აზშერონის“ პირველი 1,5 მლრდ კუბ. მეტრი სტადია ამოქმედდება 2022 წლის ბოლოს, მაგრამ ეს მიწოდება შემოიფარგლება შიდა ბაზრისთვის, სადაც მოთხოვნა სწრაფად ზრდადია. თუმცა TotalEnergies-ს და SOCAR-ს ჯერ კიდევ არ მიუღოათ საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილება (FID) ამ საბადოს მეორე ფაზაზე, და ის მიღებულიც რომ იქნას უახლოეს მომავალში, როგორც წესი, პროექტებს რეგიონში ოთხი წელი სჭირდება წარმოების ფაზამდე მისაყვანად [Can Azerbaijan Help, 7].

„აზშერონთან“ ერთად, მოპოვების ზრდა შეიძლება „ყარაბალისა“ და „ქიაფაზის“ ნავთობისა და გაზის საბადოებზეც, ასევე „უმიდის“ საბადოზე (იხ. სქემა 2). მაგრამ ისევე და ისევე, ამ დამატებით მიწოდებას იგივე დრო დასჭირდება წარმოების გაშვებამდე, რაც „აზშერონს“.

ამავე დროს, BP აგრძელებს ახალი ტერიტორიების შესწავლას კასპიის ზღვაზე და მისი ნებისმიერი აღმოჩენა შეიძლება ასევე იყოს დაკავშირებული გაზის ევროპაში ექსპორტთან. ამ კომპანიამ და მისმა პარტნიორმა „სოკარმა“ დაასრულეს ულტრალრმა ჭაბურღილის - „შაფაგ-ასიმანის“ სამუშაოები გასულ წელს. „სოკარის“ ინფორმაციით ნაპოვნია გაზი და კონდენსატი. ზემოაღნიშნულმა პარტნიორებმა ასევე 2021 წელს დაამუშავეს არაღრმა საბადო აზშერონის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე, თუმცა შედეგი არ გამოვლენილა და 2022 წლის აპრილში დაიწყეს მუშაობა მეორე ჭაბურღილზე. იგეგმება დამატებითი ჭაბურღილების დამუშავებაც.


„ტრანსკასპიური გაზსადენის“ პრობლემები

ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა გაზის თურქმენეთიდან ევროპაში მიწოდება. ამ ქვეყნის ხელისუფლება დიდი ხანია ცდილობს „ტრანსკასპიური გაზსადენის“ გაყვანას, რომელიც აზერბაიჯანში უნდა დაუკავშირდეს „სამხრეთის გაზის დერეფანს“ (SGC).

რუსეთისა და ირანის ოპოზიციამ, დიდი ხანია ჩაშალა ეს პროექტი, მიუხედავად კასპიის სტატუსზე 2018 წლის აგვისტოში მიღებული აქტაუს ხელშეკრულებისა. ისევე როგორც კომერციულმა გამოწვევებმა გაზსადენის სიგრძის გამო და თურქმენეთის სიჯიუტემ სადაო კუნძულებზე აზერბაიჯანთან მოლაპარაკებებში. თუმცა, აზერბაიჯანი და თურქმენეთი ახლა მოლაპარაკებებს აწარმოებენ შემცირებული, მხოლოდ 78 კილომეტრში სიგრძის წყალქვეშა გაზსადენის მშენებ-

ლოზაზე, რომელიც გადატუმბავს წლიურად 5 მლრდ კუბ. მეტრ გაზს თურქმენეთის ოფშორული „მაგთიმგულის“ საბადოდან აზერბაიჯანის „აზერი-ჩირაღი-გიუნეშლიმდე“ (იხ. სქემა 2).

სქემა 2.



თურქმენეთს შეეძლო გამოეყენებინა გაზის მიწოდება „სვოპებით“ ირანთან და აზერბაიჯანთან, რაც უზრუნველყოფდა მიწოდებას აზერბაიჯანის ბაზრისთვის, რითაც თავის მხრივ, შეიძლება გათავისუფლდეს ადგილობრივი გაზის მოცულობები ევროპაში ექსპორტისთვის, მაგრამ ამ რეზერვს თურქმენეთის ხელისუფლება დღემდე არ იყენებს. ევროკავშირის მიერ რუსულის გაზის ეტაპობრივად შეზღუდვა კარგი შესაძლებლობაა აზერბაიჯანისთვის, რათა მოახდინოს საკუთარი აირის ბაზრის წილის გაფართოება კონტინენტზე. მაგრამ მნიშვნელოვანია, გადაუჭარბებლად შეფასდეს, თუ რამდენად მარტივად შეუძლია ქვეყანას ამის მიღწევა.

გაზის მოპოვების პროექტების შემუშავებას ნებისმიერ ადგილას წლები სჭირდება და კასპიის ზღვაში ზოგიერთ პროექტს გაცილებით მეტი დრო დასჭირდება, ვიდრე სხვაგან, სადაც ლოჯისტიკური საკითხების გამო, პროცესები გართულდა. უმთავრესი დაბრკოლებებია - გეოლოგია და რთული სამუშაო პირობები. ზღვის იურიდიულ სტატუსზე მიმდინარე ათწლეულების დავამ, რაც მხოლოდ 2018 წელს გადაწყდა, გამარტივების ნაცვლად კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია, რადგან საერთო ეკოლოგიური მოთხოვნების წინ წამოწევა გამოიწვია. შედეგად შეფერხდა დიდი საბადოების ათვისება სადავო ტერიტორიებზე, როგორცაა მაგალითად „დოსტლიკი“, რომელზეც პრეტენზია აქვს როგორც აზერბაიჯანს, ასევე თურქმენეთს (იხ. სქემა 2).

იმავედროულად, ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში შეიმუშავეს გაზომარაგების არაერთი კონკურენტული პროექტი. მაგალითად, საბერძნეთი აშენებს უკვე მეორე, წელიწადში 5,5 მლრდ კუბ. მეტრი წარმადობის თხევადი გაზის (LNG) ტერმინალს ალექსანდროპოლისის მახლობლად და იწვევს ინვესტორებს კიდევ

ორი - 5,2 და 2,5 მლრდ კუბ.მეტრის წარმადობის ტერმინალების ასაგებად, რომლებიც სავარაუდოდ 2023 წელს უნდა აშენდეს. ალბანეთი ცდილობს გახდეს LNG-ის იმპორტიორი ქ. ვლორაში ტერმინალის მშენებლობით. ასევე განიხილება „ისტმედის“ (EastMed) გაზსადენის პროექტი, რომელმაც შეიძლება გადატვირთოს ევროპაში წელიწადში 10, ან შესაძლოა 20 მლრდ კუბ. მეტრი გაზი ისრაელისა და კვიპროსის ოფშორული საბადოებიდან; ანუ აშკარად იკვეთება ე.წ. „ევროკავშირის მეხუთე დერეფანი“ - ისრაელის, კვიპროსის, ყატარის და ირანის გაზომომარაგების წყაროებით.

დასკვნები

ამრიგად, რუსეთ-უკრაინის ომმა კიდევ უფრო რელიეფურად წარმოაჩინა საქართველოს გეოეკონომიკური მნიშვნელობა ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფანში“ (SGC). კერძოდ:

- რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში „სამხრეთის გაზის დერეფნის“ როლი, და შესაბამისად, საქართველოს სატრანზიტო მნიშვნელობა ევროკავშირის ენერგოსაფრთხოებისათვის კიდევ უფრო გაიზრდება;

- „დერეფანი“ კასპიისპირეთის ქვეყნებს ენერგო რესურსების მსოფლიო ბაზარზე გატანის ახალ, გაზრდილ შესაძლებლობებს მისცემს და მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს რეგიონის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე;

-- კარგი იქნება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებაში ჩართულ რკინიგზებთან, საბორნე გადასასვლელებთან და პორტებთან „ლოგისტიკური ჯაჭვის“ შექმნა და ბიზნესმენებისათვის შეთავაზება. ამ პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთვნენ საქართველოს დიასპორის და დიპლომატიის წარმომადგენლები ცენტრალურ აზიაში, ჩინეთისა და ინდოეთში. უნდა მოხდეს წარმოების და გადაზიდვების მიმართულელების კომპლექსური ანალიზი და ამით პოტენციური მოსაზიდი ტვირთის, განსაკუთრებით ენერგო რესურსების, დადგენა;

- ფოთის და ბათუმის პორტები 100 პროცენტთან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წელს გაუქმდა ყოფილი ტრანსპორტის მინისტრის №42 ბრძანების პირველი ნაწილი, რითაც ნავსადგურებს მიეცათ უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების ტარიფების რეგულირება, - სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს, შეუძლია პარტნიორის უფლების გამოყენება და საპორტო მომსახურების სატარიფო განაკვეთების შემცირების მიზნით გადახედვა, რათა ისინი შავი ზღვის თურქული და რუსული პორტების ტარიფებთან შედარებით, კონკურენტუნარიანი გახდნენ;

- საქართველოს პორტებმა ტვირთბრუნვის უფრო მეტად დივერსიფიცირება უნდა მოახდინონ, რათა მათ პერსპექტივაში შეძლონ ნავთობის და ნავთობპროდუქტების მზარდი გადაზიდვების ჰარმონიზაცია “მშრალი ტვირთებისა” და კონტეინერების გადაზიდვებთან;

გამოყენებული ლიტერატურა

1. გარაყანიძე ზ., პავლიაშვილი ს., “საქართველოს სატრანსპორტო დერეფანი: პრობლემები, პერსპექტივები“, თბილისი, „მწიგნობარი“. 2014 წ. გვ. 24.

2. Zurab Garakanidze, Nata Garakanidze. INFLUENCE OF THE MIDDLE EAST TENSION ON THE EU'S SOUTHERN GAS CORRIDOR (co-author). THE Caucasus & Globalization. Journal of Social, Political and Economic Studies. Volume 7, Issue 1-2 2013; p.74-81. http://www.ca-c.org/c-g/2013/journal_eng/c-g-1-2/07.shtml
3. Матвей Катков. Чем и когда ЕС хочет заменить газ из России. 8 Июня, 2022. <https://www.vedomosti.ru/business/articles/2022/06/08/925631-chem-es-zamenit-gaz>
4. ეკონომი.ჯი - ავღანეთის ტრანსპორტის მინისტრმა პროექტ „ლაპის ლაზულის“ მნიშვნელობაზე ისაუბრა. <http://www.economy.ge/?page=news&nw=1311&s=avganetis-22/10/2019>
5. NEWSBASE, Azerbaijan eyes extra gas market. Week 23, 08 June, 2022. www.newsbase.com. P. 4 (subscription).
6. Azerbaijan discussing gas supplies to new European buyers as war rages in Ukraine. NATURAL GAS 06 Jun 2022|06:09UTC. <https://www.spglobal.com/commodityinsights/en/market-insights/latest-news/electric-power/060622-azerbaijan-discussing-gas-supplies-to-new-european-buyers-as-war-rages-in-ukraine>
7. Can Azerbaijan Help Solve Europe's Gas Crisis? – Analysis <https://www.eurasiareview.com/13062022-can-azerbaijan-help-solve-europes-gas-crisis-analysis/> June 13, 2022 James Durso

Zurab Garakanidze

Ph.D, Professor

Solomon Pavliashvili

Academician, Stu Professor

GEORGIA'S ROLE IN THE DEMONOPOLIZATION OF THE EUROPEAN GAS MARKET

Expanded Summary

The article discusses the role of the Southern Gas Corridor of the European Union in ensuring the economic security of Georgia. The study of the influence of energy resources on economic security is especially important in modern Georgia, if we take into account that currently, against the background of the ongoing Ukraine-Russia war, the European Union is actively considering the replacement of Russia-Ukraine transit routes with the southern gas corridor, which also passes through Georgia in the form of the "South Caucasian Gas Pipeline" built in 2007. It should be noted that in July 2022, the Prime Minister of Georgia was on a state visit to Kazakhstan and Turkmenistan, during which the prospect of further strengthening of Georgia's transit capacity was discussed.

The article discusses the economic cooperation of the European Union with Georgia in the field of energy, in particular, gas; as well as those geopolitical and geoeconomic factors that directly/indirectly affect the political/economic cooperation of the European Union and Georgia. The article focused on the foreign economic relations of Georgia not only in relation to the politics of big countries, but also considering the economic security factors of our country. In this context, the country's energy-transit potential is of prime importance, which largely affects the country's foreign economic course. Specifically, the line understands the possible impact of the EU's Southern Gas Corridor on Georgia's economic security.

The above-mentioned topic is particularly interesting in relation to Georgia, because Georgia, due to its geopolitical/geoeconomic importance, is a sphere of special interest of the Russian Federation and the Western countries (great powers). It should be noted that Russia is interested in preventing the strengthening of Western energy interests in the South Caucasus. As a result, the foreign policy course chosen by Georgia is important not only for the region, but also for the world, which creates additional risks in terms of protecting the country's economic security.

The role of energy resources in modern world economic security is becoming more and more important. Taking into account the events that have happened in the last decade (especially the numerous conflicts between Russia and Ukraine, which threatened the energy security of the big European powers, as well as the conflict in Karabakh and the 2008 Russia-Georgia war), it is clear that the energy and transit potential of the country is no less important in terms of security than its military, or any other resource.

The purpose of the article is to determine what role the Southern Gas Corridor of the European Union can play in relation to the economic security of Georgia. Thus, the problems discussed in the paper answer the main research question: what will be the impact of the strengthening of the Southern Gas Corridor of the European Union on the economic security of Georgia? Based on the main research question, the article also answers additional questions: What role does natural gas play in strengthening the economic security of Georgia? What role does the Southern Gas Corridor play in Georgia-EU economic security cooperation?

In today's situation, the place where the western routes of Caspian gas pass is Georgia. In particular, the "South Caucasus Gas Pipeline" (SCP) has been running through Georgia since 2007, through which gas is pumped from the Caspian "Shah Deniz". Georgia receives 5% of gas from SCP for free (in the form of gas transit fee) and 5% at a preferential price.

This gas passing through the SCP is sent via the "Trans-Anatolian Gas Pipeline" (TANAP) and the "Trans-Adriatic Gas Pipeline" (TAP) from Turkey to Europe as a single EU "Southern Gas Corridor" (SGC).

The Russia-Ukraine war has disrupted the global supply chains and weakened the world economy, but it presents a new opportunity for Azerbaijan. In particular, with the US and Europe imposing sanctions on Russian oil and natural gas, Azerbaijan has a chance to increase gas exports by the end of 2022 and beyond through the 3,500-kilometer Southern Gas Corridor (SGC), which passes through seven countries and supplies gas to southern Europe. Azerbaijan currently supplies 10 billion cubic meters of gas to Europe and 6 billion cubic meters to Turkey through the SGC annually.

To meet Europe's growing demand, Azerbaijan is also developing two new gas fields and is open to investment to expand SGC's capacity, namely by installing additional compressor stations to double gas flow. However, according to Azerbaijan's Ministry of Economy, "reduced investment" from Europe could slow the country's efforts to increase supply. Thus:

- The role of the "Southern Gas Corridor" will further increase in the context of the Russia-Ukraine war and, therefore, the transit importance of Georgia for the energy security of the European Union;
- "Corridor" will provide the Caspian countries with new, increased opportunities to export energy resources to the world market and will have a significant impact on the security and stability of the region.

Key words: European Union, Georgia's energy security, Russia-Ukraine war, Southern gas corridor, South Caucasian gas pipeline, Caspian fields, Azerbaijan, demonopolization.

სექტორული ეკონომიკა – SECTORAL ECONOMY

ბესიკ ბოლქვაძე
ეკონომიკის დოქტორი,
ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**სათამაშო ბიზნესის ეკონომიკაზე ზეგავლენის ზოგიერთი
ასპექტი საქართველოში**

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Besik.Bolkvadze

ანოტაცია. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს შორის ერთ-ერთ სპეციფიკურ საკითხს აზარტული თამაშების რეგულირებისა და საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ კონტექსტში წარმოიქმნება თავისებური „სამკუთხედი“ – «ბიზნესი-საზოგადოება-სახელმწიფო», რომელშიც თითოეულ მათგანს აქვს თავისი ინტერესები, სარგებელი და დანაკარგი. ასევე, არაერთგვაროვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის დამოკიდებულება აზარტული თამაშების მიმართ. წინამდებარე კვლევის მიზანს სათამაშო ბიზნესის ქვეყნის ეკონომიკაზე ზეგავლენის ანალიზი და განზოგადებული შეფასება წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: აზარტული თამაშები, სათამაშო ბიზნესი, სათამაშო ინდუსტრია.

ზოგადი მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესის, როგორც ქვეყნის ბიზნეს სექტორის ერთ-ერთი სპეციფიკური სეგმენტის, შეფასება და ანალიზი შესაძლებელია განხორციელდეს რაოდენობრივი მახასიათებლებით, რომლებმაც უნდა მოიცვას ყველა ის პოტენციური მაჩვენებელი, რომელთა გაანგარიშება ხდება სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე გამოყენებული გაზომვადი ინდიკატორებით. სათამაშო ბიზნესის და, შესაბამისად, სათამაშო ინდუსტრიის ანალიტიკური შეფასებისათვის სასურველია მოვახდინოთ ტექნიკურ, ფისკალურ თუ სტატისტიკურ მაჩვენებელთა კომპლექსური შეფასება, როგორც ტრენდის ჩვენების, ასევე სტრუქტურული ანალიზისა და კორელაციური კავშირების დადგენის მიზნით.

მნიშვნელოვანია სათამაშო ბიზნესის ისეთი ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფილი ფლობა, ანალიზი და მონიტორინგი, როგორებიცაა სათამაშო ბიზნესის სუბიექტების, გაცემული ნებართვების, სათამაშო მაგიდების (სამორინის და აზარტული კლუბის მაგიდა) და აპარატების, აგრეთვე, მოთამაშე ვიზიტორების რაოდენობა, რაც მნიშვნელოვანია როგორც წმინდა ფისკალური ადმინისტრირების, ისე ანალიტიკური კუთხით. აღნიშნული თვალსაზრისით, ნიშანდობლივია შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ბიზნეს სუბიექტებს შორის მჭიდრო კოორდინაცია, განსაკუთრებით რეზიდენტ და არარეზიდენტ ვიზიტორთა აღრიცხვის მხრივ, რაც მნიშვნელოვანი ინდიკატორია ენდოგენური და ეგზოგენური სოციალური ზეგავლენების შესაფასებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სათამაშო ბიზნესის ნებართვების რეესტრის მიხედვით, 2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით სულ გაიცა 139 სათამაშო ბიზნესის სხვადასხვა სახის ნებართვა, 25 თვითმმართველი ერთეულის შესაბამის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც სა-

ხეობრივად შემდეგნაირად ნაწილდება: სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვა – 64, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვა – 23, სამორინის მოწყობის ნებართვა – 19, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა – 11, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვა – 11, ბინგოს მოწყობის ნებართვა – 7, ლოტოს მოწყობის ნებართვა – 4. თუ გავითვალისწინებთ სათამაშო ბიზნესის საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ დაყოფას „მაგარ“ და „რბილ“ აზარტულ თამაშებად, გაცემული ნებართვების დაახლოებით $\frac{2}{3}$ მოდის სწორედ „მაგარ“ აზარტულ თამაშებზე. რაც შეეხება გაცემული ნებართვების ტერიტორიული ერთეულების/რეგიონების მიხედვით განაწილებას, ყველაზე მაღალაქტიური ტერიტორიული ერთეულებია: თბილისი – 49 ნებართვა, აჭარა – 40 ნებართვა, ქვემო ქართლი – 15 ნებართვა და იმერეთი – 10 ნებართვა; შედარებით ნაკლებად აქტიურ ტერიტორიულ ერთეულებს კი შეიძლება მივაკუთვნოთ: სამცხე-ჯავახეთი – 8 ნებართვა, კახეთი – 6 ნებართვა, მცხეთა-მთიანეთი – 5 ნებართვა, სამეგრელო – 3 ნებართვა, შიდა ქართლი – 2 ნებართვა, გურია – 1 ნებართვა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის ტერიტორიულ განვითარებასა და სათამაშო ინდუსტრიის დატვირთვაზე გავლენას შეიძლება ახდენდეს ფაქტორთა კომპლექსი, რომელთაგანაც შეიძლება გამოვყოთ: ტერიტორიული ნიშნის მქონე სანებართვო შეღავათების არსებობა, სათამაშო ბიზნეს სუბიექტის მდებარეობა (მ.შ. საზღვრისპირა); ეკონომიკური აქტივობის დონე, ტურისტული პოტენციალის ათვისების მდგომარეობა, ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის გამართულობა, ურბანიზაციის დონე, მოსახლეობის რიცხოვნობა და სხვა.

აზარტული თამაშების ტექნიკური მახასიათებლების მნიშვნელოვან მაჩვენებლად ითვლება ასევე სათამაშო ერთეულების რაოდენობრივი მდგენელი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც ზოგადად სათამაშო ბიზნესის მასშტაბისა და „განფენილობის“, ისე საგადასახადო ბაზის ფორმირების თვალსაზრისით. მაგალითად, 2019 წლის IV კვარტალის მდგომარეობით, ქვეყანაში სულ ფიქსირდებოდა 6 046 სათამაშო ერთეული, მათ შორის: 5 701 სათამაშო აპარატი, 311 სამორინის მაგიდა, 34 აზარტული კლუბის მაგიდა. სათამაშო ბიზნესის შეფასების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია, რომ სათამაშო აპარატების ოდენობა დათვლილ იქნეს ათას მცხოვრებზე გაანგარიშებით [4; 6, p. 285]. ამ ლოგიკით ჩვენ მიერ გაანგარიშებული შესაბამისი მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 1.5-ს, რაც ახლოს დგას ისეთი ქვეყნების ანალოგიურ ინდიკატორთან, როგორებიცაა ესტონეთი, სლოვენია, ბელგია და სხვა.

ცხრილი 1.

აზარტულ თამაშებში გამოყენებული სათამაშო ერთეულების რაოდენობა

კვარტალი	2017 წელი			2018 წელი			2019 წელი		
	სათამაშო აპარატები	სამორინის მაგიდა	კლუბის მაგიდა	სათამაშო აპარატები	სამორინის მაგიდა	კლუბის მაგიდა	სათამაშო აპარატები	სამორინის მაგიდა	კლუბის მაგიდა
I	5280	238	12	5121	241	11	5589	295	22
II	5042	225	12	6484	327	25	5530	283	21
III	4997	264	15	6123	331	35	5299	318	35
IV	5590	226	15	5964	317	29	5701	311	34

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შემოსავლების სამსახური.

სათამაშო ბიზნესის ფისკალური მაჩვენებლების ანალიზი

რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის ფისკალური კონტრიბუციის თავისებურებებს, ის შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მთლიანობაში, ისე სხვადასხვა დონის ბიუჯეტის მიმართ. სათამაშო ბიზნესის მიერ ბიუჯეტებში განხორციელებული შენატანები პირობითად შეიძლება დავეყთ სამ ჯგუფად: 1. სათამაშო ბიზნესის მოწყობის სანებართვო მოსაკრებლები (წლიური მოსაკრებლები); 2. საკუთრივ სათამაშო ბიზნესის ფუნქციონირების მოსაკრებლები (კვარტალური მოსაკრებლები); 3. სხვადასხვა გადასახადი, რომლებიც გადაიხდება სტანდარტულად, სხვა გადასახადის გადამხდელი სუბიექტების მსგავსად. ანალიტიკური თვალსაზრისით, სათამაშო ბიზნეს ოპერატორების მიერ გადახდილი საბიუჯეტო თანხები მნიშვნელოვანია დავაჯგუფოთ აგრეთვე სამი მიმართულებით: 1. ფისკალური შენატანები თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების მიმართ; 2. ფისკალური გადახდები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (რესპუბლიკური) ბიუჯეტის მიმართ; 3. საერთო-კონსოლიდირებული ფისკალური კონტრიბუცია ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის მიმართ. გარდა აღნიშნულისა, ასევე, გარკვეულ სადიაგნოსტიკო მნიშვნელობას ატარებს სათამაშო დაწესებულებების მიერ გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები ნებართვების (აზარტული თამაშების) სახეობების მიხედვით. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე ანალიზის წარმოება რეზიდენტობის პრინციპის მიხედვით, – უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ქვეყნის მოქალაქეებისა და უცხოელი ვიზიტორების აზარტულ თამაშებში მონაწილეობის აქტივობის მიხედვით.


საბიუჯეტო შენატანების სახეობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ სათამაშო ბიზნესის მიერ გადახდილ გადასახადებზე მოდის საერთო შენატანების საშუალოდ $\frac{1}{3}$, ხოლო უპირატესი წილი მოიცავს მოსაკრებლების სახით განხორციელებულ შენატანებს, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას დაბეგვრისაგან იმ გათავისუფლებებით, რომლებიც დაწესებულია სათამაშო ბიზნესის ცალკეულ საქმიანობებსა თუ ოპერაციებზე. სათამაშო ინდუსტრიის მიერ ქვეყნის სხვადასხვა დონის ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების „კომპოზიცია“ კი შემდეგნაირად წარმოგვიდგება (2019 წ.): მოგების გადასახადი – 51.2%, საშემოსავლო გადასახადი – 37.1%, დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) – 8.9%, ქონების გადასახადი – 0.7%, სხვა გადასახადები – 2.1% (წყარო: შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი მონაცემები). რაც შეეხება სათამაშო ბიზნესის სახეობრივი კონტრიბუციის ანალიზს, შევნიშნოთ, რომ გადახდილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების მიხედვით, მხოლოდ სამორინის მაგიდებიდან და სათამაშო აპარატებიდან საბიუჯეტო სისტემის „ქვედა“ დონის ბიუჯეტებში აკუმულირდება სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების მთლიანი ოდენობის 85-90%. ამასთან, 2014 წლიდან 2019 წლამდე პერიოდში დაახლოებით 300%-ით არის გაზრდილი სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან, ხოლო 170%-ით – აზარტული კლუბის მაგიდებიდან გადახდილი მოსაკრებლები (იხ. ცხრილი 3). მთლიანობაში, აღნიშნული ანალიზი ხაზს უსვამს იმას, რომ ე.წ. „მძიმე“ აზარტის თამაშები – სამორინე თამაშები, სათამაშო აპარატები, ონლაინ თამაშები და კლუბური თამაშები, რომლებიც მთელს მსოფლიოში მიიჩნევა ყველაზე მაღალი დონის „მიდრეკილებად“ თამაშებად, მნიშვნელოვნად პრევალირებს ე.წ. „რბილ“ აზარტულ თამაშებს, რაც ირიბად მიუთითებს აზარტული თამაშებით გამოწვეული სოციალური დანაკარგების წარმოქმნის მაღალ ალბათობაზე. აღნიშნულ კონტექსტში, ასევე, ანალიტიკურად ყურადსაღებია ის გარემოება, თუ როგორი პროპორციით არის წარმოდგენილი ასეთი ტიპის

თამაშებში ადგილობრივი და უცხოური სათამაშო „ნაკადები“. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, სამორინეებით ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ რეგიონში – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასეთი ტიპის სათამაშო დაწესებულებებში უცხოელ ვიზიტორებზე მოდის მოთამაშეების მთლიანი ოდენობის დაახლოებით 80% [18], რაც ხაზს უსვამს გარე ნაკადების უპირატეს მობილობას.

რაც შეეხება საკუთრივ სათამაშო ბიზნესიდან ფინანსური ნაკადების სხვადასხვა დონის ბიუჯეტში მიმართვას, კონსტატაცია გავუკეთოთ იმ ფაქტს, რომ სათამაშო ბიზნეს ოპერატორების მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებში ძირითადად გადაიხდება სათამაშო ბიზნესის (ყოველკვარტალური) მოსაკრებლები და, ასევე, ქონების გადასახადი, როგორც ადგილობრივი გადასახადი. ავტონომიური რესპუბლიკის (რესპუბლიკურ) ბიუჯეტში აკუმულირდება რეგიონში მოქმედი სათამაშო დაწესებულებების მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, როგორც საბიუჯეტო გადასახადებითი ნორმატივებით შესაბამისი დონის ბიუჯეტზე „მიმაგრებული“ გადასახადი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზდება სათამაშო ბიზნესის მიერ გადახდილი საერთო-სახელმწიფო გადასახადები და სანებართვო (ყოველწლიური) მოსაკრებლები. ამასთან, საერთო კონტრიბუციული „სურათის“ დანახვისათვის მნიშვნელოვანია გაანგარიშებულ იქნეს ყველა საბიუჯეტო დონეზე ჯამურად გენერირებული ყველა ტიპის შენატანების ოდენობა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის მიმართ, რაც მოგვცემს კონსოლიდირებული ფისკალური ანალიზის შედეგების განზოგადების საშუალებას.

დიაგრამა 1.

სათამაშო ბიზნესის მიერ გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები სხვადასხვა დონის ბიუჯეტში (მლნ ლარი)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შემოსავლების სამსახური.

უფრო კონკრეტულად, 2019 წლის მონაცემების მიხედვით, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი მიიმართებოდა სულ 24 თვითმმართველი ერთეულის და ქვეყნის დედაქალაქის ბიუჯეტში, რამაც ჯამურად შეადგინა 128.4 მლნ ლარი (იხ. დიაგრამა 1). აღნიშნული მოსაკრებლის ფისკალური კონტრიბუციის (მოსაკრებლის შესაბამისი მუნიციპალიტეტის შემოსულობებთან ფარდობის ანუ ხვედრითი წონის) თვალსაზრისით, თვითმმართველ ერთეულებს შეიძლება პირობითად გავუკეთოთ რანჟირება სამ ნაწილად: აქტიური (>5%), ნეიტრალური (1–5%) და პასიური (<1%) მუნიციპალური ერთეულები (იხ. ცხრილი 2). „აქტიურ“ სათამაშო სეგმენტს მიეკუთვნება: ყაზბეგი (22.8%), ბათუმი (18,0%), ხელვაჩაური (13.5%), ჭიათურა (6.96%), თბილისი (6,38%), მარნეული (6.32%), ახალქალაქი (5.52%) და სამტრედია (5.32%). შედარებით საშუალო (ნეიტრალური) ფისკალური მაჩვენებლები დამახასიათებელია შემდეგი მუნიციპალიტეტებისათვის: ბორჯომი (4.65%), წყალტუბო (4.25%), თელავი (4.10%), საჩხერე (3.32%), ქუთაისი (2.56%) და რუსთავი (2.31%). ზემოთ ხსენებული მუნიციპალიტეტების შემოსულობებში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შედარებით მაღალი და საშუალო დონის მაჩვენებლები შეიძლება აიხსნას, ცალკეული შემთხვევებიდან გამომდინარე, ამ მუნიციპალიტეტებში არსებული შედარებით მაღალი ტურისტული პოტენციალით, საზღვრისპირა მდებარეობით და სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული შეღავათების გამო ასეთ ტერიტორიულ ერთეულებში ონლაინ თამაშების „გადატანით“ (აქ ვგულისხმობთ ამ მუნიციპალიტეტებში რეალურ ობიექტებზე, დაბეგვისაგან კანონისმიერი გზით თავის არიდების მიზნით, ონლაინ თამაშების „მიზმას“¹, რაც ათავისუფლებს ასეთ ბიზნეს სუბიექტებს მთლიანად ან ნაწილობრივ შესაბამისი სანებართვო მოსაკრებლების გადახდისაგან, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების გადახდისაგან განსხვავებით). რაც შეეხება დაბალი სათამაშო აქტივობის თვითმმართველ ერთეულებს, მათ მიეკუთვნება: ქობულეთი (0.23%), ოზურგეთი (0.29%), გორი (0.49%), ფოთი (0.50%), ახალციხე (0.51%), გურჯაანი (0.56%), ზუგდიდი (0.80%), ლაგოდეხი (0.83%), სიღნაღი (0.84%) და ნინოწმინდა (0.94%), რომელთა უმეტესობისათვის დაწესებული რიგი სანებართვო შეღავათების მიუხედავად, დაბალია მათი სათამაშო „მარგი ქმედების კოეფიციენტი“.

¹ უფრო მეტი კონკრეტიზაციისათვის: – 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სათამაშო ბიზნესის ონლაინ კომპანიები (სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული თამაშების ორგანიზატორები) ფლობდნენ ქვეყნის მასშტაბით სულ 12 ასეთ ონლაინ სათამაშო აქტივობას შემდეგ რეალურ ობიექტებზე „მიზმით“: 1 სამორინე, 5 სათამაშო აპარატის სალონი და 6 ტოტალიზატორი. რაც შეეხება სანებართვო მოსაკრებლების გადახდისაგან ამა თუ იმ ფორმით გათავისუფლებულ მუნიციპალიტეტებს, სადაც განხორციელდა ასეთი სანებართვო „ბმა“, მათ მიეკუთვნებოდნენ: წყალტუბო (სამორინე); ბათუმი, სამტრედია, ჭიათურა, ყაზბეგი, მარნეული (სათამაშო აპარატების სალონი); ხელვაჩაური, საჩხერე, ჭიათურა, ყაზბეგი, თელავი, ბორჯომი (ტოტალიზატორი).

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ხვედრითი წონები მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო შემოსულობებში (ათასი ლარი)

მუნიციპალიტეტი	შემოსულობები	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	ხვედრითი წონა	მუნიციპალიტეტი	შემოსულობები	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	ხვედრითი წონა
თბილისი	1 160 126.2	74 044.9	6.38 %	ყაზბეგი	13 889.9	3 164.7	22.8 %
ბათუმი	177 243.5	31 967.1	18.0 %	თელავი	34 360.2	1 412.1	4.10 %
ქობულეთი	37 546.5	86.0	0.23 %	სიღნაღი	14 614.8	122.0	0.84 %
ხელვაჩაური	20 786.0	2 808.9	13.5 %	გურჯაანი	26 031.4	146.0	0.56 %
ქუთაისი	70 253.7	1 801.0	2.56 %	ლაგოდეხი	21 763.5	180.8	0.83 %
წყალტუბო	23 509.0	1 000.0	4.25 %	რუსთავი	59 035.1	1 366.4	2.31 %
სამტრედია	19 541.5	1 040.0	5.32 %	მარნეული	37 562.6	2 374.7	6.32 %
ჭიათურა	29 099.5	2 024.0	6.96 %	ახალციხე	25 129.2	128.0	0.51 %
საჩხერე	30 266.7	1 005.5	3.32 %	ბორჯომი	28 976.7	1 347.8	4.65 %
ზუგდიდი	70 823.8	565.0	0.80 %	ნინოწმინდა	12 095.4	114.0	0.94 %
ფოთი	24 141.5	120.3	0.50 %	ახალქალაქი	17 186.0	948.6	5.52 %
გორი	60 245.9	295.2	0.49 %	ოზურგეთი	41 843.4	120.0	0.29 %

წყარო: მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშები (2019 წლის ფაქტი). matsne.gov.ge.

გაანგარიშებები წარმოებულია ჩვენ მიერ შესაბამის ანგარიშებზე დაყრდნობით.

გარდა თვითმმართველი ერთეულებისა, სათამაშო ბიზნეს ოპერატორები აგენერირებენ აგრეთვე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (რესპუბლიკურ) ბიუჯეტს, გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილში. კერძოდ, აჭარის რეგიონი, სათამაშო ინდუსტრიის „განფენილობის“ თვალსაზრისით, წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ რეგიონს, რომელზეც მოდის სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული ყველა სახეობის გაცემული ნებართვის დაახლოებით 1/3, ხოლო ფისკალურად შედარებით „წონადი“ სათამაშო დაწესებულებების – მოქმედი სამორინეების დაახლოებით ნახევარი სწორედ აჭარის რეგიონში ფუნქციონირებს, რომელთა მიერ რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადახდილი თანხები შეადგენს საბიუჯეტო შემოსულობების საშუალოდ 3%-ს [18]. ამ კონტექსტში მართებული იქნება, თუკი აღვნიშნავთ, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, სამორინეები გამოდის მაღალი კლასის სასტუმროების დატვირთვის „დამხმარე სემინტად“, იმის გამო, რომ უზრუნველყოფს, ძირითადად, თავიანთი მუდმივი კლიენტების უსასყიდლოდ განთავსებას სასტუმროებში (ვგულისხმობთ მაღალი კლასის სასტუმროებს სამორინე კომპონენტით), რაც გამოიყენება შესაბამისი ობიექტებისათვის სეზონურობის პრობლემის დაძლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტად.

შევნიშნოთ, რომ სათამაშო ბიზნესის საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის „გადასახედიდან“ უფრო მეტად მნიშვნელოვანია (როგორც ამას სათამაშო ბიზნესის მსოფლიო გამოცდილება გვაჩვენებს), განისაზღვროს სათამაშო ბიზნეს სუბიექტების მხრიდან განხორციელებული ყველა ტიპის გადასახადების (გადასახადების,

მოსაკრებლების და ჯარიმების) ხვედრითი წონა ქვეყნის კონსოლიდირებულ ფისკალურ ნაკადებთან – საერთო საბიუჯეტო შემოსულობებთან მიმართებით. აქვე შევნიშნოთ, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალურად სათამაშო ბიზნესის წილი შეადგენს სახელმწიფოთა ბიუჯეტების შემოსულობების საშუალოდ 1-2%-ს [2, p. 2]. რაც შეეხება საქართველოს, უკანასკნელი წლების მიხედვით სათამაშო ბიზნესის მიერ სხვადასხვა დონის ბიუჯეტში გადახდილი გადასახადებისა და მოსაკრებლების ჯამურად გაანგარიშებული მაჩვენებელი ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მიმართ ვარირებს 1.5%-2.5%-ის ფარგლებში და შეადგინა: 2014 წ. – 1.81%, 2015 წ. – 1.66%, 2016 წ. – 1.73%, 2017 წ. – 2.21%, 2018 წ. – 2.41%, 2019 წ. – 2.42% (იხ. დიაგრამა 1, ცხრილი 3).

ცხრილი 3

სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული მოსაკრებლების სტრუქტურა და სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზი

	2014	2015	2016	2017	2018	2019
სათამაშო ბიზნესის მოწყობის ნებართვაზე მოსაკრებელი (სახელმწიფო ბიუჯეტი)	56 408.5	47 035.5	50 275.5	58 001.0	63 203.7	62 624.3
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები) მ.შ.:						
-სათამაშო აპარატებიდან	41 188.0	42 596.6	47 773.0	68 364.6	75 032.1	69 455.6
-წამახალისებელი გათამაშებიდან	1 654.7	2 330.4	2 086.8	2 313.0	5 080.2	5 704.9
-სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშებიდან	3 107.9	2 725.2	2 480.7	17 149.1	13 239.1	12 411.4
-ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების სალარო	166.7	205.2	186.1	600.8	433.0	106.0
-კლუბის მაგიდიდან	458.4	420.0	267.6	537.0	1 260.7	1 239.2
-სამორინეს მაგიდიდან	18 222.4	20 539.9	20 369.8	29 459.5	41 312.3	39 246.6
-სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	116.3	153.0	177.4	1 161.4	149.9	237.5
სათამაშო ბიზნესის ჯამური მოსაკრებლების ოდენობა	121 322.9	116 005.8	123 616.8	177 586.4	199 711.2	191 025.5
ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები	9 755 379.1	12 767 398.7	13 420 925.5	14 922 025.9	16 220 717.0	17 364 948.5
სათამაშო ბიზნესის ჯამური მოსაკრებლების ხვედრითი წონა ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში	1.24%	0.91%	0.92%	1.19%	1.23%	1.10%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა. გაანგარიშებები წარმოებულია ჩვენ მიერ შესაბამის წყაროზე დაყრდნობით.

ფისკალურ მაჩვენებლებთან ერთად, სათამაშო ბიზნესთან მიმართებით, შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს სტატისტიკური მაჩვენებლები, სხვადასხვა პერიოდულობით, იმაზე დამოკიდებულებით, თუ რომელი ინდიკატორია მნიშვნე-

ლოვანი ანალიტიკური მიზნებისათვის. როგორც ცნობილია, ეკონომიკის ნებისმიერი სექტორის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში, ზოგადი მიდგომით, შეიძლება შევავსოთ აღნიშნული სექტორის მიერ განერირებული ღირებულებითი მაჩვენებლების ხვედრითი წონით, ერთი მხრივ, ბიზნეს სექტორის, ხოლო, მეორე მხრივ, მაკროეკონომიკური მდგენელების მიმართ. მოცემული მიდგომის გამოყენება, სათამაშო ბიზნესთან მიმართებით, 2016 წლამდე არ იძლეოდა სტატისტიკური თვალსაჩინოების საშუალებას, იქიდან გამომდინარე, რომ წმინდა სტატისტიკური მიდგომით, კერძოდ, ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის მიხედვით, სათამაშო ბიზნესი არ ითვლებოდა ეკონომიკის ცალკე ქვესექტორად (იგი შედიოდა „სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის“ ქვესექციაში), რაც განსხვავებით სხვა სექტორებისაგან, ართულებდა ბიზნესის აღნიშნული სეგმენტის რაოდენობრივი წვლილის პირდაპირ გაზომვას. კლასიფიკაციის ახალი ვერსიით, რომელიც დაუახლოვდა ევროსტატის მეთოდოლოგიურ მიდგომებს [3], სათამაშო ბიზნესი გამოიყო ცალკე კლასიფიკატორულ ერთეულად (სექცია R – ხელოვნება, გართობა და დასვენება, განყოფილება 92 – აზარტული თამაშების საქმიანობები), რაც უფრო მკაფიოს ხდის სათამაშო ბიზნესის რეპრეზენტატიულობას. ამდენად, მნიშვნელოვანია სათამაშო ბიზნესის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებლები სისტემურად აანალიზებდნენ სათამაშო ბიზნესის ისეთ მთავარ მაჩვენებლებს, როგორებიცაა ბრუნვა, გამოშვებული პროდუქცია, დამატებული ღირებულება და მათ ზეგავლენას შემდეგ მახასიათებლებზე: სათამაშო ინდუსტრიის მიერ დასაქმებულთა რაოდენობა, განხორციელებული ინვესტიციები, შესყიდული საქონელ-მომსახურების ღირებულება, სხვადასხვა დონის ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები და მოსაკრებლები და სხვა.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა გავლენას ახდენს სათამაშო ბიზნესი ძირითად ეკონომიკურ დეტერმინანტებზე, მნიშვნელოვანია სათამაშო ბიზნეს სექტორში წარმოდგენილი ძირითადი მაჩვენებლები დავაჯგუფოთ ორ მიმართულებად: 1. „ღირებულებითი“ ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ასახავს სათამაშო ბიზნესის ეკონომიკურ აქტივობას და მის მიერ შექმნილ ღირებულებას; 2. „შედგობრივი“ ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს ღირებულებითი მაჩვენებლების ზეგავლენას სოციალურ-ეკონომიკურ პარამეტრებსა და შესაბამის შედეგებზე.

აქვე ხაზი გავუსვათ იმას, რომ აზარტული თამაშებით დაკავებული კომპანიებისათვის საქსტატის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის მიხედვით [19], სათამაშო ინდუსტრიის ეკონომიკური აქტივობის საერთო დონის მაჩვენებელს წარმოადგენს ბრუნვა, რომელიც განისაზღვრება, როგორც აზარტულ თამაშებზე დადებული ფსონების ჯამი, რომელიც ზომავს მომხმარებელთა ანუ მოთამაშეთა აქტივობას აზარტულ თამაშებზე. ბრუნვასთან ერთად, მეორე მთავარი ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებელი, რომელიც ზომავს აზარტული თამაშების საქმიანობის მასშტაბს, არის პროდუქციის გამოშვება, რომელიც იანგარიშება, როგორც სხვაობა ბრუნვასა და საპრიზო განაცემებს შორის; თავის მხრივ კი საპრიზო განაცემი ასახავს სათამაშო ბიზნეს ოპერატორების მიერ მომხმარებლებისათვის მოგების სახით გაცემული თანხების მოცულობას (შევნიშნოთ, რომ პროდუქციის გამოშვებას სათამაშო ბიზნესის სტატისტიკური აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკაში შეესაბამება ე.წ. ერთობლივი სათამაშო შემოსავლები /GGR/). ბრუნვასა

და გამოშვებულ პროდუქციას „ავსებს“ დამატებული ღირებულების მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს შექმნილ ღირებულებას საბაზრო ფასებში, რომელიც შეფასებულია საქმიანობის სხვადასხვა ფაქტორული ხარჯის ღირებულების მიხედვით.

ცხრილი 4.

აზარტული თამაშების ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
ბრუნვა (მლნ. ლარი)	112.7	366.3	996.0	1213.5	2032.8	3890.8	5387.1	6050.1	13806.8	25860.0
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	-	-	-	-	698.4	743.1	1052.5	1012.7	1207.0	1593.3
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	64.9	296.8	509.3	813.9	621.4	514.2	688.7	573.1	750.6	901.6
შრომითი დანახარჯები (მლნ. ლარი)	15.1	28.8	42.4	64.1	76.7	110.4	131.0	161.8	226.0	275.2
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	1956	3861	4547	5244	6074	6845	7438	9114	10288	10816
საშ. შრომის ანაზღაურება (ლარი)	647.3	624.7	782.3	1021.7	1050.5	1342.0	1467.7	1507.6	1799.3	2065.8
საქონლისა და მომს. ყიდვები (მლნ. ლარი)	36.0	47.1	265.6	90.1	58.6	184.7	339.8	420.1	405.7	615.2
ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში	5.8	5.1	70.4	11.0	11.8	33.0	32.2	66.9	71.6	26.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

გაანგარიშებების რელევანტობის და შედარებადობის თვალსაზრისით, ამთავითვე აღვნიშნოთ, რომ 2018 წლიდან ქვეყნის სათამაშო ბიზნეს სექტორის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიაში შევიდა ცვლილება, რაც შეეხო ბრუნვის მაჩვენებელს. კერძოდ, თუ მანამდე ბრუნვის მოცულობაში აისახებოდა მხოლოდ მოთამაშეთა მიერ ჩარიცხული თანხის ოდენობა, შესაბამისი პერიოდიდან ბრუნვის მაჩვენებელი აღნიშნულ თანხასთან ერთად მოიცავს, ასევე, მოთამაშეთა მიერ ყოველ ჯერზე დადებული ფსონების ჯამს, ამიტომ 2018 წლის შემდეგ არსებული ბრუნვის მონაცემები ვერ იქნება შედარებადი წინა პერიოდების ბრუნვის მაჩვენებლებთან. მაგალითისათვის, 2018 წელს სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელმა შეადგინა 13 806.8 მლნ ლარი, 2019 წელს კი – 25 860.0 მლნ ლარი (იხ. ცხრილი 4). როგორც ვხედავთ, მიუხედავად ამისა, აღრიცხვის „ახალ“ პერიოდებში თითქმის 2-ჯერ არის გაზრდილი სათამაშო ბიზნესის ბრუნვა, ხოლო ბიზნეს სექტორის საერთო ბრუნვის მაჩვენებელთან მიმართებით სათამაშო ბიზნესის ბრუნვა შეადგენს შესაბამისად 15.9%-ს და 23.7%-ს,

ანუ ბიზნეს სექტორის საერთო მაჩვენებლის თითქმის 1/4-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და შეიძლება აიხსნას გაანგარიშების მეთოდოლოგიური თავისებურებით. ამიტომ, დავუბრუნდეთ ბრუნვის მაჩვენებლის ანალიზს 2018 წლამდე პერიოდისათვის. კერძოდ, თუ საანალიზოდ ავიღებთ შედარებით ხანგრძლივ პერიოდს, 2010 წლიდან 2018 წლამდე, სათამაშო ბიზნესის ბრუნვის მაჩვენებელი გაზრდილია 54-ჯერ, რაც ბიზნეს სექტორის აღნიშნული სეგმენტის უკიდურესად მაღალ საქმიან აქტივობას უსვამს ხაზს. თუკი ჰორიზონტალური ანალიზის პარალელურად გავაკეთებთ ვერტიკალურ ანალიზს, მაგალითად, – 2017 წელს (გაანგარიშების რელევანტობის ერთ-ერთ ბოლო პერიოდს), აზარტული თამაშების ბრუნვის მაჩვენებლის ხვედრითი წონა ბიზნეს სექტორის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით შეადგენდა 8.4%-ს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, – შედარებისათვის, აღმატება იმავე პერიოდში ტრანსპორტის, ჯანდაცვისა და განათლების ქვესექტორებში გაწეული მომსახურებების ბრუნვათა ჯამურ მოცულობას. თუკი ანალიზს ვაწარმოებთ პროდუქციის გამოშვების და დამატებული ღირებულების მაჩვენებლების მიხედვით, ვნახავთ, რომ იმავე პერიოდში სათამაშო ბიზნესის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება გაიზარდა 14-ჯერ. შევნიშნოთ, რომ პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლის ანალოგიური პერიოდის დიაპაზონის გაანგარიშება შეუძლებელია, რადგან 2014 წლამდე არსებულ პერიოდებზე საქსტატის შესაბამისი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ სათამაშო ბიზნესის საერთაშორისო პრაქტიკაში სათამაშო ბიზნესის მიერ შექმნილი ღირებულების ერთ-ერთ ძირითად საზომად და ინდიკატორად გამოიყენება ერთობლივი სათამაშო შემოსავლების ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით და იმის გათვალისწინებით, რომ ერთობლივ სათამაშო შემოსავლებს საქსტატის მეთოდოლოგიით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეესაბამება სწორედ პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი, თუკი გავიანგარიშებთ სათამაშო ბიზნესის პროდუქციის გამოშვების ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის სიდიდეს, 2019 წელს მან შეადგინა 3.3%. შედარებისათვის, – ანალოგიური მაჩვენებელი, სათანადო სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით [5] ევროკავშირის ქვეყნებში შეადგენს საშუალოდ 0.68%-ს. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ საქართველოში მოქმედი სათამაშო ინდუსტრია დაახლოებით ხუთჯერ უფრო მეტ მოგებას აგენერირებს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნები საშუალოდ (სათამაშო ბიზნესის „ქართული მოდელის“ პარადოქსი), რაც, გარკვეულწილად, ქვეყანაში სათამაშო ბიზნესის დაბალი საგადასახადო ტვირთით და რეგულირების თავისებურებებით შეიძლება აიხსნას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: სათამაშო ბიზნესის ასეთი მაღალი ღირებულებითი მაჩვენებლები რა „საპირწონე“ სარგებელს იძლევა სოციალური, ფისკალური, საინვესტიციო, მულტიპლიკაციური თუ სხვა მიმართულებებით? კერძოდ:

საანალიზო პერიოდში ჩვენ მიერ გაანგარიშებულმა სათამაშო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებელმა შეადგინა საშუალოდ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის 1.2%, ხოლო საერთო დასაქმების – მხოლოდ 0.6%. მაგალითად, 2020 წელს სათამაშო ბიზნესში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 9 864 კაცი. აქვე ობიექტურობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ აზარტული თამაშებით დაკავებულ ბიზნეს ოპერატორებში დასაქმებულ პირთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება აღმატება ბიზნეს სექტორის სხვა რამდენიმე ქვესექტორის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ბიზნეს სექტორის მაჩვენებელთა შორის საინვესტიციო აქტივობის გამზომ მაჩვენებლად მიიჩნევა ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციების მაჩვენებელი. საქსტატის შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით, ჩვენ მიერ გაანგარიშებულმა ანალოგიურმა მაჩვენებელმა სანალიზო პერიოდში შეადგინა საშუალოდ მთლიანი ბიზნეს სექტორის ფიქსირებულ აქტივებში „ჩადებული“ ინვესტიციების საერთო მოცულობის 0.8%, რაც, ასევე, მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებელია. რაც შეეხება დეკადურ პერიოდში ინვესტიციების მაჩვენებლებზე დაკვირვებას, ის ხასიათდება „ზიგზაგისებრი“ დინამიკით, რაც ზოგადად დამახასიათებელია საინვესტიციო პარამეტრებისათვის. თუმცა აქვე გავუსვათ ხაზი იმ გარემოებასაც, რომ ზოგადად სათამაშო ინდუსტრია მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე დაბალი კაპიტალტევადობის მქონე ინდუსტრიად ბიზნეს სექტორში [7, p. 115].

გარდა ზემოთ განხილული მაჩვენებლებისა, ბიზნეს სექტორის შეფასების მნიშვნელოვან სტატისტიკურ „ცვლადს“ წარმოადგენს, აგრეთვე, ე.წ. საქონლისა და მომსახურების ყიდვები, რაც გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული სექტორის, ქვესექტორის თუ ეკონომიკური სუბიექტის მიერ განხორციელებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების ყიდვების ჯამურ ღირებულებას, მიუხედავად იმისა, ეს საქონელ-მომსახურება განკუთვნილია თუ არა გადაყიდვისათვის. სათამაშო ბიზნესისათვის გაანგარიშებულმა აღნიშნულმა მაჩვენებელმა სანალიზო პერიოდში შეადგინა საშუალოდ მთლიანი ბიზნეს სექტორის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 0.1%, რაც ირიბად მიუთითებს სათამაშო ბიზნესის სუსტ ეკონომიკურ კავშირზე მიწოდების საერთო „ჯაჭვში“.

ზოგადად მიიჩნევა, რომ სათამაშო ბიზნესი გარკვეულ წამახალისებელ ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებაზე, რაც მართებული თეზაა მხოლოდ მისი სწორი და კომპლექსურად გააზრებული ორგანიზების პირობებში, რადგან უცხოეთში ჩატარებული შესაბამისი ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ აზარტული თამაშების მიზნით შემოსული ტურისტი თავის დროს და თანხას ძირითადად მიმართავს აზარტულ თამაშებზე და მისი გარესათამაშო ტურისტული აქტივობები მიზერულია, ხოლო, მეორე მხრივ, სათამაშო ბიზნესს ახასიათებს სხვა სექტორებთან შედარებით გაცილებით დაბალი მულტიპლიკატორი [1, pp. 215-216].

დასკვნა

ამდენად, როგორც ზემოთ განხილული ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოში სათამაშო ბიზნესი, მართალია, ბიზნეს სექტორის ერთ-ერთი მზარდი სეგმენტია, მაგრამ ამავე დროს როგორც ცალკეულ მაჩვენებლებზე ზეგავლენის ანალიზი ცხადყოფს, მისი როლი და ეკონომიკური „ბენეფიტები“, ხშირ შემთხვევაში, უტრირებულადაა შეფასებული, თუმცა არც მათი ხელაღებით უგულვებლყოფა იქნებოდა მართებული გამოსავალი. აქედან გამომდინარე, რაკი აზარტული თამაშები საზოგადოებრივად დელიკატური საკითხია, აუცილებელია, სახელმწიფოს გააჩნდეს მკაფიო პოლიტიკა და, შესაბამისად, გამართული რეგულაციური მიდგომები მოცემული სეგმენტის მიმართ, რაც ნათელს გახდის სახელმწიფოს გრძელვადიან სტაბილურ ხედვას სათამაშო ინდუსტრიასთან მიმართებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების საუკეთესო ინტერესების (მ.შ. ქვეყნის სოციალური კაპიტალის) მაქსიმალური დაცვისა და გათვალისწინების აუცილებლობით.

გამოყენებული ლიტერატურა

შრომები:

1. Clark L., 2016. The Eccentric World of Casino Gambling. Florida, “Clark Economics“.
2. Egerer M., Marionneau V., Nikkinen J., Palgrave M. (Ed.). 2018. Gambling Policies in European Welfare States: Current Challenges and Future Prospects.
3. Eurostat., 2008. Metodologies and Working Papers. NACE Rev2. Statistical Classification of Economic Activities in the European Community. European Commission.
4. Gambling in Czech Republic, its Correlates and Consequences., 2013. Retrieved from

https://www.drogyinfo.cz/data/obj_files/1619/706/GAMBLING%20REPORT_2013EN_fin_w eb_fin.pdf.

1. Gambling Regulation in Slovenia: From Adopting to Socialist Morality up to European Union Free Trade Environment., 2013. Gambling Law Review and Economics, Vol. 17, No 1, pp. 8-19.
2. Meyer G., Hayer T., Griffiths M. (Ed.). 2009. Problem Gambling in Europe (Challenges, Prevention, and Interventions). New York, “Springer“.
3. Rubner A., 1966. The Economics of Gambling. London, “Macmillan“.

კანონები:

4. საქართველოს კანონი „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“.
5. საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.
6. საქართველოს კანონი „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“.
7. საქართველოს კანონი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“.
8. საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

ვებ-გვერდები:

9. www.iagr.org – The International Association of Gaming Regulators.
10. www.rs.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (შემოსავლების სამსახური).
11. www.treasury.ge – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (სახელმწიფო ხაზინა).
12. www.fms.gov.ge – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური.
13. www.matsne.gov.ge/ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
14. www.adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=5 – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.
15. https://www.geostat.ge/media/27550/Gambling_Note-for-web-page.pdf. – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. აზარტული თამაშების საქმიანობებით დაკავებული საწარმოების სტატისტიკის მეთოდოლოგიური თავისებურებანი.

Besik Bolkvadze
PhD in Economics
Associate Professor at BSU

SOME ASPECTS OF THE GAMBLING BUSINESS IMPACT ON THE ECONOMY OF GEORGIA

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Besik.Bolkvadze

Expanded Summary

The gambling business is a specific segment of the business sector of the country and the economy in general, towards which there is an ambivalent attitude. In particular, the gambling business creates a certain added value in the economy and, at the same time, it is believed that its functioning is always associated with certain social losses. Also, the attitudes of different groups of the society towards the mentioned business are different, in particular, governmental and business circles are more positive towards the gambling business than the general population, however, this approach differs from country to country.

In order to identify the role and importance of the gambling business as a specific segment of the business sector in the socio-economic development of the country, it is necessary to systematically understand and analyze all the positive and negative impacts of the gambling business on the economic system of different countries. In this regard, two main groups of impact are distinguished, namely, "economic benefits" and "social losses". In this regard, the positive effects can be attributed to the following: General-economic, investment, fiscal, social, tourism promotional and chain (multiplier) effects; The following are some of the negative effects: Human gambling addiction (ludomania), alienation of persons, increase of health expenses, accumulation of debts, involvement of vulnerable groups, increase of crime level, provocation of family problems, money laundering, suicide and others.

Georgian legislation separates the four main areas of the gambling business: Lottery, gambling, winning games and delivery of gambling and/or winning games. The Ministry of Finance of Georgia, with its structural subdivisions, such as the Gambling Business Policy Directorate and the Legal Entity of Public Law – Revenue Service, implements the state policy in the field of gambling business in the country. The gambling business, as a business sub-sector, is lobbied by the Georgian Gambling Business Association and the Association of Casinos in Adjara.

Note that the taxation (in terms of fees) of the gambling business in Georgia is mainly based on a fixed method of payment based on quantitative units, which is considered to be a simple method in terms of administration, unlike in many countries of the world, where, in the conditions of proper tax management, gambling business operators are also set fair rates, which at the same time can be differentiated.

According to the data of 2019, the fee for the gambling business was applied to the budgets of a total of 24 self-governing units and the capital of the country, which amounted to a total of 128.4 million GEL. In terms of the fiscal contribution of this fee (ratio to fee income), self-governing units can be conditionally ranked into three parts: Active (> 5%), neutral (1-5%) and passive (<1%) municipal units. "Active" gambling segment includes:

Kazbegi (22.8%), Batumi (18.0%), Khelvachauri (13.5%), Chiatura (6.96%), Tbilisi (6.38%) Marneuli (6.32%), Akhalkalaki (5.52%) and Samtredia (5.32%). Relatively average (neutral) fiscal indicators are typical for the following municipalities: Borjomi (4.65%), Tskaltubo (4.25%), Telavi (4.10%), Sachkhere (3.32%), Kutaisi (2.56) And Rustavi (2.31%). This can be explained, on a case-by-case basis, by the relatively high tourism potential of these municipalities, gambling-related benefits, border location, as well as by "binding" online games to the real facilities in municipalities exempted from paying the permit fee. As for the self-governing units with low gambling activity, they include: Kobuleti (0.23%), Ozurgeti (0.29%), Gori (0.49%), Poti (0.50%), Akhaltsikhe (0.51%), Gurjaani (0.56%), Zugdidi (0.80 %), Lagodekhi (0.83%), Sighnaghi (0.84%) and Ninotsminda (0.94%), for most of which, despite a number of permit benefits, their gambling "good action coefficient" is low.

As the analysis of the economic parameters of the gambling business shows, the gambling business in Georgia is indeed one of the growing segments of the business sector, but at the same time, as the analysis shows, its role and economic "benefits" are often over-estimated. Therefore, gambling is a generally delicate issue, it is necessary for the state to have a clear policy and proper regulatory approaches to this segment, which will make clear the long-term stable vision of the state in relation to the gambling industry, with the need to maximize the protection and consideration of the best interests of the state and society (including the social capital of the country).

Keywords: *Gambling Games, Gambling Business, Gambling Industry.*

ტურიზმი – TOURISM

ნანა კაციტაძე

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი;

ელისაბედ ბალიაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების
სკოლის პროფესორი;

ნათელა თუშიშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დოქტორანტი

საქართველოს მთიან რეგიონების გადარჩენის გზა - ტურიზმის კლასტერიზაცია!!!

ანოტაცია. საქართველოში ტურიზმის სწრაფი ტემპით განვითარებამ და მისით გამოწვეულმა სიკეთეებმა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე ვერ მიაღწია. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ისევ მწვავედ დგას უმუშევრობისა და სიღარიბის პრობლემა. მთავრობის მიერ ბოლო დროს განხორციელებული სოციალური დახმარების პროგრამები და მსგავსი გადანაწილების სქემები ვერ წყვეტს პრობლემებს და ამასთან ის მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს.

არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ქვეყანას სიღარიბის დაძლევაში ეხმარება, მათ შორის, გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მხრივ ეფექტურ მექანიზმად განიხილება მდგრადი ტურიზმი, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას უქმნის ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს.

სტატიაში - “საქართველოს მთიან რეგიონების გადარჩენის გზა - ტურიზმის კლასტერიზაცია!!!“ - როგორც მისი სათაური გვიჩვენებს, განხილული და დასაბუთებულია ტურისტული კლასტერების გახსნის აუცილებლობა საქართველოს მთიან მხარეებში.

ავტორები საქართველოს მთიანი რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის კლასტერების უპირატესობაზე მსჯელობისას ეყრდნობიან ამ ფორმით ტურისტული ბიზნესის და მთლიანად დესტინაციის განვითარების პრაქტიკაში არაერთგზის დადასტურებულ მაღალი ეფექტის მომცემ შედეგებს. მრავალწახნაგოვან ტურისტული საქმიანობის სფეროში მნიშვნელოვანადაა მიჩნეული კლასტერისთვის დამახასიათებელი ისეთი ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმები როგორცაა, ურთიერთდაკავშირებულ საწარმოების კომპლექსურობა, სისტემური თვალსაზრისით ვითარების შესწავლის შესაძლებლობა, კლასტერული სტრატეგიის სახით ყველა ინიციატივისა და ბიზნეს იდეების რეალიზება, ტურისტული მთიანი რეგიონის ბრენდირების მიღწევის ეფექტიანობა და სხვა.

სტატიაში აქცენტირებულია საქართველოს მთიან რეგიონების ინკლუზიური განვითარებისათვის და მდგრადი ტურიზმის შესაქმნელად მართვის ინოვაციური და დიფერენცირებული მიდგომების გამოყენების აუცილებლობა, რამდენადაც

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ბოლოდროინდელ ტენდენციებში წარმატების მიღწევის უპირატესობებში იკვეთება არა იმდენად მდიდარი ტურისტული რესურსების არსებობის მნიშვნელობა, რამდენადაც მისი ტურისტული წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში, ინოვაციური მართვის მეთოდებით, ოპტიმალური ჩართვა. ამ თვალსაზრისით ავტორების მიერ საქართველოს მთიან რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით რეკომენდებულია სხვადასხვა ფორმით და თემატიკით ტურისტული კლასტერების შექმნა საქართველოს მთიან მხარეებში - რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, აჭარის მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში, მთა-თუშეთში, ხევსურეთში, ფშავში და სხვაგან.

სტატიაში აქტუალიზირებულია სოფლის ტურიზმის კლასტერული განვითარების სხვადასხვა ფორმა, მაგალითად როგორცაა, თემთა პარტნიორობა ღვინის გარშემო, „ღვინის სოფლები“, „ბუნება და ჯანმრთელობა“, „რეკრეაციული ტურიზმი“, „ტრადიციული გასტრონომია“ და სხვა, რომელთა განვითარების პოტენციალი საქართველოს მთიანი რეგიონების უმეტესობას გააჩნია.

სტატიის ავტორები დადებითად აფასებენ საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ორიენტირებულ სამი კლასტერის განვითარებასა და საპილოტე მოდელების დანერგვას იმერეთისა და კახეთის რეგიონებში, მაგრამ ამავდროულად აკრიტიკებენ ხელისუფლებას იმაში, რომ ჩამოთვლილი რეგიონებიდან არცერთი არ მიეკუთვნება მაღალმთიანს, რომელთაც ტურისტული კლასტერების განსავითარებლად არანაკლებ მიმზიდველი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსი გააჩნიათ, ვიდრე სხვა მხარეებს. მეტიც, საქართველოს მთიანეთში ბუნებრივ პირობებთან ერთად, რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობა.

საქართველოს მთიანეთის გადასარჩენად ნაშრომში დაკონკრეტებულია რეკომენდაციები თემატური კლასტერებისა და საპილოტე მოდელების დანერგვასთან დაკავშირებით. კერძოდ, თითოეული მაღალმთიანი მხარის გამოკვლევის საფუძველზე დიფერენცირებული მიდგომით მოხდეს ისეთი თემატური კლასტერების და საპილოტე მოდელების დანერგვა, როგორებიცაა: 1. ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერი; 2. ავთენტური სასტუმროების კლასტერი; 3. კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი.

საქართველოს მთიან რეგიონებს ტურისტული კლასტერების განსავითარებლად მდიდარი და მრავალფეროვანი ტურისტული რესურსი, ამასთან განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკური ფონი და ტურიზმის განვითარების სიმჭიდვს დონე გააჩნიათ, რაც რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული მიდგომებისა და ამავე დროს ყველა დონეზე ლოგიკური კავშირის მქონე ტურიზმის სტრატეგიული განვითარების პროგრამების არსებობას ითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს წინაშე დგას ორი საკითხის გადაჭრა: ა) რეგიონის მიხედვით რა სახის კლასტერის განვითარებას შეუწყოს ხელი და ბ) განსაზღვროს, როგორი იქნება მისი როლი ამ მიმართულებით, პროაქტიული, თუ პრორეაქტიული.

საკვანძო სიტყვები: მთიანი რეგიონი; ინკლუზიური განვითარება; ტურისტული კლასტერი; პილოტე მოდელი.

შესავალი

საქართველოში ბილო ათი წელია პანდემიამდე და პანდემიის ჩაცხრომის შემდგომ ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს. მიუხედავად ამისა

სიღარიბე და უმუშევრობა კვლავ რჩება ჩვენი ქვეყნის მთავარ გამოწვევად, რაც მანიშნებელია იმისა, რომ ეკონომიკური ზრდით გამოწვეულმა სიკეთეებმა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილამდე ვერ მიაღწია. განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობაა მაღალმთიან რეგიონებში.

თბილისის გარდა საქართველოს ყველა რეგიონში გვხვდება მაღალმთიანი დასახლებები, მათი ჯამური რაოდენობა შეადგენს 1737-ს და მოიცავს 47 მუნიციპალიტეტს. მთიან ადგილებში დასახლებულ მოსახლეობის მხოლოდ 22% არის დასაქმებული ანაზღაურებად სამუშაოზე. შინამეურნეობების 51%-ის შემოსავლების ძირითადი წყარო პენსია და სახელმწიფო დახმარებაა. ოჯახების 35%-ის ყოველთვიური შემოსავალი 250 ლარს არ აღემატება. მაღალმთიანი დასახლებების უმრავლესობაში მოსახლეობის საქმიანობის და, შესაბამისად, შემოსავლების ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობაა. საოჯახო მეურნეობათა 63% საკვებ პროდუქტებზე ხარჯავს მთელი ხარჯების 50%-ზე მეტს, აქედან საოჯახო მეურნეობათა 22%-ის სამომხმარებლო ხარჯებში სურსათზე ხარჯების წილი 75%-ზე მეტია, ხოლო საოჯახო მეურნეობათა 8%-ს საერთოდ არ ჰყოფნის შემოსავლები სურსათზე ხარჯებისთვის [1].

ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტში „საქართველო 2020“ აქტუალიზებული იყო ინკლუზიური ზრდის თემატიკა პროდუქტიული დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით [2]. წინა წლებში და დღესაც მთავრობის მიერ განხორციელებილი აქტივობები, მოსახლეობის სიღარიბის შესამსუბუქებლად, უფრო მეტად ორიენტირებულია შემოსავლის განაწილების სქემების გამოყენებაზე. „საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მთიან რაიონებში მუდმივად მცხოვრებთათვის სხვადასხვა სოციალურ სარგებელს ითვალისწინებს [3]. საკითხის ამგვარი მოგვარების პოლიტიკის შესაფასებლად მოვიშველიებდით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვლევას, რომლის თანახმად, განვითარებულ ქვეყნებშიც კი, გადანაწილების სქემები არ შეიძლება იყოს ერთადერთი პასუხი მოსახლეობის გარკვეულ სეგმენტებში სიღარიბის დონის მატებაზე, რამდენადაც ის მძიმე ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს და მიმართულია ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შემსუბუქებაზე. „საჭიროა სახელმწიფომ ეტაპობრივად განავითაროს პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ინკლუზიური ზრდის წახალისებას“ [4]. მაშასადამე სახელმწიფომ უნდა გამოიკვლიოს და გამოკვეთოს ის, რითაც ჩვენი ქვეყანა არის უნიკალური და რითაც რეალური წარმატების მიღწევას შეეძლება.

არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც ქვეყანას სიღარიბის დაძლევაში ეხმარება. მათ შორის, გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ მხრივ ეფექტურ მექანიზმად განიხილება მდგრადი ტურიზმი, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობას შეუქმნის ეკონომიკური აქტივობისა და თვითდასაქმების შესაძლებლობებს.

დღეს, ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორია, რომელიც მაღალი ზრდით გამოირჩევა. ტურიზმის განვითარების ძირითად რესურსად მიიჩნევა ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსი, რითაც მდიდარია საქართველოს მთიანი ნაწილები. სწორედ მთებში დევს საქართველოს ტურიზმის განვითარების უნიკალური რესურსი, მაგრამ მისი პოტენციალი სამწუხაროდ დღემდე არ არის სათანადოდ ათვისებული.

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ქვეყნის ეკონომიკისთვის კლასტერული მართვა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე დარგობრივი მართვა. ის ყველაზე მოქნილი და ეფექტური სტრუქტურაა, რომლის საფუძველია თანამშრომლობა და კონკურენცია. ტურისტულ კლასტერს შეუძლია ტურისტული რეგიონის ბრენდის შექმნა და პოპულარიზაცია. **სწორედ მთიან რეგიონების გადარჩენის გზად მთავრობის მხრიდან ტურისტული კლასტერების შექმნის წახალისებასა და განვითარების ხელშეწყობას მივიჩნევთ.**

ძირითადი ტექსტი. მთის განვითარებისადმი განსაკუთრებული პოლიტიკის გატარების საჭიროება აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მთიანეთის მიმართ მსოფლიო მეცნიერების მიდგომები სულ უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს და მიღწეულია კონსენსუსი: “მთიანეთი განიხილება, როგორც უნიკალური ფუნქციურ-ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მსოფლიოს (შესაბამისად, ქვეყნების) განვითარების პროცესში [ნ. ჭითანავა, 2010].

საქართველოს მთავრობა მიერთებულია „რიო +20-ის“ 2012 წლის №66/288 დეკლარაციას „მომავალი, რომელიც გვინდა“ და აღებული აქვს მთის რეგიონების მდგრადი განვითარების ვალდებულება საერთაშორისო დონეზე[6]. რომლის საპასუხოდ საქართველოს მთავრობას რიგი საკანონმდებლო აქტები და რეგულაციები აქვს შემუშავებული და დამდკიცებული. „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“, მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონების ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, საქართველოს მოქალაქეებისათვის თანასწორი შესაძლებლობების გაჩენას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, საერთო კეთილდღეობის ამაღლებასა და ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალური და ეკონომიკური განვითარებას და ამ მიმართულებით სპეციალური სახელმწიფო პროგრამების განხორციელების საფუძვლების უზრუნველყოფას [6].

საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული ხედვა, ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პოლიტიკასთან გათანაბრების მიდგომებს. “ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას” [7].

ქვეყნის სამთავრობო უწყებებმა 2019 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (Deutsche Gesellschaft für Internationale) (GIZ)-თან ერთად, რომელიც პროექტის „**თემატური კლასტერები საქართველოს ტურიზმის სექტორში**“ ორგანიზატორია, დაიწყო აქტიური თანამშრომლობა. პროექტის განხორციელებაში ჩართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სააგენტო “აწარმოვე საქართველოში.” პროექტის ბიუჯეტია -5 300 000 ევრო. პროექტის დაწყებისა და დამთავრების თარიღია - 2019-07-01; 2023-01-31.

წინამდებარე პროექტის ფარგლებში ხორციელდება საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ორიენტირებული **სამი კლასტერის განვითარება და საპილოტე მოდელების დანერგვა იმერეთისა და კახეთის რეგიონებში.** კერძოდ, ესენია:

- ❖ კახეთისა და იმერეთის ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერი;
- ❖ იმერეთის ავთენტური სასტუმროების კლასტერი;
- ❖ იმერეთის კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი.

როგორც ვხედავთ ჩამოთვლილი რეგიონებიდან არცერთი არ მიეკუთვნება მაღალმთიანს და ეს ხდება იმის ფონზე, როდესაც:

- პირველი, “მთიანეთი განიხილება, როგორც უნიკალური ფუნქციურ-ტერიტორიული წარმონაქმნი, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს მსოფლიოს (შესაბამისად, ქვეყნების) განვითარების პროცესში [ნ. ჭითანავა, 2010].
- მეორე, ჩვენი ქვეყნის მთიან რეგიონებს კლასტერების განსავითარებლად არანაკლებ მიმზიდველი მხარეები გააჩნიათ. ეს უპირატესობები კი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს მთიანეთში ბუნებრივ პირობებთან ერთად, რესურსად შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივი და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობა. უცხოელ ტურისტებს ხომ განსაკუთრებით მოსწონთ მათთვის უცნობი, თვითმყოფი მხარეების მონახულება. ჩვენი ქვეყნის მთიან ნაწილებში კი ყველგან ტურისტული სიმდიდრე თითქმის პირველყოფილი სახით მართლაც ხელის გულზე დევს და გამოყენებას ელოდება.
- მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი, საქართველოს მთიანი ნაწილების ტურისტული კლასტერების ორგანიზაციით მოხდება ქვეყნის დეპრესიული და პრობლემური ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება. “მაღალმთიან რეგიონის შესახებ კანონის შემუშავება და მასში, მთაში დასაქმებულებისთვის ხელფასზე 30 თუ 50 ლარის დამატება, მთის დემოგრაფიულ სიტუაციას ვერ შეცვლის, ვერც ბავშვების შეძენაზე ერთჯერადი 1000-1600 ლარიანი დახმარება უშველის საქმეს. მთაში „რადიკალური გარღვევა“ საჭირო” [ე. ბალიაშვილი, 2021].

თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ საქართველოში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისთვის ევროკავშირის ინოვაციური პროექტის (*EU IPSC*) ფარგლებში გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციამ (*NIDO*) 2020 წელს გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც გამოკვლეული და შემუშავებულია 10 კლასტერი და მათ შორის ერთ-ერთად მოიაზრება ღვინის კლასტერი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში [9]. მთის რეგიონების განსავითარებლად ეს ნაბიჯი მისასალმებელია.

და მაინც, რატომ მივიჩნევთ ტურისტული კლასტერებს საქართველოს მთიანი რეგიონების გადარჩენის გზად!

კლასტერი ეკონომიკის შედარებით ახალი ფენომენია. ეკონომიკის კლასტერიზაციის ინიციატივა ევროპაში გაჩნდა და მთელი მსოფლიო მოიცვა, რადგან **დასაბუთდა მისით ეკონომიკის დარგობრივი მართვის ჩანაცვლების ეფექტიანობა**. “კლასტერი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კომპანიების, მოწყობილობათა მომწოდებლების, მაკომპლექტებელი, სპეციალიზებული მომსახურების, ინფრასტრუქტურის, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვა ორგანიზაციების გეოგრაფიულად ლოკალიზებულ ურთიერთმემავსებელ ჯგუფს, რომელიც აძლიერებს ცალკეული კომპანიების და მთლიანობაში კლასტერის კონკურენტულ უპირატესობებს” [მ. პორტერი, 2003].

ხელისუფლების ორგანოებისთვის კლასტერული მიდგომის უპირატესობას განაპირობებს ურთიერთდაკავშირებულ საწარმოების კომპლექსურად და სისტემურად ვითარების შესწავლის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ის საშუალებას იძლევა კლასტერული სტრატეგიის სახით მოხდეს ყველა ინიციატივისა და ბიზნეს

იდების რეალიზება, გამოიყოს მექანიზმები რომლებიც მინიმუმ აუცილებელია კლასტერის ფორმირებისთვის, ეს არის [Martin, R. and Sunley, P. 2001]: საორგანიზაციო-კომუნიკაციური; საინვესტიციო; ორგანიზაციულ-სამართლებრივი (უზრუნველყოფს სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბებასა და მხარდამჭერი პროგრამების რეალიზებას).

კლასტერების წარმოშობას წაუბიძგებს შემდეგი ძირითადი განმაპირობებელი გარემოებანი, როგორცაა [ე. ბალიაშვილი, 2016]:

- კომპანიების მიერ ხარჯების ეკონომია, რომელიც მიიღწევა მათ მიერ რესურსების საერთო სარგებლობით;
- ბიზნესისთვის საჭირო საქონლის თუ მომსახურების გეოგრაფიული სიახლოვე, რაც უზრუნველყოფს სისწრაფეს და აქედან გამომდინარე, სიაფეს;
- ერთ ადგილზე ფირმების კონცენტრაცია ხელს უწყობს ფარული ცოდნის და გამოცდილების გავრცელებას.

არსებობს განსხვავება ტურისტულ და საწარმოო კლასტერებს შორის. კლასტერი ტურისტების ნაკადების გადაადგილების ვექტორზე ყალიბდება, და, ამა თუ იმ ფორმით ერთმანეთს აკავშირებს გეოგრაფიულად დაშორებულ ტურისტულ ობიექტებსაც. მასასადამე **გარდა კონკრეტული გეოგრაფიული ლოკალიზაციისა, ტურისტულ კლასტერში მოიაზრება გეოგრაფიულად დაშორებული, მაგრამ კლასტერთან მჭიდროდ დაკავშირებულ რგოლებს, რომელიც იძლევიან ღირებულების ჯაჭვზე ორიენტირებულ კლასტერების განვითარების იმედისმომცემ პერსპექტივას განსაკუთრებით ტურისტულ ინდუსტრიაში, რამდენადაც ტურიზმში მომსახურების პროდუქტი იქმნება მასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული დარგების ჩართულობითაც, სადაც ასევე სამუშაო ადგილების წარმოქმნის ინიცირება იქმნება.**

თანამედროვე ნორმატიულ ბაზაში არ არსებობს ტურისტული კლასტერის პროექტირების (შემუშავების) ერთიანი მეთოდიკა. სამეცნიერო პრაქტიკულ ლიტერატურაში წარმოდგენილია კლასტერის პროექტირების რამდენიმე, მათ შორის სპეციფიკური მიდგომა ტურიზმის დარგში, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგიერთი მათგანი კლასტერის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ტურისტული პოტენციალსა და ტერიტორიულ მიმზიდველობაზე აკეთებს აქცენტს, მეორენი პირიქით, თვლიან, რომ მისი შექმნა დამოკიდებულია საინიციატივო ჯგუფის/ინვესტორების შემადგენლობაზე. სხვადასხვა სახის ტურისტული რესურსები შეიძლება ითქვას თვითონ გვეკარნახობს რეგიონის განვითარების პროფილს, ისევე როგორც, სამთო ტურიზმის მიმართულება თოვლიანი რეგიონისთვის, ეკო ტურიზმი მაღალმთიან რეგიონებში და სხვა.

მსოფლიოს ტურიზმის განვითარების ბოლოდროინდელ ტენდენციებში წარმატების მიღწევის უპირატესობებში იკვეთება არა იმდენად მდიდარი ტურისტული რესურსების არსებობა, რამდენადაც ინოვაციური მართვის მეთოდებით მისი ოპტიმალური გამოყენება [Katsitadze N., Natsvlishvili I., 2017]. კონკრეტულ რეგიონებში კლასტერის ფორმირების მხარდაჭერის აუცილებლობა მისი, როგორც მწარმოებლურობის, ინოვაციურობის, კონკურენტუნარიანობის, შემოსავლიანობისა და დასაქმების ტემპების ზრდით აიხსნება [Fakhoury, I. N. 2002].

როდესაც ვსაუბრობთ კლასტერებზე, არ უნდა დაგვავიწყდეს მათი განვითარების სხვადასხვა ვარიანტების შესაძლებლობები. დღეს, ევროპის სახელმწიფოების მიერ სოფლის ტურიზმის სტიმულირება ხდება არამარტო ეკონომიკურად

ჩამორჩენილ რეგიონებში, არამედ იქაც, სადაც ტრადიციულად პოპულარულია მასობრივი დასვენება, მაგალითა,, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს იტალიური სოფლის ტურიზმის „წარმატების ფორმულაში“ ტურიზმის ისეთი თემატური მიმართულებით, როგორცაა: „ბუნება და ჯანმრთელობა“, „რეკრეაციული ტურიზმი“, „ტრადიციული გასტრონომია“, „სპორტი“ [Bock B. 2006], რომელთა განვითარების პოტენციალი საქართველოს მთიანი რეგიონების უმეტესობას გააჩნია. ევროპაში, უკვე დიდი ხნის წინ წარმატებული გამოცდილებაა, ღვინის სოფლების პრაქტიკა, თემთა პარტნიორობა ღვინის გარშემო, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლებად ან საერთოდ არ გამოიყენება საქართველოს რეგიონებში. ტურისტული სოფელი, რომელიც ფლობს ტურისტულ რესურსებს, კონკურენციას უწევს თავის მეზობლებს, მაგრამ მათი გაერთიანება ერთი საქმის გარშემო მიმზიდველი გახადონ ტურისტული სოფელი, როგორც დესტინაცია, წარმოშობს „კოლექტიურ სულს“ და სინერჯის ეფექტს. ასეთ სოფლებში ჩნდება დაინტერესება კოოპერაციისადმი, რაც გადამდებია სხვა სოფლებისთვის [Katsitadze N., Vatsadze I., 2020]. ვფიქრობთ აღნიშნული მოდელის პრაქტიკა გასაზიარებელია საქართველოს ღვინის მწარმოებელ რეგიონებში.

მაღალმთიან რეგიონებში, სადაც საწარმოო სუბიექტები ხშირად შემოფარგლულია მდინარის ან მთის ბუნებრივი საზღვრებით, ყალიბდება ლოკალური კლასტერები. მათ ფუნქციების კოორდინაციის გზით (კადრების მომზადების, მომსახურების სტანდარტების სისტემის და ერთობლივი ბრენდის) ცენტრალიზებული ორგანიზებით შეუძლიათ წარმოქმნან რეგიონული კლასტერები. ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსების ერთობლივი გამოყენებით ტურისტული სუბიექტები ქმნიან მსგავს მომსახურებებს, სადაც ტურისტებს სთავაზობენ გაფართოებულ პროდუქტს ამ რეგიონისათვის ავთენტურ და პრიორიტეტული ტურისტული პროდუქტების სინთეზით. ამგვარი გაფართოებული პროდუქტების შექმნის ბუნებრივი რესურსი საქართველოს მთიანი რეგიონების დიდ უმრავლესობაში არსებობს. ტურისტები ასეთი მოგზაურობისას ვერ ამჩნევენ ადმინისტრაციულ საზღვრებს და ექმნებათ ტურისტულ რეგიონის შესახებ ერთიანი მაღალი ტურისტული შთაბეჭდილება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატიისთვის განსაზღვრული მოცულობა არ გვამღვეს იმის საშუალებას, რომ დეტალურად გავაანალიზოთ საქართველოს თითოეული მთიანი რეგიონის - რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აჭარის მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი, მთათუშეთი, ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი და სხვა განვითარების ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, რათა განვსაზღვროთ თუ რა სახის კლასტერი მიესადაგება თითოეულ მათგანს. ერთი კი ცხადია, საქართველოს მთის რესურსები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ტურიზმის სამთო, გამაჯანსაღებელი, სპორტული და სათავგადასავლო ტურიზმის ისეთი სახეების განვითარებით, როგორცაა - მთამსვლელობა, სამთო-საფეხმავლო ტურიზმი, მეკლდეურობა სამთო-სათხილამურო ირატიინგი და ფრისტალი, სამთო-ველოსახეობები, რაფტინგი, გაყინული ჩანჩქერების გავლა და სხვა, მათზე მოთხოვნა მსოფლიოში სულ უფრო იზრდება.

საქართველოს მთიან რეგიონებს რეკრეაციული ტურიზმის განსავითარებლად უხვად გააჩნიათ უნიკალური მნიშვნელობის კურორტები და საკურორტო ადგილები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტურისტულ სექტორში უდიდესი სემენტი მთელ მსოფლიოში გამაჯანსაღებელ ტურიზმს უჭირავს, საქართველოსთვის

მართლაც უპრიანია ამ მიმართულების განვითარება, მისი საკურორტო-ტურისტული პოტენციალიდან და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე (ევრაზიის კორიდორი, კავკასიის გული, დიდი აზრეშუმის გზა).

დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. 20-ზე მეტ მაღალმთიან დასახლებას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი. ისინი კლიმატური და/ან ბალნეოლოგიური ტიპისაა [17].

ტურისტებისთვის საინტერესო და მეტად მიმზიდველია სვანეთის უნიკალური ბუნებრივი ლანდშაფტი და ტურისტული ადგილები მღვიმე (ზარგაში); სათევზაო ტურიზმი (ჭუბერი, ლახამულა, ივარი); საცხენოსნო ტურიზმი (მესტია-ჟაბე-ადიში-ივრალი-უშგული); ბუნების ძეგლები (მდ. დალდე-ჭალადის აუზის ზემოწელში „ფეხულის ქვის“ ლოდი, ადიშის ყინულარდინილი); სალამქრო ხეობები (თვიბერი-ჟაბეში, უშგული-შხარის მყინვარი, უშბის მყინვარი და სხვები), გადმოსახედი ადგილები (მესტია, ზურულდი, გვალდი, ჰაწვალი, ჰემკილდი); სამთოსათხილამურო ადგილები, საჯომარდო ადგილები (ჭალა, ბეჩო, ნაკრა (ზედა წელში), უშგული) და სხვა მრავალი.

არანაკლები რესურსული შესაძლებლობები აქვს რაჭა-ლეჩხუმს, თუშეთს, ხევსურეთს და სხვა მთიან ადგილებს. იმის მიუხედავად, რომ რაჭა-ლეჩხუმში ბუნების ძეგლებიც მრავლადაა, კურორტებიც, მდინარეები და ტბებიც და სალამქრო ხეობებიც, რომელთა მეშვეობით ეს მხარე მრავალნაირ ტურისტულ მომსახურებას სთავაზობს ვიზიტორებს, ტურისტები პრიორიტეტულად მაინც თვლიან სოფლის ტურიზმს, კერძოდ, რეკრეაციულ ტურიზმს. ეს არჩევანი კვლევითაა დადგენილი [17].

ასევეა ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი. ეს მხარეებიც ტურისტებს სთავაზობს ულამაზეს ბუნების სანახაობას, სათევზაო და საცხენოსნო ტურიზმს, წყალჯომარდობას, თხილამურებით სრიალს (გუდაური) და მრავალ სხვას.

ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით მდიდარი მთიანი რეგიონების სოფლებს ტურისტული კლასტერების განვითარებით საშუალება ეძლევათ მოიხმაროს სოფლად და მის ირგვლივ არსებულ მრავალფეროვანი რესურსები და მათი სამეურნეო ბრუნვაში ფართო ჩართვით მიიღონ ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა [Katsitadze N., Vatsadze I., 2020].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბუნებრივი და კულტურულ-ისტორიული რესურსებს შეუძლიათ ჩამოყალიბდნენ რეგიონულ კლასტერად და შექმნან ერთობლივი ბრენდი. ამგვარი კონკურენტული პროდუქტის შექმნა კი ყველაზე შესაფერისია თემატური კლასტერების ჩამოყალიბებით, სადაც წინწამოწეული იქნება რეგიონისთვის ავთენტური და პრიორიტეტული ტურისტული პროდუქტები. საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე შესვლისას გადამწყვეტია სახელმწიფოს როლი ქვეყნის (რეგიონის) აღიარებასა და მისი ტურისტული პროდუქტების ბრენდის შექმნაში [Katsitadze N., Natsvlishvili I., 2020] ტურისტული რეგიონის ბრენდირების მიღწევის ყველაზე შესაფერის ფორმას კი წარმოადგენს ტურისტული კლასტერის ორგანიზება.

მაშასადამე, საქართველოს მთიანი რეგიონების უნიკალური ბუნებრივი პირობები, ადგილობრივი და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობა, მეურნეობის ტრადიციები, ფოლკლორის მრავალფეროვნება და სხვა, საფუძველს გვამძლევს რეკომენდაცია გავცეთ **შემდეგი თემატური კლასტერების და საპილოტე მოდელების დანერგვას:**

- **ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიული ტურიზმის კლასტერი.** მასში შესაძლებელია გაერთიანდნენ სურსათის ადგილობრივი მწარმოებლები და ღვინის საწარმოები, რომლებიც მომხმარებელს ტურისტულ და სასტუმრო სერვისებს შეთავაზებენ. აგრეთვე, რესტორნები და საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ადგილობრივი კულინარიული პროდუქციის რეალიზებას მოახდენენ, ასევე, ღვინის ბარები და სექტორული ასოციაციები;
- **ავთენტური სასტუმროების კლასტერი.** მასში შეიძლება მოიაზრებოდეს ის საოჯახო სასტუმროები, რომლებიც ვიზიტორებს უკვე სთავაზობენ, ან შესთავაზებენ დამატებით ტურისტულ სერვისებსა და გამოცდილებებს (სანახაობითი ტურები, სასიარულო და საწყლოსნო მარშრუტები, საექსკურსიო-შემეცნებითი ტურები, სათხილამურო და სალაშქრო ხეობები და სხვა) ავთენტურ გარემოში. ამის საფუძველს მთიანი რეგიონების უნიკალური ბუნებრივი პირობები და ადგილობრივი და მკვეთრად გამოხატული თვითმყოფადობა წარმოადგენს. აგრეთვე, მთიანი რეგიონების ცხოვრების წესი, მეურნეობის ტრადიციები, ფოლკლორის მრავალფეროვნება და სხვა;
- **კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი.** იგი გააერთიანებს ტურისტულ ბიზნესში არსებულ სხვადასხვა კონტრაგენტს, კერძოდ კი – ხელოსნებს, ხელოვანებს, ადგილობრივი კულინარიული და ხელნაკეთი პროდუქციის მწარმოებლებს, მუზეუმებს, დაცულ ტერიტორიებს, კურორტებსა და საკურორტო ადგილებს, ტურ-ოპერატორებს და გიდებს. ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ამ დაინტერესებული მხარეების საქმიანობა კი მეტად მნიშვნელოვანია თითოეული რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების განსავითარებლად.

საქართველოში მოგზაურთა პოპულარული აქტივობების სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვით ქართული სამზარეულოს და ღვინის დაგემოვნებას ირჩევს - 75.7%, ღვინის დაგემოვნებას - 51.6%, ზღვაზე, ტბაზე, მდინარეზე ცურვას - 36.5%, ბუნების, ლანდშაფტის მონახულება - 20,4%, გასართობ პარკში სტუმრობას - 17,1%, რელიგიური ადგილების მონახულება - 14.2%, ადგილობრივი ხელოვნების - 9.0%, კულტურა და სხვა - 30,6% [18], გვიდასტურებს ტურისტულ პროდუქტებზე მოთხოვნას, რომლის შეთავაზების მაღალი პოტენციალი გააჩნია საქართველოს მთიან მხარეებს და ზემოთ შემოთავაზებული თემატური კლასტერების შექმნის პრიორიტეტულობას.

ტურიზმის დინამიურ განვითარებას განაპირობებს სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეცნიერო-ტექნიკური ფაქტორების კომპლექსურობა. მაშასადამე საქართველოს მთიან რეგიონებს ტურისტული კლასტერების განვითარებისათვის მდიდარი და მრავალფეროვანი ტურისტული რესურსი, ამასთან, განხვავებულ სოციალურ-ეკონომიკური ფონი და განსხვავებული ტურიზმის განვითარების სიმჭიდროვის დონე გააჩნიათ. მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა რეგიონების მიხედვით დიფერენცირებული მიდგო-

მების და ამავე დროს ყველა დონეზე ლოგიკური კავშირის მქონე ტურიზმის სტრატეგიული განვითარების პროგრამების არსებობას ითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ, ჩვენი ქვეყნის მთიანი ნაწილების გამოკვლევის საფუძველზე უნდა განისაზღვროს:

1. თუ რა სახის თემატური კლასტერის განვითარებაა საჭირო სამიზნე მთიან რეგიონებში;
2. სახელმწიფოს როლი კლასტერების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესში. უნდა დადგინდეს, თუ როგორი უნდა იყოს იგი: კლასტერების ფორმირების პროცესის აქტიური მხარდაჭერა თუ არსებული, ბუნებრივად წარმოქმნილი, კლასტერების მხარდაჭერი გარემოს უზრუნველყოფა.

დასკვნა

სიღარიბისა და უმუშევრობა ისევ რჩება ჩვენი ქვეყნის დაუძლეველ პრობლემად მიუხედავად ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპისა. ამ მხრივ განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა რჩება მაღალმთიან რეგიონებში. ტურიზმმა საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაში არაერთგზის დადასტურა მისი განვითარების პროცესში სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და ადგილობრივ თემს შორის მჭიდრო თანამშრომლობით, ეკონომიკური აქტივობებისა და თვითდასაქმების ფართო შესაძლებლობები.

საქართველოს მთიანი რეგიონები, რომლებშიც მოიაზრება ჩვენი ქვეყნის დეპრესირებული მხარეები, თავიანთი ბუნებრივ-კლიმატური პირობების მრავალფეროვნებისა და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მხედველობაში მიღებით, უნდა იქნას გამოცხადებული პრიორიტეტად ჩვენი ქვეყნის თემატური ტურისტული კლასტერების განვითარების საქმეში. რისთვისაც თითოეული მათგანის ბრენდის შექმნა მოხდება მათი ავთენტური და ძირითადი ტურისტული პროდუქტების წინაწევით.

ამასთან, მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარების სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს რეგიონების განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური ფონისა და ტურიზმის განვითარების სიმწიფის დონის მიხედვით დიფერენცირებულ მიდგომებს თითოეული რეგიონის მიმართ და განისაზღვროს, იყოს ის პროაქტიული თუ პრორაქტიული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაღალმთიანი რეგიონების განვითარება: გამოწვევები და ცვლილებები., საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი., 07.04.2020 წ.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“;
3. საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=5>
4. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD)., Inclusive Growth Analytics Framework and Application., 2008;
5. ნ. ჭითანავა, საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების თავისებურებები და პერსპექტივები. ნაშრომში - „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“. თბ., 2010;

6. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგია;
7. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი) თბ., 2018;
8. ე. ბალიაშვილი, ერთხელ კიდევ საქართველოს მთიანეთის ტურისტული პოტენციალის შესახებ. პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი - ეკონომისტი #2; თბ., 2021;
9. UNIDO - გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაცია, კლასტერული განვითარების ძირითადი პრინციპები საქართველოში არსებული განვითარებადი და პოტენციური დამამუშავებელი მრეწველობის და აგრობიზნესის კლასტერები, თბ., 2020;
10. მ. პორტერი, კონკურენცია, მ. ვილიამსი, 2003.
11. Martin, R. and Sunley, P. “Deconstructing Clusters: Chaotic Concept or Policy Panacea?”, Paper presented at the Regional Studies Association Conference, London 21 November, 2001;
12. ე. ბალიაშვილი, ტურიზმის კლასტერიზაციის პერსპექტივები საქართველოში, ჟ. ეკონომიკა, თბ., 2016.
13. Katsitadze N., Natsvlshvili I., DEVELOPMENT OPPORTUNITIES OF MICE TOURISM IN DEVELOPING COUNTRIES: CASE OF GEORGIA. *International Journal of Business and Management Studies*, . ISSN: 2158-1479::06(01):163–170 (2017);
14. Fakhoury, I. N. “Creating Business Hubs and Destinations as a Means to Achieving Sustainable Economic Development through Public Private Partnerships”, Final Report, Eisenhower Fellowship – MNP 2002.
15. Bock B. (2006.) Introduction: Rural Gender Relations: Issues and Case Studies. Wallingford. CARY Publishing. pp.1-15
16. Katsitadze N., Vatsadze I., Methodological Recommendations for Forming and Developing Priority Directions of Racha Rural Tourism, თბ ., 2020;
17. საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023.;
18. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სტატისტიკური ანგარიშები 2018-2019 წლები.
19. Katsitadze N., Natsvlshvili I., The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia. *Eurasian Economic Perspectives*, 2020.

Nana Katsitadze

*Doctor of Technology, Professor of the TSU
Department of Tourism and Hospitality Management;*

Elisabed Baliashvili

*Doctor of Economics, Professor at the School of Business and
Technology of the David Aghmashenebeli*

University of Georgia;

Natella Tushishvili

PhD student School of business and technology, DAUG

THE WAY TO SAVE THE MOUNTAINOUS REGIONS OF GEORGIA IS THE CLUSTERING OF TOURISM!!!

Expanded Summary

The rapid development of tourism in Georgia and the benefits caused by it did not reach a significant part of the population of Georgia. In the mountainous regions of Georgia, the problem of unemployment and poverty is still acute, and the social assistance programs and redistribution schemes implemented by the government recently cannot solve the problem, and at the same time they are a heavy burden on the state budget. .

There are various mechanisms that help the country overcome poverty, including in the long term. In this regard, sustainable tourism is considered as an effective mechanism that will create opportunities for economic activity and self-employment for the socially vulnerable population

The article - "The way to save the mountainous regions of Georgia - is the clustering of tourism !!!" - as its title shows, discusses and justifies the need to open tourist clusters in the mountainous regions of Georgia.

The authors, arguing about the advantages of clusters for the development of tourism in the mountainous regions of Georgia, rely on the highly effective results that have been repeatedly proven in the practice of the tourist business and the development of destinations. In the field of multifaceted tourist activity, organizational and economic mechanisms characteristic of the cluster are considered important, such as the complexity of interrelated enterprises, the possibility of studying the situation from a systemic point of view, the implementation of all initiatives and business ideas. в виде кластерной стратегия, efficiency achievement of branding of the mountain-tourist region and others.

The article emphasizes the need to use innovative and differentiated management approaches to create inclusive development and sustainable tourism in the mountainous regions of Georgia, since the advantages of achieving success in the latest trends in the international tourism market emphasize the importance of not only the existence of rich tourist resources, but their optimal use in innovative management methods. From this point of view, taking into account the specifics of the mountain regions of Georgia, the authors recommend the creation of tourist clusters of different shapes and themes in the mountain regions of Georgia - Racha-Lechkhumi, Svanetia, Adjara, Mtianeti, Samtskhe-Javakheti. , Mta-Tusheti, Khevsureti, Pshav and others

The article updates various forms of cluster development of rural tourism, for example, community partnerships around wine, "wine villages", "nature and health",

"recreational tourism", "traditional gastronomy" and others, the development potential of which is the majority of mountain რაიონთაში Грузии.

The authors of the article positively assess the development of three clusters focused on the Georgian tourism market and the introduction of pilot models in the Imereti and Kakheti regions, but at the same time criticize the government for that none of the listed regions belong to the highlands, which have less attractive tourist-recreational resources for the development of tourist clusters than the other sides. Moreover, along with natural conditions in the highlands of Georgia, local and pronounced identity can be used as a resource.

The authors of the paper recommend the introduction of thematic clusters and pilot models to save the Georgian highlands. In particular, based on the study of each highland side to be done with a differentiated approach introduce thematic clusters and pilot models such as: 1. Cluster of local wine and gastronomic tourism; 2. Cluster of authentic hotels; 3. Cultural Heritage Cluster.

The mountainous regions of Georgia have a rich and diverse tourist resource for the development of tourist clusters, as well as different socio-economic backgrounds and different levels of tourism development maturity, which requires differentiated approaches by region and at the same time the presence of strategic tourism development programs with logical connections at all levels. . Based on the above, the state faces two questions: a) which cluster to promote in each region and b) determine what its role will be in this direction, proactive or reactive

Keywords: mountainous regions. inclusive development, tourism cluster, Pilot model.

ჯანდაცვის ეკონომიკა – ECONOMIC OF HEALTHCARE

თენგიზ ვერულავა

მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;

ავთანდილ ჯორბენაძე

მედიცინის დოქტორი, ჩაფიძის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ჰოსპიტალური სექტორის რეფორმა საქართველოში

ანოტაცია. ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესი, რომელიც დაიწყო 1995 წელს, ითვალისწინებდა სტაციონარული მომსახურების ოპტიმიზაციას, რაც მოითხოვდა ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტურ მართვას. სამედიცინო ორგანიზაციების დეცენტრალიზაციის მიზნით, საავადმყოფოებს მიენიჭათ მართვის სრული თავისუფლება. ისინი თავად გახდნენ პასუხისმგებელნი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე და საავადმყოფოს რესურსების მოხმარებაზე. სამედიცინო ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ტვირთი გადანაწილდა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. საავადმყოფოების ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსება შეიცვალა მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსებით, რაც გულისხმობდა სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანდაცვის მუშაკის საქმიანობის ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მნიშვნელობის ადეკვატურად. საავადმყოფოების დაფინანსების ახალი სისტემის შექმნისას არჩევანი შეჩერდა დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების, ე.წ. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მოდელზე, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოში აღიარებული ხარჯ-ეფექტური მეთოდის, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების პრინციპებს. შემუშავდა ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის გეგმარომელიც გულისხმობდა სექტორის სამ ჯგუფად დაყოფას: A ჯგუფის საავადმყოფოები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო, B ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გადასულიყო კერძო საკუთრებაში, თუმცა მათ უნდა შეენარჩუნებინათ სამედიცინო პროფილი 10 წლის ვადით და C ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გაყიდულიყო როგორც უბრალოდ უძრავი ქონება. ჰოსპიტალური რეფორმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას, რაც გაზრდიდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენციას და შესაბამისად, ხელს შეუწყობდა პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

საკვანძო სიტყვები: საავადმყოფო, ჯანდაცვის რეფორმა, საავადმყოფოს დაფინანსება

რეფორმამდელი პერიოდი

საბჭოთა პერიოდში საავადმყოფოების დაგეგმვა, ადმინისტრირება და დაფინანსება ხორციელდებოდა მკაცრად ცენტრალიზებულად და სრულიად უარყოფდა განვითარების ეკონომიკურ მოტივაციას. ყველა საავადმყოფო იყო სახელმწიფო საკუთრებაში. ისინი ფინანსდებოდნენ ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსების საფუძველზე და დამოკიდებული იყო საავადმყოფოს სიმძლავრეზე, პერსონალის რაოდენობასა და საწოლთა ფონდზე. დაფინანსების ეს მეთოდი განაპირობებდა რესურსების მართვისა და დაგეგმარების მოუქნელობას. დანახარჯის თითოეული მუხლის მკაცრად განსაზღვრის გამო, საავადმყოფოს არ ჰქონდა უფლება ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, სამედიცინო მომსახურების სახეობებს შორის მოეხდინა რესურსების გადანაწილება. დაფინანსების გაზრდის მიზნით სამედიცინო დაწესებულება დაინტერესებული იყო გაეზარდა პერსონალის და საწოლების რაოდენობა, რაც ამცირებდა სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

დაფინანსების არსებული სისტემის პრობებში სამედიცინო პერსონალს არ ჰქონდა სამედიცინო მომსახურების მაღალი ხარისხით გაწევის სტიმული. მოძველებული კლინიკური პრაქტიკის შედეგად სისტემა არ ახდენდა მოსახლეობის საჭიროებებზე სათანადო რეაგირებას (Figueras და სხვ, 2005).

ამავე დროს, ერთმანეთისაგან არ იყო გამოყოფილი სამედიცინო დახმარების მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება) და დამფინანსებელი (ჯანდაცვის სამინისტრო), ანუ ჯანდაცვის სამინისტრო წარმოადგენდა როგორც სამედიცინო მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებელს, ასევე შემსყიდველს, რაც ამცირებდა ჯანდაცვის ხარჯებზე მონიტორინგის და შესაბამისად ხარჯების შეკავების სტიმულს (Grielen და სხვ. 2000).

საბჭოთა ჯანდაცვის სისტემა ორიენტირებული იყო ჰოსპიტალურ სექტორის განვითარებაზე და შედარებით ნაკლები აქცენტი კეთდებოდა ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და პრევენციაზე, პირველადი ჯანდაცვის სისტემის როლის ზრდაზე. პირველადი ჯანდაცვის სისტემის არასათანადოდ განვითარების გამო სამედიცინო მომსახურება ძირითადად მიეწოდებოდა საავადმყოფოებისა და სპეციალიზებული პოლიკლინიკების საშუალებით. აქედან გამომდინარე, რესურსის უმრავლესობა ნაწილდებოდა ჰოსპიტალურ სექტორზე, სადაც მუშაობდნენ ექიმ-სპეციალისტები. სისტემის წარმატებით ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად ითვლებოდა გატარებული საწოლ-დღეების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, იწვევდა სწრაფვას საწოლებისა და ექიმ-სპეციალისტების სიჭარბისაკენ. ყოველივე აღნიშნული უარყოფითად მოქმედებდა სამედიცინო მომსახურების ხარისხზე.

საბჭოური ჯანდაცვის სისტემისაგან საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო საავადმყოფოთა ჭარბი რაოდენობა, რომელთა საწოლთა ფონდი მაშინდელ ნორმებთან შედარებითაც კი მაღალი იყო (გამყრელიძე და სხვ. 2002). საბჭოთა ჯანდაცვის სისტემას აინტერესებდა არა იმდენად პაციენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მისი პრობლემების გადაჭრა, არამედ საავადმყოფოების ქსელის ხელოვნური გაფართოება. საბჭოთა პერიოდში საქართველოში სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა თითქმის 9-ჯერ გაიზარდა (ნახატი 1). 1988 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 402 საავადმყოფო. სტაციონარული დაწესებულებების 100 000 მოსახლეზე უზრუნველყოფის მაჩვენებელი 7.1-მდე გაიზარდა (ნახატი 2). საქართველოს ჰქონდა საავადმყოფო საწოლების ძალიან დიდი ფონდი. 1990 წელს საწოლთა


რაოდენობა შეადგენდა 55190-ს (ნახატი 3), ხოლო საწოლთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 984-ს (ნახატი 4).

1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის და სამოქალაქო ომების შედეგად განპირობებულმა ღრმა კრიზისმა დამანგრეველი გავლენა მოახდინა საავადმყოფოების ქსელზე. მოსახლეობის უმრავლესობისათვის ჰოსპიტალური მომსახურება ფინანსურად ხელმიუწვდომელი გახდა. არაიშვიათად, პაციენტები მძიმე დიაგნოზის დადგენის მიუხედავად, არ წვებოდნენ საავადმყოფოში. შესაბამისად, საავადმყოფოებში მიმართვების მნიშვნელოვანი კლების გამო მკვეთრად შემცირდა საწოლთა დატვირთვა. მისი მაჩვენებელი 1980-იანი წლების მაჩვენებლების ერთი მესამედი შეადგინა (WHO, 2001). თუ 1988 წელს ყოველ 100 სულ მოსახლეზე ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 15.8-ს შეადგენდა, 2000 წელს ის 4.6-მდე შემცირდა.

1994 წლისათვის საწოლთა დატვირთვის მაჩვენებელი საშუალოდ 28%-ს შეადგენდა, აქედან 100-ზე მეტ საავადმყოფოში ეს მაჩვენებელი 10%-ს არ სცდებოდა, რაც ძალიან დაბალია ევროპის ქვეყნებთან შედარებით. ამავ დროს, საავადმყოფოში დაყოვნების ხანგრძლივობა შეუსაბამოდ დიდს შეადგენდა (13.1 დღე), განსაკუთრებით ფსიქიატრიულ საწოლებზე (124 დღე).

ნახატი 1


სტაციონარული დაწესებულებების რაოდენობა. საქართველო 1913-2014 წ.



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

ნახატი 2


სტაციონარული დაწესებულებების 100 000 მოსახლეზე უზრუნველყოფის მაჩვენებელი. საქართველო 1913-2014 წ.



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი


ნახატი 3

საწოლთა ფონდი. საქართველო 1913-2014 წ.



ნახატი 4


საწოლთა ფონდის უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე. საქართველო 1913-2014 წ.



წყარო: ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ცენტრი. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი.


ნახატი 5

საწოლთა (გარდა გრძელვადიანი ზრუნვისა) დატვირთვის მაჩვენებელი საქართველო 1980-2014 წ.



წყარო: OECD Health Statistics 2015, <http://dx.doi.org/10.1787/health-data-en>.

საწოლზე დაყოვნების მაჩვენებელი საქართველო 1995-2014 წ.



წყარო: დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

საბჭოური ჯანდაცვის სისტემისათვის საავადმყოფოთა ჭარბ რაოდენობასთან ერთად დამახასიათებელი იყო საექიმო კადრების სიჭარბე. საქართველოში ექიმთა უზრუნველყოფის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მსოფლიოში, რაც ხარისხის ნაცვლად ჯანდაცვის სისტემის ექსტენსიური გზით განვითარებაზე მიუთითებდა. ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული იყო 120 ათასზე მეტი ადამიანი. 1990 წელს მოსახლეობის 1000 სულზე მოდიოდა 5.2 ექიმი, მაშინ როცა ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს მაჩვენებელი 3.9-ს, ევროგაერთიანებაში – 3.1-ს (საფრანგეთში - 2,6-ს, იტალიაში - 2,2-ს,) შეადგენდა, ხოლო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - 2.4-ს (Chanturidze et al. 2002), აშშ-ში - 2,8-ს, იაპონიაში - 2,1-ს.

საავადმყოფოების ტექნოლოგიური და მატერიალური ფუნდამენტი მოძველებული იყო. სიძველის გამო საავადმყოფოების შენახვა დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, მწვავედ დადგა საავადმყოფოების შენობების შენარჩუნების და აღჭურვილობით უზრუნველყოფის პრობლემა. საავადმყოფოების ნახევარზე მეტი 1940 წლამდე იყო აშენებული (ჯორბენაძე, 2021). ამასთან, სახელმწიფო არსებულის განახლებისა ან თუნდაც შენარჩუნების ნაცვლად გამოყოფდა სახსრებს ახალი ობიექტების ასაშენებლად. 1980-იან წლებში დაწყებული ახალი სამედიცინო დაწესებულებებიდან, 1988 წელს 115 ობიექტი ჯერ კიდევ მშენებარე იყო, რომელთა დასრულება ვერ მოხერხდა საჭირო სახსრების უქონლობის გამო (Gzirishvili & Mataradze, Roeder და სხვ. 2014).

საავადმყოფოების უმრავლესობაში არ არსებობდა აუცილებელი პირობები, არ იყო უზრუნველყოფილი საიმედო ელექტროენერგიით, წყლით და გათბობით მომარაგება. ელექტროენერგიის ხშირი გათიშვების გამო ზოგჯერ ადგილი ჰქონდა პაციენტთა საოპერაციო მაგიდაზე სიკვდილის შემთხვევებს. აღჭურვილობა ხშირად შესაკეთებელი და გამოუსადეგარი იყო დენის, სათადარიგო ნაწილების, რენტგენის ფირების თუ რეაგენტების უქონლობის გამო. ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები ვერ ხორციელდებოდა ფინანსური მხარდაჭერის არარსებობის გამო.

სახელმწიფომ ჩაატარა საავადმყოფოების ინფრასტრუქტურის დეტალური შეფასება, რომლის თანახმადაც შენობების 90% არ იყო უსაფრთხო, სამედიცინო აღჭურვილობის 80%-ზე მეტი მოძველებული იყო და შეცვლას საჭიროებდა (გზირიშვილი, 2012). საავადმყოფოების მინიმალურ სტანდარტამდე რეაბილიტაციას

დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო სრულ განახლებამდე – 200 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ესაჭიროებოდა მაშინ, როცა ჯანდაცვის სახელმწიფო ბიუჯეტი წელიწადში 35 მილიონ აშშ დოლარს არ აღემატებოდა, ხოლო ქვეყნის მთლიანი ბიუჯეტი დაახლოებით 600 მილიონი აშშ დოლარს შეადგენდა (გზირიშვილი, 2012).

ჰოსპიტალური რეფორმა

ჯანდაცვის სისტემის რეორიენტაციის პროცესი დაიწყო 1995 წლის 10 აგვისტოდან. მის უმთავრეს მიზანს შეადგენდა სისტემაში თვისებრივად ახალი ურთიერთობების დამკვიდრება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებთან. უპირატესი აქცენტი გაკეთდა პირველადი და პროფილაქტიკური ჯანდაცვის განვითარებაზე. იგი გულსხმობდა სტაციონარული მომსახურების დიდი ნაწილის გადანაცვლებას ამბულატორიულ დაწესებულებებში (ჯორბენაძე, 2021). რეფორმა ითვალისწინებდა სტაციონარული მომსახურების რაციონალიზაციას, რაც შეამცირებდა საავადმყოფო საწოლების რაოდენობას, ჰოსპიტალიზაციის კოეფიციენტს და დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობას. საავადმყოფო სისტემის ოპტიმიზაცია მოითხოვდა ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტურ მართვას, რაც განაპირობებდა ზოგიერთი საავადმყოფოს ფუნქციების გადანაწილებას, საწოლთა შემცირებას ან გაუქმებას.

საავადმყოფოს რეფორმირებას წინ უსწრებდა სამედიცინო პროფესიული ასოციაციების, ექიმების, ეკონომისტების, ჯანდაცვის ექსპერტების, სამედიცინო საზოგადოების გარკვეული წრეების, განხილვები, დისკუსიები. მათმა ჩართულობამ დიდად განსაზღვრა ჰოსპიტალური რეფორმის მტკიცენიული პროცესისადმი ვართო საზოგადოების შედარებით გაგებით დამოკიდებულება.

სამედიცინო ორგანიზაციების დეცენტრალიზაცია

რეორიენტაციის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა სამედიცინო ორგანიზაციების დეცენტრალიზაცია. საავადმყოფოებს მიენიჭათ მართვის სრული თავისუფლება. ისინი თავად გახდნენ პასუხისმგებელნი სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე და საავადმყოფოს რესურსების მოხმარებაზე. საავადმყოფოებს შესაძლებლობა მიეცათ თვითონ გადაწყვიტონ საკუთარი კადრების განაწილება მოქმედი წესების საფუძველზე. საავადმყოფოს მენეჯერებს მეტი ავტონომია მიეცათ თანამშრომლების შრომის ანაზღაურების განსაზღვრისას და სხვა საფინანსო სახსრების განკარგვაში. უნდა შექმნილიყო მრჩეველთა საბჭოები საავადმყოფოების მართვაში მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვის მიზნით. გათვალისწინებული იყო საავადმყოფოთა საინფორმაციო სისტემების განვითარება, რომლებიც გამოყენებულ იქნებოდა სწორი დაგეგმარებისა და მინიტორინგის წარმართვაში, ფინანსური და ტექნიკური რესურსების რაციონალურ მოხმარებაში.

დეცენტრალიზაციის მიზნით, სამედიცინო ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების ტვირთი გადანაწილდა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. შეიქმნა ჯანდაცვის ადგილობრივი ფონდები, რომლებიც შემოსავლებს ღებულობდნენ მუნიციპალური ბიუჯეტებიდან. შენატანები ჯანდაცვის ადგილობრივ ფონდებში წარმოადგენდა გასაშუალოებულ მაჩვენებელს მოსახლეობის ერთ სულზე, რომელიც დამოკიდებული იყო მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე. მმართველობის ადგილობრივი ორგანოებს ადგილობ-

რივი ბიუჯეტიდან ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დასაფინანსებლად მოსახლეობის ერთ სულზე უნდა გამოეყოთ მინიმუმ 2,5 ლარი და არანაკლებ 10%-ისა მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილისა. მუნიციპალიტეტებს უფლება ჰქონდათ გაეზარდათ აღნიშნული თანხა, თუ მათი ბიუჯეტი ამის საშუალებას იძლეოდა. ამგვარად, მუნიციპალიტეტებს, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, დაეკისრათ თავიანთი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზრუნვა. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების ოპტიმალურად შედგენა და მათი ეფექტიანი განხორციელება დიდად განსაზღვრავდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნებას და განმტკიცებას.

სავადმყოფოს შემოსავლები

1995 წელს საქართველოში დაწყებული ჯანდაცვის რეფორმის შედეგად რადიკალურად შეიცვალა ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი ე.წ. საბჭოური ტიპის მკაცრად ცენტრალიზებული, სახელმწიფო დაფინანსების მოდელი. სავადმყოფოების ბიუჯეტურ-მუხლობრივი დაფინანსება შეიცვალა მიზნობრივ-პროგრამული დაფინანსებით. ახალი სისტემა გულისხმობდა სამედიცინო დაწესებულებისა და ჯანდაცვის მუშაკის საქმიანობის ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მნიშვნელობის ადექვატურად.

მხოლოდ ერთი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ნაცვლად, რეფორმის შედეგად სავადმყოფოებმა შემოსავალი მიიღეს ხუთი ძირითადი წყაროდან:

1. სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიისა და ჯანდაცვის სამინისტროსაგან - იმ პაციენტთა მომსახურებისათვის, რომლებიც დაფარულია ფედერალური სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით.

2. მუნიციპალური ფონდებისგან - იმ პაციენტთა მომსახურებისათვის, რომლებიც ჩართულია მუნიციპალურ პროგრამებში.

3. თანაგადახდები - იმ პაციენტებისგან, რომლებიც იხდიან მუნიციპალური ჯანდაცვითი პროგრამებით გათვალისწინებულ თანაგადახდას. თანაგადახდა მუნიციპალურ პროგრამებში ვარირებდა მუნიციპალიტეტების მიხედვით მუნიციპალური სტანდარტის 15-დან 50%-მდე.

4. შიდა სტანდარტები - იმ სავადმყოფო სერვისებისათვის, რომლებიც არ არის შესული ფედერალურ და მუნიციპალურ ჯანდაცვით პროგრამებში.

5. სხვა საშემოსავლო საქმიანობა - ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან, რომლებიც სავადმყოფოებს უხდიან გადასახადს სწავლების, შენობის ფართობის იჯარით გაცემა და სხვა არასამედიცინო საქმიანობისათვის.

ჩატარებული კვლევის მიხედვით, სავადმყოფოების დაფინანსების უმთავრეს წყაროს შეადგენდა ცენტრალური სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამები (54.2%), შემდეგ მოდის მუნიციპალური ფონდები (20.3%), ხოლო პაციენტების მიერ უშუალოდ გადახდილი ანაზღაურებამ შეადგინა 14.2% (ზოიძე და სხვ. 1999).

დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების მეთოდის დანერგვა

სავადმყოფოების დაფინანსების ახალი სისტემის შექმნისას არჩევანი შეჩერდა დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების, ე.წ. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მოდელზე, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიოში აღიარებული ხარჯ-ეფექტური მეთოდის, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების 90

პრინციპებს, სადაც დიაგნოზით მსგავსი დაავადებები გაერთიანებულია ერთ ნოზოლოგიურ ჯგუფში.

დიაგნოზთან შექიდიული ჯგუფებით (Diagnosis-Related Groups – DRG) საავადმყოფოს დაფინანსების მეთოდი პირველად დაინერგა აშშ-ში 1983 წელს და ფართოდ დაინერგა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ 1995 წელს საქართველოში დაწყებული ჯანდაცვის რეფორმის შედეგად სამედიცინო ორგანიზაციების სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მოდელის შემოღება, რომელიც ითვალისწინებდა დიაგნოზთან შექიდიული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების პრინციპებს, ეხმიანებოდა მსოფლიოში ჯანდაცვის ეკონომიკის სფეროში აღიარებულ უახლოეს მიღწევებს.

დაფინანსების ახალი მეთოდი გულისხმობდა საავადმყოფოს დაფინანსების რადიკალურ რეფორმირებას. საავადმყოფოს ბიუჯეტურ-მუხლობრივი არაეფექტიანი საბჭოთა დაფინანსების ნაცვლად, ახალი მოდელით საავადმყოფოების დაფინანსება ხორციელდებოდა პაციენტების დიაგნოზებზე დაფუძნებული, წინასწარ დადგენილი და განფასებული სამკურნალო სტანდარტების მიხედვით.

დიაგნოზით მსგავსი დაავადებები (მაგალითად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები) გაერთიანდა ერთ ნოზოლოგიურ ჯგუფში. სახელმწიფომ დაადგინა თითოეული ჯგუფის აუცილებელი სამკურნალო-დიაგნოსტიკური ღონისძიებების მოცულობა, თანხლები დაავადებები, ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა. თითოეული დაავადებების (დიაგნოზით მსგავსი) ფაქტიური ხარჯების საფუძველზე დადგინდა თითოეული ნოზოლოგიური ჯგუფის საშუალო ხარჯი.

თითოეული სახის სამედიცინო მომსახურება განფასებული იყო წინასწარ განსაზღვრული სტანდარტული სამედიცინო ჩარევის მოცულობის მიხედვით. ამ მომსახურების ფასი დამოკიდებული იყო სამედიცინო პერსონალის მომსახურების ობიექტურად საჭირო მოცულობაზე, დიაგნოსტიკურ და ლაბორატორიულ გამოკვლევების რაოდენობაზე, „საჭირო“ მედიკამენტების და სამედიცინო მასალების ღირებულებაზე. ამის გარდა, ამ სტანდარტულ ფასში ასევე შედიოდა გარკვეული არაპირდაპირი ხარჯებიც, რომლებიც დამოკიდებული იყო სტანდარტით განსაზღვრული სრულფასოვანი მკურნალობისათვის საჭირო საწოლდღეების რაოდენობაზე. სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტებით დაფინანსების მეთოდში გათვალისწინებული იყო ქვეყნის გეოგრაფიული დაყოფა (ქალაქი, რაიონი), სამედიცინო დაწესებულების დონე (ზოგადი პროფილის საავადმყოფო, რეგიონული, ქალაქის და რაიონული საავადმყოფოები).

ამგვარად, სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტები აგებული იყო მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით დაფინანსების მეთოდზე (DRG). ჯანდაცვის დაფინანსების ამ მნიშვნელოვანმა ინოვაციის ყველაზე უფრო დიდი გარდატეხა მდგომარეობდა იმაში, რომ დაფინანსების ახალმა სისტემამ სრულიად შეცვალა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს (სავადმყოფოები და ექიმები) და დამფინანსებლებს შორის საბჭოთა პერიოდში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ბალანსი. ჰოსპიტალური ინდუსტრიის ძალაუფლება დაბალანსდა სახელმწიფოს რეგულირების მექანიზმებთან. სამწუხაროდ, 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტების გამოყენება შეწყვეტილი იქნა, რაც დღემდე გრძელდება. ამ მხრივ, სასურველი იქნებოდა ჯანდაცვის სამინისტროს შეესწავლა სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტების საქართველოს გამოცდილება.

საავადმყოფოების ოპტიმიზაცია

ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვნად შემცირდა საავადმყოფოების რაოდენობა. რეფორმების შედეგად 2003 წლისათვის მათი რაოდენობა 274-მდე შემცირდა (შედარებისათვის, 1991 წელს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 390 საავადმყოფო). საწოლთა ფონდი 55190-დან 18151-მდე, ანუ თითქმის სამჯერ შემცირდა. მიუხედავად შესამჩნევი მნიშვნელოვანი შემცირებისა, საწოლთა რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც მაღალი რჩება (2003 წელს საწოლთა უზრუნველყოფის მაჩვენებელი - 419.3 საწოლი 100000 სულ მოსახლეზე). საწოლთა რიცხვი განსაკუთრებით მაღალს შეადგენდა თბილისსა და ფოთში - 723.3 და 840.9 საწოლი 100000 სულ მოსახლეზე (2000 წლის მონაცემებით) (გამყრელიძე და სხვ. 2002). საავადმყოფოს საწოლების გარკვეული შემცირების მიუხედავად, ვერ მოხერხდა მათი რიცხვის ოპტიმალურ მნიშვნელობამდე დაყვანა.

ჯანდაცვის რეფორმის შედეგად მკვეთრად შემცირდა საავადმყოფოებში დაყოვნების მაჩვენებელი. კერძოდ, დაყოვნების მაჩვენებელი 1991 წლიდან 2003 წლების პერიოდში 15.3-დან 9.3-მდე შემცირდა. დაყოვნების შემცირება დაკავშირებულია საავადმყოფოს დაფინანსების ახალი მეთოდების შემოღებით. იმის გამო, რომ ანაზღაურდება საწოლ დღეების მხოლოდ წინასწარ დადგენილი ოდენობა, მცირდება სტაციონარში პაციენტის ხანგრძლივად დაყოვნების მოტივაცია (ზოიძე და სხვ. 1999). გარდა ამისა, საავადმყოფოში გატარებული ყოველი დამატებითი დღის სიძვირე ამცირებს პაციენტის სტაციონარში მეტი ხნით გაჩერების სურვილს.

ამგვარად, საავადმყოფოების ანაზღაურების ახალმა მეთოდებმა დადებითი გავლენა იქონიეს საავადმყოფოების და პაციენტების მოტივაციაზე რაციონალურად მოიხმარონ მწირი რესურსები.

ჰოსპიტალების რესტრუქტურისა, საკუთრების მრავალი ფორმების განვითარების ხელშეწყობა

საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ 1994 წელს მიიღო ნორმატიული აქტი სამედიცინო დაწესებულებების პრივატიზაციის შესახებ. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 30 ივნისის N390 დადგენილების საფუძველზე, ჯანდაცვის სამინისტროში შეეშუშადა და ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმდა ჯანდაცვითი დაწესებულებების პრივატიზაციის პროგრამა. პირველ ეტაპზე უნდა განხორციელებულიყო ფარმაცევტული დაწესებულებების, სტომატოლოგიური კაბინეტების, სამედიცინო რეაბილიტაციისა და სამედიცინო სერვისის დაწესებულებათა პრივატიზება, ხოლო მეორე ეტაპზე - სტაციონარების.

გეგმაში დეტალურად იყო გაწერილი როგორც ჰოსპიტალური სექტორის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, ამასთანავე წარმოდგენილი იყო ჰოსპიტალური სექტორის პრივატიზაციის გეგმა. აღნიშნული გეგმა გულისხმობდა სექტორის სამ ჯგუფად დაყოფას: A ჯგუფის საავადმყოფოები სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო, B ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გადასულიყო კერძო საკუთრებაში, თუმცა მათ უნდა შეენარჩუნებინათ სამედიცინო პროფილი 10 წლის ვადით და C ჯგუფის საავადმყოფოები უნდა გაყიდულიყო როგორც უბრალოდ უძრავი ქონება (პროფილის შენარჩუნების ვალდებულების გარეშე).

ჰოსპიტალური რეფორმა ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმების, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო

მომგებიანი და არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობას. ამით, გაიზრდებოდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობდა პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

საქართველოში სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის მრავალი ფორმების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 1996 წლის 16 სექტემბერს დაფუძნდა ჯო ენის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, როგორც ბავშვთა კარდიოლოგიის და გულის თანდაყოლილი მანკების სადიაგნოსტიკო და სამკურნალო დაწესებულება. იგი წარმოადგენდა ჯო ენის სამედიცინო ცენტრი არის საქართველოში პირველ „ააიპ“ იურიდიული სტატუსის მქონე, არაკომერციულ, არამომგებიან სამედიცინო ორგანიზაციას.

ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაცია რეალურად 1999 წლიდან დაიწყო. მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა საქართველოსთვის „ჰოსპიტალების რესტრუქტურირების პროგრამა“, რომლითაც განისაზღვრა, თუ რომელ საავადმყოფოებს უნდა გაეგრძელებინათ ფუნქციონირება და რომლებს უნდა შეეწყვიტათ ან შესულიყვნენ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში (ჯორბენაძე, 2021).

მსოფლიო ბანკის გეგმაში ერთ-ერთი მთავარი პუნქტის თანახმად უნდა შექმნილიყო სპეციალური სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული იურიდიული საკითხების დარეგულირებას და “ჰოსპიტალური სექტორის რესტრუქტურირების ფონდის” ადმინისტრირებას. ფონდში ჩაირიცხებოდა B ჯგუფის საავადმყოფოების პრივატიზაციიდან მიღებული თანხები, რაც შემდგომში ჯანდაცვის სფეროს ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის განახლებისთვის იქნებოდა გამოყენებული. ასევე, გათავისუფლებული მედპერსონალისთვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდას. 2000 წელს იქმნება საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურირების ფონდი, სადაც გროვდება აქტივების გაყიდვითა და იჯარიდან შემოსული თანხები, რომელიც შემდგომ პრიორიტეტული დაწესებულების რეაბილიტაციას ხმარდება. მოგვიანებით სოციალური და ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტთან ერთად ფონდი შეერწყა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელ ცენტრს (2006 წელს).

საქართველოს მთავრობას დახმარება “ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომაც” (USAID) გაუწია. რომელიც ძირითადად საავადმყოფოების აკრედიტაციის სისტემის შემუშავების პროცესებზე იყო ორიენტირებული. პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოს ფინანსურ და ექსპერტულ დახმარებას უწევდნენ.

ჰოსპიტალური სექტორის ოპტიმიზაციისთვის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ათწლიანი სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებდა საწოლთა ფონდის მკვეთრ შემცირებას და ამ გზით, იმ ჭარბი რესურსისგან გათავისუფლებას, რომელიც მას საბჭოთა კავშირის შემდეგ დარჩა (გეგმის შესრულების შემდეგ, 20 000 საწოლიდან 13 000 უნდა დარჩენილიყო). გარდა ამისა, ზედმეტი აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავლით (პროგნოზი შეადგენდა 56 მილიონ აშშ\$-ს) უნდა მომხდარიყო დარჩენილი საავადმყოფოების სრული რეაბილიტაცია (გზირიშვილი, 2012).

პრობლემები

ჯანდაცვის რეორიენტაციის შედეგად გაიზარდა სამედიცინო ორგანიზაციების დაფინანსება, რადგან ყოველწლიურად იზრდებოდა ჯანდაცვის მუნიციპალური და სავალდებულო ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების რაოდენობა და მოცულობა.

მიუხედავად მიღწევებისა, ჰოსპიტალური სექტორის რეფორმირება მოსალოდნელზე მეტად რთული აღმოჩნდა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოში მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან. მუდმივი ეკონომიკური კრიზისების გამო, სახელმწიფო ხშირად ვერ ახდენდა დაპირებული ვალდებულებების დაფინანსებას და შედეგად, საავადმყოფოები განიცდიდნენ დაფინანსების ქრონიკულ დეფიციტს, მაგალითად, 1999 წელს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიამ მიიღო თავისი დამტკიცებული ბიუჯეტის მხოლოდ 64,2%. ასევე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სრულად ვერ ახორციელებდნენ ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების დაფინანსებას. 1997 წელს 65 რაიონიდან და ქალაქიდან 62-მა დაარღვია „1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მოთხოვნები. ანალოგიური ვითარება იყო როგორც წინა, ასევე შემდგომ წლებში. შედეგად, სამედიცინო ორგანიზაციებს სრულად არ აუნაზღაურდათ ფედერალური და მუნიციპალური პროგრამებით შესრულებული სამუშაო, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა მათი ისედაც რთული ფინანსური მდგომარეობა.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ახალი მთავრობის მიერ შემუშავებული "ასი საავადმყოფოს" პროექტის მიხედვით, უნდა განხორციელებულიყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ყველა საავადმყოფოს (მაშინდელი მდგომარეობით 266 საავადმყოფო) პრივატიზაცია პირდაპირი მიყიდვის წესით. კერძო ინვესტორებს დაეკისრათ ვალდებულება, რომ საავადმყოფოები ამუშაონ მინიმუმ შვიდი წლის განმავლობაში. შვიდი წლის შემდეგ მათ ეძლეოდათ უფლება, რომ საავადმყოფოების შენობა-ნაგებობები და შესაბამისი ტერიტორიები სხვა დანიშნულებით გამოეყენებინათ. დაგეგმილი რეფორმა ვერ განხორციელდა რეგიონებში კერძო ინვესტორების ნაკლები დაინტერესების გამო. 2010 წელს კი მთავრობამ საავადმყოფოები კერძო სადაზღვევო კომპანიებს გადასცა, იმ პირობით, რომ მათ უნდა განეახლებინათ ან აეშენებინათ თანამედროვე დონის საავადმყოფოები. გამომდინარე იქიდან, რომ ერთ მუნიციპალიტეტში ერთი სადაზღვევო კომპანია იყო წარმოდგენილი, გაქრა სადაზღვევო ბაზრისათვის აუცილებელი სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენცია. კონკრეტული სადაზღვევო კომპანიები „კანონიერ“ მონოპოლისტებად გადაიქცნენ შესაბამის რაიონში. გარდა ამისა, დაზღვეულს ჩამოერთმევა არა მარტო სადაზღვევო კომპანიის, არამედ მისთვის სასურველი სამედიცინო ორგანიზაციის არჩევის უფლება, რადგან პაციენტი იძულებული ხდება შემოიფარგლოს მხოლოდ მის რაიონში მოქმედი სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით, რომელსაც ეს სადაზღვევო კომპანია განახორციელებს თავისივე საკუთრებაში მყოფ კლინიკაში. ხაზგასასმელია, რომ ამით ირღვეოდა „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-5, მე-7 და მე-8 მუხლები“ (ვერულავა, 2014; ვერულავა, 2016). მონოპოლიების არსებობა ერთის მხრივ ხელს უწყობს სამედიცინო მომსახურებებზე ფასების ზრდას, მეორეს მხრივ საფრთხეს უქმნის მომსახურების ხარისხს და ზღუდავს სამედიცინო სერვისების თავისუფალი არჩევანის უფლებას.

იგივე გაგრძელდა 2012 წელს, ხელისუფლებაში მოსული ახალი პოლიტიკური პარტიის – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ გააუქმა სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მართვაში და მათ ნაცვლად სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების უზრუნველყოფის განხორციელება დაევალა სოციალური მომსახურების სააგენტოს, შეფერხდა საავადმყოფოების ოპტიმიზაციის პროცესი. ამის მაგალითია ბოლო წლებში სამედიცინო ბაზარზე მომრავლებული კლინიკები, რომელთა უმრავლესობის დაფინანსების უმთავრესი წყაროა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. თითქოს მხოლოდ იმიტომ შეიქმნენ რომ სახელმწიფოს ისედაც მწირი რესურსების ხარჯზე ეარსებათ, რაც სამართლიან ეჭვის იწვევს. სწორედ ასეთი „ახალგამომცხვარი“ წვრილი კლინიკების ზრდა და მათი ჩართვა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში განაპირობებს ჯანდაცვის სახელმწიფო ხარჯების ზრდას და პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტის ყოველწლიურ ათეულმილიონიან დეფიციტს.

სტატისტიკური ინფორმაციით, 2011-წლიდან 2018 წლის ჩათვლით კლინიკების რაოდენობა 229-დან 272-მდე გაიზარდა. დღეისათვის საქართველოში 1 მილიონ მოსახლეზე 79 კლინიკა ფუნქციონირებს, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია სხვა ქვეყნებთან შედარებით. ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნება.

ერთი მხრივ, კლინიკების რაოდენობა მოსახლეობის რიცხვთან მიმართებაში საჭიროზე ბევრად მაღალია. ამავდროულად, ჭარბი კლინიკების ფონზე არათანაბარია მათი სიმძლავრე და საწოლფონდის დატვირთვა, რომელიც დღეს მხოლოდ 47 %-ს უტოლდება, მაშინ, როდესაც საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად რენტაბელობის მაჩვენებელი მინიმუმ 80% უნდა იყოს. საწოლთა არასათანადო დატვირთვა ზრდის მომსახურების ხარჯს და ამცირებს ხარისხს, რადგან პატარა კლინიკების განვითარების და მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობა-დანადგარებში ინვესტიციების შესაძლებლობა დაბალია. ასევე გასათვალისწინებელია, რომ კლინიკების სიჭარბე ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს, რადგან თითოეულ საავადმყოფოს სჭირდება საკუთარი მენეჯერები, დამხმარე პერსონალი... კლინიკების სიჭარბე და დაბალი დატვირთვა ზრდის კომუნალური, ცვეთის და სხვა მსგავს ხარჯებს. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მომსახურების ფასის ხელოვნურ გაზრდას.

შემდგომმა მთავრობებმა უარი თქვეს 1995 წელს შემუშავებულ ჰოსპიტალური სექტორის რეორიენტაციის გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო ორგანიზაციების მესაკუთრეობის სხვადასხვა ფორმის კონკურენციას. ასევე, ამოღებულ იქნა 1995 წელს შექმნილი სამედიცინო ეკონომიკური სტანდარტები, რომელიც აგებული იყო მსგავსი დიაგნოზების ჯგუფებით დაფინანსების მეთოდზე (DRG). ამ მხრივ, სასურველი იქნებოდა ჯანდაცვის სამინისტროს შეესწავლა ჰოსპიტალური რეფორმების 1995-2003 წლების საქართველოს გამოცდილება.

რეკომენდაციები

ხარისხიანი და ხარჯეფექტური სერვისის მიღების ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყანაში აქტიური შესყიდვისა და სამედიცინო დაწესებულებების სელექტიური, ანუ შერჩევითი კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა. იგი გულისხმობს, რომ სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამის განსახორციელებლად კონტრაქტი იდება იმ სამედიცინო დაწესებულებებთან, რომლებიც ფუნქციონირებენ განსაზღვრული

სტანდარტებით. საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების სელექტიური კონტრაქტირება სამშობიარო სახლებიდან დაიწყო. აუცილებელია სელექციური კონტრაქტირების დანერგვა სხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებშიც.

ჯანდაცვის ხარჯების შეკავებაზე გავლენას ახდენს სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების დანერგვა: გლობალური ბიუჯეტი, დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფები (DRG). ამ დროს მცირდება სამედიცინო დაწესებულებისა და პერსონალის უარყოფითი სტიმული დაუსაბუთებელი ჰოსპიტალიზაციისა და ძვირადღირებული პროცედურების დანიშვნის ხარჯზე გაზარდოს თავისი შემოსავლები.

მიზანშეწონილია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა, სადაც პასუხისმგებლობა ჯანმრთელობაზე თანაბრად და სამართლიანად გადანაწილდება სახელმწიფოზე, დამქირავებელსა და დაქირავებულზე. სოციალური დაზღვევის სისტემა უკეთ უზრუნველყოფს ხარჯების შეკავებას და სისტემის გამჭვირვალობის ამაღლებას. სოციალური დაზღვევის სისტემა ხელს უწყობს ნებაყოფლობითი დაზღვევის შევსებითი ფორმების განვითარებას. იგი გულისხმობს სამედიცინო დახმარების იმ სახეების დაფინანსებას, რომლებიც საერთოდ არ შედიან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, ან შედის მაგრამ დამატებითი დაზღვევით პაციენტს სამედიცინო დახმარების მიმწოდებლების თავისუფალი არჩევანის უფლება აქვს, რაც ზრდის სერვისების სწრაფ ხელმისაწვდომობას (მაგალითად, გეგმიური სამედიცინო დახმარების ან სპეციალისტთან კონსულტაციის რიგგარეშე ჩატარება). ამ დროს, კერძო სამედიცინო დაზღვევის კომპანიები დაზღვეულებს სთავაზობენ როგორც მაღალი ხარისხით მომსახურებას, აგრეთვე მომსახურების განსაკუთრებულ პირობებს (ცალკე, კეთილმოწყობილ პალატაში მკურნალობა, რომელსაც აქვს ტელევიზორი და სხვა).

ქვეყანაში მოქმედი სამედიცინო განათლების სისტემა (დიპლომადელი განათლება, რეზიდენტურა, უწყვეტი სამედიცინო განათლება და პროფესიული განვითარება) საჭიროებს შემდგომ რეფორმირებას, რათა მოხდეს ჯანდაცვის სექტორში ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, ექიმების ახალი ნაკადის დაბალანსება და ექთნების როლის ამაღლება.

საჭიროა საკუთრების სხვადასხვა ფორმების, როგორც სახელმწიფო, მუნიციპალური, კერძო მომგებიანი, ასევე არამომგებიანი სამედიცინო ორგანიზაციების და კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის მოდელის განვითარების ხელშეწყობა. ამით, გაიზრდება სამედიცინო ორგანიზაციების საკუთრების ფორმებს შორის კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს პაციენტის მიერ მისთვის სასურველი, ფინანსურად ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულების არჩევის შესაძლებლობას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას და ჯანდაცვის ხარჯების შეკავებას.

რესურსების ხარჯთეფექტიანად გამოყენების უმთავრესი მექანიზმია ქვეყანაში გამართული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და ამ სერვისებზე მოთხოვნილების გაზრდა, რადგან ასეთ სისტემაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პრევენციული სერვისების მიწოდებას. პრევენციული ღონისძიებები უფრო ნაკლებხარჯიანია, ვიდრე დაავადებათა მკურნალობა, რადგან გაცილებით იაფია დაავადებათა თავიდან არიდება ან მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე აღმოფხვრა, ვიდრე უკვე ჩამოყალიბებული დაავადებების მკურნალობა. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გან-

ვითარებას, რადგან პრევენციული ღონისძიებები ტარდება პირველადი ჯანდაცვის დონეზე.

საქართველოს მოქალაქეები იმსახურებენ მაღალი ხარისხის, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული. დღეს ჯანდაცვის სექტორში მიმდინარე ცვლილებები უფრო ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. საჭიროა ჯანდაცვის სექტორის რეფორმებისადმი სისტემური მიდგომა, რაც გულისხმობს ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების მოცულობის გაზრდას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მეთოდების დანერგვას, სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონის ამაღლებას, სამედიცინო მომსახურების შეფასების ინდიკატორების შექმნას, ხარჯების შეკავების ეფექტური მექანიზმების დანერგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

- გამყრელიძე ა, ათუნი რ, გოცაძე გ, მაკლეჰოსი ლ. ჯანმრთელობის დაცვის სისტემები გარდამავალ პერიოდში. საქართველო. ჯანდაცვის სისტემების ევროპის ობსერვატორია. 2002.
- ვერულავა, თ. (2014). რეგულირებადი კონკურენტული სადაზღვევო მოდელის ევროპული გამოცდილება და საქართველოს რეფორმები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“ მასალების კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 323-326.
- ვერულავა თ., ჯორბენაძე ა. საზოგადოებრივი ჯანდაცვის განვითარების პირველი ნაბიჯები დამოუკიდებელ საქართველოში. ეკონომიკა და ბიზნესი. 2022;1.
- ზოიძე ა, გზირიშვილი დ, გოცაძე გ. საავადმყოფოების დაფინანსების კვლევა. საერთაშორისო ფონდი კურაციო. თბილისი, 1999.
- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმა (2000-2009). თბილისი, 1999.
- ჯანმრთელობის დაცვა, საქართველო, 1999, სტატისტიკური ცნობარი. სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრი, თბილისი, 2001.
- ჯორბენაძე ა. "როგორ იქმნებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემა : 1993-1997 წლები. წიგნი I. 2021.
- ჯორბენაძე ა, ვერულავა თ. ჯანმრთელობის სოციალური დაზღვევა საქართველოში: განვითარების ბარიერები. ეკონომიკა და ბიზნესი. 2021; 13 (2).
- ჯორბენაძე ა, ვერულავა თ. დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) საავადმყოფოს დაფინანსების მეთოდი და 1995 წლის ჯანდაცვის რეფორმები. ეკონომისტი. 2021; XVII (4): 31-41.
- ჯორბენაძე ა, ვერულავა თ. სამედიცინო განათლების რეფორმა საქართველოში: გამოცდილება, მომავლის ხედვა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. 2021; 13 (2): 1-10.

ნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 2021; 2.

- Figueras J, Robinson R, Jakubowski E. Purchasing to improve health systems performance. Open University Press, European Observatory on Health Systems and Policies series. 2005.
- Gzirishvili D, Mataradze G. Healthcare Reform in Georgia. 1998, Tbilisi: United Nations Development Programme Georgia Country Office
- Grielen S.J., Boerma W.G.W. & Groenewegen P.P. Unity or diversity? Task profiles of general practitioners in Central and Eastern Europe. *European Journal of Public Health* 2000;10, 249-254.
- Jorbenadze A, Zoidze A, Gzirishvili D, Gotsadze G. “Health Reform and Hospital Financing in Georgia”. *Croatian Medical Journal*. Vol 15. Zagreb, Croatia. 1998
- Roeder FC, Urushadze A, Bendukize K, Tanner MD, Given C. Healthcare Reform in the Republic of Georgia: A Healthcare Reform Roadmap for Post-Semashko Countries and Beyond, CreateSpace Independent Publishing Platform. 2014.
- Verulava T, Jorbenadze A. Development of Social Health Insurance in Georgia: Challenges and Lessons. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*. 2022;16(1):127-133. doi:10.5114/fmpcr.2022.113017.
- Verulava T, Jorbenadze A. Context and issues of social health insurance introduction in Georgia. *Arch Balk Med Union*. 2021;56(3):349-357. <https://doi.org/10.31688/ABMU.2021.56.3.09>.
- WHO Regional Office for Europe, Health for all database, January. 2001, WHO.

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, professor of Caucasus University

Avtandil Jorbenadze

*Doctor of Medicine, Chairman of the Supervisory Board
of Chafidze Emergency Cardiology Center*

REFORM OF THE HOSPITAL SECTOR IN GEORGIA

Expanded Summary

The process of reorientation of the healthcare system, which began in 1995, envisaged the rationalization of hospital inpatient services. Optimizing the hospital system required efficient management of human and material resources. In order to decentralize medical organizations, hospitals were given full management freedom. Hospitals were given the opportunity to decide personnel allocation based on the rules. Hospital managers were given more autonomy in determining employee wages and other financial resources. Advisory boards should be established to involve the population and other stakeholders in the management of hospitals.

The burden of state financing of medical organizations was distributed between the central and local governments. Local health care funds were created, which received revenues from municipal budgets.

The budgetary and statutory funding of hospitals was replaced by target-program funding, which meant reimbursing the activity of the medical institution and healthcare workers in accordance with the volume, quality, and importance of the work performed.

Instead of financing only from the state budget, hospitals received income from five main sources: from the State Medical Insurance Company and the Ministry of Health, municipal funds, co-payments, internal standards, and other income activities.

When creating a new hospital financing system, the choice was stopped based on the model of financing with medical economic standards, which took into account the principles of the world-recognized cost-effective method, diagnosis-related groups (DRG) financing.

A plan for the privatization of the hospital sector was developed, which meant dividing the sector into three groups: Group A hospitals were to remain state-owned, Group B hospitals were to be privately owned, although they had to maintain their medical profile for a period of 10 years, and Group C hospitals were to be sold as just real estate.

The hospital reform envisaged the promotion of the development of various forms of ownership of medical organizations, both state and private for-profit and non-profit medical organizations. Thus, the competition between the forms of ownership of medical organizations would increase, which would contribute to the ability of the patient to choose the medical institution, increase the quality of medical services, to contain the costs of health care.

Despite the achievements, reforming the hospital sector turned out to be more difficult than expected, which was related to the difficult economic situation in Georgia. Due to constant economic crises, the state often failed to finance the promised obligations, and as a result, hospitals suffered from chronic funding deficits.

Subsequent governments abandoned the plan to reorient the hospital sector developed in 1995, and medical economic standards were removed. In this regard, it would be desirable to study the Georgian experience of hospital reforms in 1995-2003.

Citizens of Georgia deserve the right to receive high-quality, qualified medical care, which is guaranteed by the Constitution of Georgia. Today, the ongoing changes in the healthcare sector are more fragmented. A systematic approach to healthcare sector reforms is needed, which involves increasing the volume of state financing of healthcare, promoting the introduction of modern technologies, introducing methods of financing based on the results of medical service reimbursement, raising the professional level of medical personnel, creating indicators for evaluating medical services, and introducing effective cost containment mechanisms.

თენგიზ ვერულავა
მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
გიორგი ჭილაძე
დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა სკოლის ასოცირებული პროფესორი
თემურ ბარკალაია
დოქტორანტი, საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ
მეცნიერებათა სკოლა

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციის და სამუშაოთი კმაყოფილების გამოწვევები საქართველოში

ანოტაცია. მოტივაცია და სამუშაო კმაყოფილება რთული კონსტრუქციებია, რომლებზეც გავლენას ახდენენ სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური ფაქტორები. კვლევის მიზანია საქართველოში პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციისა და სამუშაოზე კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა. კვლევამ აჩვენა, რომ პირველადი ჯანდაცვის მუშაკების მოტივაციაზე გავლენას ახდენს ინდივიდუალური მახასიათებლები (მაგ., მოწოდება), ფინანსური და არაფინანსური გარეგანი სტიმულები, ორგანიზაციული სტრუქტურები და პროცესები, მათ შორის ზედამხედველობა, ლიდერობა, რესურსების განაწილების სამართლიანობა და პასუხისმგებლობა, პერსონალის დინამიკა და გუნდის ერთიანობა, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, პაციენტებთან ურთიერთობა, ინტელექტუალური სტიმული, უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაძლებლობა. მოტივაცია და კმაყოფილების დონე არ არის დამოკიდებული ერთ კონკრეტულ ფაქტორზე და გადაწყვეტ როლს თამაშობს მრავალი ფაქტორი. ექიმის მაღალი კმაყოფილება საკუთარი სამუშაოთი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მიერ გაწეულ მომსახურებას და დადებითად აისახება პაციენტის კმაყოფილების ხარისხზე. ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელებმა, დამგეგმავებმა და მენეჯერებმა კრიტიკულად უნდა გაანალიზონ დამატებითი სტიმულების მიწოდების მნიშვნელობა. ჯანდაცვის მუშაკთა შრომით კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, გარდა ხელფასისა, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ოჯახური ცხოვრების მხარდაჭერაზე, ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაზე, საგანმანათლებლო პერსპექტივებზე და ადეკვატურ თავისუფალ დროზე. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სხვა არაფინანსური წახალისებებზე, როგორცაა საგანმანათლებლო ტრენინგები, პროფესიული განვითარების და დაწინაურების უკეთესი შესაძლებლობები. მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების გაგება ხელს უწყობს ისეთი პროგრამული რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც აამაღლებენ ჯანდაცვის სისტემების ეფექტურ მუშაობას.

საძიებო სიტყვები: მოტივაცია, მუშაობით კმაყოფილება, ჯანდაცვის პოლიტიკა, პირველადი ჯანდაცვა, ოჯახის ექიმები

შესავალი

მოტივაცია განისაზღვრება, როგორც წარმატებული მუშაობისათვის და ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად ადამიანის ძალისხმევა, სწრაფვა, სტიმულირების პროცესი და ვითარდება ინდივიდუალური, ორგანიზაციული და კულტურ-

რული ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად (Franco et al., 2002; Toode et al., 2011). ჯანდაცვის მუშაკების მოტივაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მათი მუშაობისა და სამედიცინო მომსახურების მიწოდების შედეგების გაუმჯობესებას.

სამუშაოს კმაყოფილება პოზიტიური ემოციური მდგომარეობაა და გვიჩვენებს, თუ რამდენად კმაყოფილია ადამიანი თავისი სამუშაოთი. სამუშაოთი კმაყოფილებას განსაზღვრავს სამუშაო პირობები და ორგანიზაციული გარემო, ექიმებსა და ექთნებს შორის ურთიერთობები, თანამშრომლებს შორის კოლეგიალური თანამშრომლობა, სამედიცინო ორგანიზაციის მართვის თავისებურებები, აღიარება. სამუშაოთი კმაყოფილება გავლენას ახდენს სამედიცინო პერსონალის სამუშაო ადგილზე შეკავებაზე.

ერთი შეხედვით, მოტივაცია და სამუშაოთი კმაყოფილება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება (Christen et al., 2006). მოტივაცია არის ადამიანის განზრახვა მიაღწიოს დასახულ ორგანიზაციულ მიზნებს. სამუშაოთი კმაყოფილება გულისხმობს ადამიანის დამოკიდებულებას ორგანიზაციულ გარემოსთან. მათზე გავლენას ახდენენ ინდივიდუალური (თვით-შეფასება, მოლოდინები, საჭიროებები), ორგანიზაციული (სტრუქტურა, პროცესები, რესურსები, კულტურა) და სოციალურ-კულტურული (მოლოდინი, კულტურის გავლენა ორგანიზაციებზე, რეფორმები) ფაქტორები (Kahiga, 2018).

მსოფლიოში მრავალი კვლევა არსებობს, სადაც შესწავლილია მოტივაციაზე და სამუშაოთი კმაყოფილებაზე სხვადასხვა ფაქტორების გავლენა. თუმცა, ეს ფაქტორები შედარებით ნაკლებად არის შესწავლილი განვითარებად ქვეყნებში. უფრო მეტიც, მოტივაციაზე და სამუშაოთი კმაყოფილების შესახებ კვლევების უმეტესი ნაწილი ეხება ჰოსპიტალურ სფეროში დასაქმებულ ჯანდაცვის მუშაკებს და შედარებით ნაკლებად ეძღვნება პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მოღვაწე პერსონალს.

პირველადი ჯანდაცვა ყველაზე სამართლიანი და ეფექტიანი სტრატეგიაა მოსახლეობის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. პირველადი ჯანდაცვა პაციენტის პირველი კონტაქტია დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში და უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ, ყოვლისმომცველ, უწყვეტ და კოორდინირებულ ჯანდაცვას. გამართული პირველადი ჯანდაცვა ხელს უწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და ამცირებს უფრო ძვირადღირებულ ჰოსპიტალურ სისტემის დატვირთვას, განსაკუთრებით მოსახლეობის დაბერებისა და ქრონიკული პირობების მზარდი ტვირთის პირობებში.

საკითხის აქტუალობას ხაზს უსვამს საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის სუსტად განვითარება (მიქავა და გაბრიჭიძე, 2019). საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2019 წლის მონაცემებით, ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში 3.6-ს შეადგენს, მაშინ როცა ევროპის ქვეყნებისათვის იგი 7.5-მდე აღწევს. საქართველო ამ მაჩვენებლით ბოლოდან მეორე ადგილზე იმყოფება ჯანმრთელობის ევროპის რეგიონის ქვეყნებთან შედარებით. 2013 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შედეგად ამბულატორიუმში პაციენტთა მიმართვიანობის საერთო მაჩვენებელი 25%-ით გაიზარდა, რაც მეტყველებს ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ამაღლებაზე (Verulava et al.,

2017). თუმცა, პროგრამის ბენეფიციართა მხოლოდ 22%-მა მიმართა ამბულატორიას სამედიცინო დახმარების მისაღებად.

აღნიშნული პრობლემები კიდევ უფრო აღრმავებს ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ ბევრ გამოწვევებს, რაც გავლენას ახდენს ჯანდაცვის მუშაკების როგორც მოტივაციაზე და მუშაობაზე, ასევე ამ პოზიციებზე მათ შენარჩუნებაზე. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემატურია ოჯახის ექიმისთვის. კვლევები ადასტურებენ, რომ ოჯახის ექიმები სათანადო ხარისხით მომსახურების დაბალი მოტივაციის მიზეზად ანაზღაურების სიმცირეს ასახელებენ (ვერულავა და ბერუაშვილი, 2019). რესპოდენტთა 85%-ის ანაზღაურება 700 ლარზე ნაკლებია, რაც ოჯახის ექიმთა 65%-ის აზრით, ძალიან დაბალია, ხოლო 70%-ის აზრით, მათი ანაზღაურება არ არის გაწეული შრომის ადექვატური და გაცილებით მეტი მუშაობა უწყევთ, ვიდრე უნაზღაურდებათ (ვერულავა, 2021).

შედარებით ნაკლები მტკიცებულებები არსებობს ოჯახის ექიმების მოტივაციაზე და სამუშაოს კმაყოფილებაზე მოქმედ გავლენის ფაქტორებზე. პირველადი ჯანდაცვის მუშაკების მოტივაციის ამაღლებისკენ მიმართული ძალისხმევები, განსაკუთრებით მწირი ფინანსური რესურსების პირობებში, ძირითადად, მოიცავს ფინანსური მოტივაციის ღონისძიებებს, რაც გარე ფაქტორებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური მოტივაცია აუცილებელია ჯანდაცვის მუშაკების ეფექტურად მუშაობისთვის, საჭიროა ისეთი შინაგანი, არაფინანსური ფაქტორების როლის უფრო ღრმად შესწავლა, როგორებიცაა აღიარება, უკეთესი სამუშაო გარემო, ლიდერობა, მნიშვნელობას ჯანდაცვის მუშაკების მოტივაციაზე.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მუშაკების მოტივაციის თავისებურებების კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, პირველადი ჯანდაცვის პოლიტიკისა და ბიზნეს პროცესების ფორმირებისათვის. ასევე კვლევის მნიშვნელოვანი კითხვაა რა განმასხვავებელი ასპექტები არსებობს პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებასა და მოტივაციის ფაქტორებს შორის და რა განმასხვავებელი თავისებურებები აქვს საქართველოს პირველადი ჯანდაცვის პერსონალს აღნიშნული მიმართულებით.

კვლევის მიზანია საქართველოში პირველადი ჯანდაცვის პერსონალის მოტივაციისა და სამუშაოზე კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა, მათი გავლენის დადგენას პროფესიული მიზნების მიღწევის უნარზე.

მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდება პირველადი ჯანდაცვის პერსონალის გამოკითხვა წინასწარ სტრუქტურირებული კითხვების მეშვეობით. თვისებრივი კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნება სიღრმისეული (ექსპერტული) ნახევრადსტრუქტურული ინტერვიუ.

სამიზნე ჯგუფები

პირველადი ჯანდაცვის მუშაკების მოტივაციების შესახებ ჰოლისტიკური წარმოდგენის მიღების მიზნით, შერჩეულ იქნა მაქსიმალური ვარიაციის შერჩევის მეთოდი, რომლის მიზანია სხვადასხვა გეოგრაფიულ გარემოში დასაქმებული პირველადი ჯანდაცვის მუშაკების ჩართვა. კვლევა ჩატარდება თბილისის და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სამედიცინო ორგანიზაციები. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ: პირველადი ჯანდაცვის ექსპერტები, ოჯახის ექიმები, ექთნები.

სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდება პირველადი ჯანდაცვის საკითხებთან შეხების მქონე ექსპერტებთან, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან, ოჯახის ექიმებთან, ექთნებთან. რესპოდენტები შეირჩევა მიზნობრივად, მათ მიერ დაკავებული პოზიციის, კვალიფიკაციის და სტატუსის შესაბამისად. სიღრმისეული ინტერვიუები ჩაიწერება აუდიო ფორზე, რის შესახებაც ინფორმაცია წინასწარ ეცნობება კვლევის მონაწილეებს. სიღრმისეული ინტერვიუების დასრულების შემდეგ მოხდება აუდიო/ვიდეო ჩანაწერების გაშიფვრა. ტრანსკრიპტები გაანალიზდება თემატურად. თავდაპირველად მოხდება მონაცემების რამოდენიმეჯერ წაკითხვა და შემდგომ განხორციელდება კოდირების პროცესი. ამის შემდეგ მოხდება კოდების თემებად ტრანსფორმირება. თითოეულ თემაში გამოიყოფა ქვეთემები. საბოლოო სახით, ინტერვიუებში გამოკვეთილი ძირითადი თემები წარმოდგენილი იქნება ნაშრომში.

პირველადი ჯანდაცვის მუშაკებთან სიღრმისეული ინტერვიუები მოიცავს ფართო თემებს, მათ შორის ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან პროფესიული მიზნების განხორციელებას, ასევე ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ ფაქტორებს, რომლებიც აუმჯობესებენ მათი მოტივაციასა და საქმიანობის ეფექტიან შესრულებას.

კვლევის შედეგები

სულ გამოკითხული იქნა 324 სამედიცინო პერსონალი, მათგან 50% ოჯახის ექიმები (n=162) და 50% (n=162) ექთნები. ოჯახის ექიმებში ჭარბობდა მდებრობითი სქესის წარმომადგენელი (90.9%; n=131), ხოლო ექთნების აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენდა მდებრობითი სქესის წარმომადგენელს (100%; n=162). ოჯახის ექიმების (35.8%; n=58) და ექთნების (30.9%; N=100) უმეტესობა 41-50 წლამდე ასაკისაა. მუშაობის სტაჟის მიხედვით, უმრავლესობა ოჯახის ექიმების (31.5%; n=51) და ექთნების (30.2%; n=49) მუშაობის ხანგრძლივობა 1-დან 3 წლამდეა. ანაზღაურების ტიპის მიხედვით, უმეტესობა ოჯახის ექიმებს (88.3 %; n=143) აქვთ შერეული ანაზღაურება, ხოლო ექთნების უმეტესობას (92%; n=149) აქვს ფიქსირებული ანაზღაურება. ყოველთვიური ანაზღაურების მიხედვით, ოჯახის ექიმთა უმეტესობის (32%; n=52) და ექთანების უმეტესობის (44%; n=71) ანაზღაურება შეადგენს 501-1000 ლარს.

ცხრილი 1

რესპოდენტთა განაწილება დემოგრაფიული მაჩვენებლების მიხედვით მიხედვით

	ოჯახის ექიმი 162 (50%)	ექთანი 162 (50%)	ჯამი 324 (100%)
სქესი			
ქალი	131 (80.9 %)	162 (100 %)	293 (90.4 %)
კაცი	31 (19.1 %)	0 (0 %)	31 (9.6 %)
ასაკი			
21-30	12 (7.4 %)	16 (9.9 %)	28 (8.6 %)
31-40	45 (27.8 %)	21 (13 %)	66 (20.4%)
41-50	58 (35.8 %)	42 (25.9 %)	100 (30.9 %)
51-60	34 (21 %)	51 (31.5 %)	85 (26.2 %)
61 და მეტი	13 (8 %)	32 (19.8 %)	45 (13.9 %)

სამუშაო სტაჟი			
6 თვემდე	6 (3.7 %)	4 (2.5 %)	10 (3.1 %)
6 დან- 1 წლამდე	26 (16 %)	21 (13 %)	47 (14.5 %)
1 წლიდან 3 წლამდე	51 (31.5 %)	41 (25.3 %)	92 (28.4 %)
3 დან 5 წლამდე	36 (22.2 %)	49 (30.2 %)	85 (26.2 %)
5 დან ზემოთ	43 (26.5 %)	47 (29 %)	90 (27.9 %)
ანაზღაურების ტიპი			
შერეული	143 (88.3 %)	7 (4.3 %)	150 (46.3 %)
სულადობრივი	11 (6.8 %)	6 (3.7 %)	17 (5.2 %)
ფიქსირებული	8 (4.9 %)	149 (92 %)	157 (48.5 %)
ანაზღაურების ოდენობა			
500 ლარამდე	21 (13 %)	26 (16 %)	7 (14.5%)
501-1000	52 (32 %)	71 44 %)	123 (38%)
1001-1500	46 (28.4 %)	58 (36 %)	104 (32%)
1501-დან ზემოთ	43 (26.5 %)	7 (4 %)	50 (15.4%)

დასაქმებულთა შრომითი კმაყოფილების განსასაზღვრად, შევისწავლეთ რამდენიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სამსახურით კმაყოფილებაზე.

ანაზღაურება. გამოკითხულ ოჯახის ექიმთა 45%-ის (n=45) და ექთანთა 66%-ის (n=107) აზრით, მათი ხელფასი არ არის შესაბამისობაში დაკისრებულ ფუნქციამოვალეობასთან. ოჯახის ექიმთა 85.8% (n=139) და ექთანთა 77.8% (n=126) ეთანხმება, რომ შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს ანაზღაურების მიღების დროულობა. ოჯახის ექიმთა 84% (n=136) და ექთანთა 40.1% (n=65) ეთანხმება, რომ მათ ჰქონდათ დამატებითი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა. ოჯახის ექიმთა 29.6% (n=48) და ექთანთა 35.8% (n=58) ნაწილობრივ არ ეთანხმება, რომ კომპანია უზრუნველყოფდა სტაბილურობის შეგრძნებას. ამასთან, მათ ვისაც ჰქონდათ შერეული ანაზღაურება, ოჯახის ექიმების უმეტესობა ნაწილობრივ ეთანხმება 28.7% (n=41) ან ეთანხმება 23.1% (n=33) რომ ჰქონდათ სტაბილურობა; ასევე, ექთნების უმეტესობა ეთანხმება 57.1% (n=4) ან ნაწილობრივ ეთანხმება 28.6% (n=2) რომ ჰქონდათ სტაბილურობა.

სამუშაოსადმი კმაყოფილება და ჩართულობა. ოჯახის ექიმების 53.7% (n=87) ექთნების 50% (n=81) თვლის, რომ სამსახურში თავს გრძნობს ოჯახის წევრად. ოჯახის ექიმების 53.7%-ს (n=87) და ექთნების 50%-ს (n=81) გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი კომპანიის წარმატებაში. ოჯახის ექიმების 53.7% (n=87) და ექთნების 50% (n=81) გრძნობს დაფასებას ორგანიზაციის მენეჯერების მხრიდან. ოჯახის ექიმების 33.3% (n=54) თვლის, რომ მათ აქვთ საკუთარი თავის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა. ხოლო ექთნების 33.3% (n=54) ნაწილობრივ არ ეთანხმება, ხოლო 25.3% (n=41) არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. ოჯახის ექიმების 27.2% (n=44) არ ეთანხმება ხოლო ექთნების 31.5% (n=51) არ ეთანხმება, რომ კომპანიის მიერ მუდმივად ხდება დაჯილდოვება ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსთვის.

მუშაობა-ცხოვრების ბალანსი. ოჯახის ექიმების 45.7% (n=74) და ექთნების 37.7% (n=135) მუშაობს ნორმალური სამუშაო გრაფიკით. ოჯახის ექიმების 48.1%

(n=78) ექთნების 56.2% (n=91) თვლის, რომ მათი მუშაობა-ცხოვრების ბალანსი დაცულია. ოჯახის ექიმების 22.8% (n=37) და ექთნების 25.3% (n=41) თვლის, რომ მათი სამუშაო გარემო სტრესულია. ოჯახის ექიმების 24.1% (n=39) და ექთნების 26.5% (n=43) თვლის, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ აქცევენ ყურადღებას ოჯახის წევრებს. ოჯახის ექიმების 45.7%-ს (n=74) და ექთნების 23.5%-ს (n=38) გარდა ძირითადი სამუშაო საათებისა, უწევთ დამატებით ჩართულობა არასამუშაო საათებში.

პროფესიული განვითარების შესაძლებლობა. ოჯახის ექიმების 50% (n=81) აქვს, ხოლო ექთნების 34.6% (n=56) არ აქვს ტრენინგების გავლის შესაძლებლობა. ოჯახის ექიმების მხოლოდ 13.6% (n=22) და ექთნების 6.8% (n=11) თვლის, რომ ტრენინგები ტარდება მაღალი ინტენსივობით. ოჯახის ექიმების 28.4% (n=46) და ექთნების 35.8% (n=58) ტრენინგებში თანამშრომელთა ჩართულობა არ არის მაღალი. ოჯახის ექიმების 54.9% (n=89) და ექთნების 46.9% (n=76) თვლის, რომ ტრენინგები ეხმარებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

სამუშაო პირობები. ოჯახის ექიმების 36.4% (n=59) და ექთნების 30.2% (n=49) თვლის, რომ დროულად ხდება მუშაობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დროს რეაგირება. ოჯახის ექიმების 43.2% (n=70) და ექთნების 37.7% (n=61) თვლის, რომ სამუშაო ნივთები (სამედიცინო, ტექნიკური ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები) შეესაბამება მათ მოთხოვნებს და საჭიროებებს. ოჯახის ექიმების 43.2% (n=70) და ექთნების 37.7% (n=61), თვლის, რომ სამსახურის ტერიტორიული მდებარეობა არის საკმაოდ კომფორტული. ოჯახის ექიმების 54.3% (n=88) და ექთნების 46.3% (n=75) კმაყოფილია ფიზიკური პირობებით (განათება, ხმაური).

ურთიერთობა მენეჯერებთან. მენეჯერებთან კარგი ურთიერთობა შრომითი კმაყოფილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ოჯახის ექიმების 29% (n=47) და ექთნების 29.6% (n=48) მიიჩნევენ, რომ მენეჯერები არ ფიქრობენ მათ კეთილდღეობაზე. ოჯახის ექიმების 58% (n=94) და ექთნების 47.5% (n=77) თვლის, რომ მენეჯერებთან საუბრისას ყოველთვის აქვთ საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალება. ოჯახის ექიმების 65.4% (n=106) და ექთნების 57.4% (n=93) თვლის, რომ მენეჯერების მიერ თანამშრომელთა დაწინაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები სამართლიანია. ოჯახის ექიმების 51.9% (n=84) და ექთნების 50% (n=81) თვლის, რომ მენეჯერი არ ახდენს იგნორირებას თანამშრომლის შეთავაზებაზე სამუშაოს გაუმჯობესების თაობაზე. ოჯახის ექიმების 66% (n=107) და ექთნების 59.3% (n=96) თვლის, რომ მენეჯერისგან მხარდაჭერა ეხმარებათ სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში. ოჯახის ექიმების 69.1% (n=112) და ექთნების 64.2% (n=104) თვლის, რომ მენეჯერი აქვს როდესაც სამუშაოს კარგად ასრულებს. ოჯახის ექიმების 52.5% (n=85) და ექთნების 48.1% (n=78) თვლის, რომ მენეჯერი მიუთითებდა, როდესაც საქმეს გაუმჯობესება სჭირდებოდა.

ცხრილი 2

პირველადი ჯანდაცვის პერსონალის გამოკითხვის შედეგები მოტივაციისა და სამუშაოზე კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ.

		ნაწილობრივ არ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	ვეთანხმები	საშუალო მაჩვენებელი	SD
ანაზღაურება							
ანაზღაურებისა და დაკისრებუ-	ოჯახის ექიმი ექთანი	53 (32.7 %) 43 (26.5 %)	73 (45 %) 107 (66 %)	24 (14.8 %) 8 (4.9 %)	12 (7.4 %) 4 (2.5 %)		

ლი ფუნქცია- მოვალეობების ერთმანეთთან შესაბამისობა	ჯამი	96 (29.6 %)	180(56 %)	32 (9.9 %)	16 (4.9 %)	2.36	0.87
ანაზღაურების მიღების დროულობა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	5 (3.1 %) 12 (7.4 %) 17 (5.2 %)	2 (1.2 %) 3 (1.9 %) 5 (1.5 %)	16 (9.9 %) 21 (13 %) 37 (11.4 %)	139(85.8%) 126(77.8%) 265(81.8%)	2.54	0.74
დამატებითი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	9 (5.6 %) 39 (24.1 %) 48 (14.8 %)	5 (3.1 %) 20 (12.3%) 25 (7.7 %)	12 (7.4 %) 38 (23.5 %) 50 (15.4 %)	136 (84%) 65 (40.1%) 201 (62%)	2.66	0.81
კომპანიის მიერ სტაბილურობის შეგრძნების უზრუნველყოფა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	48 (29.6 %) 58 (35.8 %) 106 (32.7 %)	34 (21 %) 47 (29 %) 81 (25 %)	44 (27.2 %) 38 (23.5 %) 82 (25.3 %)	36 (22.2%) 19 (11.7%) 55 (17 %)	2.61	0.78
სამუშაოსადმი კმაყოფილება და ჩართულობა							
სამსახურში თავს ვგრძნობს ოჯახის წევრად	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	20 (12.3 %) 28 (17.3 %) 48 (14.8 %)	12 (7.4 %) 15 (9.3 %) 27 (8.3 %)	43 (26.5 %) 38 (23.5 %) 81 (25 %)	87 (53.7%) 81 (50 %) 168(51.9%)	2.32	0.62
გაცნობიერებულ ი მაქვს ჩემი როლი კომპანიის წარმატებაში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	20 (12.3 %) 28 (17.3 %) 48 (14.8 %)	12 (7.4 %) 15 (9.3 %) 27 (8.3 %)	43 (26.5 %) 38 (23.5 %) 81 (25 %)	87 (53.7%) 81 (50 %) 168(51.9%)	2.45	0.53
დაფასება მენეჯმენტის მხრიდან	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	20 (12.3 %) 28 (17.3 %) 48 (14.8 %)	12 (7.4 %) 15 (9.3 %) 27 (8.3 %)	43 (26.5 %) 38 (23.5 %) 81 (25 %)	87 (53.7%) 81 (50 %) 168 (51.9%)	2.39	0.57
საკუთარი თავის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	40 (24.7 %) 54 (33.3 %) 94 (29.0 %)	21 (13 %) 41 (25.3%) 62 (19.1%)	47 (29 %) 32 (19.8 %) 79 (24.4 %)	54 (33.3%) 35 (21.6%) 89 (27.5%)	2.06	0.72
კომპანიის მიერ მუდმივად დაჯილდოვება ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსთვის	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	57 (35.2 %) 74 (45.7 %) 131 (40.4 %)	44 (27.2%) 51 (31.5%) 95 (29.3%)	32 (19.8 %) 22 (13.6 %) 54 (16.7 %)	29 (17.9%) 15 (9.3 %) 44 (13.6%)	2.27	0.84
მუშაობა- ცხოვრების ბალანსი							
ნორმალური სამუშაო გრაფიკით კმაყოფილება	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	28(17.3 %) 24 (14.8 %) 36 (22.2 %)	74 (45.7%) 43 (26.5%) 20 (12.3%)	38 (23.5 %) 61 (37.7 %) 71 (21.9 %)	44 (13.6%) 74 (22.8%) 135(41.7%)	2.36	0.82
მუშაობა-ცხოვ- რების ბალანსი დაცული არის ჩემს სამსახურში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	25 (15.4 %) 18(11.1 %) 41(25.3 %)	78 (48.1%) 13 (8 %) 10 (6.2 %)	48 (29.6 %) 91 (56.2 %) 28(11.7 %)	28 (8.6%) 89 (27.5%) 169(52.2%)	2.5	0.72
სტრესული სამუშაო გარემო	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	52 (32.1 %) 60 (37 %) 112 (34.6 %)	39 (24.1%) 31 (19.1%) 70 (21.6%)	34 (21 %) 30 (18.5 %) 64 (19.8 %)	37 (22.8%) 41 (25.3%) 78 (24.1%)	2.64	0.61
გადატვირთული გრაფიკის გამო ყურადღებას ვერ	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	47 (29 %) 46 (28.4 %) 93 (28.7 %)	29 (17.9%) 31 (19.1%) 60 (18.5%)	47 (29 %) 42 (25.9 %) 89 (27.5 %)	39 (24.1%) 43 (26.5%) 82 (25.3%)	2.18	0.67

ვაქცევ ოჯახის წევრებს							
გარდა ძირითადი სამუშაო საათებისა, რამდენად უწყვეტ დამატებით ჩართულობა არასამუშაო საათებში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	27 (16.7 %) 49 (30.2 %) 76 (23.5 %)	14 (8.6%) 36 (22.2%) 50 (15.4%)	47 (29 %) 39 (24.1 %) 86 (26.5 %)	74 (45.7%) 38 (23.5%) 112(34.6%)	2.91	0.36
პროფესიული განვითარების შესაძლებლობა							
ტრენინგების გავლის შესაძლებლობა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	23 (14.2 %) 62 (38.3 %) 85 (26.2 %)	17 (10.5%) 56 (34.6%) 73 (22.5%)	41 (25.3 %) 25 (15.4 %) 66 (20.4 %)	81 (50 %) 19 (11.7%) 100(30.9%)	2.05	0.39
ტრენინგები ტარდება მაღალი ინტენსივობით	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	64 (39.5 %) 73 (45.1 %) 137 (42.3 %)	47 (29 %) 56 (34.6%) 100(31.8%)	29 (17.9 %) 22 (13.6 %) 51 (15.7 %)	22 (13.6%) 11 (6.8%) 33 (10.2%)	2.12	0.28
მაღალია ტრენინგებში თანაშრომელთა ჩართულობა, რაც მეხმარება მეტი ინფორმაციის მიღებაში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	66 (40.7 %) 71 (43.8 %) 137 (42.3 %)	46 (28.4%) 58 (35.8%) 104(32.1%)	30 (18.5 %) 20 (12.3 %) 50 (15.4 %)	20 (12.3%) 13 (8 %) 33 (10.2%)	2.17	0.25
ტრენინგები მემარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	17 (10.5 %) 26 (16 %) 43 (13.3 %)	10 (6.2 %) 20 (12.3%) 30 (9.3 %)	46 (28.4 %) 40 (24.7 %) 86 (26.5 %)	89 (54.9%) 76 (46.9%) 165(50.9%)	2.26	0.21
სამუშაო პირობები							
რამდენად დროულად ხდება მუშაობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დროს რეაგირება	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	42 (25.9 %) 43 (26.5 %) 85 (26.2 %)	15 (9.3 %) 20 (12.3%) 35 (10.8%)	46 (28.4 %) 50 (30.9 %) 96 (29.6 %)	59 (36.4%) 49 (30.2%) 108(33.3%)	2.48	0.32
სამუშაო ნივთები (სამედიცინო, ტექნიკური ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები) შეესაბამება ჩემს მოთხოვნებს და საჭიროებებს	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	31 (19.1 %) 36 (22.2 %) 67 (20.7 %)	10 (6.2%) 19 (11.7%) 29 (9 %)	51 (31.5 %) 46 (28.4 %) 97 (29.9 %)	70 (43.2%) 61 (37.7%) 131(40.4%)	2.81	0.54
ტერიტორიული მდებარეობა არის საკმაოდ კომფორტული	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	31 (19.1 %) 36 (22.2 %) 67 (20.7 %)	10 (6.2%) 19 (11.7%) 29 (9 %)	51 (31.5 %) 46 (28.4 %) 97 (29.9 %)	70 (43.2%) 61 (37.7%) 131(40.4%)	2.31	0.38
ფიზიკური პირობებით (განათება, ხმაური) კმაყოფილებ	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	21 (13 %) 26 (16 %) 47 (14.5 %)	12 (7.4 %) 9 (5.6 %) 21 (6.5 %)	41 (25.3 %) 52 (32.1 %) 93 (28.7 %)	88 (54.3%) 75 (46.3%) 163(50.3%)	2.05	0.28

ურთიერთობა მენეჯერებთან							
მენეჯერები ნაკლებად ფიქრობენ ჩემს კეთილდღეობაზე	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	25 (15.4 %) 22 (13.6 %) 47 (14.5 %)	56 (34.6%) 36 (22.2%) 92 (28.4%)	34 (21 %) 56 (34.6 %) 90 (27.8 %)	47 (29 %) 48 (29.6%) 95 (29.3%)	2.24	0.42
მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის საშუალება	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	16 (9.9 %) 24 (14.8 %) 40 (12.3 %)	11 (6.8 %) 16 (9.9 %) 27 (8.3 %)	41 (25.3 %) 45 (27.8 %) 86 (26.5 %)	94 (58 %) 77 (47.5%) 171(52.8%)	2.28	0.26
მენეჯერების მიერ თანამშრომელთა დაწინაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების სამართლიანობა	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	13 (8 %) 18 (11.1 %) 31 (9.6 %)	9 (5.6 %) 13 (8 %) 22 (6.8 %)	34 (21 %) 38 (23.5 %) 72 (22.2 %)	106(65.4%) 93 (57.4%) 199(61.4%)	2.35	0.46
მენეჯერი ახდენს იგნორირებას თანამშრომლის შეთავაზებაზე სამუშაოს გაუმჯობესების თაობაზე	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	39 (24.1 %) 49 (30.2 %) 88 (27.2 %)	84 (51.9%) 81 (50 %) 165(50.9%)	23 (14.2 %) 20 (12.3 %) 43 (13.3 %)	16 (9.9 %) 12 (7.4 %) 28 (8.6 %)	2.37	0.67
მენეჯერისგან მხარდაჭერა გვეხმარება სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	11 (6.8 %) 16 (9.9 %) 27 (8.3 %)	7 (4.3 %) 5 (3.1 %) 12 (3.7 %)	37 (22.8 %) 45 (27.8 %) 82 (25.3 %)	107 (66 %) 96 (59.3%) 203(62.7%)	2.48	0.61
მენეჯერი მაქვს, როდესაც საქმეს კარგად ვასრულებ	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	14 (8.6 %) 13 (8 %) 27 (8.3 %)	6 (3.7 %) 4 (2.5 %) 10 (3.1 %)	30 (18.5 %) 41 (25.3%) 71 (21.9%)	112 (69 %) 104(64.2%) 216(66.7%)	2.61	0.52
მენეჯერი მიმითითებს, როდესაც საქმეს გაუმჯობესება სჭირდება	ოჯახის ექიმი ექთანი ჯამი	19 (11.7 %) 15 (9.3 %) 34 (10.5 %)	11 (6.8 %) 11 (6.8 %) 22 (6.8 %)	47 (29 %) 58 (35.8 %) 105 (32.4 %)	85 (52.5%) 78 (48 %) 163(50.3%)	2.73	0.6

თვისებრივი კვლევის შედეგები

რესპოდენტთა სიღრმისეული ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ მათი ორგანიზაციის სამუშაო გარემოს, პირობების გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა მოახდინა მათ უკეთ მუშაობის მოტივაციაზე, მაღალი ხარისხით პაციენტების მომსახურებაზე. ბოლო წლებში ახლად გარემონტდა და კეთილმოეწყო შენობები, საექიმო კაბინეტები, პროცედურების ოთახები. ისინი აღიჭურვა ყველა საჭირო მედიკამენტებითა და აუცილებელი მოწყობილობა-დანადგარებით.

“სამუშაო პირობების ცვლილებები გვაძლევს დიდ კმაყოფილებას ჩვენს საქმიანობაში. კარგი გარემო ხელს უწყობს უფრო უკეთ მოვემსახუროთ პაციენტებს. ასეთ გარემოში პაციენტებს უვითარდებათ მოტივაცია საჭიროების დროს ხშირად

მიმართონ ოჯახის ექიმს, მშვიდად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე აუხსნან მათი ჩვილები”.

რესპოდენტთა აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება ნაკლებად ან თითქმის არ ერევა პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციის საქმიანობაში. პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციები ყველა კერძო, მომგებიანი ორგანიზაციებია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტები სახსრებს არ გამოყოფენ პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციების განსავითარებლად, არ ახდენენ მათ შეკეთებას, სარემონტო სამუშაოებს.

„ჩვენ არ ვართ დამოკიდებული ადგილობრივ ხელისუფლებაზე. ჩვენს ორგანიზაციაში რაც კეთდება, ეს იქნება ჩვენი დაფინანსება თუ შენობის შეკეთების ხარჯები არანაირი კავშირი არ აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას“.

„კარგი იქნებოდა მუნიციპალიტეტს დაეფინანსებინა გარკვეულ დაავადებებზე მედიკამენტები, რომლებიც არ შედის სახელმწიფო პროგრამაში“.

„ადგილობრივი ხელისუფლება უნდა ახდენდეს მისი მოსახლეობის საჭიროებების შეფასებას და ამის საფუძველზე დამატებითი პროგრამების შემუშავებას, საჭირო სერვისების დაფინანსებას. ადგილობრივი ხელისუფლება ფაქტიურად არ არის პასუხისმგებელი საკუთარი მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებებზე.“

რესპოდენტთა აზრით, მათი საქმიანობის მოტივაციაა დამატებითი ბონუსის მიღება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, უკეთესი სამუშაო ურთიერთობა კოლეგებთან და მეტი უწყვეტი განათლების მიღების სურვილი. ბონუსური ანაზღაურება დაკავშირებულია დამატებითი სერვისების გაწევასთან. რაც უფრო მეტ სერვისებს გასწევს სამედიცინო პერსონალი მით მეტ ანაზღაურებასღებულობს. რესპოდენტთა უმეტესობა კმაყოფილი იყო ხელფასებზე დამატებით ბონუსურ ანაზღაურებაზე. ბონუსური დაფინანსება ცვლის ჯანდაცვის მუშაკების ქცევასა და დამოკიდებულებებს, ზრდის მათ მოტივაციას უკეთ მუშაობისათვის და აძლევს მათი ოჯახებზე ზრუნვის დამატებით რესურსს.

“როდესაც არ მქონდა ბონუსური დაფინანსება, არ ვიყავი დაინტერესებული ბევრ პაციენტზე კონსულტაციის გაწევით. სულადობრივი მეთოდით მეძლეოდა დაფინანსება. მეტი პაციენტი რომ გამესინჯა მაინც იგივე თანხას ვღებულობდი. ბონუსური დაფინანსების შემოღების შემდეგ ვცდილობ რაც შეიძლება მეტი პაციენტი მივიღო და გავუწიო კონსულტაცია, რადგან შესაბამისად უფრო მეტი დაფინანსება მეძლევა“.

“ბონუსური ანაზღაურება ძალიან დიდ მოტივაციას მძლევს, რადგან დამატებით მიღებული თანხა ბევრ რამეში მეხმარება. შესაბამისად, უფრო მეტ ძალისხმევას ვდებ საქმიანობაში და მეტ დროს ვატარებ პაციენტებთან. ვცდილობ უფრო მეტი ვიმუშაო პაციენტის უკეთესი ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად“.

ბონუსური ანაზღაურება ზრდის ექიმების მოტივაციას, რაც შეიძლება მეტი პაციენტს გაუწიონ კონსულტაცია. შესაბამისად, იზრდება მათი დატვირთვა. პაციენტებზე გაწეული სერვისების ზრდის გარდა მათ უწყვეტ დიდი რაოდენობით სამედიცინო ჩანაწერების გაკეთება და შენახვა.

„სამუშაო დატვირთვა იზრდება, პასუხისმგებლობა კიდევ უფრო იზრდება. პაციენტების ამ ჩანაწერებიდან ზოგიერთი ძალიან ტექნიკური და მოცულობითია. აღმოაჩენ, რომ დაახლოებით თხუთმეტამდე გაქვს შესავსები. ავსებთ და დღის ბოლოს უკვე დაღლილი ხარ. ჩვენ არ გვყავს საკმარისი დამხმარე პერსონალი, რომ პასუხისმგებლობები გავიზიაროთ“.

ჯანდაცვის ექსპერტების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად, რომელსაც ჯანდაცვის მუშაკები შეხვდნენ, იყო სათანადოდ დატრენინგებული პერსონალის კრიტიკული დეფიციტი. ჯანდაცვის მუშაკები უზიოდნენ გადაღლილობას, პირადი, საოჯახო საქმეებისთვის დროის ნაკლებობას და პაციენტებს ხარისხიანი სერვისების მიწოდების შეუძლებლობას.

5. დისკუსია

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამედიცინო ორგანიზაციის წარმატებული და ეფექტიანი მუშაობა დიდწილად არის დაკავშირებული სამედიცინო პერსონალის შრომით კმაყოფილებასთან. ექიმის კმაყოფილება საკუთარი სამუშაოთი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მიერ გაწეულ მომსახურებას და დადებითად აისახება პაციენტის კმაყოფილების ხარისხზე. ექიმის ქცევა კოლეგებთან, ასევე ექიმსა და პაციენტს შორის ურთიერთობა დამოკიდებულია მისი სამუშაო კმაყოფილების დონეზე. მსგავსი შედეგები მიღებულ იქნა სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევებით (Liu et al., 2010; Huey et al., 2002; Shakir et al., 2007).

კვლევამ აჩვენა, რომ ექიმთა შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენენ როგორც საქმიანობის, ასევე პიროვნული მახასიათებლები. ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად გამოიკვეთა: პაციენტებთან ურთიერთობა, ინტელექტუალური სტიმული, უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაძლებლობა, სამუშაოთი კმაყოფილება, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა.

შრომითი კმაყოფილება მნიშვნელოვნადაა განპირობებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობით. კვლევამ დაადასტურა, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სათანადოდ დატრენინგებული პერსონალის კრიტიკული დეფიციტი. პროფესიული განვითარების შესაძლებლობის თვალსაზრისით შევისწავლეთ რამოდენიმე საკითხი: ტრენინგების გავლის შესაძლებლობა, ტრენინგების ჩატარება მაღალი ინტენსივობით, რამდენად მაღალია ტრენინგებში თანამშრომელთა ჩართულობა, რამდენად ეხმარება ტრენინგები პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

ოჯახის ექიმების 50% (n=81) თვლის, რომ მათ აქვთ ტრენინგების გავლის შესაძლებლობა. თუმცა, ტრენინგების გავლის შესაძლებლობა ძალიან დაბალია ექთნებისათვის. ექთნების 34.6% თვლის და 38.3% ნაწილობრივ თვლის, რომ მათ არ აქვთ ტრენინგების გავლის შესაძლებლობა. ოჯახის ექიმების 29% და ექთნების 34.6% თვლის, რომ ტრენინგები არ ტარდება მაღალი ინტენსივობით. ოჯახის ექიმების უმრავლესობა (40.7.5% ნაწილობრივ და 28.4% სრულად) თვლის, რომ ტრენინგებში თანამშრომელთა ჩართულობა არ არის მაღალი. ოჯახის ექიმების 54.9% და ექთნების 46.9% თვლის, რომ ტრენინგები ეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში.

აღნიშნული შედეგები შეიძლება გამოწვეული იყოს იმ გარემოებით, რომ საქართველოში არ არის ამოქმედებული უწყვეტი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების სტიმულები, რომლებიც მეტად მიმზიდველს და აუცილებელსაც კი ხდის ექიმისთვის ცოდნის მუდმივ განახლებას. ასეთი სტიმულებია: კარიერული ზრდის გარანტია, ხელფასის მატება, პრემიები, მხოლოდ იმ ექიმთა კონტრაქტირება, რომლებიც მონაწილეობენ უწყვეტი სამედიცინო განათლებაში. განსაკუთრებით საგანგაშოა ექთნების დაბალი პროფესიული განათლების დონე. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებით (Ashraf et al., 2014; Sharma et al., 2014).

შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს ორგანიზაციის სამუშაო გარემო, პირობები. კარგი სამუშაო პირობები ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალის მზადყოფნას, უფრო უკეთ მოემსახურონ პაციენტებს. თავის მხრივ, დამაკმაყოფილებელ გარემოში პაციენტებს უვითარდებათ მოტივაცია საჭიროების დროს ხშირად მიმართონ ოჯახის ექიმს, სადაც შეძლებენ მშვიდად აუხსნან მათი ჩვილები.

სამუშაო პირობების გავლენა შრომით კმაყოფილებაზე შევისწავლეთ რამოდენიმე საკითხის მიხედვით: რამდენად დროულად ხდება მუშაობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დროს რეაგირება, რამდენად შეესაბამებაა მოთხოვნებს და საჭიროებებს სამუშაო ნივთები (სამედიცინო, ტექნიკური ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები), რამდენად კომფორტულია ტერიტორიული მდებარეობა, რამდენად კმაყოფილია ფიზიკური პირობებით (განათება, ხმაური). რესპოდენტთა აზრით, მათი ორგანიზაციის სამუშაო გარემოს, პირობების გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა მოახდინა მათ მოტივაციაზე, უკეთ იმუშაონ, მათ გუნება-განწყობაზე მაღალი ხარისხით მოემსახურონ პაციენტებს. ბოლო წლებში ახლად გარემონტდა და კეთილმოეწყო შენობები, საექიმო კაბინეტები, პროცედურების ოთახები. ისინი აღიჭურვა ყველა საჭირო მედიკამენტებითა და აუცილებელი მოწყობილობა-დანადგარებით.

კვლევამ აჩვენა, რომ ოჯახის ექიმების 36.4% და ექთნების 30.2% თვლის, რომ დროულად ხდება მუშაობის პროცესში ტექნიკური ხარვეზის დროს რეაგირება. ოჯახის ექიმების 43.2% და ექთნების 37.7% თვლის, რომ სამუშაო ნივთები (სამედიცინო, ტექნიკური ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები) შეესაბამებაა მათ მოთხოვნებს და საჭიროებებს. ოჯახის ექიმების 43.2% და ექთნების 37.7% თვლის, რომ მათთვის ტერიტორიული მდებარეობა არის საკმაოდ კომფორტული. ოჯახის ექიმების 54.3% და ექთნების 46.3% თვლის, რომ ფიზიკური პირობებით (განათება, ხმაური) კმაყოფილია. სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ სამუშაო პირობები არის სამუშაო კმაყოფილების და მოტივაციის ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი (Purohit და Bandyopadhyay, 2014).

შრომითი კმაყოფილების განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მენეჯერებთან ურთიერთობა. მენეჯერებთან ურთიერთობა შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: მენეჯერებთან ურთიერთობა შესწავლილ იქნა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: რამდენად ფიქრობენ მენეჯერები მათ კეთილდღეობაზე, მენეჯერებთან საუბრისას რამდენათ აქვთ თავიანთი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალება, მენეჯერი რამდენად ახდენს იგნორირებას თანამშრომლის შეთავაზებაზე სამუშაოს გაუმჯობესების თაობაზე, რამდენად ეხმარებათ მენეჯერისგან მხარდაჭერა სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში, მენეჯერი აქებს თუ არა როდესაც სამუშაოს კარგად ასრულებს, მენეჯერი რამდენად მიუთითებს როდესაც საქმეს გაუმჯობესება სჭირდებოდა.

გამოკითხულ ოჯახის ექიმების 34.6% და ექთნების 22.2 % თვლის, რომ მენეჯერები ნაკლებად ფიქრობენ მათ კეთილდღეობაზე. ოჯახის ექიმების 58% და ექთნების 47.5% თვლის, რომ მენეჯერებთან საუბრისას ყოველთვის აქვთ თავიანთი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის საშუალება. ოჯახის ექიმების 65.4% და ექთნების 57.4% თვლის, რომ მენეჯერების მიერ თანამშრომელთა დაწინაურებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები სამართლიანია. ოჯახის ექიმების 51.9% და ექთნების 50% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მენეჯერი ახდენს იგნორირებას

თანამშრომლის შეთავაზებაზე სამუშაოს გაუმჯობესების თაობაზე. ოჯახის ექიმების 66% და ექთნების 59.3% თვლის, რომ მენეჯერისგან მხარდაჭერა მათ ეხმარებათ სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაში. ოჯახის ექიმების 69.1% და ექთნების 64.2% თვლის, რომ მენეჯერი აქებს როდესაც სამუშაოს კარგად ასრულებს. ოჯახის ექიმების 52.5% და ექთნების 48.1% თვლის, რომ მენეჯერი მიუთითებდა, როდესაც საქმეს გაუმჯობესება სჭირდებოდა.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ანაზღაურება გავლენას ახდენს სამედიცინო პერსონალის კმაყოფილებაზე. რაც უფრო მეტია შემოსავალი მით მაღალია კმაყოფილების დონე. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა არ არის კმაყოფილი არც მიმდინარე შემოსავლებით და არც ანაზღაურების მეთოდით. განსაკუთრებით ანაზღაურებით უკმაყოფილო აღმოჩნდნენ ოჯახის ექთნები, რადგან მათი ანაზღაურება საკმაოდ დაბალი იყო. ოჯახის ექთანთა ყოველთვიური ანაზღაურების მიხედვით, გამოკითხულთა 44%-ის ანაზღაურება შეადგენს 401-500 ლარს, ხოლო 16%-ის - 400 ლარამდეა. სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ასევე ადასტურებენ, რომ რაც უფრო მეტია სამედიცინო პერსონალის შემოსავალი მით მაღალია კმაყოფილების დონე (Solberg et al., 2013; Tanne, 2012).

სამედიცინო პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე ანაზღაურების გავლენის თვალსაზრისით შევისწავლეთ რამოდენიმე საკითხი: ანაზღაურების შესაბამისობა დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობასთან, ანაზღაურების მიღების დროულობა, დამატებითი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა სამუშაო პოზიციების მიხედვით, კომპანიის მიერ სტაბილურობის შეგრძნების უზრუნველყოფა ოჯახის ექიმთა და ექთანთა ანაზღაურების ტიპთან მიმართებაში.

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ ოჯახის ექიმთა 45 %-ის ანაზღაურება არ არის შესაბამისობაში მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობასთან. ამასთან, ოჯახის ექიმთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა საშუალო ანაზღაურება 500 ლარზე ნაკლებია, ფიქრობს, რომ ხელფასი არ შეესაბამებოდა მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს. კვლევების უმეტესობამ, რომელიც ფოკუსირებულია სამუშაოს კმაყოფილებაზე და მოტივაციაზე, აჩვენა, რომ ჯანდაცვის მუშაკები უკმაყოფილონი არიან დაბალი ხელფასით.

ოჯახის ექიმებთან შედარებით, ექთნების უფრო მეტი წილი (ექთნების 66 %) თვლის, რომ მათი ანაზღაურება არ არის შესაბამისობაში მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობასთან. ასევე ექთნების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა საშუალო ანაზღაურება 400 ლარზე ნაკლებია, ფიქრობს, რომ ხელფასი არ შეესაბამებოდა მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

ექთნების ასეთი დამოკიდებულება უმთავრესად დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ექთნების ანაზღაურების რეგულირებას არ ახდენს სახელმწიფო. ექთნების ანაზღაურება დამოკიდებულია სამედიცინო ორგანიზაციის ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებითაც (Verulava et al., 2018). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, საქართველოში ექთნების დაბალი ანაზღაურება განპირობებულია მათი დაბალი კვალიფიციურობით (Verulava et al., 2018). ექთნების დაბალი კვალიფიკაცია დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ქვეყანაში არ არსებობს ექთნებისთვის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური კურსები (ფრანგიშვილი, 2014).

კვლევამ აჩვენა, რომ შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს გამომუშავებულ ხელფასს ზევით დამატებითი, ბონუსური ანაზღაურების მიღების შესაძ-

ლებლობა. ბონუსური ანაზღაურება დაკავშირებულია დამატებითი სერვისების გაწევასთან. რაც უფრო მეტ სერვისებს გასწევს სამედიცინო პერსონალი მით მეტ ანაზღაურებას ღებულობს. ყოველთვიურად ხდება სამედიცინო პერსონალის მიერ დამატებით გაწეული სერვისების შეფასება, მათ შორის მის ექიმ - სპეციალისტებთან მიმართვა, ჩატარებული კონსულტაციები.

ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ ოჯახის ექიმთა უმრავლესობას (84 %) ჰქონდა დამატებითი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა. თუმცა, გამოკითხულ ექთანთა 40.1 % არ ჰქონდა დამატებითი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული დაკავშირებულია იმ გარემოებასთან, რომ ექიმებისაგან განსხვავებით ექთნებს უმთავრესად ეძლევათ ფიქსირებული ხელფასი და არ ხდება დაფინანსების მასტიმულირებელი მეთოდების გათვალისწინება, რაც ნეგატიურად მოქმედებს სამედიცინო პერსონალის შრომის ნაყოფიერებაზე და საერთოდ კმაყოფილებაზე (ვერულავა, 2009). სამედიცინო პერსონალის კომბინირებული მეთოდებით დაფინანსება გულისხმობს ფიქსირებული ხელფასის ან სულადობრივი მეთოდის გარდა ანაზღაურების სხვა მეთოდებით დაფინანსებას. კერძოდ, დამატებით გამოიყენება შესრულებული სამუშაოს მიხედვით ანაზღაურება, მიზნობრივი ანაზღაურება და სხვა მეთოდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასტიმულირებელი ანაზღაურების მეთოდების გამოყენება ბენეფიციარებზე პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად (ვერულავა და ბერუაშვილი, 2009).

სიღრმისეული ინტერვიუს მეშვეობით ასევე გამოვლინდა, რომ გამოკითხული ჯანდაცვის მუშაკები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ დამატებითი ბონუსის ეფექტს მათ მუშაობაზე. მათი უმეტესობა კმაყოფილია ხელფასებზე დამატებით ბონუსური ანაზღაურებით. მათი აზრით, ბონუსური ანაზღაურება ზრდის სამედიცინო პერსონალის მოტივაციას უკეთ მუშაობისათვის, ასევე აძლევს მათი ოჯახებზე ზრუნვის დამატებით რესურსს.

ჯანდაცვის მუშაკების უმეტესობა კმაყოფილია ბონუსური ანაზღაურების მისაღებად დადგენილი კრიტერიუმებით და მიღებული თანხით. ბონუსური ანაზღაურება ხელს უწყობს სამედიცინო პერსონალს შორის ჯანსაღი კონკურენციის განცდას. თუმცა, რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის აზრით, ბონუსური ანაზღაურება არ იყო ხელსაყრელი ექთნებისათვის, რაც ამცირებს მათ მუშაობის ეფექტიანობას. ამ მხრივ საჭიროა ექთნების ჩართვა ბონუსური ანაზღაურების მისაღებად, რაც გაზრდის მათ მოტივაციას იმუშაონ უკეთესად.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს დამსაქმებლის მიერ სტაბილურობის შეგრძნების უზრუნველყოფა. გამოკითხულ ოჯახის ექიმთა დიდი ნაწილი (ნაწილობრივ 29.6% და სრულად 21%) თვლის, რომ დამსაქმებელი ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობის შეგრძნებას. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა ექთნებთან მიმართებით, კერძოდ, გამოკითხულ ექთანთა უმრავლესობა (ნაწილობრივ 35.8% და სრულად - 29%) თვლის, რომ დამსაქმებელი ვერ უზრუნველყოფს სტაბილურობის შეგრძნებას.

განსაკუთრებით საინტერესოა დამსაქმებლის მიერ სტაბილურობის შეგრძნების უზრუნველყოფა ანაზღაურების ტიპის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ოჯახის ექიმების უმეტესობას (ნაწილობრივ 28.7%, სრულად - 23.1%) რომელთა ანაზღაურება ხდება შერეული ანუ კომბინირებული მეთოდით, ჰქონდათ სტაბილურობის შეგრძნება. ასევე, ექთნების უმრავლესობას (57.1 %) რომელთა ანაზღაურება ხდება

შერეული ანუ კომბინირებული მეთოდით, ჰქონდათ სტაბილურობის შეგრძნება. აღნიშნული მიგვანიშნებს შერეული ანუ კომბინირებული მეთოდით დაფინანსების დადებით როლზე (ვერულავა, 2021).

სამედიცინო პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს სამედიცინო ორგანიზაციაში ჩართულობა. სამედიცინო პერსონალის შრომით კმაყოფილებაზე სამედიცინო ორგანიზაციაში ჩართულობის გავლენის მხრით შევისწავლეთ შემდეგი საკითხები: რამდენად გრძნობს სამსახურში თავს ოჯახის წევრად, რამდენად გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი კომპანიის წარმატებაში, რამდენად გრძნობს დაფასებას მენეჯმენტის მხრიდან, რამდენად აქვთ მაქვს საკუთარი თავის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა.

კვლევამ აჩვენა, ოჯახის ექიმების მეტი წილი (51.9 %) და ექთნების მეტი რაოდენობა (50 %) თვლის რომ სამსახურში თავს გრძნობს ოჯახის წევრად. ოჯახის ექიმების უმეტესობას (53.7 %) და ექთნების ნახევარს (50%) გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი კომპანიის წარმატებაში. ოჯახის ექიმების 53.7 % და ექთნების 50% თვლის, რომ გრძნობს დაფასებას მენეჯმენტის მხრიდან. ოჯახის ექიმების და ექთნების მხოლოდ 33.3% თვლის, რომ აქვთ საკუთარი თავის მაქსიმალურად გამოვლენის შესაძლებლობა. ოჯახის ექიმების 35.2 % ნაწილობრივ არ ეთანხმება და 27.2 % არ ეთანხმება, ხოლო ექთნების 45.7% აწილობრივ არ ეთანხმება, ხოლო 31.5% არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხდება დამსაქმებლის მიერ მუდმივად დაჯილდოვება ხარისხიანად შესრულებული სამუშაოსთვის.

თანამშრომელთა შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს მუშაობა-ცხოვრების ბალანსი. ოჯახის ექიმების 45.7% და ექთნების 37.7% თვლის, რომ მუშაობს ნორმალური სამუშაო გრაფიკით. ოჯახის ექიმების 48.1% და ექთნების 56.2% თვლის, რომ დაცულია მუშაობა-ცხოვრების ბალანსი სამსახურში. ოჯახის ექიმების 22.8% და ექთნების 25.3% თვლის, რომ სტრესულია სამუშაო გარემო. ოჯახის ექიმების 24.1 % და ექთნების 26.5 % თვლის, რომ გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ აქცევენ ყურადღებას ოჯახის წევრებს. ოჯახის ექიმების 45.7% და ექთნების 23.5% თვლის, რომ გარდა ძირითადი სამუშაო საათებისა, მათ უწევთ დამატებით ჩართულობა არასამუშაო საათებში. ამგვარად, კვლევის შედეგები მეტყველებს, რომ ოჯახის ექიმები და ექთნები არ მუშაობენ ნორმალური სამუშაო გრაფიკით და შესაბამისად დარღვეული აქვთ მუშაობა-ცხოვრების ბალანსი.

კვლევები ადასტურებენ, რომ შრომით კმაყოფილებაზე გავლენას ახდენს „ოჯახური ცხოვრების“ შესაძლებლობა, რაც გულისხმობს სამუშაოსთან ერთად ოჯახის და პირადი ცხოვრების მხარდაჭერის ისეთ სარგებლებს, როგორცაა ოჯახთან გატარებული დრო და თავისუფალი დროის შესაძლებლობები. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მუშაობა-ცხოვრების ბალანსი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჯანდაცვის მუშაკების განზრახვას დატოვონ თუ გააგრძელონ არსებული საქმიანობა. სხვა ქვეყნებში ჩატარებულმა აჩვენა, რომ ზოგიერთი ამ სარგებელს აქვს გადაამწყვეტი როლი ჯანდაცვის მუშაკების პრეფერენციებში, განსაკუთრებით სოფლად ოჯახის ექიმების დასაქმებისა და მათი ადგილზე შენარჩუნებისთვის (Ramani, S., et al., 2013).

კვლევამ აჩვენა, რომ ქალები გაცილებით ნაკლებ კმაყოფილები იყვნენ ვიდრე მამაკაცები სამუშაოთი დატვირთვით, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კარიერის გარდა ქალებზე საოჯახო საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ზეწოლით. მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებით (Iliopoulos et al., 2011). თუმცა,

ზოგი კვლევით გამოვლინდა, რომ მამაკაცი ექიმები ყველაზე ნაკლებად იყვნენ კმაყოფილნი (Liu et al., 2010), ან საერთოდ არ აღინიშნებოდა გენდერული განსხვავება (Joyce et al., 2011).

ასაკთან დაკავშირებით, ხანდაზმულმა ექიმებმა განაცხადეს კმაყოფილების მნიშვნელოვნად მაღალი მაჩვენებელი (47%), განსაკუთრებით ისეთ ფაქტორებთან მიმართებით, როგორებიცაა: პაციენტებთან ურთიერთობა (78%), სოციალური სტატუსი და პატივისცემა (63%), კოლეგებთან ურთიერთობა (84%) და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა (88 %). მსგავსი შედეგები იქნა მიღებული სხვა კვლევებით (Aasland et al., 2010). თუმცა ზოგი კვლევის მიხედვით მუშაობით კმაყოფილება მცირდება ასაკთან ერთად (Iliopoulos et al., 2011).

6. დაკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს პირველადი ჯანდაცვის ორგანიზაციებში დასაქმებულთა შრომით კმაყოფილებაზე: ინდივიდუალური მახასიათებლები (მაგ., მოწოდება), ფინანსური და არაფინანსური გარეგანი სტიმულები, ორგანიზაციული სტრუქტურები და პროცესები, მათ შორის ზედამხედველობა, ლიდერობა, რესურსების განაწილების სამართლიანობა და პასუხისმგებლობა, პერსონალის დინამიკა და გუნდის ერთიანობა, კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, პაციენტებთან ურთიერთობა, ინტელექტუალური სტიმული, უწყვეტი სამედიცინო განათლების შესაძლებლობა. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კმაყოფილების დონე არ არის დამოკიდებული ერთ კონკრეტულ ფაქტორზე და გადამწყვეტ როლს თამაშობს მრავალი ფაქტორი. შესაბამისად, ექიმის მაღალი კმაყოფილება საკუთარი სამუშაოთი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მიერ გაწეულ მომსახურებას და დადებითად აისახება პაციენტის კმაყოფილების ხარისხზე, მის კეთილდღეობაზე, რაც ნებისმიერი სამედიცინო ორგანიზაციის უმთავრესი მიზანია.

კვლევამ აჩვენა, რომ რომ ჯანდაცვის პოლიტიკის შემქმნელებმა, დამგეგმვეებმა და მენეჯერებმა კრიტიკულად უნდა გაანალიზონ დამატებითი სტიმულების მიწოდების მნიშვნელობა. ჯანდაცვის მუშაკთა შრომით კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, გარდა ხელფასისა, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ოჯახური ცხოვრების მხარდაჭერაზე, ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნაზე, საგანმანათლებლო პერსპექტივებზე და ადეკვატურ თავისუფალ დროზე. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ სხვა არაფინანსური წახალისებებზე, როგორცაა საგანმანათლებლო ტრენინგები, პროფესიული განვითარების და დაწინაურების უკეთესი შესაძლებლობები და შესაძლებლობები, რაც სავარაუდოდ გამოიწვევს უფრო მეტ შრომით კმაყოფილებას.

ამრიგად, დასკვნის სახით, მოტივაცია და სამუშაო კმაყოფილება არის რთული კონსტრუქციები, რომლებზეც გავლენას ახდენენ სხვადასხვა ტიპის ფაქტორები სხვადასხვა დონეზე. მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების გაგებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი პროგრამულ რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც კიდევ უფრო აამაღლებენ ჯანდაცვის სისტემების ეფექტურ მუშაობას.

კვლევის ძლიერი მხარეები და შეზღუდვები

კვლევაში გაანალიზებულია ორგანიზაციულ დონეზე, პირველადი ჯანდაცვის მუშაკებში მოტივაციაზე და შრომით კმაყოფილებაზე განმსაზღვრელი ფაქტორები. ამ კუთხით, წინამდებარე დისერტაცია პირველი კვლევაა საქართველოში, რაც გამოასწორებს იმ კრიტიკულ ხარვეზს, რაც დაკავშირებულია პირველადი

ჯანდაცვის სისტემაში დასაქმებული პერსონალის მოტივაციაზე და შრომით კმაყოფილებაზე არსებული ლიტერატურის სიმწირესთან. გარდა ამისა, დისერტაცია ასევე ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებას პირველადი ჯანდაცვის სისტემის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ფინანსური წახალისების ეფექტები, კერძოდ, შედეგებზე ორიენტირებული დაფინანსების მიდგომები. კვლევაში გაანალიზებულია, თუ როგორ და რატომ იწვევს ისინი ცვლილებებს ჯანდაცვის მუშაკების ქცევაში. კვლევა ეფუძნება მყარ კონცეპტუალურ ჩარჩოს, მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების შესახებ არსებული თეორიებიდან გამომდინარე და იყენებს სათანადოდ შემუშავებულ მეთოდოლოგიას (რაოდენობრივი და თვისებრივი). მოცემული კვლევების შედეგებმა შეიძლება ხელი შეუწყოს შემდგომ კვლევებს.

თუმცა, ამ დისერტაციას აქვს რამდენიმე შეზღუდვები. კვლევა ეხება ბევრ ლატენტურ ცვლადს, მათ შორის მოტივაციას, სამუშაო კმაყოფილებას, ლიდერობას, რომლებიც ძნელი გასაზომია და უნდა შეფასდეს სხვა მეთოდების გამოყენებით, მაგალითად, პირდაპირი დაკვირვებების მეთოდით. მიუხედავად იმისა, რომ კვლევა დაფუძნებულია კონცეპტუალურ ჩარჩოზე, რომელიც გამომდინარეობს ორგანიზაციულ ფსიქოლოგიაში არსებული მოტივაციის თეორიებიდან, მისი ფარგლები შეზღუდულია ამ თეორიების შესაძლებლობებით. ანალოგიურად, მიუხედავად იმისა, რომ მას შეუძლია მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორების იდენტიფიცირება, მას არ შეუძლია დეტალურად აღწეროს მათი შედარებითი მნიშვნელობა.

შემდგომი კვლევები

მიუხედავად ამ შეზღუდვებისა, წინამდებარე კვლევა იძლევა საფუძველს მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების გასაგებად, განსაკუთრებით ორგანიზაციულ დონეზე. ის ასევე ბადებს დამატებით კითხვებს და მიუთითებს პოლიტიკის რეკომენდაციებზე, რომლებიც საჭიროებენ დამატებით კვლევების ჩატარებას. მაგალითად:

მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების ზემოქმედება მწარმოებლურობაზე: როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოტივაციისა და სამუშაო კმაყოფილების განმსაზღვრელი ფაქტორების გაგების გარდა, მნიშვნელოვანია მათი გავლენის გაზომვა ჯანდაცვის მუშაკების მწარმოებლურობაზე. საქართველოში, განსაკუთრებით პირველადი ჯანდაცვის სისტემაში შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების სქემის განვითარებისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება დამატებითი დაფინანსების ე.წ. ბონუსების გადახდების შესრულებაზე პირდაპირი გავლენის გაგებას. გარდა ამისა, ასევე საჭიროა შემდგომი კვლევები, რათა გავიგოთ მოტივაციისა და სამუშაოთი კმაყოფილების სხვადასხვა დეტერმინანტების შედარებითი მნიშვნელობა ჯანდაცვის მუშაკების მუშაობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გოგოლაძე, ლ., ვერულავა, თ., კაჭკაჭიშვილი, ი., კონცელიძე, ო. პირველადი ჯანდაცვის გამოწვევები საქართველოში: ხარაგაულისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტების მაგალითზე. კვლევის ანალიტიკური ანგარიში. ევროკავშირი საქართველოსათვის. 2019.
2. ვერულავა, თ. მედიცინის სტუდენტების კარიერის არჩევანი და დამოკიდებულება საოჯახო მედიცინის მიმართ. გლობალიზაცია და ბიზნესი. 2022;13:92-98.

3. ვერულავა, თ. პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. 2021.
4. ვერულავა თ. ექთნების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2015; 1 (1).
5. ვერულავა თ, ბერუაშვილი დ. ოჯახის ექიმთან მიმართვიანობის პრობლემები საქართველოში. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 2019; 5 (1).
6. ვერულავა თ. პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. 2021.
7. თენგიზ ვერულავა, ჯანდაცვის პოლიტიკის გამოწვევები საქართველოში: სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციული და ფინანსური პერსპექტივა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი, 2020.
8. თენგიზ ვერულავა. ჯანდაცვის პოლიტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016
9. ვერულავა, თ. (2021). პირველადი ჯანდაცვის სისტემა და მისი როლი ჯანმრთელობის კაპიტალის ამაღლებაში. თბილისი: ძვაპოლიგრაფი.
10. ვერულავა, თ., & ჯორბენაძე, ა. (2021). პირველადი ჯანდაცვის 1995 - 2003 წლების რეფორმები: გამოცდილება და რეკომენდაციები. Georgia Forbes Health.
11. ვერულავა, თ., & ჯორბენაძე, რ. (20). პირველადი ჯანდაცვის მეკარიბჭეობა და მიმართვიანობა: პაციენტების თვალსაზრისი ოჯახის ექიმის როლზე. თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი - ეკონომიკა და ბიზნესი.
12. ვერულავა, თ. (2015). მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება. ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა, 1 (1):33-48. [\[Link\]](#)
13. ვერულავა, თ. (2009) ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბილისი: საქართველოს უნივერსიტეტი, 2009. [\[Google Scholar\]](#) [\[Link\]](#)
14. მიქავა ნ, გაბრიჭიძე ს. სუსტი პირველადი ჯანდაცვა - ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მიღწევის ძირითადი ბარიერი. საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი. 2019.
15. ფრანგიშვილი ია. რა ღირს ექთნის შრომა. გაზეთი ბათუმელები. 2014.06.13.
16. Ashraf H, Shah N, Anwer F, Akhtar H, Abro MA, Khan A. Professional satisfaction of family physicians in Pakistan--results of a cross-sectional postal survey. J Pak Med Assoc. 2014;64(4):442–446.
17. Aasland OG, Rosta J, Nylenna M. Healthcare reforms and job satisfaction among doctors in Norway. Scand J Public Health. 2010;38(3):253–258.
18. Christen, M., Iyer, G., & Soberman, D. (2006). Job Satisfaction, Job Performance, and Effort: A Reexamination Using Agency Theory. Journal of Marketing, 70(1), 137-150.
19. Franco, L.M., S. Bennett, and R. Kanfer, Health sector reform and public sector health worker motivation: a conceptual framework. Soc Sci Med, 2002. 54(8):1255-66.

20. Huey M, Shake K, Richard W. Relationship of nurses assessment of organizational culture, job satisfaction and patient satisfaction with nursing care. *Int J Nurs Stud.* 2002;39:80–84
21. Joyce CM, Schurer S, Scott A, Humphreys J, Kalb G. Australian doctors' satisfaction with their work: results from the MABEL longitudinal survey of doctors. *Med J Aust.* 2011;194(1):30–33.
22. Iliopoulos E, Priporas CV. The effect of internal marketing on job satisfaction in health services: a pilot study in public hospitals in Northern Greece. *BMC Health Serv Res.* 2011;11:261.
23. Kahiga KW. Factors influencing the job satisfaction of nurses working in obstetric units in public hospitals in Kenya. *Journal of Nursing Education and Practice* 2018, Vol. 8, No. 2.
24. Liu JA, Wang Q, Lu ZX. (2010). Job satisfaction and its modeling among township health center employees: a quantitative study in poor rural China. *BMC Health Serv Res.*10():115.
25. Purohit and Bandyopadhyay: Beyond job security and money: driving factors of motivation for government doctors in India. *Human Resources for Health* 2014 12:12
26. Raha, S., Berman, P., Bhatnagar, A., Career preferences of graduating medical and nursing students in Uttar Pradesh, India. In: La Forgia J, Rao K, eds. *India Health Beat.* New Delhi: World Bank, New Delhi and Public Health Foundation of India., 2009.
27. Shakir S, Ghazali A, Shah IA, Zaidi SA, Tahir MH. Job satisfaction among doctors working at teaching hospital of Bahawalpur, Pakistan. *J Ayub Med Coll Abbottabad.* 2007;19(3):42–45
28. Sharma M, Goel S, Singh SK, Sharma R, Gupta PK. (2014). Determinants of Indian physicians' satisfaction & dissatisfaction from their job. *Indian J Med Res.* 139(3):409-17.
29. Solberg IB, Tómasson K, Aasland O, Tyssen R. The impact of economic factors on migration considerations among Icelandic specialist doctors: a cross-sectional study. *BMC Health Serv Res.* 2013 Dec 18; 13():524.
30. Tanne JH. Income and job satisfaction fall among US doctors. *BMJ.* 2012 May 1; 344():e3109.
31. Toode, K., P. Routasalo, and T. Suominen, Work motivation of nurses: a literature review. *Int J Nurs Stud,* 2011. 48(2): p. 246-57.
32. Verulava T, Jorbenadze R, Barkalaia T. Introduction of universal health program in Georgia: Problems and Perspectives. *Georgian Med News* 2017; 262(1): 116-120.
33. Verulava T, Jorbenadze R, Dangadze B, Karimi L. Nurses' Work Environment Characteristics and Job Satisfaction: Evidence from Georgia. *Gazi Medical Journal,* 2018; 29 (1): 1-5.

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, professor of Caucasus University;

Giorgi Chiladze

Doctor, Associate Professor of the School of Business and

Administrative Sciences of the University of Georgia;

Temur Barkalaya

Doctoral student, University of Georgia School of Business and Administrative Sciences

WORK MOTIVATION AND JOB SATISFACTION AMONG PRIMARY HEALTHCARE WORKERS IN GEORGIA

Expanded Summary

Motivation is defined as human effort, striving, stimulation process for successful work and achievement of organizational goals. It develops as a result of the interaction of individual, organizational and cultural

factors. The research question is to evaluate and analyze the characteristics of motivation and job satisfaction in the primary health care system in Georgia. Primary health care is the most equitable and effective strategy to improve the health of the population. The relevance of the issue is indicated by the poorly developed aspect of the primary health care system in Georgia.

The purpose of the study is to study the factors determining the motivation and job satisfaction of primary health care personnel in Georgia, to determine their influence on the ability to achieve professional goals.

The results of the study showed that the successful and effective work of the medical organization is largely related to the job satisfaction of the medical staff. The doctor's satisfaction with his work significantly improves the services he provides and positively affects the patient's satisfaction level. The doctor's behavior with his colleagues, as well as the relationship between the doctor and the patient, depends on his level of job satisfaction.

Job satisfaction of doctors is influenced by both activity and personal characteristics. The most important factors were identified as: relationship with patients, intellectual stimulation, opportunity for continuous medical education, job satisfaction, relationship with colleagues and management.

Job satisfaction is significantly determined by the possibility of professional development. The study confirmed that one of the most important challenges is the critical shortage of properly trained personnel. From the point of view of the possibility of professional development, we studied several issues: the possibility of taking trainings, conducting trainings with high intensity, how high is the involvement of employees in trainings, how much trainings help in improving practical skills.

Most of the family doctors (50%; n=81) believe that they have the opportunity to receive training; However, training opportunities are very low for nurses; 34.6% of nurses believe that they do not have the opportunity to receive trainings; 29% of family doctors and 34.6% of nurses believe that trainings are not conducted with high intensity; The majority of family doctors (40.7.5% partially and 28.4% fully) believe that employee involvement in trainings is not high; 54.9% of family doctors and 46.9% of nurses believe that trainings help to improve practical skills.

The mentioned results may be caused by the fact that incentives for continuous medical education and continuous professional development have not been implemented in Georgia, which make it very attractive and even necessary for the doctor to constantly update his knowledge. Such incentives are: career growth guarantee, salary increase, bonuses, contracting only those doctors who participate in continuous medical education. The low level of professional education of nurses is especially alarming.

Job satisfaction is influenced by the working environment and conditions of the organization. Good working conditions contribute to the willingness of medical staff to serve patients better. On the other hand, in a satisfactory environment, patients develop motivation to often turn to their family doctor when needed, where they can calmly explain their complaints.

We studied the impact of working conditions on job satisfaction according to several issues: how timely is the response to a technical fault in the work process, how well do the work items (medical, technical inventory, stationery) correspond to the requirements and needs, how comfortable is the territorial location, how satisfied are they with the physical conditions. According to the respondents, the improvement of the working environment and conditions of their organization had a positive effect on their motivation to work better, as well as on their mood to provide high quality service to patients. In recent years, the buildings, doctor's offices, and procedure rooms have been renovated and improved. They are equipped with all necessary medicines and necessary equipment.

The research showed that 36.4% of family doctors and 30.2% of nurses believe that there is a timely response to a technical error in the work process; 43.2% of family doctors and 37.7% of nurses believe that work items (medical, technical inventory, stationery) correspond to their requirements and needs. 43.2% of family doctors and 37.7% of nurses believe that the territorial location is quite comfortable for them; 54.3% of family doctors and 46.3% of nurses believe that they are satisfied with physical conditions.

One of the important factors determining job satisfaction is the relationship with managers. The relationship with managers was studied considering the following issues: how much managers think about their well-being, how much they have the opportunity to freely express their opinion when talking to managers, how much the manager ignores the employee's suggestions for improving the work, how much support from the manager helps in quality work, whether the manager praises when he does a good job, the extent to which the manager points out deficiencies when things need improvement.

Family doctors (34.6%) and nurses (22.2%) believe that managers think less about their well-being; 58% of family doctors and 47.5% of nurses believe that they always have the opportunity to freely express their opinion when talking to managers; 65.4% of family doctors and 57.4% of nurses believe that managers' decisions regarding employee promotion are fair; 51.9% of family doctors and 50% of nurses do not agree with the opinion that the manager ignores the employee's suggestion to improve work; 66% of family doctors and 59.3% of nurses believe that support from the manager helps them to perform their work well; 69.1% of family doctors and 64.2% of nurses believe that the manager praises when he does his job well; 52.5% of family doctors and 48.1% of nurses believe that the manager indicated when things needed to be improved.

As a result of the conducted research, the main factors that influence the job satisfaction of employees in primary care organizations were identified: individual characteristics (eg, calling), financial and non-financial external incentives, organizational structures and processes, including supervision, leadership, fairness and responsibility for the distribution of resources, Staff dynamics and team cohesion, relationships with colleagues and management, relationships with patients, intellectual stimulation, opportunities for continuing medical education. We can conclude that the level of satisfaction does not depend on one specific factor and many factors play a decisive role. Accordingly, a doctor's high satisfaction with his work significantly improves the services he provides and has a positive impact on the patient's satisfaction and well-being, which is the main goal of any medical organization.

Research shows that health policy makers, planners and managers need to critically analyze the importance of providing additional incentives. In order to improve the job satisfaction of health workers, in addition to salary, special emphasis should be placed on supporting family life, creating decent living conditions, educational prospects and adequate free time. In addition, attention should be paid to other non-financial incentives such as educational training, better opportunities and opportunities for professional development and promotion, which are likely to lead to greater job satisfaction.

Thus, in conclusion, motivation and job satisfaction are complex constructs that are influenced by different types of factors at different levels. Understanding motivation and job satisfaction can facilitate the development of programmatic recommendations that further enhance the effectiveness of health systems.

Keywords: motivation, job satisfaction, health policy, primary health care, family doctors

თენგიზ ვერულავა
მედიცინის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ქეთევან ომანაძე
დოქტორანტი, ბიზნესის ფაკულტეტი, კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი

ანტიკრიზისული პროცესების მართვა სამედიცინო კლინიკებში

ანოტაცია. კრიზისის პირობებში მენეჯერებს ესაჭიროებათ ახალი ცოდნა, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციებისათვის მოსალოდნელი საფრთხეების წინასწარ განსჭვრეტისა და თავიდან აცილების უნართან, ამასთან, აუცილებელია სწრაფი რეაგირება, რათა მინიმუმადე დაიყვანოს ზიანი და დაძლიოს მისი შედეგები.

კრიზისების დაძლევის შესაძლებლობას გვაძლევს ანტიკრიზისული მართვის თეორია, რომელმაც მნიშვნელოვანი განვითარება მიიღო ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ანტიკრიზისული მენეჯმენტი არის მეთოდებისა და ტექნიკის ერთობლიობა, რომელიც საშუალებას აძლევს მენეჯერს განახორციელოს კრიზისების პრევენცია, დაძლიოს ზიანის უარყოფითი შედეგები და შეამსუბუქოს კრიზისის მიმდინარეობა.

გამომდინარე იქედან, რომ ანტიკრიზისული მენეჯმენტი ჯანდაცვაში ახალი სიტყვაა, აქტუალურია, არის თუ არა ჯანდაცვის სისტემა მზად კრიზისებთან გასამკლავებლად, როგორ ვმართოდ კრიზისული სიტუაცია, რომელიც სხვადასხვა ფაქტორების გავლენით იქმნება სამედიცინო დაწესებულებებში, რამდენად სწრაფად ადაპტირდებიან კლინიკები შექმნილ სიტუაციებთან.

საკვანძო სიტყვები: ანტიკრიზისული მენეჯმენტი, ჯანდაცვა.

კატასტროფების არსი

ტერმინი „კატასტროფა“ გულისხმობს მოულოდნელ მოვლენას, რომელიც იწვევს ადამიანების დიდი რაოდენობის ავადმყოფობას ან დაზიანებას. გაეროს კატასტროფების რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის მიხედვით, კატასტროფებისთვის მზადყოფნა ნიშნავს სამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობას და უნარს, მოახდინონ ეფექტური რეაგირება და სწრაფად გამოვიდნენ კატასტროფების უარყოფითი ზემოქმედებისგან.

საავადმყოფოები დიდ როლს ასრულებენ კატასტროფული მოვლენების მართვაში, რომელიც ძირითადად სიცოცხლის გადარჩენაზეა ფოკუსირებული. (Mulyasari, 2013) საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნა მიზნად ისახავს ავადობისა და სიკვდილიანობის პრევენციას, დაზიანებულებზე ზრუნვას, ნორმალური ჯანმრთელობის აღდგენის უზრუნველყოფას, ჯანდაცვის სერვისების აღდგენას, პერსონალის დაცვას.

საავადმყოფოები მიეკუთვნება ჯანდაცვის ცენტრებს, რომელთა სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს კატასტროფებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებაში. შესაბამისად, საავადმყოფოები დაპროექტებული და აშენებული უნდა იყოს კრიზისული სიტუაციების ეფექტურად მართვისათვის. კატასტროფები გავლენას ახდენს ქვეყნების

ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე, იწვევს ჯანდაცვის სექტორის გადატვირთულობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ექსპერტთა აზრით, დაახლოებით 3,4 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს სტიქიური უბედურების ცხელ წერტილში. კატასტროფების მართვისათვის საჭიროა რისკის შეფასება, სტრუქტურული და არასტრუქტურული პრევენცია და საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის, გაფრთხილებისა და ევაკუაციისათვის მზადყოფნა. (Bajow, 2014) საზოგადოების არცერთი ნაწილი არ არის დაცული კატასტროფებისგან, ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი განიცდის სტიქიურ უბედურებას. კატასტროფები ტოვებენ ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორცაა: ეკონომიკური ზარალი, დაღუპულთა დიდი რაოდენობა. ყველაზე დიდი გავლენა ამ მხრივ აქვთ ეკონომიურად ღარიბ ქვეყნებს. (Heidaranlu E, 2015)

კატასტროფების კვალიფიკაცია იყოფა ორ ნაწილად, ბუნებრივი კატასტროფები, რომელსაც მიეკუთვნება: ბუნებრივი მოვლენები (მიწისძვრა, ცუნამი, წყალდიდობები) და ადამიანის მიერ შექმნილი კატასტროფები: ომი, ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური ომი.

საავადმყოფოს კატასტროფის გეგმა

საგანგებო სიტუაციებისა და კატასტროფული მოვლენებისთვის მზადყოფნებისმიერი საავადმყოფოს ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია. თითოეულ საავადმყოფოს უნდა ჰქონდეს გეგმა გადაუდებელი მოვლენებისათვის, რომლებმაც უნდა მოახდინოს გადაუდებელი მოვლენების კატეგორიზაცია დონეებად, მოვლენის ბუნების მიხედვით. ასევე, გეგმამ უნდა განსაზღვროს კატასტროფების მართვის გუნდები და პერსონალის ხელმისაწვდომობა. (United Nations Development Program and government of India, 2002)

საავადმყოფოს კატასტროფების მართვის გეგმის მთავარი მიზანია, პერსონალის ოპტიმალურად მომზადება საავადმყოფოს ინსტიტუციური რესურსებისა და სტრუქტურების ეფექტური მუშაობისათვის. (DISASTER MANAGEMENT PLAN) საავადმყოფოს კატასტროფების მართვის გეგმა არის წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს საავადმყოფოს პერსონალისთვის. კატასტროფის გეგმა უნდა იყოს ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა რომელიც უნდა მოიცავდეს კატასტროფისთვის მზადყოფნას, რეაგირება და აღდგენას.

საავადმყოფოს კატასტროფის გეგმების პრინციპებია: გეგმა უნდა იყოს მარტივი და ოპერატიულად ფუნქციონალური; უნდა იყოს შესრულებადი სხვადასხვა ფორმის კატასტროფებისათვის; უნდა იყოს საკმარისად ყოვლისმომცველი, რათა მოხდეს საავადმყოფოების ქსელისათვის საერთო პოლიტიკის ფორმულირება; გეგმა უნდა იყოს ადაპტირებადი, მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფის გეგმა მიზნად ისახავს სტანდარტის უზრუნველყოფის პროცედურებს; არ უნდა იყოს იზოლირებული, არამედ უნდა იყოს ინტეგრირებული რეგიონულ და ქვეყნის გეგმასთან.

საავადმყოფოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაში. საზოგადოება მას აღიქვამს, როგორც დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და შემდგომი დაკვირვების სასიცოცხლო რესურსს. კატასტროფების დროს საავადმყოფო იძულებულია უზრუნველყოს პაციენტების დიდი რაოდენობის მომსახურება შეზღუდულ დროში, რაც იწვევს მისი ინფრასტრუქტურის გადატვირთვას. შესაბამისად, საავადმყოფოებისთვის კატასტროფა არის „რესურსების დროებითი ნაკლებობა, რომელიც გამოწვეულია, პაციენტის მოულოდნელად დიდი

რაოდენობით შემოდინებით“. საავადმყოფოს კატასტროფების მენეჯმენტი, იძლევა სიტუაციის დაგეგმვის, რაციონალური რეაგირების შესაძლებლობას.

კატასტროფის მართვა შეუძლებელია სახელმწიფოსა და საერთაშორისო სააგენტოების ჩართულობის გარეშე. კატასტროფების ნეგატიური შედეგების შესამცირებლად მნიშვნელოვანია საზოგადოების მომზადება. (Panel. E., 2018)

საავადმყოფოს კატასტროფების მართვა დაყოფილია სამ ეტაპად: კატასტროფამდელი ფაზა, კატასტროფის ფაზა, კატასტროფის შემდგომი ფაზა.

კატასტროფამდელი ეტაპი მოიცავს მომზადების პროცესს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კატასტროფულ მოვლენებზე ეფექტური რეაგირებისათვის. საავადმყოფოებისათვის ეს ეტაპი მოიცავს გადაუდებელი შემთხვევების დაგეგმვას, კატასტროფებზე რეაგირებაში ჩართული პერსონალის განათლებასა და ტრენინგს (Chimenya, 2011)

კატასტროფის ფაზა შესაძლოა დაიყოს სამ ქვეფაზად:

ა) აქტივაციის ეტაპზე ინიშნება საავადმყოფოს კატასტროფების მართვის მთავარი მენეჯერი.

ბ) საოპერაციო ფაზაში დაზიანებულ ადამიანებს უტარდებათ ჰოსპიტალური ოპერაციები გადაუდებელი დახმარების გეგმის შესაბამისად.

გ) დეაქტივაციის ქვეფაზაში მცირდება მსხვერპლთა ნაკადი, შედეგად, იგი არ აჭარბებს საავადმყოფოს რესურსებს და ხდება გადაუდებელი დახმარების გეგმის დეაქტივირება. (United Nations Development Program and government of India, 2002)

კატასტროფის შემდგომი ფაზა უნდა იყოს ინტეგრირებული გადაუდებელი დახმარების გეგმასთან. იგი მოიცავს კატასტროფამდელი და კატასტროფის ფაზების ყველა აქტივობის შეფასებას და განსაზღვრავს მათი გაუმჯობესების მოქმედებებს მომავალში. (Chimenya, 2011)

კატასტროფისთვის ჰოსპიტალური მზადყოფნა

კრიზისის დროს საავადმყოფოების მზადყოფნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. (Jacques, 2014) მზადყოფნა გულისხმობს მოქმედებებს, რომლებიც მიიღება მოსალოდნელი ან მიმდინარე საფრთხის ეფექტიანი რეაგირებისათვის. საავადმყოფოს კატასტროფებისთვის მზადყოფნისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაზიანებულთა მასიური შემოდინების გეგმა ცნობილი იყოს პროფესიონალების მიერ. (Paganini. M., 2016) ბევრი საავადმყოფო კრიზისის დროს განიცდის საწოლების დეფიციტს და სამედიცინო პერსონალის არასრულფასოვან მომსახურებას. მოულოდნელ მოვლენებზე სათანადო რეაგირებისთვის საჭიროა სათანადო მზადყოფნა. ყველა მოვლენა უნიკალურია და თითოეულ საავადმყოფოს აქვს თავისი სიტუაცია, მაგრამ უნდა არსებობდეს ერთიანი მკაფიო გეგმა კრიზისებთან საბრძოლველად. (Mastaneh. Z., 2013) კრიზისების წინააღმდეგ გეგმას სჭირდება სათანადო ექსპერტიზა, განათლება, რესურსები და მზადყოფნა. (Luc, Greet, & Kurt, 2014)

ერთი კვლევის მიხედვით, რომელიც ლოს-ანჯელესის 45 საავადმყოფოში ჩატარდა, საავადმყოფოების 96%-ს გააჩნდა გადაუდებელი შემთხვევების მართვის სისტემა (ICS), მხოლოდ 29%-ს ჰქონდა 20 საწოლზე მეტი რაოდენობა, 42%-ს - 10 ან მეტი იზოლირებული ოთახი, 29%-ს - ვენტილაციის ექვსი ან მეტი ხაზი. (Amy H Kaji, 2006)

იტალიაში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 85 გადაუდებელი დახმარების დეპარტამენტს და მიზნად ისახავდა საავადმყოფოს პერსონალის ცოდნის დონის შესწავლას გადაუდებელი დახმარების გაწევის გეგმის

შესახებ, პერსონალის მხოლოდ 45% იცის რა არის გადაუდებელი დახმარების გაწევის გეგმა, 41% იცის ვინ არიან ჩართულნი გეგმით გაწერილ აქტივობებში, 38% იცოდა ვინ იყო პასუხისმგებელი კატასტროფის გეგმაზე. ამგვარად, შედეგებმა აჩვენა, რომ სამედიცინო პერსონალს კატასტროფების დაგეგმვის ძირითადი კონცეფციების ცოდნის საკმაოდ დაბალი დონე აქვს. (Paganini. M., 2016)

იაპონიაში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა საავადმყოფოს მზადყოფნისა და გადაუდებელ მოვლენებზე რეაგირების შესაძლებლობის შეფასებას ლიკერტის 6 ბალიან სკალაზე, გამოავლინა შეფასების დაბალი საშუალო ქულა 2,63. ექთნებმა აღიარეს რომ არ ჰქონდათ სხვადასხვა კატასტროფულ სიტუაციაში რეაგირების სათანადო ცოდნა, კერძოდ, მათ ჰქონდათ ინფორმაცია საავადმყოფოს კატასტროფის გეგმის შესახებ, მაგრამ იცოდნენ, რომ ვერ შეძლებდნენ მის შესრულებას. (Öztekin. S, 2016)

ტეხასის შტატში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა კატასტროფული სიტუაციების მართვისათვის მზადყოფნაზე მედლების უნარ ჩვევების შეფასებას, რესპოდენტთა უმეტესობა არ იყო დარწმუნებული თავის შესაძლებლობებში, უპასუხოს კატასტროფებს. (Baack. S, 2013)

ინდოეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც მიზნად ისახავდა კატასტროფის გეგმის შესახებ საავადმყოფოების ცოდნის, დამოკიდებულების და პრაქტიკის შესწავლას რესპოდენტთა 40.5%-მა იცოდა კატასტროფის გეგმის კონცეფცია, ხოლო 61.3%-მა იცოდა კატასტროფის ტრენინგების შესახებ, 83.3% თვლიდა, რომ ყველა ჯანდაცვის მუშაკმა უნდა იცოდეს კატასტროფის გეგმის შესახებ, 90.5%-ის აზრით, კატასტროფებისთვის მზადყოფნის ტრენინგი აუცილებელია მთელი პერსონალისთვის. (Sharma. S., 2016)

ევროკავშირის 27 ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევამ, რომელიც მიზნად ისახავდა ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნის შესწავლას კატასტროფულ მოვლენებზე რეაგირებისათვის, აჩვენა რომ, კატასტროფების მართვის მომზადების საშუალო დონე (68%). (Djalali. A., 2014)

მსგავსი კვლევები ჩატარდა სამხრეთ აფრიკაში (Moabi. MR., 2009), ირანში (Bajow. NA., 2014), საუდის არაბეთში (Al-Shareef. AS., 2016) იორდანიაში (Al Khalailah. MA., 2012)

კატასტროფების შედეგად ჯანდაცვის სისტემების დაზიანება ნეგატიურ გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, იწვევს უზარმაზარ ეკონომიკურ ზარალს. სამედიცინო ორგანიზაციები მზად უნდა იყვნენ საგანგებო სიტუაციების და კატასტროფების უზრუნველსაყოფად.

ჰოსპიტალური კატასტროფისთვის მზადყოფნის ინდიკატორები.

კომუნიკაცია და კოორდინაცია: შიდა და გარე საკომუნიკაციო სისტემები აუცილებელია საავადმყოფოების სათანადო ფუნქციონირებისთვის, სხვა ჯანდაცვით ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციისთვის. კომუნიკაცია აუცილებელია პერსონალის გამოძახების, შეტყობინებების გაგზავნისა და პაციენტების საავადმყოფოებს შორის გადაყვანის კოორდინაციისთვის. (Bagaria. J., 2009)

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მოთხოვნის ზრდა: კატასტროფების დროს პაციენტთა მოცულობის ზრდის გარდა, მოსალოდნელია სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე მოთხოვნის ზრდა. (McManus. J., 2006) ყოველდღიური ოპერაციების, ადექვატური სივრცისა და პერსონალის მართვის უნარი პირდაპირ გავლენას ახდენს საავადმყოფოების უნარზე გაუმკლავდნენ პაციენტთა ჭარბ ნაკადს

გადაუდებელი სიტუაციების დროს. გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დეპარტამენტის გადატვირთულობა კრიტიკული პრობლემაა. საავადმყოფოს უხდება დაზიანებების მასობრივ შემთხვევებთან გამკლავება, რისთვისაც იძულებულია გააფართოვოს თავისი რესურსები და განხორციელდეს ისეთი ქმედებები, როგორცაა: გეგმიური ოპერაციების გაუქმება, პაციენტთა სასწრაფო გაწერა სტაციონარიდან, ალტერნატიური მოვლის ზონების გახსნა, სამედიცინო პერსონალის მობილიზება.

ტრიაჟი: ტრიაჟი არის პაციენტის მკურნალობის პრიორიტეტის განსაზღვრის პროცესი, მათ მდგომარეობის სიმძიმის მიხედვით და მოიცავს სამ კატეგორიას: ა) ისინი, ვინც სავარაუდოდ გადარჩებიან, მიუხედავად გაწეული სამედიცინო მომსახურებისა; ბ) მათ, ვისაც გადარჩენის ნაკლები შანსი აქვთ; გ) მათ ვისთვისაც გადაუდებელმა დახმარებამ შესაძლოა დადებითი გავლენა მოახდინოს შემდგომში. (Iserson. KV., 2007)

დღესდღეობით საავადმყოფოების უმეტესობა იყენებს ტრიაჟის სისტემას, რათა დადგინდეს მკურნალობის პრიორიტეტი სხვადასხვა პაციენტებისთვის, რომლებიც მიიყვანეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დეპარტამენტებში. ტრიაჟის სისტემაში მონაწილეობს კვალიფიციური ექთანი ან ექიმი, რათა შეაფასოს ყველა პაციენტი და დაახარისხოს ისინი დაავადების ან დაზიანების სიმძიმისა და მკურნალობის საჭიროების მიხედვით. შერჩეული კვალიფიციური ექთნები და ექიმები გადიან ტრენინგს ტრიაჟის შესახებ, ხოლო სისტემის ეფექტურობის შესაფასებლად ტარდება პერიოდული მონიტორინგი. ტრიაჟის სისტემაში იყენებენ ფერად ტეგებს პაციენტების კატეგორიიზაციისთვის მათი მკურნალობის საჭიროების მიხედვით (International Committee of Red Cross, 2016):

- წითელი ფერი: ამ ტიპის პაციენტებს აქვთ უმაღლესი პრიორიტეტი და საჭიროებენ სასწრაფო ჩარევას. პაციენტებში გამოხატულია სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები, მათ შორის სისხლდენა, სუნთქვის დისტრესი ან სუნთქვის უკმარისობა, თავის მძიმე დაზიანება.

- ყვითელი ფერი: ამ პაციენტებს აწუხებთ საშუალო სიმძიმის დაავადება ან ტრავმა, მაგრამ მათი მდგომარეობა სტაბილურია და შეუძლიათ 1-2 საათის განმავლობაში იყვნენ დაყოვნების რეჟიმში. მათ სჭირდებათ დაკვირვება და პერიოდული შეფასება რაიმე ცვლილების გამოსავლენად. მაგალითად, სტაბილური მოტეხილობები, ჭრილობები აქტიური სისხლდენის გარეშე, მუცლის ტკივილი.

- მწვანე ფერი: პაციენტები უჩივიან მსუბუქ დაზიანებას ან ავადმყოფობას და ჩვეულებრივ, თვითონ მიმართავენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დეპარტამენტში. მათ არ სჭირდებათ დაუყოვნებელი მკურნალობა და შეუძლიათ რამდენიმე საათი ან დღე იყვნენ მოცდის რეჟიმში. მათ შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი მედიკამენტები და მკურნალობა განაგრძონ ბინაზე ან ამბულატორიულ კლინიკაში. მაგალითად, დაბალი ხარისხის ცხელება, თავის ტკივილი, თირკმლის კოლიკა...

- შავი ფერი: პაციენტები იმდენად მძიმედ არიან დაზიანებულები, რომ ნაკლებად სავარაუდოა გადარჩენის სამედიცინო ან ქირურგიული ჩარევით. კატასტროფების დროს ამ პაციენტებს ჩვეულებრივ ათავსებენ სპეციალურ ზონაში, მაგრამ ჩვეულებრივ სიტუაციებში ტარდება გარკვეული ინტერვენციები მათი სიცოცხლის გადასარჩენად. პაციენტებს აქვთ დიდი ფართობის დამწვრობა, მძიმე

მრავლობითი ტრავმა, მათ შორის ტვინის ქსოვილის დაზიანება, გულმკერდის მძიმე ჭრილობები.

სასიცოცხლო ობიექტების უსაფრთხოება და ტექნიკური უსაფრთხოება.

თითოეულ ჰოსპიტალს უნდა ჰქონდეს სამაშველო საშუალებების უსაფრთხოების მართვის პროტოკოლები, რათა უზრუნველყოს საავადმყოფოში ყველა რგოლის გამართული მუშაობა ნებისმიერ გარემოებებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი სასიცოცხლო ობიექტების უსაფრთხოება, როგორცაა: ელექტრომომარაგება, ელექტროენერჯის გენერატორები, სუფთა წყალმომარაგება, ჟანგბადის მიწოდება და საცავი, გადაუდებელი გასასვლელი სისტემა და ნარჩენების მართვისა და განადგურების სისტემა.

საგანგებო სიტუაციებში დაზარალებული მოსახლეობის სიცოცხლე და კეთილდღეობა ყოველთვის დაცული უნდა იყოს. დიდი მნიშვნელობა აქვს წუთებსა და საათებს, რადგან დრო სიცოცხლის გადარჩენის არსებითი ფაქტორია. კატასტროფების რისკის შემცირების პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურის, სერვისების დაზიანების შემცირება. (WHO, Making health facilities safe in emergencies and disasters, n.d.)

იმისათვის, რომ უსაფრთხო სამედიცინო დაწესებულება დარჩეს ხელუხლებელი, ხელმისაწვდომი და მაქსიმალურად ფუნქციონირებდეს საგანგებო ან კატასტროფის მდგომარეობის დროს, უნდა ეყრდნობოდეს ისეთ ფაქტორებს, როგორცაა:

- ჯანდაცვის ინფრასტრუქტურა, რომელსაც შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს პაციენტთა დიდი ნაკადების შემოდინებას კატასტროფის დროს და ჰქონდეს თავდაცვითი მექანიზმი ყველანაირი საფრთხისგან.
- მედიკამენტები და სამედიცინო აღჭურვილობა, რომელიც ხელმისაწვდომი და დაცული უნდა იყოს ყველანაირი საფრთხისგან.
- ინფრასტრუქტურა და კრიტიკული სერვისები (წყალი, ელექტროენერჯია, საკვები) რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების მიწოდების მხარდასაჭერად.
- სამედიცინო პერსონალი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების გაწევა უსაფრთხო და დაცულ გარემოში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ჰოსპიტალის უსაფრთხოების ინდექსი არის ინსტრუმენტი, რომელსაც იყენებენ ჯანდაცვის ორგანოები, სამედიცინო ორგანიზაციების უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციებში ფუნქციონირების შესაფასებლად. ინსტრუმენტი მოიცავს შეფასების ფორმებს, შემფასებელთა სახელმძღვანელოს და უსაფრთხოების ინდექსის კალკულატორს. (WHO, n.d.)

საავადმყოფოები და განსაკუთრებით მათი გადაუდებელი დახმარების განყოფილებები კატასტროფებზე რეაგირების გადამწყვეტი ელემენტებია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ისინი სათანადოდ მომზადებული უმდა იყვნენ ისეთი მოვლენებისთვის, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, მოსახლეობის მასობრივი დაზიანების შემთხვევები და ტერორისტული თავდასხმები. (Barten. Dennis G. Vincent W. Klokman, 2021)

კატასტროფების გავლენა საავადმყოფოებსა და ჯანდაცვის სისტემაზე.

კატასტროფების ზემოქმედებამ შეიძლება დაარღვიოს ან გაანადგუროს საავადმყოფოების ფუნქციონირების და დაზიანებულთა ფართომასშტაბიანი მომ-

სახურების შესაძლებლობა. შედეგად, საავადმყოფოებმა შეიძლება დაკარგონ კატასტროფებთან წინააღმდეგობის უნარი და გამოიწვიოს უარყოფითი ზემოქმედება ჯანდაცვის სისტემაზე, რაც თავის მხრივ, განაპირობებს გადაუდებელი ჯანდაცვის სერვისების კოლაფსს. (United Nations, 2009) გარდა ამისა, კატასტროფის შედეგად დაზიანებულთა მკურნალობის ხარჯებმა შეიძლება გაამწვავოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. კატასტროფის სიტუაციის დროს ჯანდაცვის სერვისების ეფექტური მიწოდებისთვის საჭიროა სასწრაფო დახმარების მიმწოდებელ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაცია და კოორდინაცია. (Pan American Health Organization / World Health Organization, 2005)

საავადმყოფოების უნიკალური პოზიცია სირთულის თვალსაზრისით მათ დაუცველს ხდის საფრთხეების მიმართ. საავადმყოფოებს ესაჭიროებათ ადეკვატური სამედიცინო მარაგი და მედიკამენტები, ელექტროენერჯის, წყლისა და ჟანგბადის უწყვეტი მიწოდება. (Pan American Health Organization / World Health Organization, 2005) გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს კრიზისის დროს მოვალეობების არასწორი გადანაწილება. (Pan American Health Organization / World Health Organization, 2005) კატასტროფების დროს იქნება დაზიანებულთა დიდი რაოდენობა, რომლებსაც სჭირდებათ სათანადო მოვლა და ყურადღება. ზოგიერთმა ადამიანმა შეიძლება დაკარგოს სახლი და საავადმყოფო გახდეს თავშესაფარი. (Alshehri. A., 2012)

კატასტროფების მიმართ საავადმყოფოების მზადყოფნის ბარიერები

კატასტროფებზე რეაგირების უპირველესი მიზანია წესრიგის აღდგენა, დაზარალებული საზოგადოების მხარდაჭერა და მათი პრობლემების მინიმუმამდე დაყვანა. კატასტროფებზე რეაგირების სამი სასიცოცხლო ეტაპი არსებობს: მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა.

მზადყოფნა მოიცავს მატერიალური და პერსონალურ რესურსებთან დაკავშირებით რისკების შეფასებას, ეფექტურ დაგეგმვას, სამედიცინო რეაგირების ტაქტიკას და პერსონალის მუდმივ მომზადებას, სავსე ვარჯიშების ჩათვლით. ასევე, მოიცავს ტრიაჟს, უსაფრთხო ტრანსპორტირებას საავადმყოფოებში სრულყოფილი მკურნალობისათვის.

აღდგენის ფაზა არის ადაპტაციის და წონასწორობის დაბრუნების ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც საზოგადოებამ და ინდივიდებმა უნდა გაიარონ. კატასტროფის შეფასება იწყება რეაგირების გეგმისა და მისი გაზომვადი მიზნების განხილვით. შეფასების ჩატარების პროცესში შეფასებები მიმართულია საქმიანობის ხუთ სფეროზე: სტრუქტურა, პროცესი, შედეგები, რეაგირების ადეკვატურობა და ხარჯები. კატასტროფების მართვასა და რეაგირებაში თითოეულ სპეციალისტს (ქირურგები, ანესთეზიოლოგები, ექთნები, პედიატრები და ფსიქიატრი) აქვს როლი. (Shannon L. Wagner, 2009)

საავადმყოფოები კომპლექსურია და დამოკიდებულნი არიან გარე მხარდაჭერისა და მიწოდების ხაზებზე. შესაბამისი საგანგებო მდგომარეობის გეგმის გარეშე, საავადმყოფოები შეიძლება გადატვირთონ კატასტროფული მოვლენის დროს შესაბამისი რაოდენობის პერსონალის დეფიციტით, შეზღუდული რესურსებით. მაღალი მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებაზე და კომუნიკაციისა და მიწოდების ხაზების შეფერხება მნიშვნელოვან ბარიერს ქმნის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. (WORLD HEALTH ORGANIZATION, 2011)

კვლევები აჩვენებენ, რომ მთავარი პრობლემები დაკავშირებულია დაგეგმვის სხვადასხვა ასპექტთან, მათ შორის: თანმიმდევრული პროგრამების ნაკლებობა, ჯანდაცვის საჭიროებებზე ყურადღების ნაკლებობა, უწყებებს შორის ცუდი კოორდინაცია, ორგანიზაციების და პერსონალის შესაბამისი ტრენინგის ნაკლებობა (Nekoei-Moghadam. M., 2016).

კატასტროფების დროს ჯანდაცვის სისტემა განიცდის მრავალ დაბრკოლებას: საავადმყოფოები ხდება გადატვირთული, იქმნება აუცილებელი წამლებისა და მარაგების მწვავე დეფიციტი, არასაკმარისი საწვავი, პერსონალის ნაკლებობა, კვალიფიციური პერსონალის მიგრაცია. აღნიშნული დაბრკოლებები ართულებს მწირი რესურსებით დიდ რაოდენობით პაციენტების მკურნალობას, ზრდის ზეწოლას ჯანდაცვის სისტემაზე.

სამხედრო კონფლიქტები გავლენას ახდენენ ცხოვრების ყველა ასპექტზე და წარმოადგენს რეალურ გამოწვევას ჯანდაცვის სისტემისთვის. ამ ვითარებაში საგანგებო სიტუაციების სამსახურს უწევს დიდი ზეწოლის ქვეშ მუშაობა, არაადეკვატური ადამიანური რესურსებით, მედიკამენტებისა და სამაშველო აღჭურვილობის ნაკლებობით. (Hamdan. M, 2017)

საქართველოში გასული სამი ათწლეულის პერიოდში მომხდარი საომარი კონფლიქტები გავლენას ახდენენ საგანგებო სიტუაციებთან გამკლავებაში ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებზე. ამ მხრივ საინტერესოა სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა.

დასკვნა

კრიზისის და კატასტროფების დროს საავადმყოფოები რისკის ქვეშ არიან. ეს ეხება ომს, საგანგებო სიტუაციას, ინფექციის გავრცელებით წარმოქმნილ რისკებს, რომლებიც განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს ჯანდაცვის სექტორისთვის. იმ შემთხვევაში თუ საავადმყოფო არ არის მზად მსგავსი სიტუაციებთან გასამკლავებლად იქმნება საავადმყოფოს ადმინისტრაციისა და პერსონალის შესაძლებლობების პრობლემები პაციენტების უსაფრთხოების დასაცავად. ამიტომ აუცილებელია საავადმყოფოებმა და სამედიცინო პერსონალმა გააძლიერონ მზადყოფნა ამ გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან საბრძოლველად.

კატასტროფებთან გამკლავებისათვის გადაუდებელი სამედიცინო სამსახურის გამძლეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ადეკვატური მომზადება. ეს გულისხმობს კატასტროფების საფუძვლიანი გეგმის შემუშავებას, რომელიც უნდა გამოიყენონ საგანგებო სიტუაციების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Al Khalaileh. MA. (2012). Jordanian nurses' perceptions of their preparedness for disaster management. *INTERNATIONAL EMERGENCY NURSING*, 20(1), 14-23. doi:10.1016/j.ienj.2011.01.001
- Al-Shareef. AS. (2016). Evaluation of Hospitals' Disaster Preparedness Plans in the Holy City of Makkah (Mecca): A Cross-Sectional Observation Study. *PREHOSPITAL AND DISASTER MEDICINE*, 35(1), 33-45. doi: 10.1017/S1049023X16001229
- Alshehri. A. (2012). *The Hospital's role within a regional disaster response: A Comparison study of an urban hospital versus a rural hospital*. Retrieved from RIT SCHOLAR WORKS: <https://scholarworks.rit.edu/theses/704/>

- Al-Thobaity. A. (2015). Perceptions of knowledge of disaster management among military and civilian nurses in Saudi Arabia. *AUSTRALASIAN EMERGENCY NURSING JOURNAL*, 18(3), 156-164. doi: 10.1016/j.aenj.2015.03.001
- Amy H Kaji, R. J. (2006, AUGUST 2). Hospital disaster preparedness in Los Angeles County. *ACAD EMERG MED*, 13(11), 1198-1203. doi:10.1197/j.aem.2006.05.007
- Ashour. MZG. (2013). *Emergency preparedness and response of the Palestinian health system to an Israeli assault on the Gaza Strip, occupied Palestinian territory, in 2012: a qualitative assessment*. THE LANCET. Retrieved from <https://www.thelancet.com/>
- Baack. S. (2013). Nurses' preparedness and perceived competence in managing disasters. *JOURNAL OF NURSING SCHOLARSHIP*, 45(3), 281- 287. doi:10.1111/jnu.12029
- Bagaria. JH. (2009). Evacuation and Sheltering of Hospitals in Emergencies: A Review of International Experience. *Prehospital and Disaster Medicine*, 24(5), 461 - 467. doi:10.1017/S1049023X00007329
- Bajow, NA. (2014). Evaluation and Analysis of Hospital Disaster Preparedness in Jeddah. *Scientific Research Publishing*, 6(19), 2668-2687. doi: 10.4236/health.2014.619306
- Bajow. NA. (2014). Evaluation and Analysis of Hospital Disaster Preparedness in Jeddah. *SCIENTIFIC RESEARCH AN ACADEMIC PUBLISHER*, 6(19), 2668-2687. doi:10.4236/health.2014.619306
- Barten. Dennis G. Vincent W. Klokman, S. C. (2021) When disasters strike the emergency department: a case series and narrative review. *International Journal of Emergency Medicine*, 14(49). doi:doi.org/10.1186/s12245-021-00372-7
- Chimenya, G. (2011). *Hospital emergency and disaster preparedness: A study of Onandjokwe Lutheran hospital, northern Namibia*. MA Thesis, disaster management training and education center for Africa, University of the Free State. UNIVERSITY OF THE FREE STATE, DISASTERS MANAGEMENT TRAINING AND EDUCATION CENTER FOR AFRICA, NAMIBIA.
- Corbaley, S. (2010). *A descriptive study to determine the level of crisis preparedness frontline leaders are trained to perform during an exploding crisis in Los Angeles County healthcare facilities, providing emergency services*. California: University of La Verne. მოპოვებული <https://eric.ed.gov/?id=ED520993-დაბ>
- Djalali. ADC. (2014). Art of disaster preparedness in European union: a survey on the health systems. *PUL MED GOV*. doi:10.1371/currents.dis.56cf1c5c1b0deae1595a48e294685d2f
- FEMA. (2006). *NIMS IMPLEMENTATION ACTIVITIES FOR HOSPITALS AND HEALTHCARE SYSTEMS*. https://www.fema.gov/pdf/emergency/nims/imp_hos.pdf
- Hamdan. MAA. (2017). Burnout among workers in emergency Departments in Palestinian hospitals: prevalence and associated factors. *BMC Health Services Research*, 17(405). doi:10.1186/s12913-017-2356-3
- Heidarlanlu EEA. (2015) Hospital Disaster Preparedness Tools: a Systematic Review. *PLOS CURRENTS*. doi:10.1371/currents.dis.7a1ab3c89e4b433292851e349533fd77.
- INSTITUTE OF MEDICINE OF THE NATIONAL ACADEMIES. (2007). *Hospital-Based Emergency Care: At the Breaking Point. Disaster Preparedness*. washington, USA: NATIONAL ACADEMIES PRESS. doi:10.17226/11621
- Iserson. KV. (2007). Triage in medicine, part I: Concept, history, and types. *ANNALS OF EMERGENCY MEDICINE*, 49(3), 275-281. doi:10.1016/j.annemergmed.2006.05.019
- Jacques, CCR. (2014) Resilience of the Canterbury hospital system to the 2011 Christchurch earthquake. *Earthquake Spectra*,. *SAGE Journals*, 30(1), 533-554. doi:doi.org/10.1193/032013EQS074M

- Justin Barr, MP. (2020). A NATIONAL MEDICAL RESPONSE TO CRISIS- THE LEGACY OF WORLD WAR 2. *PERSPECTIVE HISTORY OF MEDICINE*, 383, 613-615. doi:10.1056/NEJMp2008512
- Kearns. RDCK. (2014). Disaster planning: the basics of creating a burn mass casualty disaster plan for a burn center. *Journal of Burn Care Research*, 35(1), 1-13. doi: 10.1097/BCR.0b013e31829afe25
- Luc, M., Greet, D., & Kurt, A. (2014). Belgian senior medical students and disaster medicine, a real disaster? *European Journal of Emergency Medicine*, 21(1), 77-78. doi:10.1097/MEJ.0b013e3283643874
- Mastaneh. ZM. (2013). Capabilities and limitations of crisis management in the Teaching Hospitals of Hormozgan University of Medical Sciences. *SCIENTIFIC RESEARCH AND ESSAYS*, 8(26), 1196- 1202. doi:doi.org/10.5897/SRE11.1668
- McManus. JHK. (2006) The science of surge: detection and situational awareness. *ACADEMIC EMERGENCY MEDICINE*, 13(11), 1179-1182. doi:10.1197/j.aem.2006.06.038
- Moabi. MR. (2009). Knowledge, attitudes and practices of health care workers regarding disaster preparedness at Johannesburg hospital in Gauteng Province, South Africa. *SEMANTIC SCHOLAR*.
- Mulyasari, F. (2013). Disaster preparedness: looking through the lens of hospitals in Japan. *Int J Disaster Risk Science*, 4(2), 89-100. doi:doi:10.1007/s13753-013-0010-1
- Nekoei-Moghadam. MAM. (2016). Investigation of obstacles against effective crisis management in earthquake. *JOURNAL OF ACUTE DISEASE*, 5(2), 91-95. doi:10.1016/j.joad.2015.10.001
- Öztekin. SD. (2016). Japanese nurses' perception of their preparedness for disasters: Quantitative survey research on one prefecture in Japan. *JAPAN JOURNAL OF NURSING SCIENCE*, 13(3). doi:10.1111/jjns.12121
- Paganini. MBF. (2016). Assessment of disaster preparedness among emergency departments in Italian hospitals: a cautious warning for disaster risk reduction and management capacity. *Scandinavian Journal of Trauma, Resuscitation and Emergency Medicine*, 24(101). doi:doi.org/10.1186/s13049-016-0292-6
- Pan American Health Organization / World Health Organization. (2005).
- Panel. E. (2018). *HOSPITAL DISASTER GUIDELINES*. DIRECTORATE OF HEALTH SERVICES, KERALA.
- Shannon L. Wagner, NW. (2009). Mental Disorders in Firefighters Following Large-Scale Disaster. *DISASTER MEDICINE AND PUBLIC HEALTH PREPAREDNESS*, 15(4), 504-517. doi: 10.1017/dmp.2020.61
- Sharma. SKV. (2016). Are our hospitals prepared for disasters? Evaluation of health-care staff vis-à-vis disaster management at a public hospital in India. *INTERNATIONAL JOURNAL OF HEALTH SYSTEM AND DISASTER MANAGEMENT*, 4(2), 63-66. doi:10.4103/2347-9019.183231
- United Nations. (2009). *Hospitals safe from disasters. 2008 – 2009 World Disaster Reduction Campaign. Technical guidelines, United Nations.* .
- United Nations Development Program and government of India. (2002).
- WHO. *Making health facilities safe in emergencies and disasters*. Retrieved from <https://www.who.int/activities/making-health-facilities-safe-in-emergencies-and-disasters>
- WHO, W. H. United Nations Development Program.

Tengiz Verulava

Doctor of Medicine, professor of Caucasus University

Ketevan Omanadze

Caucasus International University, PhD Student

MANAGEMENT OF ANTI-CRISIS PROCESSES IN MEDICAL CLINICS

Expanded Summary

Hospitals play a major role in response and recovery from disastrous events and their role mainly focusing on saving lives. Thus, hospitals must be able to remain functioning all the time (Mulyasari, 2013) Preparedness for emergencies aims to prevention of morbidity and mortality, provision of care for casualties, , ensuring restoration of normal health, reestablishment of health services, protection of staff.

Hospitals are among the healthcare centers whose prompt and efficient services can play a significant role in decreasing disaster mortality rate.

According to experts, about 3.4 billion people live in a disaster hotspot.

Disaster mitigation needs: risk assessment, structural and non-structural prevention, and preparedness for contingency planning and warning and evacuation. (Bajow, 2014)

Being prepared to emergencies and disastrous events is a important of any hospital administration. Each hospital should have written and applicable plan for emergency events, and these plans should categorize emergency events in levels according to the nature of the event. Also, the plan should identify teams and staff availability. (United Nations Development Program and government of India, 2002)

Principles of hospital disaster plans are: The plan should be simple and operationally functional. The plan should be executable for various forms and dimensions of different disasters. It should be comprehensive enough to look at the network of various other health care facilities along with formulation of an inter-hospital transfer policy in the event of a disaster. The plan must be adaptable. Although the disaster plan is intended to provide standard

Procedures it should not be isolated, rather should be integrated with the regional and country plan.

Hospitals play a critical role in health care infrastructure. public perceive it as a vital resource for diagnosis, treatment and follow-up. Disaster for a hospital is “a temporary lack of resources which is caused due to sudden influx of unexpected patient load”. Hospital disaster management provides the opportunity to plan, prepare enables a rational responses. Disaster management is impossible without the involvement of the state and international agencies. In order to reduce the negative consequences of disasters, it is important to prepare the community. (Panel. E., 2018)

Hospital emergency preparedness planning process be divided into three phases: pre-disaster phase; disaster phase; post disaster phase.

The pre-disaster phase involves the process of preparedness which is very important for effective response to disastrous events. For hospitals, this phase involves planning for emergencies, staff education and training. (Chimenya, 2011).

Disaster Phase can be subdivided into three phases:

Activation phase; during this phase the hospital incident commander is appointed.

Operational phase; in this phase, all the hospital operations for mass casualties are conducted in accordance with the EP

Deactivation phase; occurs when the flow of victims decreased and is not overwhelming the hospital resources and the EP is deactivated.

As part of the planning process, post disaster phase should be integrated in the EP. This phase involves evaluation and feedback for all the activities of the pre-disaster and disaster phases, and define actions for improvement in the future (Chimenya, 2011).

In times of crisis readiness of hospitals is vital. Preparedness is defined as "actions taken to effectively anticipate, respond to, and recover from the impact of likely or current hazard events or conditions". It is important to hospital disaster preparedness that the plan for massive influx of casualties be known and understood by professionals. (Paganini. M., 2016)

Many hospitals suffer inadequate beds and nursing services during crises. Appropriate readiness is needed for proper reaction to unexpected events. Every event is unique, and each hospital has its own situation, but there must be a clear plan to confront the crises in all hospitals (Mastaneh. Z., 2013). an appropriate plan against crises needs expertise, education, resources and readiness. (Luc, Greet, & Kurt, 2014).

Damage to healthcare systems as a result of disasters has a negative impact on the health of the population, caused huge economic losses. Medical organizations must be prepared to provide emergency situations and disasters.

Impact of Disasters on Hospitals and Healthcare System :

The impact of disaster can disrupt or destroy the ability of hospitals to function and serve a large scale of victims. As a result, hospitals may lose ability to withstand disaster, and this situation could create negative impacts on the health system and collapse of emergency health services.((United Nations, 2009) In addition, the cost of treating victims, and other effects on the provision of health care after a disaster can collectively raise social issues and inflict socioeconomic impacts on the health sector. Communication and coordination between different organizations that offer emergency services is essential for the delivery of effective health services during disaster situation.((Pan American Health Organization / World Health Organization, 2005)

The unique position of hospitals in terms of complexity and occupancy make them vulnerable to hazards. Hospitals are in need of adequate medical supplies and drugs in addition to demands for continuous supply of power, water, and medical gases.((Pan American Health Organization / World Health Organization, 2005) In addition, some hospitals may experience problems like personal inadequacy, interference of duties, and interference of activities during the crises resulted from unexpected events. . Some people may lose their homes and come to hospitals for shelter. (Alshehri. A., 2012)

Barriers to Readiness of Health Facilities to Crisis and Disasters: The primary aim of disaster response is to restore order, support damaged or nonfunctioning societal functions, and Minimizing their problems. There are three vital phases of the disaster response: preparedness, response, and recovery. Preparedness includes the assessment of risks in relation to material and personnel resources, efficient planning, medical response tactics, and continual training of the staff, including a sufficient amount of field exercise. The recovery phase is the prolonged period of adjustment or return to equilibrium that the community and individuals must go through.

Evaluation of a disaster begins by reviewing the response plan and its measurable objectives. In the process of conducting an evaluation, assessments are directed for five domains of activity: structure, process, outcomes, response adequacy, and costs.

Hospitals are complex and dependent on external support and supply lines, thus without appropriate EP, hospitals can become overwhelmed in their ability to provide care during a disastrous event. Limited resources, high demand for medical services, and the disruption of communication and supply lines create a significant barrier to the provision of health care (WORLD HEALTHORGANIZATION, 2011).

Studies show that the main problems are related to different aspects of planning, including: lack of coherent programs, lack of attention to the needs of health care, poor coordination between agencies and organizations and lack of appropriate training of volunteers and people. (Nekoei-Moghadam. M., 2016)

The war conflicts that have occurred in Georgia over the past three decades affect the capacity of the health care system to deal with emergencies. In this regard, it is interesting to study the experience of other countries.

Conclusions

Hospitals are at risk during crises and disasters. This applies to war, emergency situations, risks arising from the spread of infection, which are a special threat to the health sector. In case the hospital is not prepared to deal with such situations problems arise in the capacity of hospital administration and staff to protect patient safety.

Adequate preparation is essential to ensure the resilience of emergency medical services to deal with disasters. This involves developing a thorough disaster plan to be used during emergencies.

Key words: anti-crisis management, healthcare

დოქტორანტიებისა და მაგისტრანტიების სამეცნიერო ნაშრომები
PAPERS OF DOCTORAL AND MASTER STUDENTS

გიორგი კრავეიშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომიკური პოლიტიკის
კათედრა.*

საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფონზე
10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Giorgi.Kraveishvili

ანოტაცია. სტატიის მიზანი არის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შედარებითი ანალიზის ჩატარება, რისთვისაც შევიმუშავებთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსს. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ საქართველოს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფონზე, ვნახოთ ის მიმართულებები, რომლებიც ხელს უწყობენ თუ აფერხებენ ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. მიღებული შედეგების საფუძველზე სტატიის ბოლოს წარმოვადგენთ რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა, უთანასწორობა, სიღარიბე, პოსტსაბჭოთა ქვეყნები.

შესავალი

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღისწესრიგში. გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან მე-8 სწორედ მდგრადი ინკლუზიური განვითარებაა, რომელმაც უნდა შექმნას ყველასათვის ღირსეული დასაქმების შესაძლებლობა. [United Nations, 2015: 16]. ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის აუცილებლობა აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიაში პირველად 2008 წელს გამოჩნდა. ის „სტრატეგია 2020“ ის სამი ძირითადი მიმართულებიდან პირველი იყო. (ეკოლოგიურად მდგრად ზრდასა და რეგიონალურ ინტეგრაციასთან ერთად). [Asia Development Bank, 2008: 11] ასევე „სტრატეგია 2030“ ის 4 ძირითადი მიმართულებიდან მე-2 სწორედ ინკლუზიურობაა. [Asia Development Bank, 2018: I]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით ეკონომიკური ზრდა არ არის თვითმიზანი. მთავარი მიზანი მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაუმჯობესებაა. უთანასწორობის და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებზე მისი ზემოქმედების პრობლემის მოგვარება კი, მხოლოდ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის არის მნიშვნელოვანი. [Organisation for Economic Co-operation and Development, 2014: 8].

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. აზიის განვითარების ბანკი ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განიხილავს, როგორც ერთის მხრივ ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას, ხოლო მეორეს მხრივ აღნიშნულ შესაძლებლობებთან საზოგადოების წევრების

უფრო ფართო წვდომას, რათა მათ შესძლონ ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობა და მისგან სარგებლის მიღება. [Asia Development Bank, 2008: 11]. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიხედვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ორიენტირებულია ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებაზე და ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებლის უფრო სამართლიან და თანასწორ გადანაწილებაზე მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის [Organisation for Economic Co-operation and Development, 2014: 8]. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის განმარტებით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის ათწლეულების განმავლობაში მდგრადი წარმოების ზრდა, რომელიც ფართოდ მოიცავს მთლიან ეკონომიკას, საშუალებას აძლევს ქვეყნის სამუშაო ძალის დიდ ნაწილს, რომ იყოს დასაქმებული და ამით ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას. [World Economic Forum, 2015: 1].

როგორც ვხედავთ სხვადასხვა ორგანიზაციების განმარტებები იდენტური არ არის, თუმცა ყველა მათგანი აქცენტს აკეთებს ერთსა და იმავე ფაქტორებზე, როგორცაა სიღარიბის შემცირება, უთანასწორობის აღმოფხვრა, დასაქმება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ თუ რატომ გახდა ასე აქტუალური ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის დღისწესრიგში. აზიის განვითარების ბანკი გამოყოფს სამ მიზეზს, თუ რატომ უნდა იყოს ზრდა ინკლუზიური [Asia Development Bank, 2011: 4]:

- თანასწორობის და სამართლიანობის ეთიკური თვალთახედვიდან გამომდინარე ზრდა უნდა იყოს ინკლუზიური და ნაწილდებოდეს მოსახლეობის ფართო სეგმენტზე და რეგიონებზე. ეკონომიკური და სხვა შოკები ძირითადად ზიანს აყენებენ მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ნაწილს, ამიტომ მიუღებელია ისეთი ზრდა, რომელიც მაღალ უთანასწორობას წარმოშობს.
- ზრდა, რომელიც ვერ აღმოფხვრის ქვეყანაში არსებულ უთანასწორობას, შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს სოციალური სიმშვიდისთვის. უთანასწორობამ შეიძლება მოსახლეობის ღარიბ და უმუშევარ ფენას კრიმინალური აქტივობისკენ უბიძგოს, ქალები გახადოს მეტად დაუცველი პროსტიტუციის წინააღმდეგ, გამოიწვიოს ბავშვების არასასურველ შრომაში ჩართვა. ყველაფერი ეს კი გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს მოსახლეობის კიდევ უფრო დიდი ნაწილის შესუსტებას და უზარმაზარი ადამიანური კაპიტალის არაეფექტიანობას, მაშინ როდესაც აღნიშნული ადამიანური რესურსი შეიძლება გამოყენებული იყოს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, რაც სარგებლის მომტანი იქნება მთელი ქვეყნისთვის.
- ქვეყანაში ხანგრძლივი დროით არსებულმა უთანასწორობამ შეიძლება მიგვიყვანოს მოსახლეობის მხრიდან მკვეთრი რეაქციის გამოხატვამდე. აღნიშნულმა რეაქციამ შეიძლება ასახვა ჰპოვოს სამოქალაქო არეულობებში, პოლიტიკურ ვნებათაღელვაში და საფრთხე შეუქმნას ქვეყნის სტაბილურ განვითარებას.

მოცემული კვლევის მზიანი არის თემის აქტუალობიდან გამომდინარე შეაფასოს საქართველოს და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს გამოვკვეთოთ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოწინავე ქვეყნები, რომელთა განვლილი გზის და საუკეთესო პრაქტიკის

გამოცდილება შესაძლოა ღირებული იყოს საქართველოსთვის. ამ მიმართულებით ნაშრომის შედეგები საშუალებას მოგვცემს წინაპირობა შევქმნათ კვლევის შემდგომი გაღრმავებისთვის და ჩამოვაყალიბოთ კვლევის პერსპექტიული მიმართულებები.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შეფასების მეთოდოლოგია

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად განვიხილავთ აზიის განვითარების ბანკისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებულ მეთოდოლოგიას.

აზიის განვითარების ბანკმა 2011 წელს ქვეყნის განვითარების ინკლუზიურობის გასაზომად ჩამოაყალიბა „ინკლუზიური ზრდის ინდიკატორების სტრუქტურა“ აღნიშნული სტრუქტურა მოიცავს 8 ჯგუფში გაერთიანებულ 35 ინდიკატორს. ეს 8 ჯგუფია: 1. სიღარიბე და უთანასწორობა; 2. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება; 3. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა; 4. განათლებასა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა; 5. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე; 6. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები; 7. სოციალური დაცვის სისტემა; 8. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები. [Asia Development Bank, 2011: 56]. ქვემოთ მოცემული აღნიშნულ 8 კატეგორიაში შემავალი ინდიკატორები ჯგუფების მიხედვით:

1. სიღარიბე და უთანასწორობა: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის პროცენტული წილი; მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლის შემოსავალი დღეში 2 \$ ზე ნაკლებია; მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი / მაღალი მოხმარების მქონე 20% ის თანაფარდობა ყველაზე დაბალშემოსავლიან / დაბალი მოხმარების მქონე 20% თან; სკოლაში სწავლების საშუალო წელი; 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ნორმაზე გამხდართა ხვედრითი წილი; 5 წლამდე ბავშვებში სიკვდილიანობის დონე;

2. ეკონომიკური ზრდა და დასაქმება: მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით; მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო შემოსავლის / მოხმარების ზრდის მაჩვენებელი (მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით); დასაქმების დონე; დასაქმების ელასტიკურობა მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში; ყოველ 100 დაქირავებით დასაქმებულზე თვითდასაქმებულთა რიცხოვნობა;

3. საკვანძო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა: მოსახლეობის ერთ სულზე ელექტროენერჯის მოხმარება; მყარი ზედაპირის მქონე გზების პროცენტული წილი; ყოველ 100 ადამიანზე მობილური ტელეფონის აბონენტთა რიცხვი; მენაბრეთა რიცხვი ყოველ 1000 ზრდასრულ ადამიანზე;

4. განათლებაზე და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: სასკოლო ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა; მოსწავლე-მასწავლებლების თანაფარდობა (დაწყებით სკოლაში); დიფტერიით, ტეტანუსის ტოქსოიდით და პერტუსით აცრილთა წილი 1 წლამდე ბავშვებში; ექიმები, ექთნები და ბებიაქალები მოსახლეობის ყოველ 10 000 სულზე; განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში; ჯანდაცვაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებთან მიმართებაში;

5. წვდომა ძირითად კომუნალურ ინფრასტრუქტურაზე და მომსახურებებზე: მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელთაც წვდომა აქვთ ელექტროენერგიაზე; მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც მყარ საწვავს იყენებენ საკვების მოსამზადებლად; მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც სასმელი წყლის გაუმჯობესებულ წყაროებს იყენებენ; მოსახლეობის პროცენტული წილი, რომლებიც გაუმჯობესებულ სანიტარულ სისტემას იყენებენ;

6. გენდერული თანასწორობა და შესაძლებლობები: გენდერული თანასწორობა პირველად, მეორეულ და მესამეულ განათლებაში; მშობიარობამდე გამოკვლევა (მინიმუმ ერთი ვიზიტი); გენდერული თანასწორობა სამუშაო ძალაში; სახელმწიფო პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროცენტული წილი;

7. სოციალური დაცვის სისტემა: სოციალური დაცვა და შრომის რეიტინგი; სოციალური უსაფრთხოების ხარჯების პროცენტული წილი სახელმწიფოს მთლიან ჯანდაცვით ხარჯებში; სოციალური უსაფრთხოების და კეთილდღეობის ხარჯების წილი სახელმწიფოს მთლიან ხარჯებში;

8. კარგი მმართველობა და ინსტიტუტები: ხმა და პასუხისმგებლობა; ეფექტიანი მმართველობა; კორუფციის აღქმის ინდექსი.

კიდევ ერთი მეთოდოლოგია, არის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემოთავაზებული 2017 წელს წარმოდგენილი ინკლუზიური ზრდისა და განვითარების ანგარიში მოცემული ინკლუზიური განვითარების ინდექსი. აღნიშნული ინდექსი მოიცავს 3 ჯგუფში გაერთიანებულ 12 ინდიკატორს. [World Economic Forum, 2017: IX].

1. ზრდა და განვითარება: მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე; შრომის პროდუქტიულობა; დასაქმება; ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა;

2. ინკლუზიურობა: საშუალო შემოსავალი; ჯინის ინდექსი შემოსავლების მიხედვით; სიღარიბის მაჩვენებელი; ჯინის ინდექსი მთლიანი სახსრების მიხედვით;

3. თაობათაშორისი თანასწორობა და მდგრადობა: კორექტირებული წმინდა დანაზოგები; ასაკობრივი დამოკიდებულება; სახელმწიფო ვალი (მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი); ნახშირბადის ინტენსივობა (მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში).

მოცემული ინდიკატორებიდან ქვემოთ ჩვენ შევარჩევთ რამდენიმეს, რომლითაც მოვახდენთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შედარებით რანჟირებას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის გამოთვლის მეთოდოლოგია

როგორც ვხედავთ ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გასაზომად საერთაშორისო ორგანიზაციები ინდიკატორთა ფართო ნაკრებს გვთავაზობენ. აღნიშნული ინდიკატორების გათვალისწინებით, ასევე პირველ პარაგრაფში განხილული ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსიდან გამომდინარე, გამოვყოფთ მიმართულებათა 4 ჯგუფს, რომლებიც მიგვაჩნია რომ მეტწილად აერთიანებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელ ყველა ფაქტორს. აღნიშნული ჯგუფებია:

- I. ცხოვრების დონე;
- II. უთანასწორობა;

III. მმართველობა;

IV. სახელმწიფო ფინანსები.

ცხოვრების დონე არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ამახვილებს ყურადღებას. აქედან გამომდინარე ჩვენს ინდექსში საჭიროდ მიგვაჩნია ისეთი ინდიკატორების არსებობა, როგორცაა:

1. მთლიანი სამაშულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი 2015 წლის ფასებში);
2. დასაქმების დონე (%);
3. ჯანმრთელი სიცოცხლის ხანგრძლივობა (წელი).

მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა, ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ინკლუზიურმა ეკონომიკურმა ზრდამ უნდა გადაწყვიტოს. აღნიშნული მიმართულების შესაფასებლად ჩვენ შემდეგ ინდიკატორებს გამოვიყენებთ:

4. ჯინის ინდექსი (ინდექსი მერყეობს 0 დან 100 მდე. 0 ნიშნავს იდეალურად თანაბარ გადანაწილებას, ხოლო 100 სრულ უთანასწორობას);
5. მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლების თანაფარდობა მოსახლეობის ყველაზე დაბალშემოსავლიანი 20% ის შემოსავლებთან;
6. სიღარიბის მაჩვენებელი (%).

სამართლიან და ეფექტიან მმართველობას ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის. აუცილებელია მოსახლეობა აღიქვამდეს, რომ მათი აზრი მნიშვნელოვანია და ქვეყანაში ყველასთვის სამართლიანი და თანასწორი გარემო არის შექმნილი. ეს მნიშვნელოვანია, რათა ყველას თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს ეკონომიკურ პროცესებში ჩართვის. მოცემული მიმართულების შესაფასებლად გამოვიყენებთ შემდეგ ინდიკატორებს:

7. კორუფციის აღქმის ინდექსი (ინდექსი მერყეობს 0 დან 100 მდე შუალედში, სადაც 0 აღნიშნავს კორუფციის მაღალ დონეს, ხოლო 100 კორუფციის დაბალ დონეს);
8. ხმა და პასუხისმგებლობა (ინდიკატორი მერყეობს -2.5 დან +2.5 მდე შუალედში, სადაც უფრო მაღალი მაჩვენებელი უკეთეს მდგომარეობას გამოხატავს);
9. ეფექტიანი მმართველობა (ინდიკატორი მერყეობს -2.5 დან +2.5 მდე შუალედში, სადაც უფრო მაღალი მაჩვენებელი უკეთეს მდგომარეობას გამოხატავს).

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმწიფო ფინანსების სწორი წარმართვა. მოსახლეობის დიდი ნაწილის ეკონომიკაში ჩასართავად საჭიროა ქვეყანაში სათანადო განათლების დონის არსებობა და სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა აღნიშნული მიმართულებით. სამართლიანი გარემოს შექმნისთვის მთავრობამ ასევე უნდა იზრუნოს მოსახლეობის დაუცველ ნაწილზე შესაბამისი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებით. აღსანიშნავია ასევე თაობათაშორისი თანასწორობა, რათა ერთი თაობისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღება არ მოხდეს მომავალი თაობების ხარჯზე სახელმწიფო ვალის აღების გზით. აქედან გამომდინარე აღნიშნული მიმართულებით ჩვენს მიერ შემოთავაზებული ინდიკატორებია:

10. მთავრობის ხარჯები განათლებაზე, როგორც მთავრობის მთლიანი ხარჯების წილი;
11. ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, როგორც მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი;
12. ცენტრალური მთავრობის ვალი (მთლიანი სამამულო პროდუქტის პროცენტული წილი).

რათქმაუნდა აღნიშნული ინდიკატორთა ნაკრები შეიძლება შეიცავდეს სხვა არაერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს, თუმცა მიგვაჩნია, რომ მოცემული შემადგენლობა მეტწილად სრულად გადმოცემს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის არსს და საშუალებას მოგვცემს შევადაროთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარება აღნიშნული მიმართულებით და გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

იმისათვის, რომ მოცემული მაჩვენებლები ადვილად შესადარებელი და აღსაქმელი იყოს, ჩვენ მათ აგრეგირებას მოვახდენთ 10 ბალიანი სისტემით. სადაც 10 ქულა აღნიშნავს მაღალ ინკლუზიურ ზრდას, ხოლო 1 ქულა დაბალ ინკლუზიურ ზრდაზე მიუთითებს. მონაცემთა აგრეგირებას მოვახდენთ შემდეგი ფორმულით:

$$I_i = 9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 1$$

სადაც I_i არის აგრეგირებული ინკლუზიური ზრდის ინდექსი კონკრეტული ინდიკატორისთვის; Y - მაჩვენებლებში კონკრეტული ქვეყნის შედეგი; Y_{MIN} - მაჩვენებლების მინიმუმი; Y_{MAX} - მაჩვენებლების მაქსიმუმი.

იმ ინდიკატორებისთვის, რომლის მაღალი მნიშვნელობა აღნიშნავს ქვეყნის ცუდ შედეგს, მოცემული ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$I_i = -9 * \frac{(Y - Y_{MIN})}{(Y_{MAX} - Y_{MIN})} + 10$$

მიღებული შედეგებიდან გამოვიყვანთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ზრდის ინდექსს, როგორც თითოეული ქვეყნისთვის, ასევე ქვეყნის ჯგუფებისთვის. გამოვიყოფთ 5 ჯგუფს: 1. ბალტიისპირეთი (ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია); 2. აღმოსავლეთ ევროპა (უკრაინა, მოლდოვა, ბელარუსი); 3. სამხრეთ კავკასია (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი); 4. ცენტრალური აზია (უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი; ყაზახეთი; თურქმენეთი) 5. რუსეთი.

როგორც ერთიანი, ასევე თითოეული ჯგუფისთვის არსებული ინდექსის მისაღებად გამოვიყენებთ შემდეგ ფორმულას:

$$I = \frac{\sum_{i=1}^n I_i}{n}$$

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი

გამომდინარე იქედან, რომ 2020 და 2021 წლები კორონავირუსის პანდემიის ფონზე კრიზისული იყო და ხასიათდებოდა ეკონომიკაზე მოქმედი არაეკონომიკური შინაარსის შოკებისგან, მართებულად მიგვაჩნია პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი დავიანგარიშოთ 2019 წლისთვის. (თუ რომელიმე მაჩვენებლის მონაცემი აღნიშნული წლისთვის არ არის ცნობილი, გამოვიყენებთ უახლოესი წლის ცნობილ მონაცემს). აღნიშნული მიდგომა ეფუძნება იმ დაშვებას, რომ კორონავირუსის დასრულების შემდეგ ქვეყნები დიდწილად განვითარების ძველ ჩარჩოებს დაუბრუნდებიან. 2019 წლისთვის თითოეული ქვეყნის წარმოდგენილი ინდიკატორების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილ 1 ში.

პოსტსაბჰოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსის
შემადგენელ ინდიკატორთა მაჩვენებლები

ქვეყანა	ინდიკატორის N											
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ესტონეთი	20,408.4	60.8	69.2	30.8	4.8	0.8	74.0	1.2	1.2	13.4*	6.7	9.8
ლიეტუვა	17,241.3	58.2	66.7	35.3	6.1	0.7	60.0	1.0	1.0	11.7*	7.0	35.0
ლატვია	16,056.0	57.4	66.2	34.5	5.9	0.7	56.0	0.9	1.1	11.1*	6.6	35.5
ყაზახეთი	11,402.8	66.7	65.0	27.8*	3.9*	0.2*	34.0	-1.2	0.1	14.1	2.8	18.5
ბელარუსი	6,264.9	61.7	66.0	25.3	3.5	0.0	45.0	-1.4	-0.2	13.2	5.9	37.6
მოლდოვა	3,435.5	40.1	64.5	26.0	3.6	0.5	32.0	-0.1	-0.4	19.5	6.4	25.0
უკრაინა	2,425.6	51.7	64.3	26.6	3.8	0.2	30.0	0.0	-0.3	13.1	7.1	50.2
სომხეთი	4,350.5	44.2	67.1	29.9	4.3	9.8	42.0	0.1	-0.1	9.0*	11.3	50.1
რუსეთი	9,942.4	59.4	64.2	37.7	6.4	0.3	28.0	-1.1	0.2	14.3*	5.6	13.2
საქართველო	4,773.4	55.6	64.7	35.9	6.3	14.8	56.0	0.2	0.8	13.0*	6.7	40.4
ყირგიზეთი	1,226.8	54.6	65.8	29.7	4.1	9.7	30.0	-0.5	-0.7	16.5	4.5	51.6
უზბეკეთი	3,161.4	55.8	64.7	N/A	N/A	N/A	25.0	-1.7	-0.5	20.5**	5.6	N/A
აზერბაიჯანი	5,348.3	63.3	63.6	N/A	N/A	N/A	30.0	-1.5	-0.1	8.1	4.0	17.7
თურქმენეთი	7,692.6	44.5	62.1	N/A	N/A	N/A	19.0	-2.2	-1.2	23.0	6.6	32.2
ტაჯიკეთი	1,174.1	38.0	62.0	N/A	N/A	N/A	25.0	-1.8	-1.0	18.7	7.1	N/A

შენიშვნა: ნუმერაცია შეესაბამება მეორე პარაგრაფში მოცემულ ინდიკატორთა ნუმერაციას და ზომის ერთეულებს
* 2018 წლის მონაცემები
** 2020 წლის მონაცემები
N/A - მაჩვენებელი არ არსებობს

წყარო: The World Bank; World Health Organization; Transparency International; International Monetary Fund; Ministry of Finance of Georgia.

მოცემული მაჩვენებლების აგრეგირებას თუ მოვახდენთ ზემოთ განხილული ფორმულით, მივიღებთ 10 ბალიანი სისტემით რანჟირებულ ინდექსებს თითოეული ქვეყნისთვის და ინდიკატორისთვის. მოცემული ინდექსების საშუალო მაჩვენებელი იქნება ჩვენს მიერ საძიებო პოსტსაბჰოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი

ქვეყანა	ინდექსის N												საშუალო ინდექსი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
ესტონეთი	10.0	8.2	10.0	6.0	6.0	9.5	10.0	10.0	10.0	4.2	5.2	10.0	8.25
ლიეტუვა	8.5	7.3	6.9	2.7	1.8	9.6	7.7	9.5	9.5	3.2	5.4	4.6	6.40
ლატვია	8.0	7.1	6.3	3.3	2.5	9.6	7.1	9.1	9.7	2.9	5.0	4.5	6.24
ყაზახეთი	5.8	10.0	4.8	8.2	9.0	9.9	3.5	3.6	5.9	4.6	1.0	8.1	6.19
ბელარუსი	3.4	8.4	6.0	10.0	10.0	10.0	5.3	3.1	4.8	4.1	4.2	4.0	6.10
მოლდოვა	2.1	1.7	4.1	9.5	9.7	9.7	3.1	6.6	4.0	7.9	4.8	6.7	5.82
უკრაინა	1.6	5.3	3.9	9.1	9.3	9.9	2.8	6.9	4.3	4.1	5.5	1.3	5.32
სომხეთი	2.5	2.9	7.4	6.7	7.5	4.0	4.8	7.0	5.2	1.6	10.0	1.3	5.07
რუსეთი	5.1	7.7	3.8	1.0	1.0	9.8	2.5	3.9	6.0	4.8	4.0	9.3	4.90
საქართველო	2.7	6.5	4.4	2.3	1.2	1.0	7.1	7.3	8.7	3.9	5.1	3.4	4.46
ყირგიზეთი	1.0	6.2	5.7	6.8	8.2	4.1	2.8	5.6	2.8	6.1	2.8	1.0	4.43
უზბეკეთი	1.9	6.6	4.4	N/A	N/A	N/A	2.0	2.4	3.5	8.5	4.0	N/A	4.16
აზერბაიჯანი	3.0	8.9	3.0	N/A	N/A	N/A	2.8	2.8	4.9	1.0	2.3	8.3	4.11
თურქმენეთი	4.1	3.1	1.1	N/A	N/A	N/A	1.0	1.0	1.0	10.0	5.0	5.2	3.49
ტაჯიკეთი	1.0	1.0	1.0	N/A	N/A	N/A	2.0	2.0	1.4	7.4	5.5	N/A	2.67

მოცემულ მონაცემებს თუ დავაჯგუფებთ რეგიონების მიხედვით გვექნება შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით

N	ქვეყნების ჯგუფი	ქვეყნის ჯგუფის საშუალო ინდექსი
1	ბალტიისპირეთი	6.96
2	აღმოსავლეთ ევროპა	5.75
3	რუსეთი	4.90
4	სამხრეთ კავკასია	4.55
5	ცენტრალური აზია	4.19

როგორც ჩატარებული კვლევებიდან ვხედავთ პოსტსაბჭოთა სივრცეში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის კუთხით ყველაზე წარმატებული ბალტიისპირეთის ქვეყნებია. პირველ ადგილს იკავებს ესტონეთი, მეორეს ლიეტუვა, მესამეს კი ლატვია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღნიშნულ ქვეყნებში დაიწყო საკმაოდ სწრაფი და რადიკალური რეფორმების განხორციელება, რამაც დააჩქარა მათი გადასვლა მზრპანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და ხელი შეუწყო სამართლიანი და ყველასთვის თანასწორი ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას. აღნიშნულ ქვეყნებში განხორციელებული არაერთი რეფორმა მოგვიანებით მისაბამი მაგალითი გახდა უკრაინისთვის და საქართველოსთვის, თუმცა როგორც ვხედავთ მათ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვთ და ისინი შესაბამისად მე-7 და მე-10 ადგილს იკავებენ რეიტინგში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების განვილი გზის ანალიზი აღნიშნული კვლევის შემდგომი გაგრძელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

მეორე ადგილს ქვეყნების ჯგუფის მიხედვით იკავებს აღმოსავლეთ ევროპა. მიუხედავად იმისა რომ ამ ჯგუფში შემავალი ბელარუსი, რომელიც მე-5 ადგილს იკავებს, დემოკრატიული რეფორმებით დიდად არ გამოირჩევა, ის საკმაოდ წარმატებულია სიღარიბის დაბალი დონის და ქვეყანაში არსებული დაბალი უთანასწორობის გამო, რაც ხელს უწყობს, რომ ამ უკანასკნელის ეკონომიკური განვითარება, მიუხედავად მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის დაბალი მაჩვენებლისა, იყოს უფრო მეტად ინკლუზიური.

სამხრეთ კავკასიის და ცენტრალური აზიის ჯგუფში შემავალი ქვეყნები შეიძლება ითქვას რომ ვერ გამოირჩევიან ვერც ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლებით და ვერ იმ ფაქტორებით, რომლებიც არსებული ეკონომიკური სარგებლის სამართლიან გადანაწილებას უზრუნველყოფს მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში (ინდიკატორთა მეორე ჯგუფი). აქედან გამომდინარე მათ ყველა მიმართულებით უფრო მეტი სამუშაო აქვთ. აღნიშნული შედეგების მიზეზები შეიძლება სხვადასხვა იყოს, დაწყებული არსებული სამხედრო კონფლიქტებით, ევროპისგან დაშორებით და ა.შ.

როგორც ცხრილიდან ვხედავთ საქართველო ჩამორჩება მოლდოვას და უკრაინასაც. აღნიშნული ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი არის მე-4, მე-5, მე-6 ინდიკატორები, რომლებიც ქვეყანაში არსებულ უთანასწორობას განსაზღვრავს. ამ ინდიკატორებში მოცემულ ქვეყნებს შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვს, მაშინ როდესაც საქართველოს შედეგები ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სწორედ ინდიკატორთა მესამე ჯგუფშია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სიღარიბის მაჩვენებლის მხრივ საქართველოს ყველა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი აქვს. ჯინის ინდექსისა და მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი და დაბალშემოსავლიანი 20% ის თანაფარდობის მხრივაც საქართველო მხოლოდ რუსეთს უსწრებს.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში არსებული უმთავრესი გამოწვევა, რაც დაბალ ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს, სწორედ სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი და უთანასწორობაა.

სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ მაღალი ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მიღწევისთვის პირველ რიგში ქვეყანას სწორედ აღნიშნული მიმართულებით


აქტიური პოლიტიკის გატარება სჭირდება რათა უზრუნველყოს სიღარიბისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა.

როგორც შედარებითი ანალიზიდან გამოჩნდა, პოსტსაბჭოთა სივრცეში ბალტიისპირეთის ქვეყნების ჯგუფი ყველაზე წარმატებულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ, განსაკუთრებით კი ესტონეთი რომელიც უდავო ლიდერია ყველა მიმართულებით განსაკუთრებული მაღალი მაჩვენებლების გამო. საქართველოს ძირითადად მმართველობის ჯგუფში აქვს მაღალი მაჩვენებლები, სხვა მიმართულებები კი მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

სურათ 1-ზე მოცემულია თუ რომელი ინდიკატორთა ნაკრები განაპირობებს თითოეული ქვეყნის ჯგუფის ზემოთ წარმოდგენილ მაჩვენებელს. როგორც მოცემული სურათიდან ვხედავთ სამხრეთ კავკასიის გარდა ქვეყნის ყველა ჯგუფს წარმოდგენილი 4 ინდიკატორთა ჯგუფიდან 1 ში მაინც შედარებით გამოკვეთილი მოწინავე პოზიცია აქვს, მაშინ როდესაც სამხრეთ კავკასია ოთხივე მაჩვენებლით ცენტრშია მოქცეული. აღნიშნული შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს სამხრეთ კავკასიის და საქართველოს წინაშე არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის გზაზე.

სურათი 1

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი ქვეყნის ჯგუფებისა და ინდიკატორთა ნაკრებების მიხედვით



დასკვნა

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საზრუნავი არის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, რისთვისაც საჭიროა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ისიც, რომ აღნიშნული ზრდა თანაბრად და სამართლიანად ნაწილდებოდეს მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილზე და მოიცავდეს ეკონომიკის

არაერთ სექტორს, რაც წარმოადგენს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მთავარ არსს.

უთანასწორობა და სიღარიბე XXI საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. აღნიშნული პრობლემის წინაშე დგას პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასში შემავალ ქვეყნებს მძიმე მემკვიდრეობა ხვდათ წილად. ზოგმა შესძლო უკეთ გამკლავებოდა არსებულ გამოწვევებს, ზოგი კი დღესაც პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის გზაზე დგას.

ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ინკლუზიურობა დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, თუმცა შეგვიძლია გამოვყოთ ის ზოგადი შტრიხები, რომლებითაც ინკლუზიური ზრდა შეგვიძლია დავახასიათოთ:

- ინკლუზიური ზრდა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ზრდას, რომელიც უნდა მოიცავდეს ეკონომიკაში შემავალი დარგების უმრავლესობას და გავრცელებული იყოს ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე;
- ეკონომიკური ზრდის პროცესში მონაწილეობას უნდა იღებდეს მოსახლეობის რაც შეიძლება დიდი ნაწილი და ქვეყნის ყველა შრომისუნარიან მოქალაქეს თანაბარი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ჩაერთოს ეკონომიკურ საქმიანობაში;
- ეკონომიკური ზრდისგან მიღებული სარგებელი უნდა ნაწილდებოდეს მთელს მოსახლეობაზე სამართლიანად, თითოეული ადამიანის გაწეული შრომის და მისი შეტანილი წვლილის შესაბამისად;
- მსგავსმა ეკონომიკურმა განვითარებამ და ამ პროცესში მოსახლეობის ფართო ჩართულობამ უნდა მიგვიყვანოთ სიღარიბისა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის არსებული უთანაბრობის შემცირებამდე.

ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველო პოსტ-საბჭოთა სივრცეში მე-10 ადგილს იკავებს ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მხრივ. საქართველოს განსაკუთრებით დაბალი მაჩვენებლები აქვს სიღარიბისა და უთანასწორობის მხრივ. საშუალოზე საგრძნობლად დაბალი მაჩვენებელი არის ასევე მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტის მხრივ. შედეგად საქართველოსთვის პრიორიტეტულია როგორც ეკონომიკის სწრაფი ზრდა, ასევე აღნიშნული ზრდისგან მიღებული სარგებლის მოსახლეობაში სამართლიანად და თანასწორად გადანაწილების უზრუნველყოფა.

რათქმაუნდა აღნიშნული მიზნების მიღწევა ასევე ბევრ ფაქტორზე შეიძლება იყოს დამოკიდებული. ჩვენ გვინდა გამოვყოთ ის 2 ძირითადი ფაქტორი, რომლებიც მიგვაჩნია, რომ უფრო დიდწილად განსაზღვრავენ თუ რამდენად ეფექტიანად მოხდება ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესრულება:

1. **განათლებული საზოგადოების ფორმირება** - როგორც უკვე ვთქვით ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა ვერ მიიღწევა თუ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ჩაერთო ეკონომიკურ საქმიანობაში აქტიურად და მათმა ჩართულობამ ხელი არ შეუწყო სხვადასხვა სექტორების განვითარებას. თუმცა ეს უკანასკნელი უბრალოდ შეუძლებელი იქნება თუ ქვეყანაში მოსახლეობის დიდ ნაწილს არ ექნება შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, რათა თავისი წვლილი შეიტანონ ეკონომიკის განვითარებაში. ამისათვის კი აუცილებელია მაქსიმალური ყურადღება მიექცეს განათლების სისტემის სრულყოფას და განათლებული საზოგადოების ფორმირება იყოს სახელმწიფოს უმთავრესი პრიორიტეტი.

2. **სამართლიანი გარემოს ფორმირება** - მეორე მნიშვნელოვანი საკითხი რომელიც ინკლუზიური ზრდისთვის აუცილებლად მიგვაჩნია არის თითოეული მოქალაქისთვის თანასწორი და სამართლიანი გარემოს ფორმირება. აქ საუბარი გვაქვს როგორც კორუფციის გამოვლენის მინიმუმამდე შემცირებაზე, ასევე ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო ინფორმაციის ქონისა თუ სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების არსებობაზე, სასამართლო სისტემაზე და ა.შ, რათა თითოეული პოტენციური მეწარმე გრძნობდეს, რომ მას სხვასთან მიმართებაში თანაბარი შესაძლებლობა აქვს ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების თუ მისი წარმატებულად განხორციელების.

გამოყენებული ლიტერატურა

- Asia Development Bank (2011). Framework of inclusive growth indicators - <https://www.adb.org/sites/default/files/publication/42976/ki2011-special-supplement.pdf> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- Asia Development Bank (2008). Strategy 2020 - <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/32121/strategy2020-print.pdf> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- Asia Development Bank (2018). Strategy 2030 - <https://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/435391/strategy-2030-main-document.pdf> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- International Monetary Fund, Central government debt (% of GDP) - https://www.imf.org/external/datamapper/CG_DEBT_GDP@GDD/CHN/FRA/DEU/ITA/IPN/GBR/USA /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- Ministry of Finance of Georgia, Central government debt (% of GDP) - <https://mof.ge/en/4409> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- Organisation for Economic Co-operation and Development (2014). All on board Making inclusive growth happen - <https://www.oecd.org/inclusive-growth/All-on-Board-Making-Inclusive-Growth-Happen.pdf> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Central government debt (% of GDP) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/GC.DOD.TOTL.GD.ZS?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Current health expenditure (% of GDP) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SH.XPD.CHEX.GD.ZS?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Employment to population ratio, 15+, total (%) (modeled ILO estimate) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SL.EMP.TOTL.SP.ZS?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, GDP per capita (constant 2015 US\$) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/NY.GDP.PCAP.KD?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/

- The World Bank, Gini index (World Bank estimate) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.GINI?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Government Effectiveness - <http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Government expenditure on education, total (% of government expenditure) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SE.XPD.TOTL.GB.ZS?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Income share held by highest 20% - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.05TH.20?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Income share held by lowest 20% - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.DST.FRST.20?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Poverty headcount ratio at \$3.20 a day (2011 PPP) (% of population) - <http://api.worldbank.org/v2/en/indicator/SI.POV.LMIC?downloadformat=excel> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- The World Bank, Voice and Accountability - <http://info.worldbank.org/governance/wgi/Home/downloadFile?fileName=wgidataset.xlsx> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- Transparency International, Corruption Perceptions Index 2019 - https://images.transparencycdn.org/images/2019_CPI_Report_EN_200331_141425.pdf /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- United Nations (2015). The 2030 agenda for sustainable development - <https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf> /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- World Economic Forum (2015). The inclusive growth and development report - http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth.pdf /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- World Economic Forum (2017). The inclusive growth and development report - http://www3.weforum.org/docs/WEF_Forum_IncGrwth_2017.pdf /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/
- World Health Organization, Healthy life expectancy (HALE) at birth (years) - https://apps.who.int/gho/athena/data/data.xls?target=GHO/WHOSIS_000002,WHOSIS_000007&format=xml&profile=excel-xtab&filter=COUNTRY:*&x-sideaxis=COUNTRY&x-topaxis=GHO;SEX;YEAR /ბოლო ნახვა 28 მაისი, 2022/

Giorgi Kraveishvili

Ph.D. candidate in economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

INCLUSIVE ECONOMIC GROWTH OF GEORGIA IN THE CONTEXT OF POST-SOVIET COUNTRIES

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Giorgi.Kraveishvili

Expanded Summary

The purpose of the article is to conduct a comparative analysis of the inclusive economic growth of the post-Soviet countries, for which the index of the inclusive economic growth of the post-Soviet countries is presented in the article. The obtained results allowed us to evaluate the inclusive economic growth of Georgia against the background of post-Soviet countries. We saw the directions that promote or hinder the country's inclusive economic growth. Based on the results, recommendations are presented at the end of the article.

The main concern of any country is to ensure economic prosperity and a high standard of living for its people. Therefore, it is important that the economic growth and development of the country be equally beneficial for every citizen of this country. Today in the world there is inequality between different groups of the population, as well as a high percentage of people living below the poverty line. To solve this problem, the need for inclusive economic growth has been on the agenda of world economic policy since the beginning of the 21st century. Inclusive economic growth is economic growth that benefits the wider population, reduces poverty and eliminates inequalities between different segments of the population.

Several indicators are used to measure inclusive economic growth. The indicators measure GDP per capita, as well as poverty, inequality, and how equitably the benefits of economic growth are distributed among different groups of the population and how their standard of living improves.

The article presents reports of international organizations on the importance of inclusive economic growth and the methodology for its assessment. Based on the proposed methods, the article developed an index of inclusive economic growth in the post-Soviet countries, which allows to see the leading countries in terms of inclusive economic growth in the post-Soviet countries, as well as Georgia's place in this direction.

The article examines 35 indicators proposed by the Asian Development Bank and 12 indicators proposed by the World Economic Forum, which assess the country's inclusive economic growth in different directions. For comparison with the post-Soviet countries, the article identifies 4 groups of areas that combine important indicators of inclusive economic growth. These 4 groups are: standard of living, inequality, governance, public finances. Each group combines 3 indicators, as a result we have an inclusive growth index of the post-Soviet countries, consisting of 12 indicators.

According to the index, Georgia ranks 10th among post-Soviet countries. As a result of the study, directions were identified that contribute to or hinder the inclusive economic growth of Georgia. Basically, Georgia lags behind other post-Soviet countries in terms of gross domestic product per capita, poverty, and inequality.

The Baltic countries occupy a leading position in comparison with the post-Soviet countries. In the first place is Estonia, which has a good value of GDP per capita, as well as factors that ensure a fair distribution of this benefit among the population. An analysis of the reforms implemented in the mentioned countries, in terms of experience sharing for Georgia, can be considered as a further direction for this study.

Second place is occupied by the countries of Eastern Europe, the overall high result of which is mainly due to relatively low levels of unemployment and inequality. Russia is in third place, and the South Caucasus is in fourth place. As a result, the countries of the South Caucasus, including Georgia, have indicators below the average in almost all areas. The last fifth place is occupied by the countries of Central Asia, which are characterized by the lowest rates among the post-Soviet countries.

As a result of the study, it can be concluded that the main challenge for Georgia today is inequality and the high level of poverty in the country. It is these indicators that mainly contribute to the low result of Georgia on inclusive economic growth among the post-Soviet countries. It is also important to increase spending on education and reduce public debt to ensure intergenerational equity. Increasing GDP per capita also remains a common goal, which is a necessary but not sufficient precondition for inclusive economic growth.

Many factors are required to achieve inclusive economic growth. We especially want to highlight the need for a high level of education among the population. Because inclusive economic growth needs the involvement of a significant part of citizens in economic activities, they must have the appropriate education and skills. For this, it is necessary to pay maximum attention to the perfection of the education system, and the formation of an educated society should be the main priority of the state.

The second important factor is to create a fair environment in the country so that all people have equal opportunities. It is also important to give proper attention to the population living below the poverty line and support them. This will help to eliminate the existing inequality between different social groups of the population and achieve inclusive economic growth.

ანა ჩაგელიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**საქართველო მსოფლიო რეიტინგებში: ცოდნა, ტალანტ კონკურენტუნარიანობა,
ადამიანური კაპიტალი და განვითარება**

ანოტაცია. ქვეყნის ადამიანური განვითარების შეფასება მრავალი ფაქტორის გააზრებას მოითხოვს, რისთვისაც მოქნილ საშუალებას წარმოადგენს სხვადასხვა ინდექსებისა და მათი კომპონენტების ანალიზი. წინამდებარე სტატია სწორედ ზემოაღნიშნულ მიზანს ისახავს და საქართველოს მოსახლეობის განვითარების, განათლების, ცოდნისა თუ ადამიანური კაპიტალის შესაბამის ინდექსებს განიხილავს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ამგვარი ინდექსებით ქვეყნის ადამიანური განვითარების რეალური მდგომარეობის შეფასება და რა პრობლემებს ვხვდებით აღნიშნულ პროცესში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური განვითარების ინდექსი; გენდერული განვითარების ინდექსი; გლობალური ცოდნის ინდექსი; ადამიანური კაპიტალის ინდექსი; ტალანტ კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი.

შესავალი

აქტუალობა. მოსახლეობის განვითარება ყველა ქვეყნის მიზანია. იგი მხოლოდ ეკონომიკური შედეგების მიღწევას არ გულისხმობს და დაკავშირებულია განვითარებისათვის მნიშვნელოვან სხვა ფაქტორებთან, მათ შორის ადამიანური კაპიტალისა თუ ცოდნის დაგროვებასთან, განათლებასთან, განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს ფორმირებასთან, ტალანტების მართვასთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით, მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს პოზიციებისა თუ ინდექსების კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას მოუყრის თავს რეფორმების ეფექტიანობის შეფასებისათვის და სამომავლო განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის.

კვლევის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანია საქართველოს მოსახლეობის, როგორც ადამიანური რესურსების, განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მსოფლიო ინდექსების მიმოხილვა და შესაბამის მიმართულებებში არსებული პრობლემების გამოვლენა, რისთვისაც განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: ადამიანური განვითარების ინდექსის, უთანასწორობის მიხედვით კორექტირებული ადამიანური განვითარების ინდექსის, გენდერული განვითარების ინდექსის, გლობალური ცოდნის ინდექსის, ადამიანური კაპიტალის ინდექსისა და ტალანტ კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსის მიმოხილვა.

მეთოდოლოგია. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ანალიზისა და სინთეზის ტექნიკები და სამაგიდე კვლევა, რომელიც ძირითადად ეფუძნება მსოფლიო დონის ორგანიზაციებისა თუ კვლევითი ცენტრების რელევანტურ ანგარიშებს, კვლევებსა და მონაცემებს.

შედეგები და სიახლე. ნაშრომი თავს უყრის საქართველოს მონაცემებს განვითარების მიმართულებით არსებული ინდექსების მიხედვით, აანალიზებს და

აფასებს პრობლემებს, ხოლო სიახლეს კი წარმოადგენს ავტორისეული დასკვნები თუ რეკომენდაციები.


ადამიანური და გენდერული განვითარების ინდექსები

ინდექსები და რეიტინგები ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული მაჩვენებლები არიან, რომლებიც ქვეყნის რეალურ მდგომარეობას მხოლოდ მიახლოებით აფასებენ. მათი ვალიდურობის განმსაზღვრელად კი მიიჩნევა მონაცემთა ხარისხი; გაანგარიშების მეთოდოლოგია; რეიტინგში არსებული ქვეყნების რაოდენობა და სტრუქტურა [ბენდელიანი 2012: 4]. სწორედ ამიტომ, მათი განყენებულად განხილვის ნაცვლად, გაცილებით ეფექტიანი იქნება ერთობლივი ანალიზი და შედარება.

ქვეყნის მოსახლეობის, როგორც ადამიანური რესურსების განვითარებისა და მაკროეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ცნობილი საშუალებაა ადამიანური განვითარების ინდექსი HDI (Human Development Index). ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, იგი ხაზს უსვამს ქვეყნის განვითარებაში ადამიანებისა და მათი შესაძლებლობების მნიშვნელობას. HDI არის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის, ცხოვრების დონისა (მეშ 1 სულ მოსახლეზე (მსყ. უნ. გათვალისწინებით, \$)) და ცოდნის (25 წელზე უფროსი ადამიანების სასკოლო განათლება და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის სწავლის მოსალოდნელი წლები) განზომილებების გომეტრიული საშუალო და ქვეყნებს 0-დან 1-მდე მაჩვენებლით აფასებს. შედეგად, HDI აერთიანებს (იხ. დიაგრამა 1) სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსს, განათლების ინდექსს და მეშ ინდექსს [UNDP, 2020].

დიაგრამა 1

საქართველოს HDI და მისი სუბინდექსები, 1990-2019 წლები (5 წლიანი ინტერვალით)




წყარო: UNDP, 2020

2000 წლიდან მოყოლებული, საქართველოს HDI თითქმის მუდმივად აღემატება (იხ. დიაგრამა 2) რეგიონისა და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს [UNDP, 2020].

დიაგრამა 2

ადამიანური განვითარების ინდექსი 2000-2019 წლებში (5 წლიანი ინტერვალით), საქართველო-ევროპა და ცენტრალური აზია-მსოფლიო




წყარო: UNDP, 2020

ბოლო, 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს HDI 0.812-ია (იხ. სქემა 1), რითაც ქვეყნების სიაში საქართველო 61-ე ადგილზეა და ძალიან მაღალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფშია. რეიტინგში იგი უსწრებს აზერბაიჯანს (88-ე პოზიცია) და სომხეთს (81-ე პოზიცია), თუმცა, ჩამორჩება თურქეთს (54-ე პოზიცია) და რუსეთს (52-ე პოზიცია) [UNDP, 2020: 347-352].

სქემა 1

საქართველოს HDI და მისი კომპონენტები, 2019 წელი



წყარო: UNDP, 2020

HDI-ს არაერთი კრიტიკოსი ჰყავს. მას აკრიტიკებენ მწირი მონაცემების გამო, კომპონენტების თანაბარი წილით წარმოდგენაში², ასევე ხარვეზად არის მიჩნეული ის, რომ ინდექსი ზომავს არა განათლების ხარისხს, არამედ ხელმისაწვდომობას, ხოლო ჯანმრთელობის შემთხვევაში არცერთ მათგანს არ აფასებს [ბენდელიანი, 2012: 6, 18].

რადგანაც HDI არ ითვალისწინებს მოსახლეობის უთანასწორობას, მის პარალელურად, 2010 წლიდან გამოითვლება უთანასწორობის მიხედვით კორექ-


² გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა იწვევდეს რომელიმე კომპონენტის მიერ სხვის კომპონენტზე.

ტირებული ადამიანური განვითარების ინდექსი - IHDI (Inequality-adjusted Human Development Index), რომელსაც განვითარების რეალურ მაჩვენებლად, ხოლო თავად HDI პოტენციურ ინდექსად მიიჩნევენ [UNDP, 2020]. 2019 წელს IHDI 0.716-ია (იხ.

დიაგრამა 3), რაც იმას ნიშნავს, რომ 2019 წელს საქართველომ ადამიანური განვითარების 11.8% დაკარგა უთანასწორობის გამო [UNDP, 2020].

დიაგრამა 3

საქართველოს HDI და IHDI, 2010-2019 წლები




წყარო: UNDP, 2020

მნიშვნელოვანია ადამიანური განვითარების ინდექსის გენდერულ კრილში განხილვაც, რის საშუალებასაც გენდერული განვითარების ინდექსი GDI (Gender Development Index) იძლევა. იგი არის ქალებისა და კაცების HDI -ის თანაფარდობა. რადგანაც ყოველწლიურად ქალებისა და კაცების HDI მზარდია, ასევე მზარდია GDI-იც და 2019 წლის მონაცემებით 0.98-ს (იხ.

დიაგრამა 4) უტოლდება. აღსანიშნავია, რომ კაცების HDI აღემატება ქალების იმავე მაჩვენებელს [UNDP, 2020].

დიაგრამა 4

საქართველოს GDI 2010-2019 წლებში: ქალების და კაცების HDI-ის შედარება



წყარო: UNDP, 2020

HDI დაანგარიშების მეთოდოლოგია წლების განმავლობაში იცვლებოდა და მკვეთრად გაუმჯობესებული მაჩვენებლები შესაძლოა სწორედ აღნიშნულ მიზეზს უკავშირდებოდეს. 2010 წელს, საქართველოს გადანაცვლებას მაღალი განვითარების

დონის მქონე ქვეყნების ჯგუფში სწორედ ამგვარ ცვლილებას უკავშირებენ და არა მაჩვენებლების გაუმჯობესებას [ბენდელიანი, 2012: 18].

დასკვნის სახით შესაძლოა ვთქვათ, რომ საქართველოს HDI-ის კომპონენტების არათანაბარი ზრდა ბალანსდება საერთო მაჩვენებელში, მაგალითად, წლების განმავლობაში, საქართველოს შემოსავლების ინდექსს გამუდმებით აღემატება სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსი. ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ IHDI მნიშვნელოვნად ჩამორჩება HDI ინდექსს, შედეგად, საქართველო ყოველწლიურად 10%-ზე მეტს კარგავდ ადამიანურ განვითარებაში. HDI-ის გენდერულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალების HDI თითქმის ყოველწლიურად მცირედით ჩამორჩება კაცების HDI-ს, თუმცა, რადგანაც ორივე სქესის შემთხვევაში მზარდია HDI, ასევე მზარდია GDI-იც.

გლობალური ცოდნის ინდექსი და ადამიანური კაპიტალის ინდექსი

HDI-ის ნაკლოვანებებს გარკვეულწილად ავსებს გლობალური ცოდნის ინდექსი GKI (Global Knowledge Index). იგი ეყრდნობა 7 ქვეინდექსს და მათ კორელაციურ კავშირს (იხ.

სქემა 2) [UNDP & MBRF, 2021: 3-4, 218-220].

სქემა 2

გლობალური ცოდნის ინდექსის ქვეინდექსები




წყარო: UNDP & MBRF, 2021: 12

2021 წლის 51.3 მაჩვენებლით (იხ. **Error! Not a valid bookmark self-reference.**) საქართველო მსოფლიოს საშუალოსაც კი აღემატება და 154 ქვეყანას შორის მე-60 პოზიციაზეა. რეიტინგში იგი უსწრებს სომხეთს (71-ე ადგილი), აზერბაიჯანს (96-ე ადგილი), თურქეთს (77-ე ადგილი), თუმცა, ჩამორჩება რუსეთს (54-ე ადგილი) [UNDP & MBRF, 2021: 3-4, 218-220].

დიაგრამა 5

გლობალური ცოდნის ინდექსი და მისი სუბინდექსები, საქართველო და მსოფლიო, 2021 წელი



წყარო: UNDP & MBRF, 2021: 12

რაც შეეხება ადამიანური კაპიტალის ინდექსს HCI (Human Capital Index), იგი წარმოაჩენს თუ როგორ განაპირობებს ადამიანების ჯანმრთელობისა და განათლების გაუმჯობესება სამუშაო ძალის მომავალ პროდუქტიულობას³. ინდექსი მოიცავს გადარჩენის, სასკოლო განათლებისა და ჯანმრთელობის ელემენტებს (იხ. სქემა 3). მსოფლიო ბანკის 2020 წლის ანგარიშის შესაბამისად, საქართველოს ადამიანური კაპიტალის ინდექსი 0.57-ია, ანუ, განათლებისა და ჯანმრთელობის იდეალურ პირობებში, საქართველოში დაბადებული ბავშვი ზრდასრულ ასაკში პროდუქტიულობის 57%-ს მიაღწევს. აღნიშნული ინდექსით საქართველო ჩამორჩება ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის საშუალო მაჩვენებელსა (0.69) და მეზობელ ქვეყნებს: სომხეთს (0.58), აზერბაიჯანს (0.58), რუსეთსა (0.68) და თურქეთს (0.65) [World Bank, 2020: 16-18, 195-201].

³ იმ დაშვებით, რომ დღეს დაბადებული ადამიანებისთვის მომდევნო 18 წლის განმავლობაში ჯანმრთელობისა და განათლების სფეროში იგივე შესაძლებლობები იქნება.

სქემა 3

ადამიანური კაპიტალის ინდექსის ელემენტები საქართველოსთვის, 2020 წელი

5 წლის ასაკის მიღწევის ალბათობა = 0.99	ყოველი 100 ბავშვიდან 99 აღწევს 5 წლის ასაკს.
სასკოლო განათლების წლები = 12.9	ბავშვი, რომელიც სწავლას იწყებს 4 წლის ასაკში, სავარაუდოდ, სკოლის 12.9 წელს დაასრულებს 18 წლის ასაკში.
ჰარმონიზებული ტესტირების შეფასების ქულები = 400	მოსწავლეები იღებენ 400 ქულას სკალაზე, სადაც 625 არის მაღალი შედეგი, ხოლო 300 - მინიმალური შედეგი.
სწავლის მიხედვით კორექტირებული სასკოლო წლები = 8.3	ფაქტიური სწავლის გათვალისწინებით, სასკოლო წლების სავარაუდო რაოდენობა 8.3 წელია.
ხანდაზმული ასაკის მიღწევის მაჩვენებელი = 0.85	15 წლის ბავშვების 85 % მიადწევს 60 წელს.
5 წლამდე ასაკის ბავშვების ჯანსაღი განვითარება შეფარების გარეშე	-

წყარო: World Bank, 2020: 197


ზოგადად, ადამიანური კაპიტალის დაგროვების პროცესზე გავლენას ახდენს ეკონომიკური სიტუაცია და პირიქით, ადამიანური კაპიტალის განვითარება განაპირობებს ეკონომიკის განვითარებას. წინა წლებთან შედარებით, საქართველოს HCI გაუარესებულია, რასაც სწორედ ეკონომიკის მდგომარეობას უკავშირებენ [Kharkheli, 2022: 63].

ტალანტ კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი

ტალანტ კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსი GTCI (The Global Talent Competitiveness Index) ყოველწლიურად აფასებს თუ როგორ იზრდება, იზიდავს და ინარჩუნებს ტალანტებს ესა თუ ის ქვეყანა (იხ. სქემა 4). 2021 წლის მეთოდოლოგიის მიხედვით, GTCI აერთიანებს 2 სუბინდექსს: 1) GTCI შემავალი სუბინდექსი ეფუძნება ტალანტის გასამლიერებელ პოლიტიკას, რესურსებსა და ძალისხმევას; 2) GTCI გამავალი სუბინდექსი, რომლის მიზანია ზემოაღნიშნული პოლიტიკის, რესურსებისა და ძალისხმევის შედეგის - ქვეყანაში არსებული ტალანტის ხარისხის აღწერა და გაზომვა. GTCI ამ 2 სუბინდექსის 6 სვეტის საშუალო არითმეტიკულია [INSEAD, Portulans Institute & Accenture, 2021: 9-10].

სქემა 4

ტალანტების კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდექსის მოდელი 2021 და საქართველოს GTCI-ის კომპონენტების ქულები



წყარო: INSEAD, Portulans Institute & Accenture, 2021: 9-10, 126

2021 წელს საქართველოს GTCI 49.94-ია, რაც მსგავსი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფის საშუალო ქულაზე (45.84) მეტია. 134 ქვეყნის რეიტინგში საქართველო 53-ე ადგილზეა და უსწრებს აზერბაიჯანს (54-ე ადგილი), თურქეთს (76-ე ადგილი) და სომხეთს (57 ადგილი), თუმცა, ჩამორჩება რუსეთს (45-ე ადგილი) [INSEAD, Portulans Institute & Accenture, 2021: 15-16].


GTCI მრავალ მონაცემზე აგებული ინდექსია (იხ. სქემა 4). 6 კომპონენტში ყველაზე დაბალი ქულა **ზრდის** ნაწილშია (28.86), ხოლო აღნიშნულ ელემენტში თავის მხრივ ყველაზე დაბალია **უწყვეტი სწავლის** მაჩვენებელი (15.24). ყველაზე მაღალი ქულა (61.21) **პროფესიულ-ტექნიკური უნარების** კომპონენტში შეინიშნება, სადაც თავის მხრივ მაღალ ქულას ავლენს **საშუალო დონის უნარები** (64.46): ტექნიკოსები და ასოცირებული პროფესიონალები (39.67), საშუალო განათლების მქონე მოსახლეობა (82.59) და სამუშაო ძალა (75.22), შრომის პროდუქტიულობა 1 თანამშრომელზე (60.37) [INSEAD, Portulans Institute & Accenture, 2021: 126].

ბოლო 5 წლის განმავლობაში GTCI ავლენს როგორც შემცირების, ასევე ზრდის (იხ.

დიაგრამა 6) ტენდენციას [INSEAD, 2022], სადაც, ასევე გასათვალისწინებელია დაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილებაც.

დიაგრამა 6

GTCI საქართველოსთვის, 2017-2021 წლები



წყარო: INSEAD, 2022

დასკვნები და რეკომენდაციები

მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანური განვითარების მაღიან მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს, არ ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით მთელი რიგი ფაქტორების იმავე მდგომარეობას. ზემოთ განხილული ინდექსების ანალიზმა აჩვენა, რომ 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს HDI, IHDI და GDI ინდექსებში მაღიან მაღალი მაჩვენებელი აქვს, რასაც ვერ ვხვდებით 2021 წლის GKI-ისა, 2020 წლის HCI-ისა და 2021 წლის GTCI-ის შემთხვევებში, სადაც საშუალო მაჩვენებლებია. განხილული ინდექსების რეიტინგებში საქართველო უმეტესწილად უსწრებს მეზობლებს - სომხეთსა და აზერბაიჯანს, თუმცა, ჩამორჩება რუსეთსა და თურქეთს.

იმის გამო, რომ ხშირად კომპონენტები ერთმანეთს აბალანსებენ მთლიან მაჩვენებელში, ზემოაღნიშნული ინდექსების განხილვა უფრო მეტად გამოსადეგია ქვეყნების (მაგალითად მეზობელ ქვეყნებთან) შედარებისათვის, ხოლო მათი დინამიკაში განხილვა ხშირ შემთხვევაში არაა გამართლებული, თუნდაც მეთოდოლოგიის ხშირი ცვლილების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენდელიანი ნ., 2012. ადამიანის განვითარების ინდექსის მიღმა: ადამიანზე ორიენტირებული განვითარების შეფასება საქართველოში, კვლევითი ანგარიში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. ბოლო ნახვა 27 მაისი, 2022. http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/nani_beyond_geo.pdf.
2. INSEAD. 2022. Global Talent Competitiveness Index. Accessed June 2, 2022. <https://www.insead.edu/faculty-research/research/gtci>.
3. INSEAD, Portulans Institute & Accenture. 2021. The Global Talent Competitiveness Index 2021: Talent Competitiveness in Times of COVID. Fontainebleau. Accessed June 2, 2022. <https://www.insead.edu/sites/default/files/assets/dept/fr/gtci/GTCI-2021-Report.pdf>.
4. Kharkheli, M., 2022, The Impact Of The Pandemic On Human Capital. Human Capital Index. J: „Globalization and Business“, N:13, P:61-64. Accessed June 3, 2022. doi:<https://doi.org/10.35945/gb.2022.13.009>.
5. UNDP & MBRF. 2021. Dubai: Al Ghurair Printing and Publishing. Accessed May 12, 2022. https://www.undp.org/publications/global-knowledge-index-2021?utm_source=EN&utm_medium=GSR&utm_content=US_UNDP_PaidSearch_Brand_English&utm_campaign=CENTRAL&c_src=CENTRAL&c_src2=GSR&gclid=Cj0KCQjw4PKTBhD8ARIsAHChzRIUE-vn8gY-OEDn2PUeOWiwWkIK7SqlODufklFrPdM.
6. UNDP. 2020. Human Development Indicators, Georgia profile. Accessed May 30, 2022. <https://hdr.undp.org/en/countries/profiles/GEO>.
7. UNDP. 2020. Human Development Report 2020: The Next Frontier-Human Development and the Anthropocene. Accessed May 12, 2022. <https://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020.pdf>.
8. UNDP. 2020. Human Development Reports. Accessed May 30, 2022. <https://hdr.undp.org/en/content/download-data>.
9. UNDP. 2020. UNDP: Human Development Index. Accessed May 27, 2022. https://hdr.undp.org/sites/default/files/hdr2020_technical_notes.pdf.
10. World Bank. 2020. The Human Capital Index 2020 Update : Human Capital in the Time of COVID-19. Washington, DC: World Bank. Accessed June 1, 2022. <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34432>.

Ana Chagelishvili

Doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

GEORGIA IN WORLD RANKINGS: KNOWLEDGE, TALENT COMPETITIVENESS, HUMAN CAPITAL AND DEVELOPMENT

Expanded Summary

Population development is the goal of every country. It does not mean only achieving economic results and is related to other factors important for development, including the accumulation of human capital or knowledge, education, formation of an environment conducive to development, talent management and other important issues. Accordingly, in the mentioned direction, the research of Georgia's positions or indices in the world rankings will gather important information for evaluating the effectiveness of the reforms and for identifying the needs of future development. The aim of the paper is to review the world indices important for the development of the population of Georgia as

human resources and to reveal the problems in the relevant directions, for which the following tasks are defined: human development index, human development index adjusted according to inequality, gender development index, global knowledge index, human capital index and talent Overview of the Global Competitiveness Index.

Indexes and ratings are indicators based on empirical data, which only approximate the real state of the country. The quality of the data is considered to determine their validity; calculation methodology; The number and structure of countries in the ranking. That is why, instead of considering them separately, joint analysis and comparison will be more effective.

Human development index HDI is a well-known tool for assessing the country's population, as well as the development of human resources and the macroeconomic situation. Along with economic factors, it emphasizes the importance of people and their capabilities in the development of a country. The analysis showed that since 2000, Georgia's HDI has almost continuously exceeded the regional and world average. Since the HDI does not take into account the inequality of the population, in parallel with it, since 2010, the inequality-adjusted human development index - IHDI has been calculated, which is considered a real indicator of development, while the HDI itself is a potential index. In 2019, the IHDI is 0.716, which means that in 2019, Georgia lost 11.8% of human development due to inequality.

It is also important to consider the human development index from a gender point of view, which the Gender Development Index GDI allows. It is the ratio of HDI of women and men. As the HDI of women and men is increasing every year, the GDI is also increasing and is equal to 0.98 as of 2019. It should be noted that the HDI of men is higher than the same indicator of women.

The HDI calculation methodology has changed over the years, and the dramatically improved indicators may be due to this reason. In 2010, the transition of Georgia to the group of countries with a high level of development is associated with this kind of change, and not with the improvement of indicators. Uneven growth of Georgia's HDI components balances out in the overall indicator, for example, over the years, Georgia's life expectancy index has consistently exceeded its income index. The analysis also shows that the IHDI significantly lags behind the HDI index, as a result, Georgia loses more than 10% annually in human development. A gender analysis of the HDI shows that women's HDI falls slightly behind men's HDI almost every year, however, as HDI increases for both sexes, so does GDI.

The shortcomings of the HDI are somewhat compensated by the Global Knowledge Index (GKI). It is based on 7 sub-indices and their correlation. With an index of 51.3 in 2021, Georgia even exceeds the world average and ranks 60th among 154 countries. In the ranking, it is ahead of many neighbors, however, it is behind Russia.

As for the human capital index HCI, it shows how the improvement of people's health and education determines the future productivity of the workforce. The index includes elements of survival, schooling and health. According to the 2020 report of the World Bank, the human capital index of Georgia is 0.57, that is, under ideal conditions of education and health, a child born in Georgia will reach 57% of productivity in adulthood. According to the mentioned index, Georgia lags behind the average indicator of the European and Central Asian region and the neighboring countries.

The Global Talent Competitiveness Index GTCI annually evaluates how a country grows, attracts and retains talent. Over the last 5 years, GTCI shows both a decreasing and

increasing trend, where the change in the calculation methodology should also be taken into account.

Just considering that Georgia has a very high rate of human development does not mean that a number of factors in this direction are in the same situation. The analysis of the indices discussed above showed that according to the data of 2019, Georgia has a very high index in the HDI, IHDI and GDI indices, which we cannot see in the cases of the 2021 GKI, 2020 HCI and 2021 GTCI, where there are average indicators. In the ratings of the considered indices, Georgia is mostly ahead of its neighbors - Armenia and Azerbaijan, however, it lags behind Russia and Turkey. Due to the fact that often the components balance each other in the total indicator, the discussion of the above-mentioned indices is more useful for comparing countries (for example, with neighboring countries), and their dynamic discussion is often not justified, even due to frequent changes in methodology.

ბექა გურგენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი*

დეფოლტის ალბათობების შეფასება აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს მაგალითი

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Beka.Gurgenidze

ანოტაცია. სტატიაში განხილულია დეფოლტის ალბათობების შეფასების ალტერნატიული მიდგომა, რომელიც, აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე, მარკოვის გარდამავალი მატრიცის შეფასებას ეყრდნობა. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოსადეგია განვითარებადი ქვეყნებისათვის, სადაც ინდივიდუალურ მსესხებელთა შესახებ მონაცემები მწირია და გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება. ნაშრომში, საქართველოს მაგალითზე, განზოგადებულ უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით, მიღებულია დეფოლტის ალბათობების შეფასებები საცალო სესხებისათვის. გარდა ამისა, განხილულია მარტივი და ინტუიციური მიდგომა, რომლითაც აღნიშნული ალბათობების დაკავშირება ხდება მაკროეკონომიკურ ცვლადებთან.

საკვანძო სიტყვები: დეფოლტის ალბათობა; მარკოვის გარდამავალი მატრიცა; საკრედიტო რისკი

შესავალი

საბანკო სექტორში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს 9) ეტაპობრივ დანერგვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (expected credit loss) გამოთვლას. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია საკრედიტო რისკის მოდელირებაზე, რომელშიც ერთერთ მნიშვნელოვან ადგილს მსესხებლის დეფოლტის ალბათობის (PD) ანალიზი იკავებს. მსესხებლის გადახდისუნარიანობის განსაზღვრისათვის, ძირითადად, სამი ტიპის მიდგომას განიხილავენ: 1. სტატისტიკურ შეფასებას ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით; 2. კალიბრაციას საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენებით და 3. საექსპერტო განსჯას [Bolder, 2018: 497]. ზემოთ აღნიშნულიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება პირველი მიდგომა, რომელიც ეფუძნება ისეთი ტიპის მოდელებს, როგორცაა, მაგალითად, ლოგიტ და პრობიტ მოდელები, პანელური ტიპის მოდელები, კოქსის პროპორციული რისკის მოდელი, ნეირონული ქსელები და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, საკრედიტო ბიუროებში არსებული ინფორმაცია ინდივიდუალურ მსესხებელთა შესახებ ხშირ შემთხვევაში არასრულფასოვანია და მოიცავს ისტორიის მხოლოდ მცირე ნაწილს. შესაბამისად, დეფოლტის ალბათობების სტატისტიკური შეფასება არასრულფასოვანი ინდივიდუალური ინფორმაციით, რომელიც ვერ ფარავს ბიზნესის სრულ ციკლს, გარკვეული ნაკლოვანებებით ხასიათდება.

მოცემულ ნაშრომში განხილულია დეფოლტის ალბათობების შეფასების ალტერნატიული მიდგომა, რომელიც აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე მარკოვის გარდამავალი მატრიცის (Markov Transition Matrices) ანალიზს ეყრდნობა. უნდა ითქვას, რომ არც ეს მიდგომაა დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან, თუმცა მიღებული შეფასებების გამოყენება შესაძლებელი იქნება ორი მიმართულებით:

- საკრედიტო რისკის კუთხით, საბანკო სისტემის სტრუქტურის ტესტირებისთვის;
- ინდივიდუალურად ბანკებისთვის, რომ შეადარონ მათ საკუთარი შეფასებები ნაშრომში განხილულ ალბათობებს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენონ ისინი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად სხვადასხვა მაკროეკონომიკური სცენარის დროს.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2005 წელს, საკრედიტო რისკის ანალიზისთვის ჯონსმა [Jones, 2005],⁴ აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე, განზოგადებულ უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით (GLS) შეაფასა მარკოვის გარდამავალი მატრიცა. მან აღნიშნულისთვის გამოიყენა სესხების სხვადასხვა კატეგორია. მსგავსი მიდგომა შემოგვთავაზა სიმისტერმაც [Simister, 2006], რომელმაც იამაიკის საბანკო სექტორისათვის მაქსიმალური დასაჯერებლობის მეთოდით (MLE) შეაფასა მარკოვის გარდამავალი მატრიცა. ხორვატიის კორპორაციული სესხების აგრეგირებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კუნოვაცმა [Kunovac, 2011] საკრედიტო მიგრაციის მატრიცის ბაიესური შეფასება მოახდინა და თანაც აღნიშნა, რომ ამ ტიპის შეფასებას გარკვეული უპირატესობები გააჩნია სხვა მიდგომებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ მარკოვის გარდამავალ ალბათობებზე მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენის გათვალისწინებისათვის ვანეკი [Vaněk, 2016] მარტივ მიდგომას გვთავაზობს, რომელიც უმოქმედო სესხების გამოყენებას ითვალისწინებს.

სარეიტინგო კომპანიები, როგორც წესი, ინდივიდუალური მსესხებლების დეფოლტის ალბათობას ცალ-ცალკე არ აფასებენ, არამედ თითოეულ მსესხებელს შეუსაბამებენ გარკვეულ სასრული რაოდენობის კატეგორიას. სწორედ აღნიშნული კატეგორიების გარდამავალი ალბათობების შეფასება წარმოადგენს შესაბამის კატეგორიაში მყოფი ინდივიდის სხვა კატეგორიაში გადასვლის ალბათობას. ცხადია ამ მიდგომის დროს მსესხებელთა ინდივიდუალური ინფორმაციის იგნორირება ხდება და სავსებით შესაძლებელია, რომ ერთი და იმავე კატეგორიის მსესხებლები რეალურად განსხვავებული საკრედიტო რისკით ხასიათდებოდნენ. მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, იმ პირობებში, როდესაც ისტორიული მონაცემები ინდივიდუალური მსესხებლების შესახებ არასრულყოფილია, მსესხებელთა განხილვა სესხების კატეგორიების შესაბამისად ლოგიკურ აზრს მოკლებული არ არის. გარდა ამისა, შემდეგ ნაწილში განხილული იქნება მარტივი გზა იმისა თუ როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ არსებული ინდივიდუალური ინფორმაციისა და მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენა ალბათობებზე.

მარკოვის გარდამავალი ალბათობების მატრიცა

მოცემულ ნაწილში განხილული იქნება მარკოვის ჯაჭვის პროცესი და ძირითადი დაშვებები. საწყის ეტაპზე მოცემული გვაქვს შემთხვევით სიდიდეთა მიმდევრობა $\{X_t\}_{t=1}^T$, სადაც t დისკრეტული დროის მაჩვენებელია, X_t აღნიშნავს მსესხებლის მდგომარეობას, რომელმაც $C = \{1,2,3\}$ - დან შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი მნიშვნელობა. კერძოდ, მსესხებელი შეიძლება მიეკუთვნებოდეს სესხების კატეგორიის სტანდარტულ (1), საყურადღებო (2) ან უმოქმედო (3) კლასს.⁵ დაეუშვათ, რომ მოცემული მიმდევრობა აკმაყოფილებს მარკოვის თვისებას:

⁴ საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) სამუშაო დოკუმენტი.

⁵ აღნიშნული ეფუძნება ეროვნული ბანკის კლასიფიკაციას. უმოქმედო სესხების კლასში ერთიანდება არასტანდარტული საეჭვო და უიმედო ტიპის სესხები.

$$P(X_{t+1} = j | X_t = i, X_{t-1} = i_{t-1}, \dots, X_{t-n} = i_{t-n}) = P(X_{t+1} = j | X_t = i) = p_{ij}. \quad (1)$$

სადაც, $j, i, i_{t-1}, \dots, i_{t-n} \in C$ და აღნიშნული სამართლიანია ყოველი t - სა და n - თვის. (1) გულისხმობს, რომ მომავალ პერიოდში მსესხებლის მდგომარეობის ალბათობა დამოკიდებულია მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობაზე. დამატებით აღსანიშნავია, რომ p_{ij} არ არის დროზე დამოკიდებული და შესაბამისად, $\{X_t\}_{t=1}^T$ - პროცესს დროის მიმართ ჰომოგენური მარკოვის ჯაჭვური (time-homogeneous Markov chain) პროცესი ეწოდება. მთლიანი პროცესის დასახასიათებლად მოსახერხებელია წარმოვადგინოთ მარკოვის გარდამავალი ალბათობების მატრიცა:

$$P = \begin{bmatrix} p_{11} & p_{12} & p_{13} \\ p_{21} & p_{22} & p_{23} \\ p_{31} & p_{32} & p_{33} \end{bmatrix}. \quad (2)$$

მოცემულ მატრიცაში p_{ij} აღნიშნავს გარდამავალ ალბათობას i - ური მდგომარეობიდან j - ური მდგომარეობისაკენ. მაგალითად, p_{13} გვიჩვენებს ალბათობას იმისას, რომ მსესხებელი, რომელიც მიმდინარე პერიოდში არის 1-ლ კატეგორიაში, მომავალ პერიოდში გადავა მე-3 კატეგორიაში. გარდა ამისა, ყოველი i - სთვის სრულდება $\sum_{j=1}^3 p_{ij} = 1$. მოცემულ ნაშრომში სესხების მე - 3 კატეგორიაში გადასვლის ალბათობა განხილულ იქნება როგორც დეფოლტის ალბათობა. შესაბამისად, P მატრიცის ბოლო სვეტი წარმოადგენს შესაბამისი კატეგორიის დეფოლტის ალბათობას. საინტერესოა, განვიხილოთ გარდამავალი ალბათობები m პერიოდის შემდგომ, კერძოდ, დროის t პერიოდიდან $t + m$ პერიოდამდე. აღნიშნული ალბათობები მიიღება (2) მატრიცის m ხარისხში აყვანით. მაგალითად, თუ $X_t = 1$ და გვინტერესებს იმის ალბათობა, რომ მოცემული პირობის გათვალისწინებით, ორი პერიოდის შემდეგ $X_{t+2} = 1$, აღნიშნული ალბათობა P^2 - ის პირველსავე ელემენტს წარმოადგენს (P^2_{11}). მართლაც, სრული ალბათობის წესით:

$$P(X_{t+2} = 1 | X_t = 1) = \sum_{k=1}^3 P(X_{t+1} = k | X_t = 1) * P(X_{t+2} = 1 | X_{t+1} = k, X_t = 1) = P^2_{11},$$

სადაც, $P(X_{t+2} = 1 | X_{t+1} = k, X_t = 1) = P(X_{t+2} = 1 | X_{t+1} = k)$, რაც მარკოვის თვისებიდან გამომდინარეობს. ნიშანდობლივია, რომ თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში არსებობს ინფორმაცია მსესხებელთა სხვადასხვა კატეგორიაში გადასვლის შესახებ, მაშინ p_{ij} ალბათობების შეფასება სირთულეს არ წარმოადგენს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ დასაჯერებლობის ფუნქცია, როდესაც კატეგორიებს შორის მსესხებელთა მოძრაობა დაკვირვებადია:

$$L = \prod_{i,j} p_{ij}^{n_{ij}}, \quad (3)$$

სადაც, n_{ij} მსესხებელთა რაოდენობის მიგრაციაა i - ური კატეგორიიდან j - ური კატეგორიისაკენ. ცხადია, აღნიშნული L ფუნქცია ეფუძნება დაშვებას მსესხებელთა კატეგორიებში გადაადგილების დამოუკიდებლობის შესახებ. თუ (3)-ის მაქსიმიზირებას მოვახდენთ $\sum_{j=1}^3 p_{ij} = 1, i = 1,2,3$ შეზღუდულობის პირობებში, მაშინ მივიღებთ მაქსიმალური დასაჯერებლობის შეფასებებს: $\hat{p}_{ij} = \frac{n_{ij}}{\sum_{j=1}^3 n_{ij}}$. შინაარსობრივად \hat{p}_{ij} გვიჩვენებს მსესხებელთა წილს (რომლებიც გადაადგილდნენ i - ური კატეგორიიდან j - ური კატეგორიისაკენ) i - ურ კატეგორიაში არსებულ მსესხებელთა მთლიან რაოდენობაში.

სიტუაცია იცვლება, როდესაც კლასებში მსესხებელთა გადასვლა დაკვირვებადი არ არის, თუმცა არსებობს აგრეგირებული ინფორმაცია თითოეულ კატეგორიაში დროის მიხედვით მსესხებელთა რაოდენობების შესახებ. იმისათვის, რომ

აღნიშნული ინფორმაცია დავუკავშიროთ გარდამავალ ალბათობებს, განვიხილოთ უპირობო ალბათობა სრული ალბათობის წესის შესაბამისად:

$$P(X_t = j) = \sum_{i=1}^3 P(X_{t-1} = i) * P(X_t = j | X_{t-1} = i), \tag{4}$$

სადაც, $P(X_t = j)$ და $P(X_{t-1} = i)$ უპირობო ალბათობებია. თუ (4) ში უპირობო ალბათობებს ჩავანაცვლებთ დაკვირვებადი $y_j(t)$ და $y_i(t-1)$ წილებით (თითოეულ კატეგორიაში არსებული მსესხებლების რაოდენობათა ფარდობა მთლიან რაოდენობასთან დროის t წერტილში), მაშინ შეგვიძლია დავუშვათ, რომ სამართლიანი იქნება შემდეგი კავშირი:

$$y_j(t) = \sum_{i=1}^3 y_i(t-1) * p_{ij} + u_j(t), \tag{5}$$

სადაც $u_j(t)$ შეცდომების წევრია. მოცემულ გამოსახულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ალბათობების დროის მიმართ ჰომოგენურობა. (5) შეგვიძლია მატრიცული სახით ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$\begin{bmatrix} y_j(2) \\ \vdots \\ y_j(t-1) \\ \vdots \\ y_j(T) \end{bmatrix} = \begin{bmatrix} y_1(1) & y_2(1) & y_3(1) \\ \vdots & \vdots & \vdots \\ y_1(t-1) & y_2(t-1) & y_3(t-1) \\ \vdots & \vdots & \vdots \\ y_1(T-1) & y_2(T-1) & y_3(T-1) \end{bmatrix} \begin{bmatrix} p_{1j} \\ p_{2j} \\ p_{3j} \end{bmatrix} + \begin{bmatrix} u_j(2) \\ \vdots \\ u_j(t-1) \\ \vdots \\ u_j(T) \end{bmatrix}. \tag{6}$$

აღნიშნული სამართლიანია $j = 1,2,3$ - სათვის. ტოლობის მარცხენა ვექტორი აღვნიშნოთ y_j - ით, რომელიც $(T-1) \times 1$ განზომილებისაა. ტოლობის მარჯვნივ პირველი მატრიცა აღვნიშნოთ x_j - თი, მისი განზომილებაა $(T-1) \times 3$, ამასთან $x_1 = x_2 = x_3$. (6) - ში ალბათობების ვექტორი აღვნიშნოთ p_j - ით, რომლის განზომილებაა 3×1 ; შეცდომების წევრების ვექტორი აღვნიშნოთ u_j - თი, მისი განზომილებაა $(T-1) \times 1$. მოცემული აღნიშვნების შემდეგ შეგვიძლია განტოლებათა მთლიანი სისტემა შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$\begin{bmatrix} y_1 \\ y_2 \\ y_3 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} x_1 & 0 & 0 \\ 0 & x_2 & 0 \\ 0 & 0 & x_3 \end{bmatrix} \begin{bmatrix} p_1 \\ p_2 \\ p_3 \end{bmatrix} + \begin{bmatrix} u_1 \\ u_2 \\ u_3 \end{bmatrix}$$

ან,

$$Y = Xp + U \tag{7}$$

სადაც, $Y = \begin{bmatrix} y_1 \\ y_2 \\ y_3 \end{bmatrix}, X = \begin{bmatrix} x_1 & 0 & 0 \\ 0 & x_2 & 0 \\ 0 & 0 & x_3 \end{bmatrix}, p = \begin{bmatrix} p_1 \\ p_2 \\ p_3 \end{bmatrix}, U = \begin{bmatrix} u_1 \\ u_2 \\ u_3 \end{bmatrix}.$

ამავდროულად, დავუშვათ, რომ შეცდომების წევრი ნორმალურად არის განაწილებული და აკმაყოფილებს პირობებს: $E(U) = 0, E(UU') = \Sigma$. კოვარიაციის მოცემული Σ მატრიცა $(3 \times T) \times (3 \times T)$ განზომილებისაა. უნდა აღინიშნოს, რომ რადგან შესაფასებელი პარამეტრები ალბათობებს წარმოადგენს და სტრიქონების მიხედვით მათი ჯამი ერთის ტოლია, შეგვიძლია (7) - დან ამოვშალოთ რომელიმე განტოლება რომელიმე y_j - თვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში (7) - დან გამოვრიცხოთ ბოლო განტოლებები $j = 3$ - თვის. ახალი განტოლებათა სისტემა ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$Y^* = X^*p^* + U^* \tag{8}$$

შემცირებულ განტოლებათა სისტემის შეფასების შემდეგ (2) - მატრიცის ბოლო სვეტის ალბათობათა გამოთვლა მარტივად იქნება შესაძლებელი, კერძოდ: $p_{i3} = 1 - \sum_{j=1}^2 p_{ij}, i = 1,2,3$. მე (8) განტოლების შესაფასებლად ლი, ჯუდგი და ზელნერი [Lee..., 1972] შეცდომის წევრების კვატრატების ჯამის მინიმიზაციას გთავაზობენ

შეზღუდვების პირობებში. მათხევე დაყრდნობით, უმცირეს კვადრატთა აღნიშნული მეთოდით მიღებული შეფასებები კვადრატული პროგრამირების შემდეგი ამოცანის ამოხსნის იდენტურია:

$$\min_{p^*} U^{*'}U^*, \quad Gp^* \leq \mu, \quad p^* \geq 0, \quad (9)$$

სადაც, $G = [I_1, I_2]$ წარმოადგენს მატრიცას, რომლის განზომილებაა 3×6 .⁶ μ - ვექტორია და შედგება ერთიანებისაგან, მისი განზომილებაა 3×1 . მაკრეის [MacRae, 1977] მიხედვით, (8) - ში U^* - ის ვარიაცია დამოკიდებულია X^* - ზე, შესაბამისად უმცირეს კვადრატთა მეთოდით მიღებული შეფასებები იქნება არაეფექტური, თუმცა ძალმოსილი. ჰეტეროსკედასტურობის აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მოცემულ ნაშრომში გამოყენებული იქნება მაკრეის [MacRae, 1977] იტერაციული განზოგადებულ უმცირეს კვადრატთა მეთოდი (GLS), რომელიც რამდენიმე ეტაპს მოიცავს. პირველ რიგში ხდება გარდამავალი ალბათობების შეფასება ჩვეულებრივ უმცირეს კვადრატთა მეთოდით. მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით, მეორე ეტაპზე ვაფასებთ შეცდომების წევრების კოვარიაციის მატრიცას, რომელიც შემდეგში განზოგადებულ უმცირეს კვადრატთა მეთოდში გამოიყენება. აღნიშნული პროცედურა გრძელდება მანამდე, სანამ ბოლო ორი შეფასება ერთმანეთთან საკმარისად ახლოს არ იქნება. აღწერილი მეთოდი ფორმალურად შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს⁷:

$$\min_{p^*} (Y - Xp^*)' \hat{\Sigma}^{-1} (Y - Xp^*), \quad Gp^* \leq \mu, \quad p^* \geq 0, \quad (10)$$

სადაც,

$$Y = [Y_2', Y_3', \dots, Y_T']', \quad Y_t = [y_{1t}, y_{2t}, y_{3t}]';$$

$$X = [X_1', X_2', \dots, X_{T-1}']', \quad X_t = I_2 \otimes X_t', \quad X_t = [y_{1t}, y_{2t}, y_{3t}, y_{4t}]';$$

$$\hat{\Sigma} = \text{diag}(\hat{\Sigma}_1, \hat{\Sigma}_2, \dots, \hat{\Sigma}_{T-1}), \quad \hat{\Sigma}_t = \text{diag}(P^{*'}X_t) - P^{*'}\text{diag}(X_t)P^*.$$

მოყვანილ გამოსახულებებში \otimes არის კრონეკერის გამრავლების (Kronecker product) სიმბოლო. P^* იგივე (2) მატრიცაა, იმ განსხვავებით, რომ ბოლო სვეტი აქვს ამოშლილი. diag ოპერატორი ქმნის დიაგონალურ მატრიცას შესაბამისი ელემენტებით.⁸ ასევე შევნიშნოთ, რომ p^* , G და μ იგივე სიდიდეებია, რაც მე (9) გამოსახულებაში, ხოლო I_2 აღნიშნავს 2×2 განზომილების ერთეულოვან მატრიცას.

(10)-ისთვის აღწერილი ალგორითმის გამოყენებით, გარდამავალი ალბათობების შეფასების შემდეგ, მნიშვნელოვანია შევამოწმოთ ჰიპოთეზა ალბათობების დროის მიმართ ჰომოგენურობის შესახებ. აღნიშნულისათვის კელტონმა და კელტონმა [Kelton..., 1984] შემდეგი მიდგომა შემოგვთავაზეს. პირველ რიგში, მონაცემები უნდა დაიყოს დროის მიხედვით თანაბარ ნაწილებად და თითოეული ნაწილისათვის ცალ-ცალკე უნდა შეფასდეს (10). შემდეგ ეტაპზე უნდა შეჯამდეს მოცემული შეუზღუდავი მოდელების ნარჩენობითი წევრების კვადრატების ჯამები: $SSR_U = SSR_{U1} + SSR_{U2}$, სადაც SSR_{U1} პირველი შეუზღუდავი მოდელის, ხოლო SSR_{U2} -მეორე შეუზღუდავი მოდელის ნარჩენობითი წევრის კვადრატების ჯამებია. ვინაიდან ნულოვანი ჰიპოთეზა დროის მიმართ ჰომოგენურობას გულისხმობს,

⁶ I_1 და I_2 წარმოადგენენ ერთეულოვან მატრიცებს განზომილებით 3×3 , ცხადია $I_1 = I_2$. ამავდროულად, p^* იგივე p ვექტორია, იმ განსხვავებით, რომ არ მოიცავს p_3 - ს. შესაბამისად, მისი განზომილებაა 6×1 .

⁷ აღნიშვნები ამ ნაწილში ნაწილობრივ განსხვავებულია. მოცემული აღნიშვნებს იყენებს ჯონსი (Jones, 2005).


⁸ მაგალითად, $\text{diag}(a_1, a_2) = \begin{bmatrix} a_1 & 0 \\ 0 & a_2 \end{bmatrix}$.

ტესტის სტატისტიკა განაწილებულია ფიშერის $F(q,v)$ განაწილებით და მოიცემა შემდეგი ფორმულით: $F_{q,v} = \frac{(SSR_R - SSR_U)/q}{SSR_U/v}$, სადაც SSR_R - დროის მთლიანი მონაკვეთის მიხედვით აგებული შეზღუდული⁹ მოდელით გამოთვლილი ნარჩენობითი წევრის კვადრატების ჯამია, ხოლო $q = R(R-1)$ და $v = T(R-1) - 2R(R-1)$ თავისუფლების ხარისხის მაჩვენებლებია ნულოვანი ჰიპოთეზის პირობებში.¹⁰

მონაცემები და შედეგები

მოცემული სტატიაში განივიხილავთ საცალო სესხების მონაცემებს ადგილობრივ ვალუტაში. კერძოდ, როგორც წინა ნაწილში ითქვა, აღნიშნული სესხები დაყოფილია სტანდარტულ, საყურადღებო და უმოქმედო¹¹ კატეგორიებად და მოიცავს 2013 წლიდან 2021 წლის ჩათვლით კვარტალურ პერიოდს (იხ. დიაგრამა 1). უნდა ითქვას, რომ სესხები განხილულია არა კონტრაქტების (რაოდენობის), არამედ მოცულობების მიხედვით. შესაბამისად, დაშვებულია, რომ ერთი ლარის ღირებულების სესხი წარმოადგენს ერთ ცალ სასესხო კონტრაქტს. აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, მიღებული შეფასებების მიხედვით, ალბათობა იმისა, რომ მომდევნო კვარტალში მსესხებელი სტანდარტული კატეგორიიდან გადავა უმოქმედო (მესამე) კატეგორიაში უდრის 0.005-ს. ანალოგიურად, მეორე კატეგორიისთვის დეფოლტის (გაკოტრების) ალბათობა უდრის 0.045-ს (იხ. ცხრილი 1, ბოლო სვეტი). შევნიშნავთ, რომ ეს შეფასებები მიღებულია დამატებითი დაშვების გამოყენებით. კერძოდ, (10)-ში μ ვექტორის პირველი ელემენტი ერთის მაგივრად უდრის 0.995-ს, მეორე ელემენტი უდრის 0.955-ს, ხოლო მესამე ელემენტი უდრის ნულს. დაშვება, რომელიც შეეხება μ ვექტორის პირველ ორ ელემენტს იდეურად გულისხმობს, რომ დეფოლტის მინიმალური ალბათობები ყოველთვის იარსებებს. მაგალითად, ბაზელის ახალი სტანდარტის მიხედვით, დეფოლტის მინიმალური ალბათობები 0.05 და 0.1 პროცენტებს შორის მერყეობს სასესხო პროდუქტების მიხედვით.¹² ამასთან, მეორე ტიპის სესხები პირველთან შედარებით მეტად რისკიანია.

დიაგრამა 1. საცალო სესხების დინამიკა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, ავტორთა გამოთვლები

⁹ ნულოვანი ჰიპოთეზის პირობებში არსებული.

¹⁰ მოცემული ნაშრომში, კატეგორიების R რიცხვი უდრის 3-ს.

¹¹ უმოქმედო სესხები დამატებით ითვალისწინებს სესხების ჩამოწერებსაც.

¹² იხ. <https://assets.kpmg/content/dam/kpmg/xx/pdf/2018/05/basel-4-credit-risk-irb-approach.pdf>.

რაც შეეხება μ ვექტორის მესამე ელემენტის ნულთან ტოლობას, ასეთი დაშვება მესამე კატეგორიის სესხების დეფოლტის მდგომარეობის აღმნიშვნელია და გულისხმობს, რომ ცხრილ 1 - ში არსებული გარდამავალი ბოლო ალბათობა უდრის ერთს. სხვანაირად, იგულისხმება, რომ თუ სესხი მესამე კატეგორიაში გადავიდა, შეუძლებელია, შემდეგ პერიოდში რომელიმე სხვა კატეგორიაში აღმოჩნდეს (ასეთივე დაშვებით აქვს ანალიზი გაკეთებული ჯონსსაც [Jones, 2005]). აღსანიშნავია, ისიც, რომ კლენტონისა და კლენტონის [Kelton..., 1984] მიერ შემოთავაზებული ტესტის ჩატარების შემდეგ, გარდამავალი ალბათობების შესახებ ჰომოგენურობის ჰიპოთეზის უარყოფა არ მოხდა. ეს საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ცხრილ 1 - ში მოცემული მატრიცა დროის მიმართ სტაციონალურია.

ცხრილი 1. გარდამავალი კვარტალური ალბათობები 2013-2021

		მდე		
		1	2	3
დან	1	0.993	0.002	0.005
	2	0.055	0.900	0.045
	3	0.000	0.000	1.000

წყარო: ავტორთა გამოთვლები

ნიშანდობლივია, რომ ჯონსმა (Jones, 2005), რომელმაც მარკოვის გარდამავალი მატრიცა აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაციული სესხებისათვის შეაფასა, დაასკვნა, რომ აღნიშნული მატრიცა არ იყო სტაციონალური. მან ჩათვალა, რომ გარდამავალი ალბათობების მატრიცის არასტაციონალურობის განმაპირობებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში სესხების განსხვავებული დინამიკა იყო. საქართველოს შემთხვევაში, 2013-2021 პერიოდში სესხების დინამიკის კუთხით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები არ მომხდარა (იხ. დიაგრამა 1), ამიტომ ჩვენი დასკვნა, რომ ცხრილი 1 - ში არსებული ალბათობები დროის მიმართ ჰომოგენურია, ლოგიკას მოკლებული არ არის. შესაბამისად, ცხრილ 1-ში წარმოდგენილი გარდამავალი ალბათობები შეგვიძლია განვიხილოთ ეკონომიკური ციკლის მიმართ საშუალო ალბათობებად.

გარდამავალი ალბათობების შესწორება მაკროეკონომიკური ცვლადების ეფექტით

გარდამავალი ალბათობების მატრიცის შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი შეფასებები არ ითვალისწინებს მაკროეკონომიკური ცვლადების მოსალოდნელ მნიშვნელობებს. აქ წარმოდგენილ ნაწილში განხილული იქნება მარტივი მიდგომა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია მაკროეკონომიკური ცვლადების ეფექტის დაკავშირება დეფოლტის ალბათობებთან.¹³ დამოკიდებული ცვლადის როლში განვიხილავთ უმოქმედო სესხების კოეფიციენტს (როგორც დეფოლტის მდგომარეობის ჩამნაცვლებელ ცვლადს), ხოლო ამხსნელებად - მაკროეკონომიკურ ცვლადებს. მოდელს შეიძლება შემდეგი სახე ჰქონდეს:

$$NPL_t = a + b GDPG_t + cIRATE_t + u_t,$$

სადაც NPL_t არის უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში, $GDPG_t$ - რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის წლიური ზრდა, $IRATE_t$ - გრძელვადიანი

¹³ უნდა ითქვას, რომ ვანეკი (Vaněk, 2016) მსგავს მიდგომას იყენებს ჩეხეთის შემთხვევაში.

ნომინალურ საპროცენტო განაკვეთი, u_t შეცდომების შემთხვევითი წევრია. ცვლადების სტაციონალურობაზე შემოწმებამ აჩვენა, რომ ყველა ცვლადი არასტაციონალურია. ამის გამო ვიხლავთ სხვაობიან ცვლადების მოდელს, რომელშიც ყველა ცვლადი სტაციონალურია, სულ მცირე 10 პროცენტო მნიშვნელოვნების დონით მაინც:

$$\Delta NPL_t = a + b \Delta GDP_t + c * \Delta IRATE_t + e_t .$$

უნდა აღინიშნოს, რომ მოცემულ მოდელის შეფასებისას სერიული კორელაცია და ჰეტეროსკედასტურობა არ გამოვლენილა, მაგრამ $\Delta IRATE_t$ ცვლადი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა (თუმცა ეკონომიკური შინაარსის თვალსაზრისით მის კოეფიციენტს ლოგიკური ინტერპრეტაცია გააჩნია). აღნიშნულის გათვალისწინებით, განვიხილავთ მხოლოდ მარტივ რეგრესიას, სადაც ამხსნელ ცვლადად გამოყენებული იქნება რეალური ეკონომიკური ზრდის პირველი რიგის სხვაობა (ΔGDP_t). მარტივი რეგრესიის შეფასების შედეგად ΔGDP_t -ის კოეფიციენტი უდრის - 0.11-ს, რაც ადასტურებს ეკონომიკურ ინტერპრეტაციას და მიანიშნებს იმაზე, რომ ეკონომიკის ზრდა უარყოფითად არის დამოკიდებული უმოქმედო სესხების წილთან. აღნიშნული კოეფიციენტის გათვალისწინებით შესაძლებელია დაკორექტირდეს წინა ნაწილში შეფასებული ალბათობები. ამავდროულად, კვარტალურის ნაცვლად განვიხილოთ წლიური დეფოლტის ალბათობები ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტით შესწორებისა და შესწორების გარეშე. როგორც წინა ნაწილში აღინიშნა, იმისათვის, რომ მომდევნო პერიოდისათვის ვიპოვოთ ამა თუ იმ კატეგორიიდან დეფოლტის ალბათობები, საკმარისია გარდამავალი ალბათობების მატრიცა ავიყვანოთ შესაბამის ხარისხში (აღნიშნულით მივიღებთ ალბათობებს, რომლებიც არ იქნება ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტით შესწორებული). იმისათვის, რომ ალბათობები შევასწოროთ ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტით, უნდა განვიხილოთ შემდეგი ნამრავლი (ნაცვლად ხარისხში აყვანისა): $P_{t+1} P_{t+2} P_{t+3} P_{t+4}$. სადაც გარდამავალი ალბათობების მატრიცები თითოეული $i = 1,2,3,4$ -სათვის მოიცემა ფორმულით:

$$P_{t+i} = \begin{bmatrix} 0.993 - \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} & 0.002 + \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} \frac{1}{2} & 0.005 + \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} \frac{1}{2} \\ 0.055 - \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} \frac{3}{4} & 0.900 - \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} \frac{3}{4} & 0.045 + \frac{\Delta_{t+i} \cdot C}{k} \frac{3}{2} \\ 0.000 & 0.000 & 1.000 \end{bmatrix}$$

მოცემული P_{t+i} მატრიცის ელემენტებში Δ_{t+i} რეალური GDP-ის ზრდის ცვლილებას ასახავს, C უმოქმედო სესხებზე მისი გავლენის ეფექტია (რაც -0.11-ს უდრის), ხოლო k შესწორების სიდიდეს აკორექტირებს (რაც მაღალია k , მით ნაკლებია შესწორების ეფექტი). აღნიშნულ k კოეფიციენტს დამატებითი დანიშნულება შეიძლება მიეცეს. კერძოდ, თუ მსესხებლების დაყოფა მოხდება სესხის მომსახურების კოეფიციენტის (PTI) ინტერვალების მიხედვით, მაშინ k -ს მნიშვნელობა აღნიშნული ინტერვალების უკუპროპორციულად შეიძლება შეიცვალოს.¹⁴ ცხრილი 2-ში წარმოდგენილია შეფასებები, რომელთათვისაც $k=4$. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სცენარის მიხედვით, შესწორების გარეშე მიღებული დეფოლტის ალბათობები უფრო ნაკლებია ვიდრე GDP-ს ეფექტით შესწორებული ალბათობები.

¹⁴ მაგალითად, თუ PTI-ის პირველი ინტერვალია (20%-30%], ხოლო მეორე ინტერვალი უდრის (30%-50%]-ს, მაშინ k პირველი ინტერვალისათვის შეიძლება უდრიდეს 4-ს, ხოლო მეორე ინტერვალისათვის 2-ს.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ, მაგალითად, მკაცრი სცენარისათვის, ეროვნული ბანკის შეფასებით, GDP-ის ზრდა 2022 წლისათვის უდრის 2 პრცენტს, ხოლო 2021 წლის ფაქტობრივი მონაცემებით, GDP-ს ზრდა 10 პრცენტს შეადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მკაცრი სცენარის შემთხვევაში საშუალოდ ყველა კვარტალში GDP-ს ზრდის ცვლილება უარყოფითია. აქედან გამომდინარე, დეფოლტის ალბათობებზე საშუალო შესწორება ზრდის მიმართულებით მოქმედებს. ცხადია, რომ ეკონომიკური შესწორების ეფექტის სიდიდის (k კოეფიციენტი) განსაზღვრა სუბიექტურია და, შესაბამისად, მიღებული გარდამავალი ალბათობებიც ამ კუთხით გარკვეულ ინტუიციურ მნიშვნელობასაც ატარებს. ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული შესწორების შედეგად, შესაძლოა შესაბამისი სტრიქონისათვის, სვეტების მიხედვით ალბათობათა ჯამი ზუსტად ერთს არ უდრიდეს (შესაძლოა ძალიან მცირედით მეტი ან ნაკლები იყოს), ამიტომ, ამ შეთხვევაში, დარჩენილი ნაწილით შესაძლოა დეფოლტის ალბათობები დაკორექტირდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილ 2 - ში განხილულია მხოლოდ მომდევნო ერთი წლის ალბათობები, თუმცა ზემოთ აღწერილი მიდგომის მიხედვით, დროის ნებისმიერი პერიოდის განხილვაა შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ გარდამავალი ალბათობების შესაფასებლად მრავალი დაშვების გამოყენება მოხდა, ნაშრომში აღწერილი მოდგომა საშუალებას გვაძლევს მაკროეკონომიკური ცვლადები დავუკავშიროთ დეფოლტის ალბათობებს და შესაბამისად განვიხილოთ მათი ცვლილება სხვადასხვა სცენარში. გარდა ამისა, სტატიაში აღწერილი მეთოდოლოგია შეიძლება მოერგოს სასესხო პროდუქტებს უფრო დეტალურად (მაგალითად ვალუტების მიხედვით იპოთეკურ სესხებს და სხვა სესხებს), რაც საკრედიტო რისკის უკეთ შეფასების საშუალებას მოგვცემს.

ცხრილი 2. ოთხი კვარტალის გარდამავალი ალბათობები. შესწორების გარეშე

		მდე		
		1	2	3
დან	1	0.9729	0.0068	0.0203
	2	0.1870	0.6567	0.1563
	3	0.0000	0.000	1.0000

შესწორებით (საბაზო სცენარით)¹⁵

		მდე		
		1	2	3
დან	1	0.9715	0.0074	0.0211
	2	0.1859	0.6559	0.1581
	3	0.0000	0.0000	1.0000

შესწორებით (მკაცრი სცენარით)¹⁶

		მდე		
		1	2	3

¹⁵ ეყრდნობა ეროვნული ბანკის საბაზო სცენარს 2022 წლის ბოლოსთვის.

¹⁶ ეყრდნობა ეროვნული ბანკის მკაცრ სცენარს 2022 წლის ბოლოსთვის.

	1	0.9707	0.0078	0.0215
დან	2	0.1853	0.6555	0.1592
	3	0.0000	0.0000	1.0000

წყარო: ავტორთა გამოთვლები

დასკვნა

დეფოლტის ალბათობების შეფასებისას, როდესაც ისტორიული მონაცემები ინდივიდუალურ მსესხებელთა შესახებ სრულფასოვანი არ არის და მოიცავს დროის მხოლოდ მცირე მონაკვეთს, საჭიროა დამატებითი ანალიზი. ასეთი ანალიზის ერთ-ერთი მარტივი ვარიანტი გულისხმობს აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე მარკოვის გარდამავალი მატრიცის შეფასებას. აღმოჩნდა რომ ასეთი მიდგომით დამატებით ერთმანეთთან შეიძლება დავაკავშიროთ დეფოლტის ალბათობები და მაკროეკონომიკური სცენარები. ეს უკანასკნელი სხვადასხვა შოკის შემთხვევაში დეფოლტის ალბათობების გამოთვლის საშუალებას გვაძლევს რომელთა გამოყენებაც შეიძლება საბანკო სისტემის სტრეს ტესტისთვის. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომით შეფასებული ალბათობები საკრედიტო რისკის ანალიზისათვის გამოსადეგია იმ ბაკებისთვისაც, რომელთაც დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად შეზღუდული რესურსები აქვთ. უფრო მეტიც, სტატიაში განხილული მიდგომა ცალკეულ სასესხო პროდუქტებზეც შეიძლება გავრცელდეს ვალუტების მიხედვით.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bolder, D. J., 2018, Credit-Risk Modelling. Springer Nature Switzerland AG: 491-497
- Jones, M. T., 2005, Estimating Markov Transition Matrices Using Proportions Data: An Application to Credit Risk. IMF WORKING PAPERS, № 05/219
- Kelton, C. M., & Kelton, D. W., 1984.,Hypothesis tests for Markov Process Models Estimated from Aggregate Frequency Data. „Journal of the American Statistical Association", გვ. 6-7
- Kunovac, D., 2011, Estimating Credit Migration Matrices with Aggregate Data – Bayesian Approach. Zagreb, Croatian National Bank
- Lee, T. C., Judge, G. G., & Zellner, A.,1972, Estimating the Parameters of the Markov Probability Model From Aggregate Time Series Data. Journal of Economic Literature
- MacRae, C. E.,1977, Estimation of Time-Varying Markov Processes with Aggregate Data. „ECONOMETRICA", გვ.183-198
- Simister, Z.,2006, Maximum Likelihood Approach To The Estimation of Markov Transition Matrices Using Proportions Data: An Application to Credit Risk
- Vaněk, T.,2016, ECONOMIC ADJUSTMENT OF DEFAULT PROBABILITIES. „European Journal of Business Science and Technology"

Beka Gurgenidze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Economics and Business Faculty

PhD Student

ESTIMATING PROBABILITY OF DEFAULT USING AGGREGATE DATA. THE CASE OF GEORGIA

10.36172/EKONOMISTI.2022.XVIII.03.Beka.Gurgenidze

Expanded Summary

The concept of expected credit loss is one of the key components of International Financial Reporting Standards (IFRS 9). The computation of expected credit loss depends on modern credit risk analysis, in which estimation of default probabilities are essential. In order to analyze default probabilities there are three alternative sources of information: 1. estimation from historical data; 2. calibration from the value of market instruments; 3. determination by using expert judgement [Bolder, 2018: 497]. The models which use the first type of information are widespread and include Logit and Probit models, Cox proportional-hazards models, Neural Networks, etc. It has to be mentioned that in developing countries, including in Georgia, information related to individual borrowers in Credit bureaus is limited and incomplete. Therefore, the standard estimation of default probabilities using the incomplete data has some disadvantages. In addition to that, in developing countries the transition data among different credit classes is not available. However, the best information obtainable is an aggregate ratio observed over time, which shows the share of total observations in a particular ratings category at a point in time. In the situation described above, it is not possible to obtain standard maximum-likelihood estimates using the cohort approach.

Considering this, different authors proposed an old approach that uses aggregate proportions data to estimate credit transition matrices and default probabilities. In 2005, Jones suggested to estimate credit transition matrices based on aggregate loan category data. Using a generalized least squares, the author demonstrated estimation of Markov transition matrices for the United States using nonperforming loan data [Jones, 2005]. Simister employed maximum likelihood approach to estimate Markov transition matrices for Jamaica using aggregate loan category data [Simister, 2006]. In 2011, Kunovac employed Bayesian approach to estimate credit transition matrices using aggregate data for Croatian corporate loans [Kunovac, 2011]. According to Kunovac, the Bayesian estimator used in his paper has some important comparative advantages over the estimators previously used in the literature. It is notable, that the estimations of credit transition matrices that were mentioned above are based on the assumption of time-homogeneity of transition probabilities. Therefore, effects of different macroeconomic variables are not included in the estimated transition probabilities. Considering this, Vaněk proposed a straightforward and intuitive method to incorporate macroeconomic variables into the transition probabilities [Vaněk, 2016]. The mechanism proposed by Vaněk is useful especially in the context of lifetime expected credit losses calculation within the IFRS 9 requirements.

It has to be mentioned that, estimation of transition probabilities using aggregate proportions data has some limitations as well. For instance, consideration of different borrowers in one category or class and therefore, giving them the same probability of moving to default category or class is not very realistic. It can be the case that different borrowers in the same credit category may have different likelihood of moving to another category. Considering this limitation, this paper discusses an additional adjustment of default probabilities using the payment to income ratio (PTI) of individual borrowers. Namely, transition probabilities can additionally be adjusted by PTI in order to incorporate individual information of different borrowers. Using a generalized least squares, this paper provides estimates of default probabilities for Georgian retail loans. In addition to that, the paper discusses a simple and intuitive approach to link

makroeconomic variables to default probabilities. The estimates of default probabilities based on the methodology discussed in this paper can be applied to stress testing purposes of the banking system. Besides, banks that have limited resources to estimate the default probabilities, can use the probabilities assessed by this approach to analyze credit risk. The methodology shown in the paper can also be applied to different loan products by currency type.

Keywords: *probability of default; Markov transition matrix; credit risk*

თამარ დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

ეკონომიკის რეალური სექტორის თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი ეტაპები და მექანიზმები

ანოტაცია. მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება არის საზოგადოების განვითარების ფუნდამენტი. სტატიაში გაანალიზებულია აღნიშნულ ფუნდამენტურ პრინციპზე დაყრდნობით რეალური ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი ეტაპები და მექანიზმები.

კვლევის შედეგად შემუშავებულია რეალური ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი ეტაპები და თანამედროვე მექანიზმები. რეალური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე მექანიზმების საფუძველი არის რეალური ეკონომიკის ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი ეტაპები.

თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების შედეგად შევიძლება იერარქიულ პრინციპზე დაფუძნებული ტექნოლოგიური მექანიზმები, ეკონომიკური მექანიზმები და ტექნო - ეკონომიკური მექანიზმების სინთეზური სქემა - მოდელი. აღნიშნული სქემა - მოდელის დანერგვა დიდწილად შეუწყობს ხელს რეალური ეკონომიკის შემდგომ განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება, ტექნოლოგიური მექანიზმები, ეკონომიკური მექანიზმები, ტექნო-ეკონომიკური მექანიზმები.

შესავალი

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კაცობრიობა იმყოფება ინდუსტრიული განვითარების 4.0-ის VI-VII ფაზაში. თითოეული ინდუსტრიული ეტაპი მოიცავს 10 ფაზას. თანამედროვე საზოგადოება აღნიშნულ ფაზებს სწრაფი ტემპებით გადის და ძალიან მალე შევა მე-5 ინდუსტრიულ ეტაპზე.

ინდუსტრიული განვითარების მე-4.0 ეტაპზე კაცობრიობა იმყოფება პოსტ-ინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში, სადაც დომინირებულ ადგილს იჭერს მომსახურების სექტორი. ეკონომიკის რეალური სექტორი ქმნის მზარდი ხასიათის დამატებულ ღირებულებას, რასაც შეუძლია ნაციონალური ეკონომიკის ინტეგრირება დამატებულ ღირებულებათა გლობალურ ჯაჭვებში.

ამდენად აქტუალურია განვიხილოთ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური, ეკონომიკური, ტექნო-ეკონომიკური მექანიზმები.

ეკონომიკის რეალური სექტორის თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ზოგიერთი ისტორიული ფაქტი

ეკონომიკის რეალური სექტორის ტექნოლოგიურ განვითარებას საფუძველი ჩაეყარა ეგვიპტეში ჩვენ ერამდე III ათასწლეულში, მაშინ, როცა ეგვიპტელებმა მოიგონეს იდეა, რომ შეექმნათ “მოაზროვნე მანქანები”.

ლეონარდო და ვინჩი 1495 წელს შექმნა მექანიკური ადამიანის დეტალური პროექტი, რომელსაც შეეძლო ხელების ქნევა და თავის ტრიალი.

გამოგონების ბუმი მე - 18 საუკუნიდან იწყება. 1738 წელს ჟან დე ვოკანსონმა შექმნა „ფლეიტაზე დამკვრელი“ ანდროიდი.

1760 წელს ფრიდრიხ ფონ კნაუსმა შექმნა ანდროიდი, რომელსაც შეეძლო დაეჭირა კალამი და დაეწერა 107 სხვადასხვა სიტყვა. პირველი თაობის რობოტი ანდროიდი იყო [Макаров, Топчеев, 2003, 71-76].

მე-19 საუკუნეში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ელექტროგამოთვლითი მანქანები, კომპიუტერები, ავტომატები, ანდროიდები, რობოტები, რამაც საფუძველი ჩაუყარა პირველი სამრეწველო რობოტების შექმნას. 1959 წელს ჯორჯ დევილის მიერ შეიქმნა პირველი სამრეწველო რობოტი. ჯორჯ დევილმა დააპატენტა თავისი გამოგონება ამერიკის შეერთებულ შტატებში და შექმნა ფირმა Unimation. ფირმა Unimation არის რობოტოწარმოების შემქმნელი. 1961 წელს ნიუ ჯერსიში General Motors-ის ქარხანაში საწარმოო ხაზზე დაიდგა მსოფლიოში პირველი სამრეწველო რობოტი. მაშინდელი რობოტების თვითღირებულება შეადგენდა 65 000 დოლარს.

1967 წელს პირველი სამრეწველო რობოტი დადგმულ იქნა ევროპაში, კერძოდ შვეიცარიაში Uppstand Vasby-ის მეტალურგიულ საწარმოში. 1968 წელს შეიქმნა პირველი საწარმოო რობოტი - ხელი, რომელიც ასრულებდა იმავე მანიპულაციებს, რასაც ადამიანის ხელი. 1969 წელს კომპანია Unimation-მა გააფორმა ხელშეკრულება იაპონურ კორპორაციასთან Kawasaki. აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შედეგად იაპონურმა ფირმა Kawasaki-იმ დაამზადა პირველი სამრეწველო რობოტი იაპონიაში [Макаров, Топчеев, 2003, сс. 143-148].

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების მექანიზმები

ინდუსტრიული განვითარება 4.0-ის VI-VII ფაზებში რეალური ეკონომიკის განვითარებისთვის ხელშემწყობი თანამედროვე ტექნოლოგიური ძირითადი მექანიზმები გახლავთ ხელოვნური ინტელექტი, მაღალტექნოლოგიური საწარმოო საშუალებები, საკომუნიკაციო - საინფორმაციო ტექნოლოგიები. რობოტოტექნიკის წარმოების განვითარება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. შესაბამისად გაიზარდა რობოტოტექნიკის მსოფლიო ბაზარი. რობოტოტექნიკის ბაზრის მოცულობა დაახლოებით შეადგენს 15 – 30 მილიარდ დოლარს.

ევროკავშირის ტექნოლოგიური პოლიტიკა ითვალისწინებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის თანამედროვე პარადიგმას [EC, 2013, pp. 88–93].

ტექნოლოგიური განვითარება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ და განვითარებულ ქვეყნებში. კერძოდ იმ ქვეყნებში სადაც მაღალი არის წარმოების მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე, არის ექსპორტის მაღალი დონე, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი და დასაქმების მაღალი მაჩვენებელი [Chang, 1993, pp. 142–144].

ინდუსტრია 4.0 არის ტექნოლოგიური განვითარების ის დონე, როცა თვისებრივად ხდება წარმოების სისტემების რესტრუქტურისა და შრომის ორგანიზაციის ავტომატიზაცია [Мальцев, Мерсиер-Суйсса, Мордвинова, 2017, с. 1050].

ტექნოლოგიური განვითარების თანამედროვე ეტაპები სულ უფრო მეტად მოიცავს ტექნოლოგიურ ნახტომს, რაც დიდწილად მიიღწევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებით მოწინავე, სუფთა ტექნოლოგიებში, რაც განსაზღვრავს მდგრად განვითარებასა და მწვანე ინდუსტრიულ პოლიტიკას [Бузмакова, 2017, сс. 8–9].

ტექნოლოგიური მექანიზმების განვითარება პირდაპირ კავშირში არის რეინდუსტრიალიზაციის უწყვეტ პროცესთან [Miller, Walton, Kovacic, Robkin, 1984, pp. 5–7].

მრეწველობა არის უმთავრესი დარგი, რომელიც ასრულებს გენერატორის ფუნქციას ტექნოლოგიების განვითარების უწყვეტ პროცესში [Сумина, Зябликов, 2015, с. 517].

ტექნოლოგიური განვითარებისთვის ძირითადი მნიშვნელობა ეკონომიკის დარგებიდან ენიჭება გადამამუშავებელ მრეწველობას [Геец, 2014, с. 5].

მძიმე მრეწველობის ბაზაზე დაფუძნებულმა ტექნოლოგიებმა პოზიტიური როლი შეასრულა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში [Galbraith, 2015, pp. 58–60].

ტექნოლოგიური განვითარების უწყვეტი პროცესი არის საფუძველი ინდუსტრიალიზაციის და ახალი ინდუსტრიალიზაციის [Ковалев, 2015, с. 129].

სამრეწველო რობოტების მწარმოებელი ქვეყნებია იაპონია და გერმანია. სამრეწველო რობოტების მყიდველები არიან იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია. მსოფლიო ბაზარზე რობოტის ფასი საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 182 000 აშშ დოლარს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ იგივე რობოტის ფასი 2025 წლისთვის იქნება 103 000 აშშ დოლარი [Макаров, Топчиев, 2003, сс. 183–185].

რობოტიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარება დღის წესრიგში დააყენებს ახალი წარმოებების გახსნის საკითხს, სადაც ნაკლებად გათვალისწინებული იქნება ადგილმდებარეობის კომპონენტი. განვითარებული ტექნოლოგიების პირობებში იაფი მუშახელი შესაძლებელია აღარ იყოს მნიშვნელოვანი ფაქტორი წარმოების ადგილის არჩევისას. შესაძლებელი არის ბევრი საწარმო დაუბრუნდეს აშშ-სა და ევროპას. აღსანიშნავია ისიც, რომ სწრაფი ტემპით იზრდება რობოტოტექნიკის წარმოება ჩინეთში. ექსპერტთა გათვლებით ჩინეთს აქვს რეალური რესურსი რობოტოტექნიკის მსოფლიო ბაზარზე 40 % ზრდის ტემპი შეინარჩუნოს [Schwab, 2016, pp. 19-23].

ოქსფორდის უნივერსიტეტის კვლევების თანახმად, უახლოესი ორი ათწლეულის მანძილზე სამუშაო ადგილების 47 % ამერიკაში შეიცვლება რობოტებით [Перес, 2013, сс. 13–29].

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის და მაღალი ეკონომიკური ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანი არის ინოვაციური ტექნოლოგიური საშუალებების ფართოდ დანერგვა და გამოყენება [Перес, 2013, сс. 28- 35].

თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყანა მიუხედავად იმისა განვითარების თუ რა დონეზე იმყოფება ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს ჰქონდეს საკუთარი კვლევებზე დაფუძნებული ეფექტიანი ინოვაციური სისტემა [აბესაძე, 2022, გვ. 22].

თანამედროვე ეტაპზე ტექნოსფეროში მთავარ როლს ასრულებენ ინფორმაციულ - ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები. „მოაზროვნე ტექნოსფეროს“ დროს მთავარი როლი მათთან ერთად დაეკისრებათ მოაზროვნე ტექნოლოგიებს. ძირეულად შეიცვლება წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ფორმები. ჩამოყალიბდება სრულიად ახალი საზოგადოება, სრულიად ახალი ეკონომიკური სისტემით [აბესაძე, 2021, გვ. 28-38].

ეკონომიკურ-ტექნიკური პარადიგმა ეფუძნება საუკეთესო ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებს, რამაც უნდა უზრუნველყოს მომხმარებლები მაღალ-

ტექნოლოგიური საშუალებებით შექმნილი პროდუქტებითა და მომსახურებით [Пепер, 2013, с. 37-40].

განვითარებულ ქვეყნებში რეალური ეკონომიკის თითქმის ყველა დარგში გამოიყენება ძირითადად რობოტები და ნანორობოტები. საწარმოო პროცესი მთლიანად რობოტიზებულ-ავტომატიზირებულია, რაც კიდევ უფრო განვითარდება ტექნოლოგიური სინგულარობის პირობებში. კერძოდ, ტექნოლოგიური სინგულარობის პირობებში ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ციკლები ძალზე დინამიკური გახდება და ინტეგრაციის ხარისხი მაქსიმალურად გაიზრდება. შეიქმნება ჰიპერკონკურენტული, ძალზე ინტეგრირებული გლობალური ბაზარი.

განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის რეალური სექტორის ყველა დარგში დანერგილია მაღალტექნოლოგიური საწარმოო ტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი ნანომანქანები, დანადგარები და სხვადასხვა ტექნოლოგიური მოწყობილობები. მაღალტექნოლოგიური წარმოება იწვევს წარმოების დანახარჯებისა და საწარმოო დეფექტების მაქსიმალურ მინიმიზაციას. შედეგად იქმნება ცოდნაზე დაფუძნებული ქსელური საზოგადოება.

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადად ტექნოლოგიურ მექანიზმებს, რომელთა შექმნასა და განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს კვლევა და განვითარება.

ტექნოლოგიური მექანიზმების ეფექტიანობას განსაკუთრებით რეალურ ეკონომიკაში განსაზღვრავს მეცნიერება-ტექნიკა-წარმოების სინგულარული მოდელი, რომლის შედეგადაც იქმნება რესურსებდამზოგავი, შრომადამზოგავი, მაღალმწარმოებლური ეკოლოგიური მანქანა-დანადგარები.

ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური მექანიზმების დანერგვა ეკონომიკის რეალურ სექტორში შეუძლებელია სახელმწიფოს როლის გარეშე. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს „მართვადი ტექნოლოგიური ცვლილება“ [Sachs, 2017, p, 89].

განვითარებადი ქვეყნებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს „ტექნოლოგიური ნახტომის“ გაკეთება, რათა ფირმებმა შეძლონ თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა, რისთვისაც უმთავრესია გაიზარდოს საკრედიტო რესურსებზე ხელმისაწვდომობა, რაც ძირითადად დამოკიდებულია საბანკო პროცენტის დონის შემცირებაზე [Балацкий, 2012, с. 56]. საბანკო სესხის განაკვეთის შემცირებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საგადასახადო შეღავათების დაწესებას, იმ ფირმებისთვის, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე [კაპავა, 2020, გვ. 350].

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში უპირატესი მნიშვნელობა აქვს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას. სწორედ ასეთი ტიპის ეკონომიკა განაპირობებს ეკონომიკის რეალური სექტორის ტექნოლოგიური მექანიზმების განვითარებას. ამდენად მიზანშეწონილი არის ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების თანამედროვე მექანიზმები განვიხილოთ ტექნოლოგიურ-ეკონომიკური სინთეზური პარადიგმის კონტექსტში.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას განსაზღვრავს იერარქიულ პრინციპზე დაფუძნებული ტექნოლოგიური მექანიზმები, რომლის პირველ ბლოკში გაერთიანებული არის ცოდნის ინდუსტრიალიზაციის უმთავრესი ინსტიტუციები, რომელთა მიღწევებზეა დაფუძნებული ყველა დანარჩენი.

მეორე ბლოკში არის წარმოდგენილი ის ძირითადი ინტელექტუალური პროდუქტები, რომელსაც ქმნის პირველ ბლოკში წარმოდგენილი ინტელექტუა-

ლური ინსტიტუციები. ვერტიკალური კავშირი არის პირველ, მეორე და მესამე ბლოკებს შორის, რომელთაგან გამომდინარეობს სხვა დანარჩენი ბლოკები.

ვერტიკალურ სიბრტყეზე ურთიერთდამოკიდებულება არსებობს პირველ, მეორე და მესამე ბლოკებს შორის, ხოლო დანარჩენი ბლოკები მათგან გამომდინარეობს.

სქემის მარცხენა მხარეს ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოდგენილი არის რეალურ ეკონომიკაში გამოყენებული ტექნოლოგიური მექანიზმები დარგობრივი ჩაშლით, რომლებიც გამომდინარეობს პირველი და მეორე ბლოკიდან და ერთმანეთთან აქვს ლოგიკურ-ფუნქციური კავშირი.


სქემის მარჯვენა მხარეს ლოგიკური თანმიმდევრობით წარმოდგენილი არის ის ძირითადი ტექნო-ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც ქმნიან ერთიან ჯაჭვს, რომლის ლოგიკურ-სინთეზირებული წარმოდგენა ხდება გლობალურ ელექტრონულ ბაზარზე და გლობალურ არაელექტრონულ ბაზარზე. შედეგად ფინანსური ნაკადები მიემართება პირველ ბლოკთან და იკვრება წრედი, რომელიც უწყვეტად ფუნქციონირებს.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ ეკონომიკური მექანიზმები, სადაც განვსაზღვრეთ ეკონომიკის დარგობრივი დონების მიხედვით ძირითადი ეკონომიკური მექანიზმები და ის ლოგიკური კავშირურთიერთობები, რომლებიც მათ შორის არსებობს. იერარქიულ პრინციპზე აგებული ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც ეფუძნებიან ტექნოლოგიურ მექანიზმებს იცვლებიან დროსა და სივრცეში ტექნოლოგიურ ცვლილებებთან ერთად და განსაზღვრავენ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებას.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების თანამედროვე მექანიზმები ეფუძნება ტექნო-ეკონომიკური მექანიზმების სინთეზს [იხ. სქემა 3].

სქემა 3

თანამედროვე ტექნო - ეკონომიკური მექანიზმების სინთეზირებული სქემა - მოდელი [აგებულია ავტორის მიერ].



აღნიშნული სქემა შინაარსობრივი თვალსაზრისით გულისხმობს ძირითადი ტექნოლოგიური და ეკონომიკური მექანიზმების სინთეზს. ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების თანამედროვე მექანიზმები არის ტექნო-ეკონომიკური მექანიზმების სინთეზი.

დასკვნა

მეცნიერება-ტექნოლოგია-ტექნიკა მათი თანმიმდევრული და მიზანმიმართული საქმიანობა ქმნის ზოგადად საზოგადოების განვითარებას და მათ შორის ეკონომიკის რეალური სექტორის ტექნოლოგიური განვითარების ძირითად ეტაპებსა და მექანიზმებს. ტექნოლოგიური განვითარების ძირითადი ეტაპების განსაზღვრის შედეგად შევიშუშავთ ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების ტექნოლოგიური მექანიზმები, ეკონომიკური მექანიზმები და ტექნო-ეკონომიკური მექანიზმები. რომლის ბაზაზეც შესაძლებელია შეიქმნას ვიწრო დარგობრივი პროფილის კლასტერები, რომლებსაც ქსელური კავშირი ექნებათ ერთმანეთთან.

ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების თანამედროვე მექანიზმები არის ტექნო-ეკონომიკური მექანიზმების სინთეზი, რომლის პრაქტიკაში დანერგვა ხელს შეუწყობს ეკონომიკის რეალური სექტორის როგორც ტექნოლოგიურ ასევე ეკონომიკურ განვითარებას. ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი ურთიერთკავშირი დიდწილად განსაზღვრავს რეალური ეკონომიკის განვითარებას, როგორც პოსტინდუსტრიულ ასევე შემდგომ ეტაპზეც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., 2021. ტექნოლოგიური რევოლუციები - ეკონომიკური განვითარების საფუძველი. *ეკონომისტი*, № 2, გვ. 28-39.
2. აბესაძე რ., 2022. საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები. *ეკონომისტი*, № 2, გვ. 22-30.
3. პაპავა ვ., 2020. *არატრადიციული ეკონომიკა: მეთოდოლოგია და მეთოდიკა*. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 418 გვ.
4. Chang H., 1993. The Political Economy of Industrial Policy In Korea. *Cambridge Journal of Economics*, Vol. 17, No. 2, pp. 131-157.
5. EC, 2013. *Towards Knowledge Driven Reindustrialization*. European Competitiveness Report 347. Luxembourg, Publications Office of the European Union, 189 p., <http://aei.pitt.edu/45452/1/competitiveness_2013.pdf>.
6. Galbraith J., 2015. *The New Industrial State*. Princeton, Princeton University Press, 576 p.
7. Miller J., Walton T., Kovacic W., Rabkin J. 1984. Industrial Policy: Reindustrialization through Competition or Coordinated Action? *Yale Journal on Regulation*, Vol. 2, No. 1, pp. 1-37.
8. Sachs J., 2017. *Building the New American Economy. Smart, Fair and Sustainable*. New York, Columbia University Press, 130 p.

9. Schwab K., 2016. *The Fourth Industrial Revolution*. Geneva, World Economic Forum.
10. Балацкий Е., 2012. Институциональные и технологические ловушки. *Журнал Экономической теории*, № 2, сс. 48-63.
11. Бузмакова М. В., 2017. Реиндустриализация тенденция мировой экономики. *Вестник нижегородского университета им Н .И. Лобочевского. Серия: Социальные науки*, №1 (45), сс. 7-17.
12. Геец В. М., 2014. Институциональная обусловленность инновационных процессов в промышленном развитии Украины. *Экономика Украины*, № 12 (629), сс. 4-19.
13. Ковалев С . Г., 2015. Возможности неоиндустриального развития России в современных геополитических условиях. В сб.: *Интеграция производства науки и образования и реиндустриализация российской экономики*. Москва, Ленанд, сс. 127-139.
14. Макаров И., Топчеев Ю., 2003. *Робототехника: История и перспективы*. Москва, Наука, МАИ, 349 с.
15. Мальцев А. А., Мерсиер-Суисса К., Мордвинова А. Э., 2017. К трактовке понятия «реиндустриализация» в условиях глобализации. *Экономика Региона*, Т. 13, Вып. 4, сс. 1044-1054.
16. Перес К., 2013. *Технологические революции и финансовый капитал. Динамика пузырей и периодов процветания*. Москва, Издательский дом «Дело», 232 с.
17. Сумина Е. В., Зябликов Д. В., 2015. Потребность в инновационном региональном развитии в целях диверсифицированного экономического роста сибиря в условиях реиндустриализации. *Вестник Сибтау*, Т. 16, № 2, сс. 515-522.

Tamar Dolidze

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Economics and Business Faculty, PhD Student*

MAIN STAGES AND MECHANISMS OF REAL SECTOR MODERN TECHNOLOGICAL DEVELOPMENT OF ECONOMY

Expanded Summary

The development of the real sector of the economy is based on the continuous process of science-technology-production and feedback between them.

In general, the reason of global processes in the economy is the change in technological regimes. Technology is constantly undergoing all stages of its life cycle. The life cycle of the technological order determines the level of development of society in general.

In 1730, the basic technology was the production of textile machinery, which created the first technological regime.

In 1770, steam engines were created, which created the second technological regime.

In 1870, electric cars were created and, accordingly, the third technological regime.

In 1890, the internal combustion engine was created, which led to the creation of the fourth technological regime.

In 1980, microelectronics and, accordingly, the fifth technological regime were created.

In 2010, nanotechnology was created and, accordingly, the sixth technological regime.

As a result of the creation and saturation of technologies, technological modes and life cycles are created, which create the main stages and mechanisms of the technological development of the real sector of the economy.

Technological modes and life cycles determine the development of society in general.

The basis for the technological development of the real sector of the economy was laid in Egypt in the 3rd millennium BC, when "thinking machines" were created.

Leonardo da Vinci created a detailed project of a mechanical man in 1495.

In 1738, the first android was created, which laid the foundation for the creation of a robot.

In the 19th century and the beginning of the 20th century, electric computing machines, computers, automata, androids, robots were created, as a result of which the first industrial robot was created in 1959.

Since 1959, there has been continuous work on the improvement of robotics, and today there are nanorobots that are actively used in the industrial industry, in particular, in heavy industry.

As a result of passing the main stages of the technological development of the real sector of the economy, the mechanisms of the development of the real economy were created.

We have developed modern technological mechanisms built on the hierarchical principle, which determine the continuous development process of the real sector of the economy.

We have developed modern economic mechanisms built on the hierarchical principle.

Modern mechanisms for the development of the real sector of the economy are based on the synthesis of techno-economic mechanisms.

As a result of passing the main stages of technological development, mechanisms of real economy development are created. According to the hierarchical principle, the first and basic are the technological mechanisms that form the continuous process of development. The second mechanism is of an economic nature, and the third mechanism is a synthesis of techno-economic mechanisms.

In case the aforementioned mechanisms are built on a hierarchical principle and there are consistent connections and feedbacks between them, as a result we have a chain process of continuous development of the real sector of the economy.

The chain operation of the mentioned mechanisms is a solid basis for both the development of the real economy and the technological-economic transformation.

The functioning of the mechanisms developed by us on the chain principle largely determines the transition to the new technological regime with less losses. Also, the integration of the mentioned mechanisms into the techno-economic paradigm will make the modern techno-economic paradigm more complete and applicable. Along with this, it will prepare a solid ground for the transition to a new technological paradigm.

Key words: *Science-technology-production system, technological mechanisms, economic mechanisms, techno-economic mechanisms.*

მარიამ მაცაბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი,
ქუთაისი, საქართველო

**შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებანი Covid-19 პანდემიის პირობებში
(იმერეთის რეგიონის მაგალითზე)**

ანოტაცია. მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გავლენის შესწავლას სრულიად საქართველოს და იმერეთის რეგიონის შრომის ბაზარზე. ამ მიზნის მისაღწევად ჯერ განხორციელდა საქართველოს შრომის ბაზრის კვლევა პანდემიამდე და Covid-19-ის გამოჩენის შემდეგ, პანდემიის დაძლევის აუცილებლობის პირობებში საქართველოში მიღებული ინსტიტუციური შეზღუდვების ზემოქმედება დასაქმებულთა მდგომარეობაზე და შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე.

იმერეთის რეგიონის შრომის ბაზრის შესწავლა განხორციელდა საგრანტო პროექტის “COVID-19 და შრომის ბაზრის თანამედროვე გამოწვევების” ფარგლებში. კვლევა განხორციელდა ანკეტური გამოკითხვის მეთოდით 2021 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეებში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 252 რესპონდენტმა.

საკვანძო სიტყვები: Covid-19 პანდემია, შრომის ბაზარი, შრომის ბაზრის ინსტიტუტები

შესავალი

2020 წელი რთული აღმოჩნდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის და ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა დედამიწის მოსახლეობა. ამის მიზეზი 21-ე საუკუნის „შავი ჭირი“ ანუ ყველასათვის Covid-19-ის სახელით ცნობილი პანდემია გახდა.

პირველმა ინფორმაციამ პანდემიის შესახებ გაიჟღერა 2019 წლის 31 დეკემბერს, როდესაც ჩინეთმა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას ამცნო არსებული ვირუსის შესახებ. ვირუსმა სწრაფად მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში და საჭირო გახდა არსებული წესრიგის შეცვლა სხვადასხვა რეგულაციების შემოღებით. საქართველოში დაინფიცირების პირველი შემთხვევა დაფიქსირდა 2020 წლის 27 თებერვალს, რის შემდეგ ქვეყანა Covid-19 მსოფლიო არეალში აღმოჩნდა.

ახალმა დაავადებამ, ახალმა დღის წესრიგმა და რეგულაციებმა გამოიწვიეს ცვლილებები ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის შრომის ბაზარზე, რომლის გამართულ ფუნქციონირებაზე დიდწილად დამოკიდებულია მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლების ფორმირდება და რომელიც უშალოდ დაკავშირებულია ქვეყნის შშპ-ს შექმნისთან.

Covid-19-ის გავლენა საქართველოს შრომის ბაზარზე ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა იყო, რადგან დაიხურა ან შეფერხებით მუშაობდა სხვადასხვა დაწესებულებები, ბევრი ადამიანი დარჩა სამუშაო ადგილის გარეშე ან მუშაობდნენ არასრული სამუშაო დატვირთვით, რაც ნეგატიურად აისახა მათ შემოსავლებზე და მათსადამე, მათ ოჯახების კეთილდღეობაზე.

Covid-19 ვირუსის გამოჩენიდან ორ წელზე მეტი გავიდა და 2022 წლის გაზაფხულიდან დაწყებული პოსტკოვიდური პერიოდი უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში შეზღუდვების გაუქმებას უნდა მოჰყვეს ეკონომიკისა და შრომის ბაზრის დასტაბილურება.

საქართველოს შრომის ბაზარი 2014-2021 წლებში: ზოგად-სტატისტიკური ანალიზი

შრომის ბაზრის ფუნქციონირება და შრომის მიწოდება-მოთხოვნის თანაფარდობა სენსიტიურია როგორც ეკონომიკური, ასევე არაეკონომიკური ფაქტორების მიმართ, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან შრომის ბაზრის პროგრესს და მოსახლეობის კეთილდღეობას (Armania&Kepuladze 2018; Bedianashvil 2021; Armania, Sologashvili, Kepuladze 2021) და ა.შ.

2015-2019 წლებში საქართველოში დასაქმებულთა აბსოლუტური რაოდენობა გაიზარდა: თუ 2015 წელს დასაქმებულთა რიცხვი საქართველოში შეადგენდა 626 739 პროცენტს, 2016 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 666 790-მდე ანუ 5,9%-ით. 2017 წელს 2016 წ. წელთან ერთად მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა 708 165 კაცამდე, რაც წინა წელთან ერთად 6,2% მეტი იყო, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაიზარდა 3.8% და მიაღწია 734 215 და 2019 წელს - კვლავ გაიზარდა 3.1%.

მაგრამ Covid-19 პანდემიის გაჩენის გამო, 2020 წლის პირველი კვარტალში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობამ დაიწყო შემცირება. ამასთან, დასაქმებულების აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ხდება არა მხოლოდ წლის მიხედვით, არამედ ყოველ კვარტალში. მაგალითად, 2020 წლის პირველ კვარტალში დასაქმებული მოსახლეობის შემცირება შეადგინა 10,6%, მეორე კვარტალში პირველ კვარტალთან შედარებით დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა კიდევ 8.3%-ით. მესამე კვარტალში დასაქმების სფეროში შეიმჩნეოდა მცირე დადებითი ცვლილება, რომელიც ისევ საპირისპიროდ შეიცვალა მეოთხე კვარტალში, როცა დასაქმებულ ადამიანთა რიცხოვნობა შემცირდა 3%-ით (კვარტალური ბიულეტენი... 2021).

შრომის ბაზრის ფუნქციონირება და, პირველ რიგში, დასაქმებულთა წილის გადიდება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობაში, დამოკიდებულია იმ ზოგად ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (Bedianashvili 2021, გვ.192), რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო კორონავირუსით გამოწვეული ზარალის ამოფხვრისათვის, მ.შ. შრომის ბაზარზე.

Covid-19 პანდემიის გავრცელება და მის დაძლევაზე მიმართული ინსტიტუციური შეზღუდვები საქართველოში

შრომის ბაზრის წარმატებული ფუნქციონირება დიდწილად დამოკიდებულია შრომის ბაზრის რეგულირებაზე, რაც ხორციელდება განსხვავებული ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების მეშვეობით (Armania-Kepuladze T. 2014, p. 39-40). სწორედ ინსტიტუტები აყალიბებენ იმ „თამაშის წესებს“ (North D. 1990), რომლებიც ხელს უწყობენ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების კოორდინაციას და ამ თვალსაზრისით შეუძლია ზეგავლენა მოახდინონ შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე.

Covid-19 პანდემიის გავრცელებამ მოითხოვა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ღონისძიებების განხორციელება, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე.

Covid-19 პანდემიის შესაჩერებლად მიღებული იქნა მნიშვნელოვანი საკარანტინო შეზღუდვები. კერძოდ, იყო შეჩერებული ან/და საერთოდ გაჩერებული მთელი რიგი საწარმოებისა და ეკონომიკის დარგების ფუნქციონირება. ეს პირველ რიგში ეხება სტუმარმოყვარეობისა და ტურისტულ ინდუსტრიას, სა-

რესტორნო და სავაჭრო ბიზნესს, გარკვეულწილად ასევე ეკონომიკის აგრარულ და სამშენებლო სექტორებს და სხვ. (Арнания-Кепуладзе, Кепуладзе 2020).

2020 წელს საქართველოს მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო პანდემიასთან ბრძოლაზე, მოიცავდა 4 ძირითად ეტაპს.

პირველი ეტაპი იყო ვირუსის გავრცელების „შეკავება“, რომელიც საქართველოში ვირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე 1 თვით ადრე დაიწყო და Covid-19-თან ბრძოლის პროცესში გამოიყო 4 პრიორიტეტული მიმართულება, მათ შორის ეკონომიკური, რომელიც გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვასა და აღდგენას ითვალისწინებდა.

მეორე ეტაპის მიზანი ვირუსის გავრცელების „შენელება“ იყო. 2020 წლის 2-4 მარტს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეჩერდა სწავლის პროცესი, ხოლო კულტურის დაწესებულებებში შეჩერდა შემოქმედებითი საქმიანობა და გაუქმდა ყველა დაგეგმილი ღონისძიება, აიკრძალა ხალხმრავლობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, 6 მარტიდან იტალიასთან შეწყდა ავიამიმოსვლა, სხვადასხვა სამსახურები გადავიდნენ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე.

მესამე ეტაპი თავის თავში ითვალისწინებდა ვირუსის გავრცელების „მართვას“ - 21 მარტს სრულიად შეწყდა ავიამიმოსვლა, დაწესდა გადაადგილების შეზღუდვები, ეტაპობრივად შეჩერდა სხვადასხვა ეკონომიკური საქმიანობა.

მეოთხე ეტაპი კი ითვალისწინებდა დაწესებული შეზღუდვების თანდათანობით შემსუბუქებას და ადაპტაციას. ამ პერიოდში მოხსნა გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები, დაშვებულ იქნა ყველა ეკონომიკური საქმიანობა გარდა კვების ობიექტებში მომხმარებლის ადგილზე მომსახურება, სპორტული, გასართობი და კულტურული ღონისძიებების ჩატარება, სავაჭრო ცენტრებისა და ბაზრების ფუნქციონირება და სხვ. (Covid-19-ის წინააღმდეგ... 2021).

2021 წლის I და II კვარტალში გრძელდება შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნა. მაგრამ 2021 წლის III კვარტალში, ეპიდოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, ისევ წესდება რეგულაციები და შეზღუდვები. კერძოდ, იკრძალება ბანაკის ტიპის შეკრებები PCR ტესტის გარეშე, იზურება კლუბები, აიკრძალა ხალხმრავლობასთან დაკავშირებული სოციალური ღონისძიებები, საჯარო უწყებები გადავიდნენ დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, იზღუდება ფესტივალები, გასართობი ღონისძიებები, კონცერტები, სპორტული შეჯიბრებები და ბავშვთა გასართობი ცენტრების ფუნქციონირება და ა.შ.

2021 წლის ოქტომბრის თვიდან გაიხსნა სკოლები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები, კვების ობიექტები მუშაობას 23:00 საათამდე ახანგრძლივებენ. ხოლო პირველი დეკემბრიდან ამოქმედდა ე.წ. მწვანე პასპორტი, მათთვის ვინც სრულად ვაქცინირებულია.

მთავრობის მიერ შემოღებულმა რეგულაციებმა შეცვალა მოსახლეობის ცხოვრებისა და მუშაობის ჩვეულებრივი რეჟიმი, დასაქმების ფორმა და შრომის სტილი [Арнания-Кепуладзе, Кепуладзе, გვ. 242-243]. სწორედ ზემოთ განხილული რეგულაციების გამკაცრებისა თუ შემსუბუქების ხარჯზე განიცადა ცვლილებები საქართველოში დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობამ. როგორც აღინიშნა, 2020 წლის I კვარტალში საქართველოში პანდემიის შეკავების მიმართულებით დაიწყო რეგულაციების შემოღება რაც დიდწილად მიზეზი გახდა იმისა, რომ დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 2019 წელთან შედარებით 72 480 კაცით შემცირდა და გახდა 684 372. II კვარტალში შეზღუდვების კიდევ უფრო გამკაცრების შედეგად

აღნიშნული მაჩვენებელი 631 814-მდე დაეცა. III კვარტალში აკრძალვების შემსუბუქება დაეცა საქართველოს შრომის ბაზარს, რაც გამოიხატა დასაქმების რაოდენობის გაზრდით 645 571-მდე. IV კვარტალში კი მაინც შემცირებას იწყებს დასაქმებული ადამიანების რიცხვი 3 994 ერთეულით. იმისდა მიუხედავად, რომ 2021 წლის I კვარტალში გრძელდება საქართველოს მთავრობის მიერ შეზღუდვების შემსუბუქების პერიოდი, დასაქმების რიცხვი მაინც მცირდება 641 577-დან 622 746-მდე. ეს ტენდენცია დიდწილად აიხსნება იმ გარემოებით, რომ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში მოთხოვნა სამუშაო ძალაზე მის მიწოდებაზე დაბალი იყო და ვერ უზრუნველყო დასაქმების მსურველთა სამუშაო ადგილებით დაკმაყოფილება.

რაც შეეხება IV კვარტალს, იქედან გამომდინარე, რომ საქართველოში ვაქცინირებული ადამიანების რაოდენობა იზრდება და მწვანე პასპორტების გაცემაც დაწყებული იყო და საბოლოოდ მივედით შეზღუდვების თითქმის სრულიად მოხსნაზე, საწინდარი დაედო შრომის ბაზარზე დადებითი ცვლილებების განხორციელებას.

იმერეთის რეგიონის შრომის ბაზარი და Covid-19 პანდემია კვლევის მეთოდოლოგია.

კვლევის მიზანია იმერეთის რეგიონის შრომის ბაზრის თავისებურებების შესწავლა. მოცემული კვლევა ეფუძნება ახალი კორონავირუსული პანდემიით გამოწვეული საქართველოს შრომის ბაზარზე მომხდარი ცვლილებებისა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ანტიპანდემიური ინსტიტუციური ღონისძიებების ანალიზის საფუძველზე.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის აგვისტო-ოქტომბრის თვეებში ანკეტური გამოკითხვის მეთოდით. კვლევაში მონაწილე რესპონდენტები იყვნენ შერჩეული შემთვევითი შერჩევის წესით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 252 რესპონდენტმა, რომელთა შორის 177 ანუ 70,3% იყო ქალი და 75 ანუ 29,7% იყო მამაკაცი. გამოკითხულთა უმრავლესობა ანუ 59,5% იყო 18-დან 30 წლამდე %) და 31-დან 40 წმდე (19,4%) - ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. გამოკითხულ რესპონდენტთა 50% იყო დაოჯახებული.


კვლევის შედეგები და დისკუსია

იმერეთის, ისევე როგორც ზოგადად საქართველოს, შრომის ბაზარმა Covid-19 პანდემიის გავლენით გარკვეული ცვლილებები განიცადა.

კვლევამ დაადგინა, რომ Covid-19 პირობებში შრომითი ანაზღაურება რჩებოდა ძირითად შემოსავლების წყაროდ (ნახაზი 1):

ნახაზი 1

რა არის ოჯახის ძირითადი შემოსავალი Covid-19 პანდემიის პერიოდში




როგორც გამოკითხვამ აჩვენა, ოჯახების 73,4%-ის ძირითადი შემოსავლები ხელფასებიდან გენერირდება, ხოლო 13,5%-ის შემთხვევაში საზღვარგარეთიდან მიღებული გზავნილები წარმოადგენ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს. რაც შეეხება სოციალურ დახმარებებს, პენსიასა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვით მიღებულ შემოსავლებს არც თუ ისე დიდი ოდენობის ოჯახებისთვისაა შემოსავლის ძირითადი წყარო. სამივეს შეჯამებით ოჯახების მხოლოდ 13,1%-თვის წარმოადგენენ ისინი ძირითადი შემოსავლის წყაროებს.

როგორც კვლევამ აჩვენა, იმერეთის რეგიონში მცხოვრებ რესპოდენტთა 13,5%-მა დაკარგა სამუშაო ადგილები Covid-19-ის გამო, ხოლო გამოკითხულთა 86,5%-მა შეინარჩუნა თავისი სამუშაო ადგილები (ნახაზი 2):

ნახაზი 2


დაკარგეთ თუ არა სამუშაო ადგილი Covid-19-ის გამო



კოვიდის პერიოდში რესპოდენტთა 57,9%-ის ყოველთვიური შემოსავალი არ შეცვლილა. 23,8%-ის შემოსავლები შემცირებულია 50%-მდე, 11,5%-ისა კი 50%-ზე მეტად. მიუხედავად იმისა, რომ Covid პანდემიან ზოგადად მატერიალურად დააზარალა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ვენმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 6,8% შემოსავალი 50%-მდე ან მეტად გაეზარდათ (ნახაზი 3):

ნახაზი 3

როგორ შეიცვალა ყოველთვიური შემოსავალი Covid პანდემიის გამო




ცნობილია, საქართველოს შრომის კიდექსის 48-ე მუხლის მიხედვით დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების 67-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“, „ვ“,

„ი“ ან „ო“ პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით შეწყვეტისას¹⁷ იგი ვალდებულია დასაქმებული არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, ან დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებული არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით (საქართველოს შრომის კოდექსი...2010). რამდენად დაიცვა დამსაქმებელმა ეს რეგულაციები Covid-19 პანდემიის დროს?

ნახაზი 4

სამსახურიდან გაგათავისუფლებისას თუ დაიცვა დამსაქმებელმა ანონით გათვალისწინებული პროცედურები (კითხვა დატოვებულ შემთხვევაში თუ არ ხართ გათავისუფლებული)




იმერეთის რეგიონში ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გამოკითხვაში მონაწილე და სამსახურიდან გათავისუფლებული პირების 1/3 ნაწილი დამსაქმებელმა დათხოვნამდე გააფრთხილა, თუმცა მათ კომპენსაცია არ მიუღიათ. 22,2%-მა მიიღო გაფრთხილება და კომპენსაციაც. 42,6% როგორც გაფრთხილების, ასევე კომპენსაციის გარეშე დარჩა. რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში დამსაქმებლების მხრიდან ეთიკურ-სამართლებრივი ნორმების დაცვის ხარვეზებთან გვაქვს საქმე.

Covid-19 პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილი ადამიანები დახმარებას იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან (ნახაზი 6):

¹⁷ რაშიც იგულისხმება ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას; დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასარულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობა; თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული – ხანგრძლივი შრომისუუნარობა, თუ მისი ვადა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს, ამასთანავე, დასაქმებულს გამოყენებული აქვს ამ კანონის 31-ე მუხლით გათვალისწინებული შვებულება; ან სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.


სახელმწიფოს გარდა კიდევ ვისგან მიიღეთ ან იღებთ დახმარებას



კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული პირების 69,8% დახმარებას არ იღებს. 17,1%-ს ეხმარება საზღვარგარეთ მყოფი ოჯახის წევრები, ხოლო 0,8%-ს მეგობრები ეხმარებიან. დარჩენილი 8,3% კი სხვა წყაროებიდან იღებს დახმარებას.

Covid-19 პანდემიის პერიოდში ბევრ დაწესებულებაში დისტანციურად მუშაობის კულტურა დამკვიდრდა. ჩემი კვლევის ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რამდენად მოსახერხებელი იყო, ან პირიქით მოუხერხებელი სახლიდან მუშაობა (ნახაზი 6).


რამდენად მოსახერხებელი იყო თქვენთვის დისტანციურად მუშაობა



კვლევის შედეგად გაირკვა, რომ რესპოდენტების 43,7% დისტანციურად არ მუშაობდა. 22,6%-ისთვის დისტანციური მუშაობის რეჟიმი ძალიან მოსახერხებელი იყო, ხოლო 26,2%-თვის ნაკლებად მისაღები. ამასთან რესპოდენტების 7,5%-მა აღნიშნა, რომ დისტანციური მუშაობასთან დაკავშირებით მათ ბევრი პრობლემა შეექმნა.

Covid-19-ის პირობებში როგორი იყო თანაფარდობა შრომითი დატვირთვისა და შემოსავლებს შორის? (ნახაზი 7).


თანაფარდობა შრომითი დატვირთვისა და შემოსავლებს შორის



კვლევამ აჩვენა, რომ პანდემიის შედეგად იმერეთის რეგიონში გამოკითხული დასაქმებული ადამიანების 31,7%-თვის შრომითი დატვირთვა და შემოსავალი უცვლელი დარჩა. 30,6%-თვის დატვირთვა გაიზარდა, ხოლო ხელფასები იგივე დარჩა. 21,4%-ის შემთხვევაში შრომითი დატვირთვა და შემოსავალიც შემცირდა. 6,8%-ს შრომითი დატვირთვა და შესაბამისად შემოსავალიც გაეზარდა. ხოლო 9,5%-თვის პანდემიის გამო დისტანციური მუშაობა ახალი შესძლებლობა გახდა დამატებითი, შეთავსებითი სამუშაოს შესასრულებლად და შესაბამისად დამატებითი შემოსავლის მიღების პირობა გახდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში თითქმის ყველა ადამიანიმა გადაიტანა Covid-19 ან დაავადებულთან კონტაქტის გამო მოუწია იზოლაციაში ყოფნა. შესაბამისად, მათ ამ პერიოდში შესაძლებლობა არ ქონდათ შეესრულებინათ სამსახურიდან დაკისრებული მოვალეობები. ნახაზი 15 გვიჩვენებს თუ როგორი რეაგირება ქონდა ამ შემთხვევაში დამსაქმებელს - რამდენად ანაზღაურებულია მის მიერ ინფიცირების ან იზოლაციის პერიოდში გაცდენილი სამუშაო დრო (ნახაზი 8).

თუ ანაზღაურეს დამსაქმებლებმა ინფიცირებისა და იზოლაციაში ყოფნის გამო დაცდენილი სამუშაო დრო



კვლევამ დაადგინა, რომ იზოლაციაში მყოფი პირების 15,1%-მა სახლიდან დისტანციურად შეძლო მუშაობა, შესაბამისად მათ მიერ გაცდენილი სამუშაო დროის ანაზღაურების პრობლემა მათ წინაშე არ დამდგარა. იმერეთში გამოკითხული რესპოდენტების 19%-ს არ აუნაზღაურდა გაცდენილი სამუშაო საათები,

ხოლო 20,2%-მა სრულიად მიიღო ხელფასი. რაც შეეხება 42,5%-ს, ისინი ინფიცირებული არ ყოფილან.

დასკვნა

შრომის ბაზრის ცვლილებები გამოწვეულია როგორც შინაგანი ასევე გარეგანი ფაქტორებისაგან. საქართველოში შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების პროცესზე განსაკუთრებით ზეგავლენა მოახდინა ქვეყანაში არსებულმა Covid-19 პანდემიამ. ვირუსისგან საზოგადოების დასაცავად საქართველოს მთავრობის მიერ შემოღებულმა რეგულაციებმა მნიშვნელოვნად შეაფერხა ეკონომიკური საქმიანობა და ნეგატიურად აისახა საქართველოს შრომის ბაზარზე. Covid-19 პანდემიით გამოწვეულმა ცვლილებებმა სხვადასხვაგვარი გავლენა მოახდინა შრომის ბაზრის მონაწილეებზე. დღეისათვის პანდემია თითქმის დასრულებულია, რაც დადებითად უნდა აისახოს საქართველოს შრომის ბაზარზე, თუმცა არ უნდა დავიწყდეს, რომ კრიზისები მუდამ ხდება და იმისათვის, რომ შრომის ბაზრის მონაწილეების და ზოგადად მოქალაქეების მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაართულდეს აუცილებელია დავიცვათ კანონით დადგენილი სამართლებრივი ნორმები და გავითვალისწინოთ ის გამოცდილება, რომელიც მსოფლიომ Covid-19 პანდემიის დროს შეიძინა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. 2020. გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური შედეგები. ქ.: „ეკონომისტი. № 5.
2. კვარტალური ბიულეტენი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2021. https://www.geostat.ge/media/40147/QuarterlyBull_2021_II_Geo.pdf
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული: 2020 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.– თბილისი, 2021.
4. საქართველოს შრომის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2010. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21>
5. Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. საქართველოს მთავრობა, chrome-extension://efaidnbmninnipcbajpcgclefindmkaj/https://www.gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
6. Covid-19: სიახლეები საქართველოდან, თბილისი, 2022. <https://civil.ge/ka/archives/342458>
7. Arnanian-Kepuladze T. (2014). Institutions: Uncertainty in Definition of the Term. A Brief Look at the history: 1890-1930, Quarterly Journal of Economics Policy 9, no. 4. Pp. 79-102.
8. Arnanian-Kepuladze Tamila, Kepuladze Giorgi (2020). Labour Migration and Effects of The Covid-19 Pandemic (on The Context Of Georgia), Научные Труды Северо-западного Института Управления РАНХИГС, Vol. 11, No. 4(46), pp.6-16 <https://www.elibrary.ru/item.asp?id=44871505>
9. Arnanian-Kepuladze Tamila, Kepuladze Giorgi (2018), Проблема бедности: альтернативные взгляды на ее устойчивость, *World Science Vol.4, №5(33), May 2018, Warsaw, Poland, ISSN 2413-1032*, 10-17. <https://www.elibrary.ru/item.asp?id=34924675>

10. Arnania-Kepuladze Tamila, Dali Sologashvili, Giorgi Kepuladze (2021). Labor Market: Covid-19 Pandemic and Working Poverty. *FBIM Transactions*. Vol. 9 No. 2 pp. 1-10, DOI 10.12709/fbim.09.09.02.01
11. Arnania-Kepuladze Tamila, Рынок труда как система формальных и неформальных институтов, *World Science*, 6(34), Vol.3, June 2018, ISSN 2413-1032, Warsaw, Poland, pp. 38-43. DOI: [10.31435/rsglobal_ws/12062018/5868](https://doi.org/10.31435/rsglobal_ws/12062018/5868)
12. Bedianashvil, Givi (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis, *Bulletin Of The Georgian National Academy Of Sciences*, vol. 15, no. 2, 83. 191-197.
13. Marx I., Vandenbroucke P., Verbist G.(2020), Can Higher Employment Levels Bring Down Relative Income Poverty in the EU? Regression-Based Simulations of the Europe 2020 Target. *Journal of European Social Policy*, 22(5), 472–486. <http://dx.doi.org/10.1177/0958928712456577>
14. North D. C. (1990). *Institutions, Institutional Change and Economic Performance*. Cambridge: Cambridge University Press.
15. Scheve K, Stasavage D. (2008). Institutions, partisanship, and inequality in the long run. *World Politics*. 61(2):215–253. DOI: 10.1017/S0043887109000094.
16. Арнания-Кепуладзе Тамила, Кепуладзе Георгий (2020). Модели человека и особенности поведения в условиях COVID пандемии. Международная научно-практическая конференция «Философия и экономика в эпоху цифровой трансформации», Белорусский государственный экономический университет, с.239-244. http://edoc.bseu.by:8080/bitstream/edoc/85743/1/Arnaniya_Kepuladze_239_243.pdf

Mariam Matsaberidze
Master Student of
Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

**PECULIARITIES OF THE LABOR MARKET FUNCTIONING IN THE
CONDITIONS OF THE COVID-19 PANDEMIC (IMERETI REGION CASE)**
Expanded Summary

The year 2020 was difficult not only for Georgia, but also for the whole world, because the the earth population faced new challenges so called "black plague" of the 21st century or the pandemic known to everyone as Covid-19.

The new disease changed the agenda and led to the adoption of new regulations that brought changes in almost all areas of human activity, including the labor market. The formation of incomes of the largest part of the population largely depends on the proper functioning of the labor market, which is directly related to the creation of the country's GDP.

The impact of Covid-19 on the labor market of Georgia was one of the most pressing problems, as various institutions were closed or disrupted, many people were left without jobs or working part-time, which negatively affected their incomes and, therefore, the well-being of their families.

The paper has two aims: First aim is to study the impact of the coronavirus pandemic on the labor markets of the Georgia and, the Second aim is to study the impact of the coronavirus pandemic on the labor market in the Imereti region.

To achieve the first aim, the particularities of the Georgian labor market before and after of the appearance of Covid-19 was considered.

Due to the outbreak of the Covid-19 pandemic, the absolute number of employees decreases not only year-on-year, but every quarter. For example, in the first quarter of 2020, the number of employed population decreased by 10.6%, in the second quarter, compared to the first

quarter, the number of employed population decreased by additional 8.3%. There was a slight positive change in employment in the third quarter, which reversed again in the fourth quarter, when the number of people in employment fell by another 3%.

In 2020, the policy of the Georgian government was directed on the fighting the pandemic, and included 4 main stages.

The first stage was to "contain" the spread of the virus. This stage started 1 month before the confirmation of the first case of the virus in Georgia and identified 4 priority areas. Among other areas there was economic one, which provided for the management and recovery of the Georgian economy against the background of the global economic crisis.

The second stage aimed to "slow down" the spread of the virus. On March 2-4, 2020, the learning process in the educational institutions as well as creative activities in cultural institutions were suspended, all planned events related to crowds were prohibited were canceled, air traffic was suspended from March 6, and various services switched to remote work mode.

The third stage included the "management" of the spread of the virus - on March 21, air traffic was completely stopped, movement restrictions were imposed, and various economic activities were gradually stopped.

The fourth stage took into account the gradual easing and adaptation of the imposed restrictions. During this period, restrictions related to movement were removed, all economic activities were allowed, except for customer service in food establishments, sports, entertainment and cultural events, operation of shopping centers and markets, etc.

In the I and II quarters of 2021 the gradual lifting of restrictions continues. But in the III quarter of 2021, depending on the epidemiological situation, regulations and restrictions were established again. Since October 2021, schools and higher education institutions have opened, catering establishments are extended their work until 23:00. And from the first of December started operation the so-called Green passport, for those who are fully vaccinated.

The impact of the anti-pandemic institutional restrictions adopted by the Georgian government was studied. The study showed that the COVID-19 pandemic and the regulations imposed by the Government of Georgia significantly hampered or completely stopped the activities of various sectors of the economy, which had a negative impact on the Georgian labor market, reduced the employment level and increased unemployment.

To achieve the second aim of this study the impact of the coronavirus pandemic on the labor market in the Imereti region was investigated.

The study of the labor market of the Imereti region was carried out within the framework of the grant project " COVID-19 and the Modern Challenges of the Labour Market". The investigation of the Imereti region's labor market was carried out by the questionnaire survey method. The survey took place in August-October 2021 and 252 respondents took part in it.

The study has shown that the main source of income for 73.4% of the families of the interviewed persons is the salary, and for 13.5% the main source of income is remittances received from abroad. According to the obtained data, 13.5% of the respondents lost their jobs due to the pandemic. Among persons who lost their jobs due to the virus, 28.3% received government assistance, while 71.7% did not, and in the case of 42.6% of them, the dismissal occurred in violation of the Georgian legislation. Regarding the period of infection and isolation, more than 1/5 of the study participants were compensated for missed work hours, but almost the same number remained unpaid during this period. Of the respondents who had to work online, 15% found this mode less convenient, however, for the same number of respondents, online work was very convenient, and for a large part of them, online work became a way to combine work and get additional income. Thus, the changes caused by the Covid-19 pandemic have had a different impact on labor market participants. The end of the pandemic should have a positive impact on the labor market of Georgia, however, the experience it has acquired should give us a solid basis for receiving minimal losses in the conditions of future unexpected cataclysms.

Keywords: Covid-19 pandemic, labor market, labor market institutions

ჟურნალი “ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.

ჟურნალ “ეკონომისტში” სტატიების გამოქვეყნების წესები იხილეთ ვებგვერდზე:
ekonomisti.tsu.ge

Journal “**Ekonomisti**”

Address: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103

Rules of Publication of articles in the journal “Ekonomisti” see: ekonomisti.tsu.ge

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი ნელი ჟაფიანიძე

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor Neli Qafianidze